

ს ვ ე ტ ი ც ხ ე რ ვ ა ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№2, 2016



საქართველოს საპატიონარებოს,
საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თაორგონის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საინიციატივო უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის

მოადგილები: აკადემიკოსი ნანა ზაზარაძე
დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:


ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტკარაძე
მაკა ზართიშვილი
თემურ ჯაგოლნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი



4



ურნალ

„სვეტიცხოველი“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძოს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ურნალ სვეტიცხოველის რედაქცია





პატრიარქია თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

"მოწყალების საქმე ბადაპირების სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწუსდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოლენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმბიმე იტვირთეთ და ესრუდ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმბიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინჟინრო აპარატისა და კომპანია "გედინსერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწუსდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი



სრულიად საქართველოს
გათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, მეტე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივნისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა
და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად
ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვძრძნან:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის
დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის,
მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის)
ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების
პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ
მანანა ჭაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სარჩევი

СИСТЕМНЫЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ НАУКИ И РЕЛИГИИ, ЗНАНИЯ И ВЕРЫ

Академик *Ивери Прангишвили* 10

გეგე მირიანი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 15

გეგე ისტყაოსანის დათისმეტყველება

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 26

ბ. გასიანი აზხაზეთის შესახებ

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 29

ქოპულეთიდან ტრაბზონამდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 40

ომიდა ილია მართალი და საქართველოს ეპლენია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 45

ზემონი ქვეყანანი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 53

„ჰაიასა“ - „აიას ქვეყანა“ (შემდგომი პოლიტი)

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 56

ქისტების გამაჟმაღიანება XX ს-ის საქართველოში

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 62

მარადისობის გზაზე

ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი, თამარ ხოხობაშვილი 70

დილმის ხეობა

მანანა ქუთათელაძე 75



კათალიკოსი თუ პატოლიკოსი, პატოლიკე თუ პატოლიკი? გურამ ტყემალაძე.....	120
მმართველი სამოსელეო პრისტრიპრატია გვიანანტიპური სანის ქართლში მაია ქუთათელაძე	135
გვარეული სააკადემია და თარხან-მოურავების ზონაპრეზი გაუა ლოარაშვილი.....	141
ტერმინ „გაგდასის“ ინტერპრეტაციისათვის ნანა ბახსოლიანი.....	157



СИСТЕМНЫЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ НАУКИ И РЕЛИГИИ, ЗНАНИЯ И ВЕРЫ

Академик Ивери Прангшивили

Проблема эта **злободневная**, и ею занимаются ученые многих стран.

Хочу начать с того, что **церковь и религиозная доктрина признает роль человеческого разума, логику, а, следовательно, науку в познании истины, но одновременно считает, что достичь полноты понимания истины о человеке и окружающей среде, его реальности, - только разумом и логикой - не возможно.** Кроме разума нужна еще и человеческая **интуиция и откровение, или вера, чем наградила природа человека.**

С другой стороны, наука давно признала наличие в природе **идеальной реальности, не сводимой к материальной реальности** (сознание, подсознание, сверхсознание, мышление).

Тяга к вере у человека увеличивается с усложнением материальных и идеальных процессов. **Вера для человека более понятна и проще, чем логическое понимание и осознание** сложных процессов. Так в науке известна **закономерность** такого характера, что **сложнее процесс, тем тяжелее этот процесс осознать и понять.** Осознание человеком этих процессов по закону значительно отстает от самого процесса, т.е. сложные процессы протекают много быстрее, чем время необходимое для понимания осознания человеком и обществом этого процесса. Поэтому процесс перестройки Горбачева **поддерживала интеллигенция**, потому что процесс протекал быстрее, чем человек успевал все это осознать и поправить, даже развал СССР поддерживали. Непрерывное усложнение в новых компьютерах и новых мобильниках человек не успевает осознать и понять, и поэтому легче человеку **верить, чем понять.** В сложных

ситуациях, когда **время на понимание не хватает**, человек предпочитает **свою интуицию**, и по подсказке интуиции принимает решение, а **интуиция – это вера, а не разум.**

За науку и веру отвечают различные **полушарии головного мозга.** Так наука (логика, разум) - это в основном продукт **левого полушария мозга**, а интуиция, вера, образное мышление, живопись, музыка – это продукт **правого полушария мозга.**

Любая человеческая **цивилизация без веры и религии** обязательно **погибнет**, так как **религия создает нравственную и духовную приспособленность цивилизации.**

Как показали **топографические** исследования мозга, при **активизации** мозга в процессе **молитвы и медитации** человека, **усиливается восприятие мира, сверхчувствительность и интуиция** и ослабляется разум и логическое мышление.

При активизации мозга, он запрограммирован таким образом, что облегчается восприятие Бога и ощущается его реальность.

Сегодня в эпоху знаний и сложных процессов глобализации, усиlena потребность в религии, и практически невозможно исключить Бога из реальности людей, так как религиозные чувства в большей степени результат чувственного **восприятия**, чем **сознания.**

Наука, которая основывается только на опытах, экспериментальных наблюдениях, логическом умозаключении и аксиомах - не способна пока ответить на самые важные и актуальные вопросы, интересующие человечество и каждого человека.

Сегодняшняя наука старается не рассматривать религиозные проблемы. Только наука не способна убедительно ответить на ряд фундаментальных вопросов человечества. Сегодняшняя наука раб наших материалистических взглядов и материалистического мира и слаба в вопросах нематериалистического мира.



Сегодня религия имеет дело с такими явлениями, которые пока невозможно экспериментально проверить и объяснить. Правда, с использованием такой теоретической науки, как философия, мы можем оценить логическую последовательность религиозных аргументов.

Философия и религия отвечают на одни и те же фундаментальные вопросы, которые ставят люди. Философия, в отличие от религии, не является общедоступной для всех. Тогда как религия общедоступна. Ответы, на которые способна религия общечеловеческая и понятна для всех. Философия, которая старается объяснить религиозные доктрины, одновременно используя научные и человеческие опыты и методы. Великий А. Эйнштейн писал: «Наука без религии - хромой, а религия без науки – слепой». Сегодня во многих странах пытаются создать основы «научной религии», которые будут согласованы с научными данными.

Известно, что среди ученых ведутся споры по поводу взаимодействия науки и религии. Одни ученые считают, что наука и религия должны избегать друг друга, а не взаимодополнять, а другие считают, что наоборот, они должны сближаться и взаимодействовать друг с другом.

Противники взаимодополнения науки и религии выдвигают ряд претензий к религии. Например, главная претензия к религии заключается в том, что если в науке **одни парадигмы** со временем (для большего познания явлений) сменяют другие **парадигмы**, то в **религии** в отличие от науки, **парадигмы вечные** и навсегда остаются **неизменными**. Так за 100 лет в области оптики **три раза** изменились парадигмы; сперва была **корпускулярная** парадигма, затем изменилась на **волновую**, а затем возникла сегодняшняя **корпускулярно-волновая** парадигма, которая и дальше, по-видимому, еще изменится, чтобы достичь единственной научной **истины**. В отличие от этого любая религия включая и христианство, религию признает

постижение абсолютной истины сразу и более чем за 2000 лет признает одну вечную и неизменную парадигму: существование **всемогущего бога, непорочного зачатия, воскрешения из мертвых, наличие загробной вечной жизни души** и многое другое.

Таким образом, у этих ученых вызывают **неприятие вечные религиозные парадигмы**, тогда как в науке парадигмы со временем меняются. И тем самым они противники быстрого познания, познания **абсолютных истин**.


На самом деле, наука и религия **не враги друг другу**. Наоборот, наука и религия взаимно **дополняют** друг друга, поскольку наука пытается объяснить, **как устроен мир, а религия – почему и для чего он устроен именно так**.

Наука и религия на самом деле вполне **совместимы**, и вместе они позволяют более **глубоко и всесторонне** изучать окружающий мир и самого человека.

Взаимодействие науки и религии строится, **во-первых**, на одних и тех же **способностях** человека, с одной стороны, наука опирается на знания, на разум, радиальное мышление и логику, а вера – на **человеческую интуицию и откровение**. И то и другое даны человеку природой и нет никаких оснований **исключать** одну из них из процесса своего **творчества**. Правда, встречаются попытки **исключить интуицию**, а следовательно, и веру из научного творчества, а разум, рациональное мышление, логику исключить из религиозного процесса.

Известно, что **знание** больше, чем **наука**. Знание души добывается теми высокими органами, которыми не владеет наука. Это в первую очередь **интуиция**, где научные объяснения малопригодны. Именно **интуиция** ведет в высшие сферы духовности и в религию.

Напомним, что **дарвинизм**, который утверждает, что **человек** эволюционным путем образовался из **нижних видов**



животных, не выдерживает критики, так как не существует ни одного факта превращения обезьяны в человека. Всякие попытки перехода животных в человека не увенчались успехом. Оказывается, и переходных форм не существует, все виды строго фиксированы, по-видимому, с участием божества. Возникновение жизни на Земле, тем более таких высокоорганизованных особей, как человек, невозможно без божественного участия. Учение Дарвина не противоречит утверждению религии о возникновении жизни через божественное вмешательство. Сам Дарвин в конце жизни стал глубоко религиозным человеком и стал верить во всемогущество Бога.

Самопроизвольное появление жизни невозможно, так как даже вероятность случайного образования хотя бы одной простой белковой молекулы по подсчетам математиков составляет $1/10^{113}$, что намного меньше числа $1/10^{60}$, которое признано математиками принципиально неосуществимым событием. Кроме того, археологи по раскопкам не могут подтвердить эволюционную теорию Дарвина.

Ученые, считающие несовместимыми науку и религию считают, что вера в Бога означает веру в чудо, не требующее доказательств (эта аксиома), в то время как научное мышление и наука выявляют и осознают объективные законы и закономерности природы и общества.

Известно, что вера в Бога не может помешать научной работе. Ньютон, Эйнштейн, Кулон, Фарадей, Паскаль, Пастер, Менделеев и многие другие крупные ученые были глубоко верующими людьми, кроме Гинзбурга и Алферова.

Недавно на английском языке вышла книга «Религиозная сущность современных ученых». Авторы книги - крупные ученые, Лауреаты Нобелевской премии – разослали письма ста тридцати трем самым известным американским и английским ученым с вопросом: противоречит ли христианская религия науке, и знают ли

они ученых, которые это противоречие чувствуют.

Получили сто шестьнадцать ответов: «Не противоречит, и что таких ученых не знают»; остальные семнадцать - не ответили вообще.

Надо отличать людей религиозных и людей, которые верят в существование Бога. Верующий может верить в существование Бога, но не быть религиозным. Религиозный человек верит не только в Бога, но и в загробную жизнь, в непорочное зачатие, в воскрешение из мертвых, в святость Библии и т.п.

Верующие, но не религиозные люди верят в Бога, но не знают Библии, Корана, Талмуд, т.е. святые писания, не верят в чудеса воскрешения из мертвых, загробную жизнь, непорочное зачатие.

Сегодня наблюдается рост религиозности в Грузии, России и в других странах СНГ и СЭВ. Причин несколько: первая – когда плохо в стране, нет доверия к власти, то остается верить в Бога и в чудеса, чтобы сохранить какую-то надежду; вторая – государственная политика поддержки религии; третья – после краха коммунизма, делается попытка поставить православную идеологию на место коммунистической идеологии; четвертая – когда у страны и у политиков нет общенациональной идеи или идеологии для объединения и сплочения науки, тогда религия может играть роль объединителя народа в нацию.

В нашей стране и за рубежом ведутся научные работы для научного обоснования основных религиозных положений.

Нам известны научные работы, в которых делаются попытки научно объяснить существование Бога, души, загробной жизни. Такие работы ведутся в Москве, Санкт-Петербурге, в Екатеринбурге, в Канаде, Америке. При этом предполагаются разные концепции и парадигмы объяснения (научные), используя некую аксиоматику и доказательства. При



этом существующие в науке положения не отрицаются, а дополняются.

Одна из концепций для обоснования религиозных положений основывается на том, что вместо **нашего трехмерного мира**, в котором любые сигналы распространяются со скоростью, **не превышающей скорости света**, представляется **трехмерный и четырехмерный мир**, в которых **скорость распространения мгновенна и намного больше скорости света**. Сегодня в реальной жизни физики знают способ распространения (телеportации сигнала) частицы света **фотона с бесконечной скоростью**. Таких экспериментов уже много. Так что скорость распространения сигнала намного больше **скорости света, сегодня уже реальность**, а в будущем – тем более. Тогда получается, что в однородной среде, в которой произойдет любое изменение в какой-либо одной точке, - **мгновенно отзовется** во всех остальных точках однородной среды. При этом теряется смысл **понятия протяженности или длительности**. Тогда легко объяснить многие религиозные положения.

Нам известны и **другие концепции**, в которых показано, что наш трехмерный мир не позволяет **видеть местоположение Бога и души**, так как они находятся **вне координат нашей пространственно-временной системы**, в пространстве других (четырех, пяти) измерений. В мире четырех и пяти измерений прошлое, настоящее, будущее существуют как бы **одновременно, и всякое тело представляется в виде протяженных пространственных структур, от момента его зарождения до смерти, мгновенный временной срез, который мы наблюдаем в нашем трехмерном мире**. Описание путешествия человеческой души после ухода из земной жизни, также напоминает путешествие из **нашего трехмерного мира в мир четырех и пяти измерений**.

Свойства четырех- и пятимерного мира сильно отличаются от нашего трехмерного мира. То, что **невозможно для**

нашего трехмерного мира, то естественно для четырех- и пятимерного мира. Там существует **мгновенное перемещение на любые расстояния в пространстве**. Из-за огромных возможностей четырех- и пятимерного мира, поле, представляющее тончайшую материю пронизывает весь мир условно эфирным газом, образующим мост между нашим трехмерным миром и миром четырех и пяти измерений.

Заключение

I. Наука и религия **дополняют** друг друга, а **не враждуют**.

II. Во всем мире **увеличивается тяга к вере и религии**, так в Америке **94% населения** – верующие, из них **50%** – религиозные, т.е. верят не только в Бога, но и святое писание – Библию, Коран, Талмуд.

III. Любая человеческая цивилизация **без веры и религии** обязательно **погибнет**, так как **религия создает нравственную и духовную приспособленность цивилизации**.

IV. Наука, в основном, продукт **левого полушария** человеческого мозга, основанная на **разум, сознание, логику и логическое мышление**.

V. Люди делятся на: 1) **верующих только в существование Бога и 2) религиозных**, которые кроме веры **в существование всемогущего Бога** еще верят в истину **святого писания** (Библию, Коран, Талмуд), то есть верят в **загробную жизнь, воскрешение из мертвых, непорочное зачатие, наличие души и ее бессмертия** и тому подобное.

VI. За рубежом (Канада, Америка) и в России (Москва, Санкт-Петербург, Екатеринбург) ведутся **научные работы** по вопросам взаимодействия и взаимодополнения науки и религии, научного **понимания и осознания религиозных положений о бессмертии человеческой души**.

VII. Имеются различные научные концепции для подтверждения истинности религиозных положений:



- **концепция**, основанная на **эффекте кириллиана**, г.Санкт-Петербург, проф. Котков;

- **концепция фонового принципа** для обнаружения невидимых объектов, г.Москва, ИПУ РАН;

- **Концепция Канады и США** по обнаружению души и других явлений религиозной доктрины.

Существует много других концепций и парадигм существования мира.

VIII. Результаты исследований подтверждают, что:

- **смерти человека**, его образа, сознания и всех главных параметров **принципиально не существует**, а есть только **преобразование** (по-грузински - гарацвала, по-английски - присоединился к большинству, к тридцати миллиардам человеческих душ). Люди **не умирают**, а временно **перестают быть рядом**;

- когда мы **хороним** человека, это мы хороним **скафандр, поверхность, вместеилище души**, а не саму душу. Душа – главное в человеке, в виде **фантома галограммы** до 40 дней находится вблизи **похороненного человека**, а затем из нашего трехмерного мира уходит в однородный мир **четырех- и пятимерных**, где **находится Бог**, где скорость перемещения **мгновенная**, где нет понятия **продолжительности и расстояния**, где находится более **тридцати миллиардов человеческих душ**, и где **прошлое, настоящее и будущее** сливаются, как в **машине времени**. Души **не размножаются, поддерживают** себя за счет космической энергии.

Душа из мира четырех пяти измерений с бесконечной скоростью (мгновенно) приходит и уходит из нашего трехмерного мира в мир четырех- пятимерный. Когда люди поймут, что человек **не умирает**, с одной стороны, - хорошо, так как у всех людей имеется большой страх перед смертью, но, с другой стороны, в 3-4 раза вырастут бандитизм, убийства,

коррупция, так как наказаний и смерти перестанут бояться.

Сегодня наука всего лишь на 3-5% знает **строение Вселенной**, и 95-97% пока не известна даже материальная сторона Вселенной. Пока не изучены **черные дыры**, которых полно во Вселенной, и которые представляют гигантский **вихрь** с колоссальной **массой**, **засасывающий все**, что попадается на пути: звезды, свет. Пока не изучены **темные энергии** (антагравитационные энергии). Не изучены строение и состав **космического вакуума**, составляющей основу Вселенной. Все они, в отличие от Земли и Луны, **состоят не из молекул, атомов, электронов, позитронов, кварков**, а совсем из других неизвестных пока элементарных частиц.

Насчет **мгновенного** (намного больше скорости света) распространения частиц света (фотонов), физики уже знают в нашем трехмерном мире **квантовую телепортацию** на большие расстояния. Даже ученые **Китая** Университета науки и технологий (г.Херей) показали, что **нарушение состояния** одной из частиц света **мгновенно приводит к нарушению квантового состояния другой**, независимо от расстояния. В 2003 году сцепленные фотоны, пройдя 0,6 км пересекли Дунай в Вене. В конце 2005 г. китайцы опробуют передачу сцепленных фотонов на 20 км. Источник частиц будет находиться у Китайской стены.



მეცნიერებელი მუზეუმის მიზანი და მიზანი

მეცნიერებელი (დაახლ. 285-360), მოციქულთასწორი (ხსენება ძველი სტილით 1 ოქტომბერს – სვეტიცხოვლის დღესასწაულისას), გახუშტის მიხედვით 47 წლის მანძილზე მეცნიერება ქართლში, საქართველოს განმანათლებელი, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით ქართლის მეცნიერების ძე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საპარესის პირველი სასანიანის მეცნიერების ძე, რომელმაც ქართლის სამეცნიერო ტახტზე დაგიტიმაცია მოიპოვა ქართლის უძეო მეცნიერების ქალიშვილის შეუდლების შემდეგ.

წყაროები – მეცნიერების შესახებ

მთავარი წყაროებია ძველქართული მატიანეთა კრებულები „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ) და „ქართლის ცხოვრება“ (ქც). ორივე კრებული აერთიანებს უფრო ძველ სხვადასხვა საუკუნეთა ცნობებსა და გადმოცემბს მეცნიერების შესახებ, მაგალითად, X საუკუნემდელი სინური რედაქცია მქ-სა მეცნიერების დროის აღწერისას უთითებს თავის წყაროს - „სწერია მცირესა მას მოქცევად აღწერილსა წიგნისა ქართლისა მოქცევისასა“ („მიზანი ნინო ემბაზი ქართლისა“, რჩეული წყაროები, მცხეთა, 2015, გვ. 22).

ყველა წყარო ხაზგასმით მიუთითებს, რომ თხრობანი წმიდა მეცნიერიანის გაქრისტიანების შესახებ დაწერილია IV საუკუნეშივე თვით ამბების უშუალო თვითმხილველების მიერ, ასევე დიდებული ქალბატონების სალომე უჯარმელისა და პეროვავრი სივნიელის მიერ, რომელთაც მეცნიერების გაქრისტიანების ამბებს წმიდა ნინო კარნახობდა სიკვდილის წინ. ქც-ის ლეონტი მროველისეულ რედაქციაში აღნიშნულია - „მაშინ მსწავლდ მოხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროვავრი სივნიელმან იწყო

სიტყვად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს“ (იქვე, გვ. 178).

მეცნიერიანის ცხოვრება ამ წყაროთა მიხედვით აღუწერია ასევე წმიდა ნინოს მოქაფესა და მეგობარს წმ. სიდონიას. „მქ-ის შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციაში მოთავსებულია თხზულება - „აღწერილი სიდონიასი, რომელი იხილა და აღწერა მირიან მეცნიერისა მოქცევისა და ჯვარისა აღმართებისათვის“ (იქვე, გვ. 89). „მქ-ის სინურ რედაქციაში შესულია თხზულება სახელით - „აღწერა სიდონია, დედაქაცმან ჰურიათამან, ასულმან აბიათარისამან - მირიან მეცნიერისა მოქცევა“ (იქვე, გვ. 47).

აღსანიშნავია, რომ ამავე წყაროებში შესულია თვით მეცნიერიანის მიერ დაწერილი თხზულება - „წიგნი, რომელიც დაწერა მირიან მეცნიერი ქართლისამან ჟამსა სიკვდილისასა“ (იქვე, შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია გვ. 53), ამავე წყაროებში ჩართულია ეპისტოლარული მასალაც, მაგალითად, - „წიგნი რომელი მიუწერა პატრიარქმან პრომისამან და ბრანჯთა მეცნიერი და მეცნიერებისა და ყოველსა ერსა ქართლისასა“ (იქვე, გვ. 177).

საისტორიო ძეგლი „მოქცევაი ქართლისაი“, მ. ჩხარტიშვილის კვლევით IV საუკუნის მატიანეთა, რომელსაც ერთოდა სხვადასხვა საუკუნეთა ქრონიკები მეცხრე საუკუნის ჩათვლით. ამ საისტორიო წყაროს ვითარცა საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ისტორიას იყენებდნენ სინას მთაზე წმ. ეპატერინეს მონასტერის ქართველი ბერები მეათე საუკუნემდე („მოქცევაი ქართლისაი, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, თბ. 2007, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (IX-XIს) თბ. 1964).

მეცნიერიანის ცხოვრების ქართულ წყაროთა შორის ერთერთი უმთავრესია, როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრება“ (IX, XI სს). აქაა ლეონტი მროველისეულად მინეული თხზულება - „მოქცევაი მირიან მეცნიერისა და მის თანა ყოველისა ქართლისა წმიდისა და ნება-



რისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა მიერ“ (ქართლის ცხოვრება ტ. I, 1955). ეს თხზულება მეფე მირიანის შესახებ, ჩანს, აერთიანებს უფრო ძველ სხვადასხვა საუკუნეთა ცნობებსა და გადმოცემებს წმიდა მეფის შესახებ.

მეფე მირიანის ცხოვრების შესახებ მინშველოვანია არსენ ბერის (XII ს.) მეტაფრაზული თხზულება – „ცხოვრება და მოქალაქეობაი წმიდისა და ლირსისა დედისა ჩვენისა ნინოისი”, ნიკოლოზ გულაბერისძისა და სხვათა თხზულებები (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურებს ძეგლები, წიგნი III (XI-XIII) თბ. 1971; წიგნი IV (XI-XVIII ს.) თბ. 1968);

ასევე, ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომი – „მეფე მირიან („ოზ“(47) წელი მეფეა“, (ქართლის ცხოვრება, ტ IV, 1973).

მეფე მირიანის ეპოქაში იბერიის გაქრისტიანებას მოიხსენიებენ ბერძენი, ბიზანტიელი და სომები თითქმის მისი თანამედროვე ისტორიკოსები – V ს. რუფინუს აკვილიტა (ღუფინ. ისტ ეცცლ, X 10). სოკრატე სქოლასტიკოსი, სოზომენი, წმიდა თეოდორიტე კვირელი (Theodoret. Hist eccl, I. 24). მოვსეს ხორენაცი (Moses of Khoren. History, 1978, cap.86) და სხვ.

მეფე მირიანის ცხოვრება გაქრისტიანებამდე. ლეონტი მროველმა ერთგვარად შეკრიბა და გაამოლიანა სხვადასხვა წყაროების ცნობები მირიანის შესახებ და „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართო თხრობა მეფე მირიანის ცხოვრების შესახებ, ის მისი ცხრილით იყო ქართლის 24-ე მეფე (მისი კვლევით ქართლის პირველი მეფე იყო ფარნავაზი).

ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოში მირიანის წინა მეფეების დროსაც იყო ცნობილი და სახელმწიფო რეფორმებიც ტარდებოდა მისი გათვალისწინებით, მაგალითად, მე-19 მეფე რევი (III ს) – „დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა, რამეთუ

სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი“ (ქ. 1. გვ. 58). მისი შვილთაშვილი იყო 23-ე მეფე ასფაგური, რომლის ქალიშვილი შეირთო მეფე მირიანმა.

ასფაგური, იყო ფარნავაზიან მეფეთა დინასტიის უგნასკნელი წარმომადგენელი, რადგანაც მას არ ჰყავდა ვაჟი, და ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც შეირთო საარსეთის შაპის ქასრე სასანიანის ძემ – მირიანმა (როგორც აღინიშნა, უფრო ძველი წყაროს – „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით – მეფე მირიანის მამა იყო ლევი– არა სპარსი, არამედ, ქართველი, ფარნავაზიან მეფეთა შთამომავალი)

ლეონტის ისტორიით, საარსეთის შაპი ქასრე განურისხდა მეფე ასფაგურს, რადგანაც, მეფეს ჩრდილო კავკასიიდან გამოჰყავდა ძლიერი ლაშქარი, რომელსაც ალაშქრებდა საარსეთში – „ასფაგური განუხვნის კარნი კავკასიათანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლევნი და ხაზარნი ბრძოლად საარსთა“ (იქვე, გვ. 59) „განამრავლეს შესვლა საარსეთად და ტყუევნა საარსეთისა“ (იქვე, გვ. 59).

ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, როდესაც გარდაიცვალა ქართლის მეფე ასფაგური, შაპი ქასრე შეიმოჰრა საქართველოში, მასთან ზავი დადეს ქართლის ერისთავებმა გარკვეული პირობებით, კერძოდ, მის ძეს უნდა შეერთო ასფაგურის ქალიშვილი და ასე ასეულიყო ქართლის სამეფო ტახტზე. ამასანავე, ქართლის სამეფო ტახტზე ასეული საარსი ხელმწიფის ძეს არ უნდა შეეცვალა ძველქართული წესები და უნდა მიეღო ძველქართული (იმდროისათვის არსებული) სარწმუნოება, რომელსაც ერქვა „მამათა სჯული“. – „ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუქნთასა“ (გვ. 63). ამ პირობებს შაპი დათანხმდა – „შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა და შერთო ძეს



მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუბ მცხეთას და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი და იყო მირიან მაშინ წლისა შვიდისა“ (იქვე, გვ. 64). მირიანის პირველ მეუღლეს, ასფაგურ მეფის ასულს, ერქა აბემურა.

ემაწვილმა მეფემ „შეიყუარა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული, და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა და შეაძეო საფლავი ფარნავაზისი, ხოლო ესე ყოველი ქართველთა სარწმუნოებისათვის ქმნა და კეთილად იპყრა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა და შეიყვარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთის გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (იქვე, გვ. 65).

ლეონტი მროველის ცნობით, მირიანის მეუღლე, ასული ქართველთა მეფისა გარდაიცვალა. ამის შემდეგ 15 წლის მირიანმა შეირთო შეორე ცოლი ნანა (მოციქულთასწორი), რომელიც იყო პონტიული დიდებულის ასული.

მეფე მირიანის მთავარ სამეფო მოვალეობას წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის უღელტეხილების დაცვა (შედარებისათვის – ქართლის ძველი მეფე ასფაგურს ჩრდილო კავკასიელები გადმოყენდა სამხრეთით და აბრძოლებდა სპარსთა წინააღმდეგ, ახალი მეფე მირიანი კი პირიქით – ამაგრებდა კავკასიის უღელტეხილებასა და ციხესიმაგრებს, რათა ჩრდილოკავკასიელები არ გადმოსულიყნენ სამხრეთში).

მეფე მირიანი მუდამ იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში, ამისათვის ამაგრებდა დარუბანდის (დერბენდის) ციხეკარსა და ჩრდილო კავკასიის უღელტეხილებს. „და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს, რამეთუ მოვი-

დიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს განსვლად სპარსთა ზედა“ (იქვე, გვ. 66).

ორმოცი წლის მირიანს გარდაეცვალა მამა – სპარსთა მეფე ქასრე, სპარს დიდებულთა საბჭომ ტახტზე აიყვანა მირიანის მმა, ხოლო მირიანის კიდევ უფრო გაუფართოვეს საზღვრები მირიანს „მისცეს ჯაზირეთი და შამის ნახევარი და არდაბადაგანი და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს“ (იქვე, გვ. 67).

რომის იმპერიამ, წყაროს ცნობით, მეფე მირიანს სომხეთი მალევე წაართვა, როცა, გუთების გამოჩენამ მირიანის უურადღება წარმართა ჩრდილო კავკასიისაკენ.

ჩრდილო კავკასიაში მეფე მირიანის ლაშქრობით ისარგებლა ბიზანტიამ, ლტოლვილ სომეხთა უფლისწულის თრდატს მისცა მნიშვნელოვანი ლაშქარი და – „გამოგზავნა სომხითს, მამულსა თვისესა. გამოვიდეს სომხითს და გამოასხეს სპანი ერისთავნი მირიანისანი“ (იქვე, გვ. 68). (ეს ცნობა ემსგავსება ლათინ ისტორიკოსთა ცნობებს, რომელთა მიხედვითაც ორი-სამი საუკუნით ადრე იბერიელი მეფეები და უფლისწულები მეფობდნენ სომხეთში – ტაციტუსის ცნობით I ს. 30-იანი წლებიდან იბერია იბრძოდა, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან. გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითოდატეს ძე, შემდეგ შიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად იმუამად „იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს“ (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33-36, IX,9, XII,15-50). მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობი (II ს. პირველ ნახევარის იბერიის შესახებ) ასევე მსგავსია – „ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა



იბერიის მეფე ფარასმანესის სამფლო-ბელოები“ (დიონ კასიონი, რომის ისტორია, XIX, 15).

მირიანმა სომხეთი დაკარგა, სადაც გამეფდა მეფე თრდატი, შემდგომაც, მე-4 საუკუნეში, ლეონტის მიხევით, სომხეთისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ მეფე მირიანი და თრდატი, მირიანს საარსელები, ხოლო თრდატს – რომაელები ებრძოდნენ, ომი მრავალი წელი გაგრძელდა, ლეონტი ამ ამბის წყაროსაც ასახელებს – „ვითარცა წერილ არს ამბავი მისი ცხოვრებისა სომეხთასა“ (იქვე, გვ. 69).

მალე სპარსეთის ტახტზე ავიდა მირიანის მეორე ძმა, რომელმაც გადაწყვიტა რომის იმპერიის საზღვრებში ლაშქრობა მირიანის დახმარებით, შეიკრიბა დიდი ლაშქარი – „ვითარცა ფურცელი ხეთანი სიმრავლით“ (გვ. 69). ლაშქარი სომხეთის გავლით შევიდა რომის იმპერიის საზღვრებში „და ვერ წინააღმდეგა მად ბერძენთა მეფე კონსტანტინე და შთავარდა მწუხადებასა დიდსა“. (გვ. 69). აქ ნახსენები მეფე კონსტანტინე არის რომის იმპერატორი, მოციქულთასწორი მეფე კონსტატინე.

სპარსთა ლაშქრობისას – „არწმუნეს მეფესა კონსტანტინეს კაცთა ვიეთმე ღვთის-მსახურთა და რქუეს ვითარებდ: „ესილეთ საკირველება ქრისტესი... ყოველი მოსაგნი ქრისტესანი წინამდღვრობითა ჯუარისათა სძლევენ მტერთა მათთა... მეფე კონსტანტინემან ირწმუნა მათი, ვითარცა წერილ არს მოქცეასა ბერძენთასა“ (იქვე, გვ. 69).

ჯვრის წინამდღოლობით კონსტანტინემ დაამარცხა სპარსელები, მირიანი თავისი ჯვრით უკან, იბერიაში დაბრუნდა და ითხოვა ზავი. კონსტანტინემ მძევდად აიყვანა მირიანის ვაჟი ბაქტრი, შეარიგა მეფე მირიანი თრდატან, ამასთანავე თრდატის ქალიშვილი სალომე შერთო მირიანის ვაჟს რევს.

ქვეყანა დამშვიდდა „და მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და

მოვაკნს და აქუნდა ეგრისიცა, ვიდრე ეგრისწყლამდე“ (იქვე, გვ. 70).

ამ დროისათვის „წმიდა და ნებარი დედა და ემბაზი ჩუქნი ნინო მოსრულ იყო და დაეკო მცხეთას შინა სამი წელი და განეცხადა ქება ქრისტეს სჯულისა“ (იქვე, გვ. 71).

მეფე მირიანის ცხოვრება მოქცევის შემდეგ იერუსალიმიდან რომში ჩასული წმიდა ნინო „ქალწულთა მონასტერში“ მეფეთა ნათესავ რიფსიმესა და მის გამზრდელს გიანეს დაუახლოვდა, აქ 50 ქალწული ბინადრობდა. ისინი გაქრისტიანდნენ და მოინათლენ – „უმრავლესთა მათგანმა ხელთა ქუშე წმიდისა ნინოსსა ნათელ-იდეს“ (ლეონტი მროველი „მოქცევა მირიან მეფისა“ ქ. 1, გვ. 81). მალე დევნის გამო ამ ქალწულებმა დატოვეს რომის იმპერია და თავი სომხეთს შეაფარეს. მათი წამებისა და დახოცვისას წმიდა ნინომ იხილა, რომ წმიდა მოწამეთა სულები ზეცაში აღმაგალი „მაშინ ხმა ესმა ზეგარდმო, რომელი ეტყოდა – ესე იყოს წარყვანება შენი – აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ – სადა იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა“ (იქვე, გვ. 8.).

წმიდა ნინომ საქართველოში შემოსვლის შემდეგ ფარავნის ტბასთან იხილა „ნათლის კაცი“, „მისცა მან წიგნი დაბეჭდული წმიდისა ნინოს და რქუა: „მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართისა“ (იქვე, გვ. 86), ამით წმიდა ნინოს დაევალა უშუალოდ მეფე მირიანის მოქცევა. წმ. ნინო გაემგზავრა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში, სამეფო ქალაქში, რათა დაახლოებოდა სამეფო კარს და დავალება აღესრულებინა.

მცხეთაში წმიდა ნინო შევიდა მთავარი წარმართული დღესასწაულის დღეს, მეტიანე აღწერს მეფე მირიანის სახეს ქერძ არმაზის დღეობისას – „იყო ხმა ოხრისა და საყვირისა, გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილი ველისანი და ზარი საშინელი გამოვიდოდა და ჯერეთ მეფე არდარა გამოსრულ იყო. და ვითარცა მოიწია



ემი, იწყო სივლტოლა და მიღამომალ-გა ყოვლისა კაცისა და შიშითა საფარ-ველსა თვისება შეილტოლა და აპა, მყის გამოვიდა ნანა დედოფალი და ნელად მოვიდოლა ერი. და შეამკეს ყოველი ფოლორცი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა, და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა, მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თვალ-შეუდგამითა ხილვითა“ (იქვე, გვ. 88).

მეფე გაემართა არმაზის კერპის თაყ-ვანისსაცემად. ეს იყო სპილენძისაგან დამზადებული ქანდაკება, რომელიც შემოსილი იყო ოქროს ჯაჭვაბჯრით, მისი თვალის ბუდეებში ძვირფასი ქვები პქრნდა ჩაღმული, ხელში ეჭირა ელვასავით ბრწყინვალე, მოძრავი ხმალი. მის გვერდით მარჯვნივ იდგა გაცის ოქროს კერპი, მარცხნივ კი გაიმის ვერცხლის კერპი - „რომელიც იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქარ-თლისასა“ (იქვე, გვ. 90).

წმიდა ნინოს ლოცვით აღმრულდა ქარიშხლმა დალეწა კერპები. მეფეს და ხალხს „დაეცა შიში და ძრწოლა“ (გვ. 91). მათ ვერ უპოვეს ახსნა მომ-ხდარ გავლენას – ძლიერ ქარიშხალს, რომელიც წმიდა ნინოს ლოცვის შემ-დეგ ამოვარდა და კერპები დაამსხვრია.

წმიდა ნინო დარჩა მცხეთაში და ელოდა მომენტს მეფის ოჯახთან დასახლოვებლად, რათა თავისი დავა-ლება აღესრულებინა – მეფე მირიანი მოექცია.

ის დაუახლოვდა მეფის მებადესა და მის ოჯახს, ასევე უქადაგა სახარება ებრაელთა „მღვდელს“, სახელით აბია-თარს და მის ასულს, სიდონიას და მოაქცია ისინი და მათთან ერთად ასევე სხვა ექვსი ქალი.

წმიდა ნინო სამი წელი ფარულად იღეწოდა მცხეთაში. შემდეგ კი გამოაჩინა ვაზის ჯვარი და იწყო დაუფარავად ქადაგება – „და იქმოდა საკვირველებათა დიდთა“ (იქვე, გვ. 102). ჯვრის შეხე-ბით კურნავდა დაგრდომილებსაც კი.

ქადაგებდა აბიათარიც, ამიტომაც მი-სი მოკვლა სურდათ, მეფე მირიანმა

მის გადასარჩენად იზრუნა „რამეოუ მირიან მეფესა აქუნდა სურვილი ქრის-ტეს სჯულისა, რამეოუ ასმიოდა სას-წაული ქრისტეს სჯულისა საბერძნეთს (გვ. 103), თუმცა ძალზე ორჭოფობდა.

წმიდა ნინო განაგრძობდა ქადაგებას და კურნებას. მეფის ოჯახთან დასახ-ლოებლად უმთავრესი მომენტი იყო წმიდა ნინოს მიერ დედოფალ ნანას ჯვრით განკურნება, რომელიც სასიკ-ლინე სენით დაავადდა. მეფე მირიანს მისმა მეუღლემ უამბო, რომ წმიდა ნინომ ის განკურნა წამლის გარეშე, ლოცვით და ჯვრის შეხებით.

მაშინ გაკვირვებულმა მეფე მირიანმა დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ ცნობების გამოძიება, მეფემ აბიათარ მღვდლისაგან გამოიკითხა ძველი და ახალი რჯულის წიგნები (ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის წიგნები), ამ წიგნების ცნობები მესიის მოსვლის შესახებ მან შეადარა „ნებ-როთის წიგნს“, რომელიც ინახებოდა სამეფო ოჯახში (ეს უნდა ყოფილიყო ცეცხლთაყვანისმცემლობის მთავარი წიგნი - ავესტა, რადგანაც მეფე მირიანი იყო სპარსეთის მეფის ვაჟი და ცხადია მას გააჩნდა ცოდნა ზოროასტ-რიზმის შესახებ და შესაბამისი ცოდ-ნა მისი მთავარი წიგნისა).

ნებროთის წიგნში მეფე მირიანმა იპოვა ცნობა მესიის მიერ ხსნის შესახებ. ნებროთის წიგნში მოპოვებული ცნობა მესიისგან ხსნის შესახებ შეაჯერა აბიათარის მონათხრობთან, ასევე ძველი და ახალი რჯულის წიგნებითან – „წიგნიცა რომელი პქრნ-და მირიან მეფისა ნებროთისი და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ უკანასკნელთა უამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა ... მან მიიღოს ჭირსა შინა და გიხესნეს შენ“ (იქვე, გვ. 105).

მეფე გაოცდა იმით, რომ ხსნის შესახებ სხვადასხვა წიგნების ცნობები ერთმანეთს ემოწმებოდნენ, ემსგავსებოდნენ – „მაშინ გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეოუ ძველი წიგნი და ახალი ეწამებოდეს და ნებროთის



წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა და ბრძოლა მტერი უჩინო, აყენებდა აღსარებად ქრისტესა“ (იქვე, გვ. 105). (აღსანიშნავია, რომ სპარსული სარწმუნოების „ნებროთის წიგნს“, ასესენი ასევე მეფე მირიანის შვილთაშვილი წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი – „მამათა ჩუენთა დაფარულად ეპერა წიგნი ესე...ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩუენმან მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ“ (ქც, 1, 1955, გვ. 163).

წიგნების შედარების შემდეგ მეფე მირიანი პირადად ესაუბრა წმიდა ნინოს, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

წმინა სიდონია, აბიათარის ქალიშვილი გიამბობს – ერთ დღეს, 20 ივლისს, შაბათ დღეს მეფე საჩადიროდ გაემართა მუხრანის მხარეს, ავიდა თხოთის მთაზე, რათა მოქებილა კასპი და უფლისციხე, ამ დროს შუადგისას „დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა დამე ბნელი უკუნი და დაიკურა ბნელმან არენი და ადგილი და განიბნივნეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა“ (იქვე, გვ. 109), მარტო დარჩენილი და შეძრწუნებული მეფე უხმობდა თავის კერპებს საშველად „არა ვუწი თუ ყოველისა ქუეყანისათვის იქმნა დაქცევა ესე, ანუ თუ ჩემთვის ოდენ იქმნა, აწ თუ ოდენ ჩემთვის არს ჭირი ესე, დმერთო ნინოსო განმინათლე ბნელი ესე და მიჩვენე საყოფალი ჩემი და აღვიარო სახელი შენი და აღვმართო ძელი ჯვარისა და თავებისვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსი სჯულისა ზედა პრომთასა“ (იქვე, გვ. 110).

ამის წარმოთქმის შემდეგ გამობრწყინდა მზე, სიკვდილს გადარჩენილი მეფე მირიანი ჩამოქვეითდა, აღმოსავლეთით გაიპყრო სელები და ხმამაღლა აღიარა თავისი მხსნელი ქრისტიანთა ღმერთი – „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა უფალი ყოველთა ზედა უფალთა... რამეთუ შენ მისენ მე

ჭირისაგან.. რამეთუ გინდა ხსნა ჩემი“ (იქვე, გვ. 110).

მეფე გაემართა მცხეთისაკენ და ლადადებდა - „მიეცით ღმერთსა ნინოსა ლიდება რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი...“ (იქვე, გვ. 110). ამასვე უდალადებდა შემხვედრ მრავალრიცხოვან ხალხსა და თავის ლაშქარს. მცხეთაში მოიძია წმიდა ნინო, ჩამოქვეითდა ცხენიდან და წმიდა ნინოს უთხრა – „აწ ლირს ვარ სახელისდებად სახელისა ღმრთისა შენისა და მხსნელისა ჩემისა“ (იქვე, გვ. 111).

მემატიანეთა სიტყვით, მეფე მირიანმა მთავარ მოვლენად მიიჩნია მისი ხსნა – უფლისმიერ მისი გადარჩენა.

ერმა სიხარულით მიიღო მეფის არჩევანი.

მეორე დღესვე მცხეთიდან გაუგზავნეს მაცნე იმპერატორ კონსტანტინეს და აცნობეს – ქართლის ანუ იბერიის მოქცევა „სჯულსა ზედა პრომთასა“ აღუწერეს ეს ყოველი სასწაული „რომელ იქნა მცხეთას შინა მირიან მეფისა ზედა, ითხოვეს მდგდელი ნათლისდებისათვის“ (იქვე, გვ. 111).

მეფე მირიანმა გადაწყვიტა მდგდლების მოსვლამდე აეშენებინათ ეკლესია სამეფო ბაღში, სადაც სამასი წლის ნაძიის (კედრის) ქეშ დაფლული იყო ქრისტეს წმიდა კვართი „მოპკვეთა ნაძიი იგი და ნაძიისა მისგან შემზადნა შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი... აღმართეს ექსნი იგი სუეტნი, ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკვირველი იყო ხილვითა, საშუალო ეკლესიისა შესადგმელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართვად მისა“ (იქვე, გვ. 112). სვეტი ადგილიდანაც ვერ დაძრეს, თვით მეფებმ მოატანინა „მრავალღონები მანქანანი“, მიუხედავად ამისა, ვერც მექანიზმებითა და ვერც ხალხის დახმარებით შეძლეს სვეტის აღმართვა.

საღამოს, შეწუხებული მეფე უკან გაბრუნდა, სვეტიან დარჩა მლოცველი წმიდა ნინო და ასევე ქრისტიანები. ლოცვისას წმინდა ნინომ ხახა ჩვენება, რომელშიც ბოროტი ძალები მეფე მი-



რიანს ემუქრებოდნენ, წმიდა ნინომ ასენა, რომ ეს ჩვენება სინამდვილეში იყო ნიშანი „ქართლისა ცხოვრებისა და ამის ადგილისა დიდებისა“ (იქვე, გვ. 113).

გამთენისას, როცა წმიდა ნინო ხელებაპყრობილი ლოცულობდა, სვეტონ ზეციდან ჩამოსული ნათლით შემოსილი ჭაბუკი მივიდა, ცეცხლის ზეწარში გახვეული და მან აღმართა სვეტი და წაიღო ზეციურ სიმაღლეში, შემდეგ კი, სვეტი ცეცხლის სახით ჩამოვიდა და თავის ხარისხს – გადანაჭრელ ადგილს მიუახლოვდა. მირიანმა შორიდან დაინახა „ნათელი ვითარცა ელვა აღწევნული ცად სამოთხით მისით“ (იქვე, გვ. 114), მირიანი სირბილით მიუახლოვდა სვეტს მოქალაქეებთან ერთად – „იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდა ადგილად თვისად, რეცა ვითარცა ზეცით და დადგა ხარისხსა მას ზედა და დაემყარა ხელით შეუხებლად კაცთაგან“ (იქვე, გვ. 114).

ამ დღეს მრავალი სასწაული აღსრულდა სვეტთან – თვალი აეხილა შობიდან ბრძან ებრაელს, ასევე ავადმყოფი ყრძა სევეწული და მასთან ერთად მრავალი სწეული განიკურნა, მეფემ სწრაფად ააგო ეკლესია.

იმპერატორმა სიხარულით შეიტყო იბერთა გაქრისტიანების ცნობა, რომ „ნათელს იღებდა ყოველი ქართლი“ ანუ სრულიად საქართველო. მან „წარმოგზავნა მდვდელი ჭეშმარიტი იოანე ეპისკოპოსად და მის თანა მდვდელი ორნი და დიაკონნი სამნი და მოუწერა მირიანს კონსტანტინე მეფემან წიგნი ლოცვისა“ (იქვე, გვ. 116).

ქართლის მოქცევის ქრონოლოგიისათვის მნიშვნელოვანია წყაროს მინიშნება, რომ იოანე ეპისკოპოსის ქართლში პირველი შემოსვლის დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო იერუსალიმში აღმოჩენილი იესო ქრისტეს ჯვარი ელენე დედოფლის მიერ. მხოლოდ ქართველი ხალხის მასობრივი ნათლობის შემდეგ – „ოდენ უამსა გამოეჩინა დვოისმოყვარესა ელენე დედოფლისა“.

ეპისკოპოს იოანეს მოსვლის შემდეგ „ნათელ-იღო მეფემან ხელსა ქუმშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფლმან და შვილთა მათთა ხელსა ქუმშე მათ მდვდელთა და დიაკონთა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკვარი, და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი... მუნ ნათელს-სცემდა წარჩინებულთა... ხოლო ქუმრო მისსა, მდინარესავე პირსა ორგან თრნი იგი მდვდელნი და დიაკონნი ნათელს-ცემდეს ერსა.. ესრეთ სახედ ნათელი უველმან ერმან და სიმრავლემან ქრთლისამან, ხოლო არა ნათელ იდეს მთიელთა კავკასიანთა“ (იქვე, გვ. 116).

ერის მონათვლის შემდეგ მირიან მეფემ უკანვე, იმპერატორ კონსტანტინესთან გაგზავნა ეპისკოპოსი იოანე და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი ოდენ უამსა გამოეჩინა დვოისმოყვარესა ელენე დედოფლისა და ითხოვნა მდვდელნი მრავალნი... ითხოვნა ქვით ხურონი აღშენებისათვის ეპლესიათა“ (იქვე, გვ. 117).

როგორც აღინიშნა, ქართლის მოქცევის წლის დადგენისათვის მნიშვნელოვანია წყაროს პირდაპირი ცნობა, რომ იოანე ეპისკოპოსის ქართლში პირველი შემოსვლის დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო იერუსალიმში აღმოჩენილი იესო ქრისტეს ჯვარი ელენე დედოფლის მიერ. მხოლოდ ქართველი ხალხის მასობრივი ნათლობის შემდეგ – „ოდენ უამსა გამოეჩინა დვოისმოყვარესა ელენე დედოფლისა“.

იმპერატორმა ქართლში მეორედ გამოგზავნილ ეპისკოპოსს იოანეს გამოატანა უდიდესი სიწმინდეები, რომელიც იმჟამად მოიპოვეს იერუსალიმში - „მოანიჭი ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერნი დამსჭვალულ იყენებს უფლისანი და სამსჭვალნი ხელთანი“ (იქვე, გვ. 117).

მაშასადამე, როგორც ითქვა, ეპისკოპოსი იოანე ქართლში პირველად 326 წლამდე ჩამოვიდა, როდესაც ქრისტეს ნათელი მიიღო ქართლის ერმა და მეფე მირიანმა და მეორეჯერ – იერუ-



სალიმში უფლის ჯვრის აღმოჩენის (ე.ი 326 წლის) შემდეგ და დაიწყო შენება საეპისკოპოსო ეკლესიისა (მცხეთის გალავნის გარეთ – სამთავროს ტაძრი), აღმართეს მცხეთის ჯვარი, ასევე თხოთისა და უჯარმის ჯვრები.

ქართლის განათლების (გაქრისტიანების) ამბავი გავრცელდა რომის იმპერიაში, ამიტომაც „რომის პატრიარქმა და ბრანჯთა მეფემ“ წერილი გამოუგზავნეს მეფე მირიანსა და წმიდა ნინოს.

„ბრანჯთა დიაკონმა“ მეფე მირინთან და წმიდა ნინოსთან მიიტანა „წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიარქისა, ნინოს და მფესა და ყოველსა ერსა ქართლისასა“ (იქვე, გვ. 124).

„ბრანჯთა დიაკონმა თავისი თვალით იხილა მრავალი სახწაული და ასევე მრავლის შესახებ მოისმინა, მან „წარიღო წიგნები და წარვიდა“ (იქვე, გვ. 125).

მეფე მირიანს სურდა მთიელ კავკასიელთა მოქცევა იძულებით, წმიდა ნინომ უთხრა - „არა ბრძანებულ არს მახვილსა ადება, არამედ სახარებითა და ჯუარით პატიოსნითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი“ (იქვე, გვ. 125).

კავკასიის მთებში თვით წმიდა ნინო და იოანე ეპისკოპოსი მივიღნენ ერისთავთან ერთად „ერისთავმანმეფისაგან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრა კერპი მათნი“ (იქვე, გვ. 125).

შემდეგ, წმიდა ნინო გაემართა რანისაკენ, დაბა ბოდისში წმ. ნინო დასხეულდა, მას თხოვეს მოეთხო ისტორია ქართლის გაქრისტიანებისა, მან დამსწრებს უკარნახა და ჩააწერინა ეს ისტორია - „მოიხვენით საწერელი და დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი“ (იქვე, გვ. 127). მისი ნაამბობი, როგორც ითქვა, ჩაიწერა მეფე მირიანის რძალმა, რევის მეუღლემ სალომე უჯარმელმა და ასევე პერიფავრი სივნიელმა. წმიდა ნინომ ითხოვა მეფე მირიანისაგან, რათა დაეკრძალათ დაბა ბოდისში - „მწუხა-

რე იყო მეფე და ყოველნი დიდებული...“ (იქვე, გვ. 128).

საბოლოოდ, მემატიანის სიტყვით, მეფე მირიანმა ქართველი ერის გაქრისტიანების საქმე დიდებულად აღასრულა – „აღასრულა ესე ყოველი ღვთიგ-განბრძნობილმან მირიან მეფემან განამტკიცა ყოველი ქართლი და პერეთი სარწმუნოებსა ზედა სამებისა წმიდისა, ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელსა ყოვლისასა, და განამტკიცნეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა“ (იქვე, გვ. 128).

მირიან მეფე გარდაიცვალა მისი ნათლობიდან 25-ე წელს. მან თავისი ანდერძი დაუტოვა ეპისკოპოსთა სიმრავლეს, რომელნიც მას ეახლნენ სიკვდილის ჟამს - „დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა“ (იქვე, გვ. 129).

აღნიშნული წყაროების მითითებით მეფე მირიანის დროს ქართულ ეკლესიას უკვე მრავალი ეპისკოპოსი ემსახურებოდა, იმავე ფაქტს, ქართლში ეპოსეკოპოსთა სიმრავლეს ჯერ კიდევ კათალიკოსის დადგენამდე მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაც – მთავარებისკოპოს მიქაელის დროს ქართლის ეკლესიას მრავალი ეპისკოპოსი ჟყავდა, რომელნიც თან ახლდნენ მას ირანიდან დაბრუნებული მეფე ვახტანგთან შეხვედრისას. მეფე ვახტანგს „მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი და მათ თანა ეპისკოპოსნი“ (ქც. 1. 1955, გვ. 196).

მემატიანეს სიტყვით მირიანის დროს ქართლის ეპისკოპოსთა შორის ერთი იყო „ეპისკოპოსთა მთავარი“ ანუ არქიეპისკოპოსი - „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულით, პირველი იყო წმიდა იოანე, რომელსაც ქართლში შემოსვლისას ეპისკოპოსის წოდება პქონდა, ხოლო მოღვაწეობის ბოლოს „მთავარეპისკოპოსისა“, როგორც მქ-ს, ისე ქც-ს მიხედვით.

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მეფე მირიანის დროს. მეფე მირიანის დროს ქართლის სამეფო წარ-



მოადგენდა ერთიან ქვეყანას, რომლის ერთი ნაწილი იყო ეგრისი (დასავლეთ საქართველო), ამას მიუთითებს ყველა წყარო – მქ, ქც, ვახუშტი, არსენ ბერი და სხვა.

წმიდა ნინოს შემოსვლამდე, ლეონტის მიხედვით, ახალგაზრდა მეფე მირიანი ფლობდა ვრცელ სახელმწიფოს შავი ზღვის აღმოსავლეთით – ეგრისის, ანუ დასვლეთ საქართველოს ჩათვლით, – „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთის გადმართ ქართლს, სომხითს, რანს, პერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (იქვე, გვ. 65).

წმიდა ნინოს შემოსვლის შემდგაც მეფე მირიანი სახელმწიფოს ამავე საზღვრებში, მდ. ეგრისწყლამდე, ფლობდა – „და მეფობდა მირიან ქართლს, რანს, პერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა, ვიდრე ეგრისწყლამდე“ (იქვე, გვ. 70).

საერთოდ, როგორც მქ ისე ქც-ს მიხედვით ქართლის სამეფო აღმოსავლეთთან ერთად მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც მდ. ეგრისწყლამდე (მდ. ლალიძე – ამჟამინდელ ოჩამჩირის რაიონში). მდ. ეგრისწყლალი რომის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის სასაზღვრო მდინარედ ითვლებოდა, ასევე ყოფილი უფრო ადრე ალექსადრე მაკედონელის დროსაც.

მქ-ს ცნობით, ქართლის სამეფოს დაარსების დროს ალექსანდრე მაკედონელს ქართლის სამეფოს საზღვრად დაუდგენია მდ. ეგრისწყლალი – „დათანა-პყანდა ალექსანდრეს მეფესა აზო, ძე არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოდა მცხეთა საჯდომად და საზღვრარი დაუდვა მას პერეთი და ეგრისწყლალი და სომხითი და მათ ცროლისა“ (მოქცევაი ქართლისაი, შატბერდული, ჭალიშური რედაქცია, რჩეული წყაროები, მცხეთა 2015, გვ. 117).

ამასვე იმეორებს ქართლის ცხოვრება, რომ როგორც აზოს, ისე ფარნავაზ მეფის დროს დასავლეთ საქართველო მდ. ეგრისწყლამდე შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში.

მდ. ეგრისწყლალი, როგორც ითქვა, მეფე მირიანის სამეფოს საასზღვრო მდინარე იყო, აქედან გამომდინარე საქართველოს ეკლესის იურისდიქციაში დასვლეთ საქართველო აღმოავლეთ საქართველოსთან ერთად შედიოდა მეოთხე საუკუნიდანვე, რასაც ეთანადება ასევე უცხოური წყაროების ცნობები. უცხოური წყაროები მიუთითებენ წმიდა ნინოს მიერ იბერებთან ერთად ლაზების გაქრისტიანებას. ლაზების ქვეშ იგულისხმება დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, მცხოვრები ტერიტორიაზე, რომელიც მეფე მირიანის სამეფოში შედიოდა.

IV საუკუნის ეკლესის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს – იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „დმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც – „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა დმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“ (მიმოხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „დვთის მცნება“. ამასვე წერს რუსი ურბნისის კრება – რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 546). იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართვე-



ლოისასა“ (დიდი სჯულის განონი, 1974, გვ. 545)

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი სომები ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვა-მდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვიპირეთში იმუამად მცხოვრებ მასქუთებამდე – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხებიც დაემოძღვრა... გავტებავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან – კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე) მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

რადგანაც, ლაზიკა გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც, დასავლეთ საქართველო მე-4 საუკუნიდანვე წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.

ამ საკითხში ქართულ წყაროებს სომხეთი წყაროებიც ეთანადებიან – კირიონ კათალიკოსი (VI-VII სს) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო იოანე სომქეთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს - კირიონ I იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

მეოცე საუკუნეში საისტორიო წრეებში გავრცელდა არასწორი შეხედულება თითქოს დასავლეთ საქართველო შედიოდა არა საქართველოს, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ამის დასამტკიცებლად იშველიერებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსკოპოსოთა ნუსხებს (ნოტიციებს), მათში მართლაც აღნიშნულია, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტო ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ვიდრე თითქმის მე-10 საუკუნემდე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ცნობილი მეცნიერი პროფ. ნ. ადონი ԱՐՄԵՆԻԱ Բ ԷՊՈԽՍ ՅՈՍՏԻՆԻԱՆԱ, სპ. 1908, გვ. 101), ამუამად კი ახალი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ სინამდვილეში ლაზიკის სამიტროპოლიტო თავისი ზიგანას, საისინის, როდოპლისისა და პეტრას საეპისკოპოსოებით მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამუამინდელ ლაზიკისტანში, ისტორიული ლაზიკის სამხრეთ ნაწილში, ტრაპეზუნტ-ზიგანაგუმიშხანეს რეგიონში (ე.წ. სამხრეთ ლაზიკაში), ხოლო დასავლეთ საქართველო (ჩრდილო ლაზიკა) მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მეფე მირიანიდანვე, რასაც, როგორც ითქვა, სომხური წყაროებისც ეთანადებიან. (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში), 2013, გვ. 77).

მაშასადამე, ლაზიკის ცნობილი საეპისკოპოსოები როდოპოლისი, საისინი, ზიგანა და პეტრა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარე ლაზიკაში (სამხრეთ ლაზიკაში), ხოლო, დასავლეთ საქართველო (ჩრდილო ლაზიკა) აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შევიდა მეფე მირიანის მიერ დაარსებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

აღმოსავლეთით, ლეონტის ცნობით, მირიანის დროს, რანი, ტერიტორია



ხუნანიდან ბარდავამდე, ქართლის სამეფოში შედიოდა. მირიანმა უფრო გააძლიერა სომხეთის მოსაზღვრე რანი და ის გადასცა თავის ნათესავს – ფეროზს, დაადგინა იქაურ ერისთავად.

მეფე მირიანის ძის დროს რანი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნას წყაროს ცნობაც ეთანადება – მეფე მირიანის ძემ ბაქარ მეფემ, „განამრავლნა მდვდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურად“ (ქც. I. 1955, გვ. 181). ჩანს, საქართველოს ეკლესიას რანის მთავარ ქალაქში, ბარდავში თავისი ეპისკოპოსიც ჰყავდა, რასაც თითქოსდა ადასტურებს აალესტინაში აღმოჩენილი V საუკუნის საფლავის ქვის წარწერა – „ქართველი ეპისკოპოსი ფურტაველი“, ფურტავი - ბარდავის სახელის ძელქართული ფორმა უნდა იყოს – „ესე სამარხო იოპანე ფურტაველი ეპისკოპოსისაი ქართველისაი“.

(<https://www.google.ge/#q=%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>)

მეფე მირიანის შილიშვილის მეფე ვარაზ-ბაქარის დროს სპარსეთმა ქართლს ჩამოართვა რანი და მოვაკანი, ამავე მეფის დროს დაიკარგა კლარჯეთის ზღვისპირეთი (ხოფა, ათინა, რიზეს რეგიონი, ჭოროხის შესართავამდე), წყარო წერს – ვარაზ-ბაქარმა აღასრულა სპარსეთა მოთხოვნა და „მისცა რანი და მოვაკანი...ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა, და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთადე“ (ქც. I. 1955, გვ. 136-137).

მეხუთე საუკუნის დასასრულსა და მეექსე საუკუნეში რანი და კლარჯეთის ზღვისპირი კვლავ დაკარგა ქართლის სამეფომ და ეკლესიამ.

მაშასადამე წმიდა ნინოს მიერ დაარსებული საქართველოს ეკლესია მეოთხე საუკუნეში შიდა ქართლთან ერთად მოიცავდა ვრცელ ტერიტო-

რიებს – დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს, ასევე რანს.

იქონიგრაფია – მეფე მირიანი გამოსახულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის სვეტზე, ამავე სვეტის „ნესტის“ („სასულის“, „სამირონეს“) ხის კარედის ვერცხლის მოჭედილობაზე, სვეტიცხოვლის „საქადაგე ხატის“ ბუდეზე, მცხეთის ჯვრის ტაძრის „ჯვარპატიოსნის“ მინანქერბით შემგულ ბუდეზე, მცხეთაში მაყვლოვანის ტაძრის ფრესკაზე, სამთავრის მონასტრის წმიდა ნინოს ცხოვრების სცენებით შეკულ ხატზე, ბოდბის წმიდა ნინოს ეკვდერის ფრესკებზე, სიონის წმიდა ნინოს ჯვრის კოტის ჭედურობაზე, ანისის ქართული (ე.წ. ტიგრან პონენცის) ტაძარში წმიდა ნინოს ფრესკის მახლობლად (ცხენოსანთა ნადირობის ეს მრავალპერსონაჟიანი სცენა უნდა ასახვდეს მეფე მირიანის შეშფოთებას მზის დაბრედების ქამს, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „არიან-ქართლი“, 2015, გვ. 539). მეფე მირიანი ამოქარგულია მეფე ვახტანგ მეექსის დროშაზე და გამოხატულია მრავალ ხატზე, რომელთა შორის აღსანიშნავია მ. საბინის „საქართველოს დიდება“. ის უმეტესად გამოხატება წმიდა ნინოსთან ერთად სვეტიცხოვლის ხატებზე.

განსასვენებელი წმიდა მოციქულთა სწორი მეფე მირიანი, მის მეუღლე მოციქულთასწორ ნანა დედოფალთან ერთად განისვენებს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეკლესიაში, რომელსაც „სამთავრო“ ეწოდება.

11.10.2016



გეზეისფარსანის ღვთისმეტყველება

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

**სიტყვა წარმოთქმული საერთაშორისო
კონფერენციაზე - „რუსთაველის 850
წლისთავი“**

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო
რექტორო, ბატონო თავმჯდომარე,
ბატონებო და ქალბატონებო**

ქართველი ერის უკვდავი საგანძურია
შოთა რუსთაველის ვეფხისტეოსანი,
გვირგვინი ქართული პოეზიისა, მისი
ავტორი უდიდესი ქართველი ღვთის-
მეტყველია პოეტთა შორის, რუსთველმა
შეძლო აღმატებული სიტყვიერებით
ედიდებინა უფალი ღმერთი.

უკვდავი პოემა იწყება ღვთის
დიდებით, და მისი ღვთისმეტყველება
მთლიანად ეფუძნება წმიდა წერილს,
კერძოდ კი წმიდა წერილის გამორ-
ჩეულ წიგნებს - შესაქმესა და ფსალ-
მუნებს, მოციქულთა ეპისტოლებს.

ის წმიდა წერილს მხატვრული
სიტყვის გამოყენებით აფერადებს, რაც
ზოგადი უნარია პოეზიისა. ამიტომაც
წერს, რომ პოეზია სიბრძნის ერთ-ერთი
დარგია - „საღმრთო, საღმრთოდ გასა-
გონი, მსმენელთაოფის დიდი მარგი“. პოეტური სიტყვით გამოთქმული

წმიდა წერილი სამო მოსასმენია
გონიერი კაცისათვის, ამიტომაც წერს -
„კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს
კაცი ვარგი“, რუსთველის გარდა
იმავეს წერენ ჩვენი უდიდესი პოეტები
თეომურაშ I და არჩილი.

თავის პოემაში მეფე არჩილი ასე

ათქმევინებს რუსთაველს -
„საქართველო სავხე არის,
ჩემი წიგნი ყველგან გაჟებს,
კის ლხინი აქს,
მას უბრობენ,
ანუ ვიხვა
გული უწებს.“

იმავეს ამბობდა მეფე თეომურაში
რუსთაველის შესახებ - მას პოემას
უვლიან, პატრონობენ, მასზე ზრუნავენ,
ის ხელიხელ საგოგმანებელი წიგნია,
ამკობენ კარგი ყდით, ინახავენ
საგანგებო ბუდეში, ის სახალხო
წიგნია, საზოგადოების ყველა ფენა
მისით სულდგმულობს, ის ამხნევებს
და ძალას აძლევს ქართველობას.

ამ ფაქტს იმით ხნის ორივე პოეტი,
რომ ის მხატვრული სიტყვით
გადმოცემს საღვთო სიტყვას, რაც,
როგორც ითქვა, სამო მოსასმენია.

მაგალითად დაბადების ტექსტში
ნათქამ ფრაზას - „შექმნა ღმერთმან
სამყარო“ (დაბად.1.7), რუსთველმა ასე-
თი მხატვრული სახე მისცა - „რომელ-
მან შექმნა სამყარო ძალითა მით
ძლიერითა“:

დაბადების მეორე ცნობილი ფრაზა
შექმნასთან დაკავშირებული - „შთაბერა
პირსა მისსა სული სიცოცხლისა და
იქმნა კაცი სულად ცხოვე-
ლად“ (დაბად. 2.7), რუსთველმა ასე
ჩამოაყალიბა მხატვრული სიტყვით -
„ზეგარდმო არსნი სულითა უკნა
ზეცით მონაბერითა“.

უფალმა შესაქმეს თანახმად ადა-
მიანს უბობა მრავალფეროვანი ქვეყანა
და დაადგინა ყველა არსების უფლად,
ადამიანი ასე აკურთხა - „აღაგხევ
ქვეყანა და უფლებით მას“.

რუსთველმა მცირე მხატვრული
ფორმით ეს სიტყვები ასე ჩამოაალიბა
- „ჩენ კაცთა, მოგვცა ქმედენა, გვაქს
უთვალავი ფერითა“.

წმიდა მოციქულ პავლეს მიერ
გამოთქმული სწავლება - „ხელმწიფენი
- ღმრთისა მიერ განწევებულ არიან“
(რომ.13.1) - რუსთაველმა ასე გარდაქ-
მნა - „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე
სახითა მის მიერითა“.

უფალმა ღმერთმა ყოველ ცოცხალ
არსს თავისი ინდივიდუალური სახე
მისცა, ამქვეყნიურ სამყაროში ადამია-
ნის მოვალეობაა ებრძოლოს საცდურს,
ცოდვას - სიყვარულის გზით, მოქმედ-



დოს იმქვეუნიურ, სულიერ სამყაროში გადასავლელად, იმქვეუნად ადამიანის სულის დამამდიმებელია ამქვეუნად ჩა-დენილი ცოდვები, მაგრამ მას, ხორციელ არსებას უჭირს ცოდვებთან ბრძოლა, ამიტომ ეველრება უფალ ღმერთს რათა შეუმსუბუქოს ცოდვები - ეს ყოველივე რუსთველმა ულამაზესი სიმარტივით გადმოგცა-

„უ, ღმერთო ერთო, მებ შევქმნა სახე ყოვლისა ტანისა,

შენ დამიფარებ, ძლევა მეც დათრგუნვად მესატანისა,

მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,

ცოდვათა შეუბუქება, მებ თანა წასატანისა“.

რუსთაველის პოემა სიყვარულის პოემა, ღმერთი სიყვარულია, ამიტომაც სიყვარული მარადიულია, პოეტი ამასთან დაკავშირებით ასესენებს ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს წმიდა მოციქულებს, ეპისტოლებში მოციქულები სიყვარულს განადიდებენ, რუსთაველი ამბობს -

„წაგიკითხავ?

სიყვარულ სამოციქულნი რაგვარ ხევერებ!

კით იტყვიან, კით აქებებ? ცან, ცნობანი მიაფერენ.

„სიყვარულია ლგვამაღლება, კით უვანნი ამას ქლერებ...“

ამის მოსმენისას ასევე გვახსენდება მოციქულის ნათქვამი -

„...სიყვარული სულგრძელ არ და ტაბილ“;

რუსთაველის პოემის მიმართ ქართველთა სიყვარული კიდევ უფრო გამძაფრდა ურთულებს მე-15, მე-17 საუკუნეებში. ეს ეპოქა პოლიტიკურად მძიმე დორ იყო, დაიშალა ერთიანი, კაგასიაში უძლიერესი საქართველოს სახელმწიფო, წარმოიქმნა ერთმანეთთან მებრძოლი პატარ-პატარა ქართული სამეცო სამთავროები, ქვეყანა კიდევ უფრო იშლებოდა, დაიწყო ქართველი სალხის დენაციონალიზაცია

ოსმალთა და საარსელთა მიერ ხელ-დებულ ქართულ რეგიონებში.

ამ ურთულებ დროს დაშლილ-დანაწევრებულ ქართველ ხალხს მხოლოდ საქართველოს ეკლესია და ქართული კულტურა აერთიანებდა.

ქართველთა სულიერი გამაერთიანებელი იყო უკვდავი ვეფხისტყაოსაანი, მისი ტაბილ ქართული სიტყვა, მისი ფრთიანი ფრაზა - „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“.

რუსთაველის მიერ გაცისკროვნებული ქართული კულტურის გარდა დაშლილ-დანაწევრებულ ქართველობას აერთიანებდა საქართველოს წმიდა ეკლესია.

ზვიად გამსახურდია თავის ცნობილ ნაშრომში ეკლესიასა და პოემის მთავარ გმირს ერთმანეთთან აკავშირებს.

- „ვეფხისტყაოსანის მთავარ გმირს - ტარიელს ერთდღოულად სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს. ერთ შემთხვევაში იგი საქართველოს და მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლოა“, წერდა ის, ხოლო ნეხტანდარეჯანი - საქართველოს სიმბოლოა. შესაბამისად ტარიელის მუდმივი თავდადება და ბრძოლა ნეხტან დარეჯანის დასახსნელად გამოხატავს საქართველოს ეკლესიის მუდმივ ღვაწლს საქართველოს გასათავისუფლებლად.

რუსთველი იყო საქართველოს ეკლესიის საუკეთესო შეილი, ამიტომაც მისი ზრუნვის საგანი დრმა მოხუცობის დროსაც იყო მსახურება და შექმნა ქართული ეკლესიისა, იერუსალიმში მან ხელახლა მოახატინა ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი და აქვე გამოხატეს კიდეც ის დიდი წმიდანების რიგში.

18 საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო ტახტის გამგებლად სულხან-საბა ორბელიანის დავით გარეჯს ნათლისმცემლის მონასტრის ბერის გაზრდილი ვახტანგ VI დაინიშნა. ვახტანგ VI-ის სახელს უკავშირდება სტამბის დაარსება და „ვეფხისტ-



ყაოსნის“ პირველი ბეჭდური სახის მეცნიერებლი გამოცემა 1712 წელს.

ვახტანგი პოემის ღრმა ანალიზით მივიდა დასკვნამდე, რომ ვეფხისტყაოსანი - სადგომი სწავლაა, მასში გადმოცემული მიჯნურობა აღეგორიული სახეა დვთისადმი სიყვარულისა, მან დაასკვნა, რომ ვეფხისტყაოსანი სრულყოფილი ქმნილებაა, ხოლო შოთა ბრძენი მეცნიერი.

საქართველოს დედა ეკლესიაში შოთა რუსთველს მუდამეამს მიაგებდნენ დიდ პატივს.

გამოკვლეულია, რომ პირველად რუსმა ევგენი ბოლხოვიტინოვმა და შემდეგ მისი გავლენით პლატონ იოსელიანმა გაავრცელეს ცნობები, თითქოსდა ვეფხისტყაოსანს ფიზიკურად ანადგურებდნენ.

ეს სიცრუე გაავრცელეს სასტიკ მე-19 საუკუნეში, როდესაც საქართველომ დაპარგა სახელმწიფო ბრიობა, დაკარგა სამეფო ტახტი და ეკლესიის ავტოკეფალია.

ამ დროს მოჯანყე ქართველი ხალხი ითხოვდა საპატრიარქო ტახტის ადგენას, ხალხს ეროვნულ გმირებად და წმინდანებად მოაჩნდა ძველი პატრიარქი, ასეთ დროს რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძველი ქართველი პატრიარქის სახელის დაკინება, ამიტომაც შეითხხა ცნობა, თითქოსდა - უდიდესი ქართველი მეცნიერი და ბატონიშვილი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი - ვეფხისტყაოსანს წვავდა და მტკვარში ყრიდა, ეს სიცრუე ასევე აიტაცეს მე-20 საუკუნეში საქართველოში ათეისტების ბატონობის დროს. სინამდვილეში ანტონ დიდი კათალიკოსი დიდად აფასებდა ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორს, ის წერდა -

„შოთა ბრძენ იყო
სიბრძნის მოყვარე ფრიად
თუ ხამ ხწადოდა-თუ ინებებდა
დვთისმეტყველიცა მაღალ“.

ამავე ეპოქაში ასევე გავრცელდა უმართებულო მოსაზრება თითქოსდა რუსთაველი მუსულმანი იყო.

ზ. გამსახურდია აღნიშნავს - „ქართული მეცნიერების ორი ისეთი სოლიდური ავტორიტეტი, როგორიც იყვნენ ნიკო მარი დაიუსტინე აბულაძე, - „ვეფხისტყაოსანის“ ავტორს მუსულმანად თვლიდნენ.“

მეცნიერ რუსთველოლოთა თაობები ამის შემდეგ ცდილობდნენ გაებათილებინათ ნიკო მარის თავალსაზრისი, რუსთაველის მუსულმანობის შესახებ.

ეს მომენტი ასე ახსნა პავლე ინგოროვამ, ვეფხისტყაოსანის გმირები აღიარებდნენ იმ სარწმუნოებას, რომელი ქვეყნიდანაც იყვნენ, მაგალითად - ავთანდილი არაბია, შესაბამისად ის აღიარებს არაბულ სარწმუნოებას ანუ ისლამს და მისი ლოცვაც შეესაბამება ისლამს, ტარიელი და ნებანდარეჯანი იხდოელია - ამიტომ ისინი ცეცხლთაყვანისმცემლური ლვოისმეტყველების შესაბამისად ფიქრობენ და მსჯელობენ, ამ რელიგიის მიხედვით სული განწმენდის გზაზე გაიღლის სხვადასხვა სტიქიებს, მათ შორის ცეცხლის სტიქიას, ამ დროს ნებანის სიტყვით, სული დაძრწის ამ სტიქიათა შორის, მისი მსჯელობით ასეთი ბედი მოელის მის სულსაც, პავლე ინგოროვას კვლევით - რუსთაველი თვითონ ქრისტიანი დვთისმადიდებელია, მაგრამ მისი პოემის გმირები სხვადასხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის ქმნენი არიან.

რუსთაველი უდიდესი მოაზროვნეა, მის ქმნილება ქართული სიტყვიერების წმვერვალია, ჩვენ ვლოცულობთ რათა ქართველმა ერმა შეძლოს ვეფხისტყაოსანის მსგავსი და უკეთესი ქმნილებების შექმნა, რათა უკუნისამდე ადიდოს უფალი ღმერთი, ამინ,

დმრთმა დაგლოცოთ.



ბ. გასვიანი აზხაზოთის შესახებ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

გ. გასვიანი იზიარებს პავლე ინგოროვას თვალსაზრისს, რომ აფსუები და აფხაზები სხვადასხვა ხალხია, კერძოდ აფხაზები იყო ძველი ქართული ტომი, ხოლო აფსუები ჩრდილო-კავკასიური ადიღე-ჩერქეზული ტომი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში ჩასახლდა მდინარე ყუბანის შეუწელიდან (ძირითადად მე-17 საუკუნეში).

ჩასახლებული აფსუები გაძლიერდნენ აფხაზეთში, დაიპყრეს სამეგრელოს ერთი ნაწილიც, რომლის ტერიტორიაზე გაბატონდნენ. მათ, ქართველებმა, აფხაზები უწოდეს ქვეყნის ანუ აფხაზეთის სახელის მიხედვით, მას მოჰყავს გიულდენშტედტის მოსაზრება, რომ „აფხაზები იგივე აბაზები არიან. აფხაზური, აბაზური და ჩერქეზული ენების დედა ერთია“, ანუ ამ გერმანელ მეცნიერს ახალი აფხაზები ანუ აფსუები - აბაზურ-ჩერქეზულ ტომად მიაჩნდა, ასეთივე თვალსაზრისი პქნდა მე-19 საუკუნის მოგზაურებაც, მაგალითად, გამბას სპეციერს.

ძველი აფხაზები გ. გასვიანს მიაჩნდა მესეურ ტომად და იმეორებდა ნ. მარის აზრს ამ საკითხზე (გერონტი გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო, 2011 გვ. 105).

კერკეტების ტომი, წერს ის, ძველი წეროების ცნობით მოსხების გვერდით ცხოვრობდნენ (ეკრდობა ლატიშევის ცნობებს შედეგილს ბერძენ-რომაელ ავტორთა მონაცემების მიხედვით).

სტრაბონის ცნობითაც მითრიდატეს ამბების აღმწერნი ასახელებენ კერკეტებს, შემდეგ მოსხებს - ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით (იქვე გვ. 105).

აღნიშნული გიულდენშტედტი წერდა, რომ აბასას ხალხი იყოფოდა სამ ნაწილად. ერთი ნაწილი ცხოვრობდა

აფხაზეთში, მეორე ნაწილი ცხოვრობდა მდინარე ყუბანისპირეთში, ხოლო მესამე ნაწილი ყუბანის სათავეების მთიან ხეობებში.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში მოგზაური მკვლევარი, მინას მედიჩი ბერეკიანი, წერს, რომ აფსუები ანუ აბაზები აფხაზეთში ჩასახლდნენ ტერიტორიიდან, რომელსაც დიდი სათაროეთი ერქვა, იგულისხმება ჩრდილო კავკასიის სტეპები (იქვე გვ. 112).

აფსუები იყო არა მიწათმოქმედი, არამედ მესაქონლე ხალხი, რომელნიც მიწათმოქმედებას გაეცნენ მას შემდეგ რაც დაიპყრეს აფხაზეთი და სამეგრელოს ერთი ნაწილი.

გ. გასვიანი წერს: ძველი აფხაზები ანუ შედა საუკუნის აფხაზები იყვნენ ქართველები, შესაბამისად აფხაზთა სამეფო თავისი ეთნიკური შემადგენლობით, ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, ეკონომიკით, ფსიქიკური წყობით, ზენზეულებით, ყოფაცხოვრებით, პოლიტიკით, სამეფო დინასტიით ჭეშმარიტად ქართული სახელმწიფო იყო. აფსუების ჩამოსახლებას აფხაზეთში, გ. გასვიანი, ხსნის კავკასიის ხალხთა, მთიდან, ბარში ჩამოსახლებით, ამას აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი შიდა ქართლთან დაკავშირებით. ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენი ოსნი დავწერეთ, ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მებატონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულა, ვინაიდგან მტერთაგან ბართა შინა კაცნი შემცირებულან“ - ასევე, მთიდან ჩასახლდნენ ბარში აფსუები.

1953 წლის ეთნოგრაფიულ ექსპიციის მოპოვებული აქვს მასალა, რომლის მიხედვითაც, გუდაუთაში, მცხოვრებ საგვარეულოებს (გვარებს) ჯერ კიდევ ახსოვდათ ჩერქეზეთიდან ფსხუში მათი წინაპრების ჩამოსახლება (იქვე გვ. 120).



ჩერქეზული და ახალი აფხაზური ენების მსგავსებას იმით სხინან, სეპარატისტი მეცნიერები, თითქოსდა „აფხაზები აფხაზეთიდან XIII-XIV საუკუნეებში გადასახლდნენ ჩრდილო კავკასიის ყუბანის მხარეში (იქვე გვ. 123). სეპარატისტულ-რუსული თეორიით შავიზღვისპირეთიდან ყუბანის ხეობაში გადასახლებული აფხაზები იწოდნენ ჩერქეზებად და მათ თავის კონტროლის ქვეშ აიყვანეს ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი.

აფსუები და აბაზები ჩერქეზებს ემსგავსებოდნენ ცხოვრების წესით და საცხოვრებელი სახლებითაც კი მათი სახლი შორეული მოგონება არის სტეპებში დაღგმული კარვებისა.

აბაზებისა და ჩერქეზების სახლი მსუბუქი ნაგებობაა, წკნელით მოწნული კედლებით. საქმიანობა – მესაქონლეობა და მეჯოგეობაა. მემინდვრეობაში ახალი ფეხადგმული იყვნენ მკვლევარის დაკვირვებით (იქვე გვ. 113). აფსუები მესაქონლე ხალხი იყო და არა მიწათმოქმედი, ცხადია, ასეთი ხალხი, აფხაზეთის დიდებულ ეკლესიამონასტრებს ვერ ააგებდა, რადგანაც საკუთარი სახლის აგებაც არ შეეძლოთ. თუმცა, მათ შეძლეს მკვიდრი მიწათმოქმედი ხალხის დაპყრობა და მათი ასიმილაცია, შესაბამისად მიიღეს მათი კულტურის ნაწილი. ეს მოსაზრება მთლიანად ეთანადება ცნობილი კავკასიისმცოდნის, ვ. მილერის გამოკლევას. მილერი წერდა, რომ ჩრდილო-კავკასიის ყველა ხალხი მოსული არის კასპიის ზღვის იქეთა ტერიტორიებიდან, შესაბამისად მათ კავკასიაში მოსვლის შემდეგ შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის დამარცხება და მათი ასიმილაცია.

აფხაზეთის ყველა ეკლესიის წარწერა, ფრესკული თუ ქართული, ქართულია. ბიჭვინთის, ლიხნის, მოქვის, დრანდის, ილორის, ბედის და სხვა აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების წყაროებში არსად ასახულა, რაიმე,

აფსურ-ჩერქეზული ენობრივი ელემენტი, მაგალითად, აფხაზეთიდან გამოსული ქართული სამართლის ცნობილი ძეგლია „შეწირულობის წიგნი, კათალიკოს ეფთიმი საყვარელიძისა, ბიჭვინთისადმი“ (დაახ. 1600 წელი); „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1621 წელი); „შეუალობის წიგნი, ვამეყდადიანისა, აფხაზეთის კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძისადმი“ (1664 წელი); „შეწირულობის წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინთისადმი“ (1616-1639 წელი); „საკანონოს წიგნი, ვამეყდადიანისა, კათალიკოს, ზაქარიასადმი“ (1657-1660 წელი); „შეწირულობის წიგნი, მალაქია კათალიკოზისა, ბიჭვინთისადმი“ (1616-1639 წელი); „საკანონოს მირთმევის წიგნი, ვამეყდადიანისა, კათალიკოს ზაქარიასადმი“ (1657-1660 წელი); „შეწირულობის წიგნი, კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა, ბიჭვინტისადმი“ (1705წ. 1706წ. და 17012 წელი - ექვსი სიგელი); „შეწირულობის წიგნი, ბესარიონ კათალიკოსიზა, ბიჭვინტისადმი“ (1742-1769წ. ორი სიგელი); „შეწირულობის წიგნი, იოსებ კათალიკოზასა, ბიჭვინთისადმი“ (1770-1774 წელი); „წყალობის წიგნი, დოსითეოზ ქუთათელისა, ბიჭვინთის ყმებისადმი“ (1910 წელი) და სხვა ამ საბუთებში კარგად ჩანს, რომ აფხაზებად სახელდებული აფსუები, მირფესვიანად ანადგურებდნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს სოფლებს, მაგალითად, 60 კომლიდან მხოლოდ 7-კომლის გადარჩენა მოახერხა კათალიკოსმა ერთერთი სოფლიდან და ესენი გამოიყანა ენგურს აქეთ, სადაც უკვე აფსუები ვედარ ბატონობდნენ (იქვე, გვ. 164), ამ დოკუმენტებში არაფერია აფხაზურ-ჩერქეზული ენობრივი ელემენტის მკვიდრობის შესახებ, პირიქით.

აფხაზეთი ძველთაგანვე ქრისტიანული ქვეყანა იყო. ამიტომაც, წერდა იოანე საბანისძე, რომ აბო თბილეულმა „იხილა ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწ-



მუნიკიპალიტეტის და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართ ამათთა“. აფხაზეთის მეფე, დემეტრე, თხოვდა, გრიგოლ ხანძოელს, რომ მის სამეფოში მონასტერი აუშენებინა, სადაც სიწმინდენმან შენმან ინებოს მონასტრად ადგაშენოთ ადგილი იგი, აფხაზთა მეფები ქართველთა მიერ ქართულ ეკლესია მონასტრებს აშენებდნენ. როგორც, გიორგი მერჩულეს, ამ ცნობიდან ჩანს, მათ მიერ არის აშენებული ქართული ეკლესია-მონასტერი არა მხოლოდ ლიხიდან ბიჭვინთამდე, არამედ უფრო მეტიც, კუმურდოდან სენტამდე, ხუმარა-შუანამდე და არხიზის ეკლესიებამდე, ზელენჯუკის ხეობამდე როგორც კუმურდო, ასევე ეს უკანასკნელი ეკლესია აფხაზეთის მეფეს ლეონს აუშენებია.

1. ლეონ მეორე (786-800 წწ.).
 2. თეოდოს პირველი (800-825 წწ.).
 3. დემეტრე მეორე (825-861 წწ.).
 4. გიორგი პირველი აღწოველი (861-868 წწ.).
 5. იოანე შავლიანი (868-880 წწ.).
 6. ადარნასე შავლიანი (880-887 წწ.).
 7. ბაგრატ პირველი (887-893 წწ.).
 8. კონსტანტინე (893-922 წწ.).
 9. გიორგი მეორე (922-957 წწ.).
 10. ლეონ მეორე (957-967 წწ.).
 11. დემეტრე მესამე (967-975 წწ.).
 12. თეოდოს მეორე (976-978 წწ.).
 13. ბაგრატ მესამე (978-1014 წწ.).
- გაერთიანებული საქართველოს მეფე.

ზელენჯუკის ხეობის სამი ეკლესია პუნქტ არხიზში სენტისა და შუანას ეკლესიები, ასევე აფხაზეთის ეკლესიები რუსი და მათი სატელიტი ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ მიეკუთვნება არა ქართულ არქიტექტურას, არამედ თითქოს ის პროდუქტია ე.წ აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების აფხაზურ-ალანური სკოლისა, რასაც, რ. ხვისტანი თვლის ერთგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ მცდარ და ტენდენციურ

აზრად, ის წერს, რომ აღნიშნული ზოგიერთი ავტორი ამკვიდრებს გაფალბებულ და ტენდენციურ აზრს, აფხაზეთსა და ხრდილო კავკასიის შესახებ, ასეთები ყოფილან ვ. ფაჩულია, ნ. ხრუკოვა, იური ვორონოვი, ს. ლაკოვა და სხვები (რ. ხვისტანი მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის 2009 გვ. 51). დ. ხვისტანს ყურადღება მიაქცია გერონტი გასვიანმა (იქვე გვ. 154).

აფხაზეთში დაფიქსირებული არის 100-ზე მეტი ძველი ქართული ეკლესია-მონასტერი, რომლებშიც უამრავი ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერაა. მთავარი ტაძარი არის ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარი, რომლის სახელითაც უამრავი ძველი ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლია გამოცემული, ბიჭვინთას ასე ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი: „მუწის წყლის დასავლით არის ბიჭვინთას ეპლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზედის კიდესა ზედა, ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკბითა დიდითა, პირველი იყო საეპისკოპოსო, უამსა აფხაზთა მეფეთა იქმნა საკათალიკოსოდ და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაითგან აფხაზი არდარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა...“

აფხაზეთის საკათალიკოსოში არსებობდა შემდეგი ეპარქიები: ცხემის, დრანძის, მოქის, ბედის, წიბურის, ანაკლის, ცაიშის, მარტვილის, ტყვარჩელის, ჭელიშის, ჯაგის, შემოქმედის, ჯუმათის, ცაგერის, ნიკორწმიდის, ხონის, გაინათის, ქუთაისის (იქვე, გვ. 174). აფხაზთა კათალიკოსები იყვნენ: 1) ნიკოლოზ ბედიელი, რომელიც მოხსენებულია მე-12 საუკუნის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში, სინას მთის სულთა მატეანეში და ბედის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში. 2) დანიელი - მისი შვილი იყო გიორგი ჭყონდიდელი, მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მო



ნასტრის აღაპში. 3) არსენი 1390-წელს კათალიკოსად დასვა იმერეთის მეფე გიორგი პირველმა. 4) მე-16 საუკუნიდან ისსნებიან კათალიკოსები, რომელთა გვარებია ჩხეტიძე, საყვარელიძე, გურიელი, მაჭუტაძე, ქვარიანი, ლორთქიფანიძე, ნემსაძე, აბაშიძე და სხვები (იქვე გვ. 177). საქართველოს მეფის კურთხევაში მონაწილეობდა ორივე კათალიკოსი, აფხაზეთისა და ქართლისა. როგორც ჩანს რუს-ურბისის კრებაში მონაწილე მდვდელმთავარი ევსტათი, აფხაზეთის კათალიკოსი იყო. (იქვე გვ. 180).

აფხაზეთის უდიდესი ქართული საეკლესიო ცენტრი იყო, ლიხნის ეკლესია, სადაც უამრავი ქართული ასომთავრული წარწერა იყო მოთავსებული, მათ შორის 1066 წლით დატარიდებული მოვლენა კომეტის გამოჩენა ლიხნის ამ წარწერაში ნათქვამია ქრისტე დმერთო კურთხეულო ყოვლად, ყოველსა შინა, ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ქსით მეფობასა ბაგრატ გიორგი ძისასა ინდიქტიონსა აპრილსა თვესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ ძისასა წიაღსა აღმოვლიდის და შინა ძისას ვითარცა შარავანდი დიდ მოკიდებით მასასა ზედა, ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდე ბაგრატ მეოთხის დროს (1027-1072 წ.). ეს და სხვა წარწერები ლიხნის ეკლესიაში სეპარატისტ ისტორიკოსებმა წაშალეს და მოსპეს.

გუდაუთის IX-X საუკუნეების მსიგხუას ეკლესიაში დაფიქსირებული იყო მიქაელის სახელით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც ასევე ახლახან მოსპეს.

გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვაში მდებარე ანუხვას ტაძარში აღმოჩნდილია ქართული ასომთავრული წარწერები XI საუკუნისა, რომელშიც ნახსენებია ტაძრის მშენებელი ადგილობრივი წარჩინებული ქართველი, გიორგი ბასილისძე და მისი მმები - თეოდორე, დემეტრე და მერკილე,

რომელთაც ჯვარი აღუმართავთ თავიანთი ოჯახის წევრების სულის საოხად. ასეთივე ქაჯვარები და ჯვრიანი ქვის სვეტები აღმართულია აქვე, მახლობლად, სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ზელენჯუკის ხეობაში, სენტან და შოანა-ხუმარასთან და მათ რეგიონში, რომელთა აღმართვას მიაწერენ ჰიპოთეზურ კულტურებს, მაშინ როცა ამ წარწერაში კარგად ჩანს, თუ ვინ და რა დანიშნულებით აღმართა ასეთი ჯვრები და სვეტები. ეს წარწერაც ტაძრის სვეტებია ამოჭრილი.

აქვე ანუხვაში სხვა ქართული წარწერაც დაფიქსირებული. ანაკოფიაც ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ის, XVII საუკუნეშიც ქართველთა ხელში იყო, ლევან II დადიანმა მას ახალი გალავანი გაუმაგრა.

ვახუშტი წერს - „ანაკოფია იყო ქალაქი კეთილ-შეენიერი, ზღუასა ზედა აშენებული და შემდგომად ბაგრატიონთაგან განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტი ორმოცამდე დღესაც ჩანან, არამედ აწ ოხერ არს და საზღვარი ღილიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმა აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა, აწ, უქმად არს“. (ქ.ც. IV, 781).

საკუთრივ აფხაზეთის სამეფო იწყებოდა ანაკოფიასთან, ანაკოფია იყო საზღვარი სამეგრელოსა და საკუთრივ აფხაზეთს ანუ აფხაზეთის სამთავროს შორის. XVII საუკუნეში, თითქმის ათასი წლით ადრე, ვახუშტისავე ცნობით, აფხაზეთის საერისთავოს საზღვარი აქვე მდებარეობდა, ბზიფთან და ვახუშტისავე ცნობით აფხაზეთის საერისთავოს საზღვრები მოქცეული იყო ბზიფსა და მდ. უჯბანს შორის.

XVII საუკუნეში, როდესაც ადიღე-ჩერქეზებმა გადმოლახეს ჩრდილო კაპკასის ციხე-ზღუდეები ხუმარასთან (შუანასთან), სენტან თუ ზელენჯუკის ხეობაში და შეესივნენ მშვიდობიან,



მიწათმოქმედ, ქრისტიან მოსახლეობას სამეგრელოში, ამის გამო ლევან II დადიანი, მოქის, დრანდის და ბედის ეპისკოპოსებმა და ცხადია მათმა მრევლმა, დიდი შრომით და ხარჯის გაღებით ააგეს წარმოუდგენილი მასშტაბის - 100 კმ-იანი სიგრძის ზღუდე ციხე-სიმაგრეთა კედელი, „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“, ანუ აფხაზთა სამთავროს დამორჩილების შემდეგ ადიღებურქეზებმა, რომელიც უკვე აფხაზთა სამთავროში დამკიდრების გამო, უკვე „აფხაზებად“ სახელდებულებმა, როგორც უკვე ითქვა, შეუტიეს სამეგრელოს. მათ შესაკავებლად აიგო ეს 60 000 ნაბიჯის სიგრძის კედელი, ის იცავდა მომთაბარე წარმართებისაგან სამეგრელოს მიწა-წყალს, ამიტომაც ამ კედელს უნდა ერქვას სამეგრელოს კედელი და არა „აფხაზეთის დიდი კედელი“.

ანაკოფიას - რუსულ ეპოქაში, ახალი ათონი ეწოდა. აქ დააარსეს დიდი რუსული სამონასტრო ცენტრი, რომლის მისია გ. გასვიანის სიტყვით იყო მკვიდრი მოსახლეობის „რუსიფიკაცია“ (იქვე, გვ. 185). ხალხის რუსიფიკაციას კი აფერხებდა ქართული საეკლესიო გავლენის არსებობა ამ რეგიონში, ამიტომაც ამ მონასტერმა, როგორც ამ მონასტრის მიერ 1888 წელს გამოცემული წიგნიდან ჩანს, გადაწყვიტა ებრძოლა ქართულ ეკლესიასთან, უარესო ანდა წაეშალა ქართული ეკლესის გავლენა და კვალი, ამ რეგიონში (Новый Афон, 1888).

ანაკოფიაში ანუ ახალ ათონში, თვით მიწამაც კი შეინახა ქართული ნაკალევი, აქ „ივერიის მთაზე“ ადმონინდა მეფე გიორგი მეორის მონეტა, ქართული ასომთავრული წარწერით - „ქრისტე ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“ (იქვე, გვ. 188). ეს მონეტაც, რომელიც აფხაზეთის მუზეუმში ინახებოდა - გააქრეს, ისევე, როგორც სურთ გააქრონ ქართული ნაკვალევი სენტსა და

ხუმარა-შოანაში. ხუმარას მშვენიერ ტაძართან ამჟამად მცხოვრები მუსულმანები იმდენად დირსეულნი არიან, რომ ამ ადგილებში მიუთითებენ საქართველოს მეფის, თამარის ჯვარს, თამარის ქვას - კვარცხლბეჭებს, თამარის სენაკებსა და სხვას, მაშინ, როცა მართლმადიდებელი რუსი „ისტორიკოსებს“ აქ არ სურთ ქართული კვალის დანახვა და მას ყოველმხრივ შლიან და აბაიბურებენ. სახელი, ამჟამად, ყარაჩაიში მდგარე სოფლისა - ხუმარა ეტიმოლოგიურად ეთანადება სხვა უამრავ იდენტურ ქართულ სახელს - ესენია: ცხუმი, ცხმორი (სოფელი ოკრიბაში), ცხომარეთი (იმერეთში), ცხუმარისგა (გალში), საცხუმეთი (ლიანების ხეობაში), ცხინვალი, ცხომარისი (აჭარაში). საერთოდ სიტყვა „ცხუმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს. სხვათაშორის სვანები, გვარად შავლიანები, იყვნენ აფხაზთა მეფეები, რომელთა გვარებიც ისტორიისათვისაა ცნობილი. ესენი იყვნენ: მეფე იოანე შავლიანი (888-880) და ადარნასე შავლიანი (880-887). აფხაზეთში სვანთა ფართო განსახლება იყო (იქვე, გვ. 190), რასაც წყაროებთან ერთად ნათლად ადასტურებს აფხაზეთის სვანური ტოპონიმიკა. სვანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული ზელენჯუქის ხეობა, სენტის და ხუმარა-შოანას ტაძრების რეგიონები, თუმცა კი ამ რეგიონს X საუკუნისათვის ალანია ერქვა, რადგანაც ჩანს, რომ ზედა ფენა სვანური მოსახლეობისა იმჟამად ალანები იყვნენ. გ. გასვიანის კვლევით ერთერთი ასეთი სვანური სახელია - ლაშკინდარი ტყვარჩელთან, სადაც შესანიშნავი გუმბათიანი ეკლესია X-XI საუკუნისა, მას შემდეგში, ჩერქეზულ შემოსვათა ეპოქაში, შემოავლეს 100-კმ-იანი სიგრძის კედელი.

სვანებით იყო დასახლებული, ყარაჩაის, ჩერქეზეთის დიდი ნაწილი, დაახლოებით 200-მდე სვანური ტოპონიმია ყარაჩაი-ბალყარეთში და ნაწილობრივ



ჩერქეზეთშიც (იქვე, გვ. 192). აქაც და აფხაზეთში ისპობა ქართული საეკლესიო ნაკვალევი, მაგ: სოხუმთან ახლოს მდ. ბესლეთიზე გადებულ ძველ თაღოვან ხიდზე ქართული ასომთავრული წარწერა წაშალეს. ბესლეთის ხიდის ქართული წარწერა ასეთი იყო: „ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ორთავე შინა სოფელსა, უძლეველი..“, ვინც თუნდაც ხიდიდან შლის უზარმაზარი ასოებით დაწერილ სახელს - „ქრისტე“, არ არის ქრისტიანი და არც მისი წინაპარი იყო ქრისტიანი, რომელიც თემურ ლენგის შემდეგ, აღიღე-აფსუების სახელით ებრძოდა აქ ქრისტიანებს, ანგრევდა უძველეს ტაძრებს იმ დროსაც და დღესაც. ეს ეკლესიები სავსე იყო ქართულ წარწერიანი ხატებით. მაგ: წებელის ეკლესიის ჭვდური ხატი, წმ. ეპატერინესი, რომელსაც აქეს ქართული ასომთავრული წარწერა, აქეა, ახლოს დრანდის კათედრალი. მისი ბოლო ეპისკოპოსი იძულებული იყო, აფხაზებად სახელდებულ აფსუანერქეზებს გაქცეოდა და ტაბარი გაუუქმდინა. ვახუშტი წერს - „მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე, ამ წყალზედ არის ეკლესია დრანდის მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფის შორისის ადგილთა, არამედ აწ აფხაზთაგან არდარა არიან ეპისკოპოზი“, აქედან საეკლესიო წიგნებსა და სიძველეებს სპოდნენ ჯერ აფსუები, შემდეგ XIX საუკუნეში, 1900 წლისათვის გააქრეს ქართული საეკლესიო ხელნაწერების გარდა სამარხ-სამგალებიც კი, როგორც ქართველობის მაჩვნებელი (იქვე, გვ. 199).

განსაკუთრებით, დიდგებული მოქვის კათედრალი, ოჩამჩირიდან 17 კმ-ზე, ვახუშტი წერს - „ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე. ამ მდინარესა ზედა არს მოქვის ეკლესია, გუმბათიანი, დიდად ნაგები, აღაშენა მეფემან აფხაზთამან, ლეონ შემკობითა

დიდითა. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორისა მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“. ის ააგო ლეონ III აფხაზთა მეფემ 957-967 წლებში. აქ იყო დიდი ქართული სამწერლობო ცენტრი, როგორც მოქვიდან გამოსული ხელნაწერები აჩვენებს. მოღწეულია მოქველი ეპისკოპოსების სახელები - ბაგალითად, დანიელ მოქველი, მან 1300 წელს გადააწერინა ქართული ოთხთავი სატრაპეზო სახარება, შეამტკო მდიდარი მინიატურებით, რომელიც შექმნა ბერმა ეფრემმა - ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

მოქველი ეპისკოპოსი, XVI საუკუნეში იყო ექვთიმე საყვარელიძე, მისი კურთხევით, ხ. ცინცაძეს მეტაფრასი - ქართული ხელნაწერი გადაუწერია, იქვე მოღვაწეობდნენ ზებედე დიაკვანი და გიორგი მწერალი, რომელთაც გულანი გადაუწერიათ აფსუების შემოსევამდე XVI საუკუნეში. ეს ეკლესია მოხატული იყო აფხაზთა ანუ საქართველოს მეფის დავითის დროს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის ცნობით (იქვე, გვ. 200).

მოღწეულია მოქვის ტაძრის ხატი ქართული წარწერით, სადაც მოქველი ეპისკოპოსი, ანდრია საყვარელიძე წერს XVII საუკუნეში - „მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენდა, და დავასვენეთ ტაბარსა თქვენსა, მოქვე, სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის“.

ილორი დამშვენებული იყო ქართული წარწერებით, მისი ქტიტორი გიორგი გურგენისძე და სხვები იყვნენ, ხოლო მთავარებისკოპოსი იყო გიორგი, ასევე ერთ-ერთი მღვდელი იყო ქოჩოლავა (იქვე, გვ.202).

ქართული წარწერებით იყო დამშვენებული ბედის კათედრალი, იგივე ბედის მონასტერი. აქ ფრესკებისა და შენობა-ნაგებობებში შემონახულია სახელები ქართველი მეფეებისა, კათალიკოსებისა და ხელოსნებისაც კი. ამგვარად ქართული ასომთავ-



რული წარწერებით მოხსენიებულია სხვადასხვა პირები - სვიმეონ გალატოზთა უცესი, კათალიკოსი ანგონ გონგლიბაისძე, ბედიელი მიტროპოლიტები - სოფრომ გონგლიმაისძე, ანგონ ბედიელი (ჟვანისძე), გერმანე ჩხეტიძე, საქართველოს მეფე ბაგრატ III, იმერეთის მეფები: კონსტანტინე, დავით ნარინის ძე, ოდიშის დედოფალი მარინი და მისი ძე ერისთავთ-ერისთავი და მანდარტულუხუცესი გიორგი დადიანი - აქ არავინ იყო აფხაზარმართი, ყველანი ქრისტესათვის თავდადებული მოღვაწეები იყვნენ.

მოღწეულია ბედიის ტაძრის ქართული უზარმაზარი საეკლესიო ქართული წიგნი - გულანი, 960 ფურცლით, შესრულებული XVII-XVIII საუკუნეებში. მისი დამკვეთია გერმანე ჩხეტიძე, შემსრულებლები არიან - ამბროსი კარგარეთელი, სვიმონ ევთონატელი და გაბრიელ ლომსანიძე.

ბედია - საქართველოს ერთიანობის სიმბოლო იყო, ამიტომაც გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის ტაძარი იყო და აქვეა დაკრძალული, ხოლო საქართველოს ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა სიმონ-ბედიელალავერდელის საპატიო წოდება. ბედია - საქართველოს პირველ მეფეს ფარნაგაზეს და მის ერისთავს ეგრისში ქუჯის დაუარსებიათ. ბედიის ოლქს თავისი ერისთავი ჰყავდა, სხვა იყო ცხუმის ერისთავი და სხვა აფხაზთა ერისთავი - ქართლის ცხოვრების ცნობით. ვახუშტის სიტყვით ოდიში ერქვა ეგრისის იმ ნაწილს, რომელიც მოქცეული იყო ეგრისწყლის იქთ კლისურამდე და კოდორამდე. შესაბამისად ოდიშის ანუ ბედიის ეპისკოპოსის სამწყსო აქ მდებარეობდა. ბაგრატ III-იმ ბედიაში დასვა - „ეპისკოპოსი ოდიშისა“ და აწცა ზის და მწყემსი არს აწდადის წყალსა და მოქვის წყლის შუათისა ადგილთა“.

ბედია - უმდიდრესი ქართული ტაძარი იყო, რესტავრირებული. საქართვე-

ლოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ, ის დიდად შეამკო - „ვისაც მენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განვიხილე ბედიის ეკლესია და მათ ვცნობ“, ამ საეკლესიო სიმდიდრეს უფრო და უფრო შეემატა საეკლესიო საგანძური, შემდგომ საუკუნეებში. ეს სიმდიდრე ჩერქეზ-აფხსენებმა დაიტაცეს XVII-XVIII საუკუნეებში, ცხადია, ეს ქართული საეპისკოპოსოც გაუქმდა.

აფხაზეთში სხვა უამრავი ქართულწარწერიანი ეკლესია იყო, რომლებიც ნაცარტუტად აქციეს შემოსულმა ჩერქეზებმა, გამბას სიტყვით. მოღწეულია ზოგიერთი ქართულწარწერიანი საეკლესიო ნივთი ძველი აფხაზეთიდან. მაგალითად, ქიაჩის ეკლესიის ასომთავრულწარწერიანი სამწერობელი - უკავშირდება აფხაზთა მეფის გიორგი II-ის სახელს (922-957წწ.), ბიჭვინთის საწინამდღვრო ჯვარი 1565 წლისა - ქართული წარწერებით, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს მეფე-მთავართა სახელები.

მოღწეულია მოქვის ტაძრის საწინამდღვრო ჯვარი, ქართული წარწერებით, რომელშიც ნათქვამია - „მოქვის ლვთისმშობელო შეიწყალე სულითა აფხაზეთის კათალიკოზი ჩხეტიძე ევდემონ, მამკობი საყდრისა შენისა“. ლეონ III-ის (957-967წწ.) მიერ აშენებულ მოქვში, მოღვაწეობდნენ მოქველი მღვდელმთავარი - გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), დანიელი (დაახ. 1300), აბრაჟამი (XIV ს.), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363წ), ელი (1414), რომანი (XV ს.), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.), ექვთიმე საკვარელიძე (XVI ს.), ანდრია საკვარელიძე (XVII ს.) და სხვანი (იქვე, გვ. 255).

მოღწეულია ბიჭვინთის ოთხთავი, დაწერილი ქართული ნუსხურით XII საუკუნისა, მოქვის 329 გვერდიანი ქართული სახარება - ნუსხურით დაწერილი, შემცული მოქველი ეპისკოპოსის დანიელის მიერ 1300 წელს. მოქვი, როგორც ითქვა, ლევან მესამემ, აფხაზთა მეფემ ააშენა, როგორც სენტ-



შუანა (957-967წ). – განსაკუთრებით საინტერესოა სამართლის ძეგლი „ბიჭვინთის იადგარი“.

ბიჭვინთის იადგარში ჩამოთვლილია სამრევლოს გვარები, მაგალითად, ასეთი გვარებია – გამკერვალია, შამაგია, ჭუჭურია, ჩუმბურია, ეგვიპტია და სხვა. სინამდვილეში არის გვარ-სახელები, რომელთა უმრავლესობა ნაწარმოებია ქართული სუფიქსით-ურ, ზოგი ასეთი გვარ სახელი ნაწარმოებია სუფიქსით-არ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II გვ. 114-117წ), ასეთივე გვარ-სახელები ქართული სუფიქსებით ჩვენ გვხვდება ასევე ლიხმის ტაძართან, აქ, კაპოეტის წყალთან და მუწუს წყალთან მცხოვრებ მარშანიებს ეწოდებათ ზუფუარი და სიხუარი, მარშანიები ეს გვარ-სახელებიც ნაწარმოებია ქართული სუფიქსით ურ და არ. მაგალითად, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ნახსენები თუ როგორ ილაშქრა ლევან მეორე დადიანმა ამ ხეობაში და ნათქამია „კაპოეტის წყალზე შემოგვებენებნენ ზუფუარი და სიხუარი მარშანიები“ (გვ. 291). გ. გასვიანი (გვ. 291) ანუ ეს მარშანიები ცხოვრობდნენ ზუფუში და სიხუში. ბიჭვინთის იადგარში გლეხების გარდა ნახსენებია დადიანთა XVII საუკუნის მთელი თაობა და არ არის ნახსენები აფსური გვარები. გ. გასვიანის კვლევით ამის მიზეზი ისაა, რომ აფსური XVI საუკუნეში ჯერ კიდევ ყუბანის შუა წლიდან არ იყვნენ ასულები ყუბანის სათავეებამდე, ამას მიუთოთებს იტალიელი კარტოგრაფის, ჯაკოპო გალსტადდის, კავკასიის რუპა, რომელშიც პირდაპირად ყუბანი შუა წელში შემოხაზული „აფსუას რეგი“ (იქვე, გვ. 225) ამასვე წერს რუსული ისტორიოგრაფიის მამად წოდებული ისტორიკოსი ტატისხევი, რომ აფსური აფხაზეთში შევიდნენ XVII საუკუნის ბოლოს, იმავეს წერს რუსი სამხედრო ისტორიკოსი დიაჭკო ტარასოვი.

გ. გასვიანის დასკვნით საეკლესიო სამართლის უდიდესი მნიშვნელობის წყარო, ბიჭვინთის იადგარი, XVII-XVIII საუკუნეებში მრევლსა და სასულიერო პირთა შორის არ მოიხსენებს არცერთ აფსურ გვარს, ხობის საყდრის სიგელის განახლების საბუთში (1611-1657წ) საყვედურია გამოთქმული იქამდე ქართული ტომის, აფხაზების მიმართ: ისინი ცხოვრობდნენ სამეგრელოს საზღვრის იქით ანუ კოდორის მარჯვენა სანაბიროს იქით და ბიჭვინთის იქით. ამ ეპოქაში მოხდა ისე, რომ აფხაზებმა ვერ გაუძლეს ჩრდილო-კავკასიურ ტომთა, კერძოდ კი, ჩერქეზთა ზეწოლას, მათი ქვეყანა აღმოჩნდა ჩერქეზების ძირითადად – აფსურების ხელში. მათ იქ შეიტანეს წარმართობა და მუსულმანობა, შესაბამისად დაიწყეს დევნა ქართული ტრადიციებისა, ამ ორი ხალხის ურთიერთ შერევამ, აფხაზებისა და აფსურებისა, ძალზე ცუდი შედეგი გამოიდო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, კერძოდ, თუკი იქამდე საუკუნეთა მანძილზე აფხაზები, კითარცა ქართული ერთ-ერთი ტომი, სათუთად უგლიდა და პატრონობდა ქრისტიანული რჯულის ეკლესიას და მის ეპარქიას, ახლა უკვე დაიწყეს პირიქით, ამ სიგელის თანახმად გარევნეს სარწმუნოება. ამ სიგელში ნათქამია: „მას ჟამსა უღმრთოთ და უსჯულოებათ მიიქცეს აფხაზი... აფხაზთა გაყრვნებს სჯული და კათალიკოსობა“ (ქართული სამართლის ძეგლები; ტომი მე-2. გვ. 209)

შემდეგში, მალევე, კოდორს იქით დაბუდებული ჩერქეზები, აფსურები მთის მხრიდანაც შეესიენ სამეგრელოს მთიან მხარეების, ამიტომაც ლევან მეორე დადიანმა და იქაურმა ეპისკოპოსებმა ააშენეს უზარმაზარი დამცავი კედელი, რომელიც ანაკოფიიდან, კელასურიდან ენგზუამდე იყო გადაჭიმული, ამ მომხვდეულებს ხალხი უკვე აფხაზებს უწოდებდა, რადგანაც აფსუა ჩერქეზები უკვე კოდორს იქით მცხოვ-



რებ მკვიდრ აფხაზებს შეერივნენ, დასახლდნენ იმ მიწა წყალზე ანუ აფხაზეთში, ამ მიწის მცხოვრებლებს კი, ყველას, აფხაზი ერქვა ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

ძართული წარწერები აზხაზოთში

1) მკედ აფხაზეთში, ყოველ ეპლუსიასა თუ მონასტერს ან რომელიმე კულტურული დანიშნულების ძეგლს ჰქონდა ქართული წარწერები, ასეთია მაგალითად, ქიანის ეკლესია, მისი ასომთავრული წარწერა უკავშირდება აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის სახელს (922-937წ), (გ. გასვიანი აფხაზეთი, ისტორიული საქართველო, 2011 გვ.253). მოღწეულია სამწერობელი, აღნიშნულ სამწერობელზე არის წარწერები, გამოსახულია მთავარანგელოზები და წრეში დგთისმშობელი, ქართული წარწერებით.

2) ბიჭინოთის საკათალიკოსო ტაძრის სამწერობელი, ასევე მრავალი ქართული წარწერით თარიღდება 1565 წლით. წარწერაში ნახსენები არის ბაგრატ მეფე და სხვები და ასევე სამეგრელოს მთავრები და აფხაზეთის კათალიკოსი ევდემოზ ჩეგიძე.

3) მოქვის ტაძრის წარწერები. ამ წარწერებში ნახსენები არის მოქველი მღვდელმთავრები: გრიგოლ მაგნის-ძე (XII საუკუნე), დანიელი (1300 წელი), აბრამაში (XIV საუკუნე), ანდრია (XIV საუკუნე), ლუკა ოზრებელი (1363 წელი), ელია(დაახ, 1414წ), რომანოზი (XIV საუკუნე), ფილიპე ჩეგიძე (XIV საუკუნე), ექვთიმე საყვარელიძე (XVI საუკუნე), ანდრეა საყვარელიძე (1660-1666წ), (გ.კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, 2004, გვ.123). მოქვიდან მოღწეულია მოქვის ტაძრის საწინამდევრო ჯვარი (1616წლის), კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძისა. მასზე გამოსახულია წმინდანები და აქვს ასომთავრული წარწერები: „მოქვისა დგთისმშო-

ბელო შეიწყალე სულითა აფხაზეთის კათალიკოზი ჩეგიძე ევდემოზ მამკობი საყდრისა შენისა“. ევდემონ კათალიკოზი, ჩეგიძე კათალიკოზ ექვთიმე საყვარელიძის წინამორბედია.

4) წებელდის ქართულ წარწერიანი, წმინდა ეკატერინეს მეთერთმეტე საუკუნის ქართული ხატი.

5) მოღწეულია ბიჭინოთის მე-12 საუკუნის სახარება-ოთხთავი, დაწერილია ნუსხური ქართული ასოებით.

6) მოღწეულია მოქვის ეპლესის სატრაპეზო სახარება, გადაწერილია 1300 წელს, მოქველი ეპისკოპოსი დანიელის მიერ და შემკული არის ოქრო წერილი მინიატურებით, მოქვი ააშენა აფხაზთა მეფე ლეონ მესამემ (957-967წ.წ), აქ შექმნილი იყო ქართული ხელნაწერების გასამრავლებელი ცენტრი, ტაძარს ჰქონდა ქართული წარწერები, ტაძრის წარწერათა შორის ნახსენებია ეპისკოპოსი გრიგოლი.

ევროპელი მისიონერი გრანუიეს ცნობით მოქვი სამეგრელოში მდებარეობდა. მე-17 საუკუნეში აქ მყოფმა იერუსალიმელმა პატრიარქმა დოსითეოზმა, კედელზე ნახა ქართული წარწერა, რომ მოქვის ტაძარი მოხატული იყო საქართველოს მეფე დავითის და იმპერატორ ალექსი კომნენის დროს.

7) გალის რაიონის, სოფელ ლუმურისში, დგას XI საუკუნის ეკლესია ასომთავრული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულია, დედოფალთ-დედოფალი საგდუხტი. დედოფალ-დედოფალის ტიტულს აგარებდნენ იბერიის მეფეთა მეუღლეები. თანამედროვე გალის რაიონში, მდინარე ეგრისის წყალთან, გადიოდა იბერიის ანუ ქართლის სამეფოს საზღვარი ბიზანტიასთან, ქართლის ცხოვრებისა და მოქვევაი ქართლისაის ცნობით. ამიტომაც საგდუხტი უნდა იყოს არა რაჭის ერისთავის ნიანიას ასული, რომელსაც დედოფალთ-დედოფალს არ უწოდებდნენ, არამედ ეს სახელი დაკავშირებული უნდა იყოს იბერიის სამეფო სახლთან.



8) ბედიის ტაძარში, რომელიც ცნობილი კათედრალი იყო, უამრავი ქართული წარწერა იყო დაცული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბედიის ბარძიმი, რომელშიც ნახსენებია ბაგრატ მესამე და დედამისი, დედოფალი გურანდუხტი, წარწერა ეპუთვნის 999 წელს. ამ ბარძიმს მე-16 საუკუნეში გაუკეთეს ფეხი, ბედიელ მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით, რომელსაც პქონდა ასევე ქართული წარწერა. ბედიის ტაძართან დაპატიორებით ნათქვამია, რომ ის ააგო საქართველოს მეფემ ბაგრატ III-ემ (985-1014წწ) – „და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ მოცვალა გუდაყვისა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელი... განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი“. გუდაყვის საეპისკოპოსო, რომელიც ამ რეგიონში იქამდეც არსებობდა, იყო არა ბერძნულ ენოვანი, არამედ ქართული, რასაც მიუთითებს აფხაზეთის თითქმის ყოველ ძელ სოფელში არსებული ეპლესიების ქართული წარწერები, ამჟამად გაბატონებული აზრი, რომ თითქოსდა გუდაყვაში მდებარეობდა ნოტიციებით ცნობილი ზიგანას ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა, არასწორია, რადგანაც მისი ლოკალიზება არ ეფუძნება არავითარ წყაროსა და მასალას. ბიზანტიური საეკლესიო ისტორიოგრაფიის აღიარებულმა მცოდნემ, პროფესორმა, ნიკოლოზ ადონციმ გამოიკვლია, რომ ნოტიციებით ცნობილი ლაზიკის სამიტროპოლიტოს ბერძნული კათედრები მდებარეობდნენ არა აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში, შემდეგ დროინდელ ლაზისტანში, კონკრეტულად კი ზიგანას კათედრა მდებარეობდა არა გუდაყვაში, არამედ გუმუშხანესთან, ზიგანას ქვედის კალთაზე.

ბედიაში არის დასაფლავებული ბაგრატ მესამე. ბედიაში მდგველმთავრები ყოფილან ჭ. გამახარიას მიხედვით

ეპისკოპოსი გიორგი (IX საუკუნე), სოფრონი (1014-1027წწ), იოანე სფინჯელოზი (1065წ), სვიმონ გულაბერისძე (1118-1141წწ), ეს იყო ბედიელ-ალავერდელი და ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი, ნიკოლოზ გონგლიბაისძე (XIII საუკუნე), ამავე დროს ის იყო აფხაზეთის კათალიკოზი, მიქაელ გონგლიბაისძე (1305წ), სოფრონ გონგლიბაისძე (XIV საუკუნე), ლაზარ (XIV საუკუნე), მარკოზი (XV საუკუნე), გრიგოლი (XV საუკუნე), იოაკიმე (ცაიშელ-ბედიელი, აფხაზეთის კათალიკოსი 1470-1474წწ), მელქისედეკი (XV საუკუნე), ანტონ ევანისძე (XVI საუკუნე), კვირილე ევანისძე (XVI საუკუნე), ნიკოლოზ მხეიძე (XVII საუკუნე), ექვთიმე (XVII საუკუნე), ნიკიფორე იორებაქიძე-ჩოლოყაშვილი (XVII საუკუნე), ანდრეა (XVII საუკუნე, 80-იანი წლები), გაბრიელ ჩიქოვანი (XVII საუკუნის 80-იანი წლები, ჭყონდიდელ-ცაგარელ-ბედიელი), გერმანე ჩხეტიძე (XVIII საუკუნის დასაწყისი), მაქსიმე იაშვილი (XVIII საუკუნის 50-იანი წლები) (ჯ.გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, 2005 გვ. 126).

9) ბიჭვინთაში მრავალი ქართული წარწერა იყო, მრავალი ქართული წარწერა არის ბიჭვინთის ოქროს ხატე, რომელსაც აქვს ქართული განმარტებითი ასომთავრული წარწერები ხატის უკანა მხარეზე. ქართულ ასომთავრულ წარწერაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის კათალიკოსის ტიტული იყო „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოსი“, ერთ-ერთი ასეთი ყოფილა ევდემოზ ჩხეტიძე, რომელმაც ეს ხატი შეწირა ბიჭვინთის საკათალიკოსოს, ამ მთავარი ხატის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში აფხაზეთისან ერთად შედიოდა ასევე ჩრდილოკავკასია, ამიტომაც ეწოდებოდა აფხაზეთის კათალიკოსებს ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოსები. (გ. გასვიანი, გვ. 275).



10) იღორის ეკლესიას ამკობდა უამრავი ქართული წარწერა. მის წმინდა გიორგის მთავარ ხატზე არის დიდი ოხუთმეტსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, ეს ხატი მიტროპოლიტმა კირილე ევანისებმ შესწირა იღორს, აქ მოხსენიებულია ასევე გიორგი მესამე დადიანი (1572-158 წწ.).

11) მნიშვნელოვანი ქართული წარწერა არის ოჩამჩირის მდინარე დუაბის მარჯვენა მხარის ეკლესიაზე, ეს ქართული წარწერები თარიღდება XV-XVI საუკუნეებით, ამ წარწერაში ნახსენები არის, რომ ოდიშის ერისთავი და მანდარტურთუხუცესი ოზბეგ დადიანი აქ ყოფილა დაკრძალული.

12) გუდაუთის რაიონის სოფელ მსიგხუას მთავარანგელოზთან შემორჩენილი არის VIII-IX საუკუნეების ქართული ასომთავრული წარწერები (იქვე, გვ. 278).

13) ლიხნის მე-11 საუკუნის ქართული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ისტორიული პირები და ჰერონდიდელი ეპისკოპოსი. ლიხნის, ეს ქართული წარწერა, თარიღდება 1072-1074 წლებით.

აფხაზთა მეფე ლეონის დაკვეთით, ღვთისმშობლის ხატი, ქართული წარწერებით, რომელშიც მოხსენიებულია, ოვით, ლეონიც (957-967 წწ.).

14) მოქვის საწინამძღვრო ჯგარი, შეწირული კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძის მიერ XVI საუკუნის ბოლოს (1578-1611 წწ.), რომელსაც აქეს ქართული ასომთავრული წარწერა.

მოღწეული არის მოქვის ღვთისმშობლის კარები ხატი, ქართული ასომთავრული წარწერით - XVII საუკუნეში ეპისკოპოსმა ანდრია საყვარელიძემ შეწირა (XVII საუკუნე).

15) გუდაუთის რაიონში, სიხევას მთის აღნიშნულ ეკლესიაში არის მეცხრე-მეათე საუკუნის ქართული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მიქაელი, ამინ“.

16) გუდაუთის ანუხვის ეკლესიაში არის ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა.

17) იქვე, სოფელ სამათას ეკლესიაში არის ქართული წარწერები.

აღნიშნულთა გარდა აფხაზთა სავსეა უძველესი ქართული არტეფაქტებით, აქ არ გვხვდება არც აფხაზ-ჩერქეზთა არც ერთი სხვა რომელიმე ხალხის ან კულტურის რაიმე გადმონაშთი. გ. გასვიანის წიგნი დიდი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის.



ქონლეთიდან ტრაბზონამდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

უწმიდესის მანქანით, უწმიდესთან ერთად 2014 წლის 30 აპრილს გავემგზავრეთ ქობულეთიდან ტრაბზონში, რათა იქიდან გადავიწინდეთ ანკარაში, თურქეთის რელიგიათა მინისტრთან შესახვედრად.

სარფში საბაჟოზე კარგა ხნით გაგვაჩერეს ტექნიკური მიზეზების გამო, ხოფასთან უწმიდესს მოვახსენე, რომ აქ იყო ხუფათის ციხე და V საუკუნედან საზღვარი საქართველოს სამეფოსი, ხოლო უფრო ადრე, ძველად წინა საუკუნეებში, საზღვარი გადიოდა ე.წ. ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე ე.წ. „რკინის პალოსთან“, რომელიც იყო საქართველოს თავდაპირველი საზღვარი ჯერ ბიზანტიისთან, შემდეგ, V საუკუნის დასაწყისში საზღვარი გადმოტანილ იქნა ხუფათთან, აქვე უნდა ყოფილიყო პეტრას ციხე.

არდაშენთან მანქანებმა მკვეთრად მოუხვიეს და ჩვენ შევედით მდინარე „ფურტუნას“ ხეობაში, რომელიც მიაგვას იმერეთის მდინარეთა ხეობებს, აქ მიგვიყვანეს „თამარის ხიდთან“.

მოსახვევთან ახლოს, ზღვაში, სანაპიროსთან ახლოს წყალში, პატარა კუნძულზე დგას „თამარის ციხე“, რომელზეც თურქეთის დროშაა აღმართული და მიმდინარეობს კაპიტალური რესტავრაცია.

თამარის ხიდთან დაგვხვდნენ თურქი მუსულმანი სასულიერო პირები, რომელიც იქ ჩვენი მასპინძლები იყვნენ. აქვე ვისაუზმეთ. მოიტანეს ლაზური სამარხო კერძები, რადგან ოთხშაბათი იყო. შემწვარი თევზი და სხვადასხვა მსგავსი ლაზური კერძები. ეს სასულიერო პირები ლაზები არიან.

უპარ დაბრუნებისას უწმიდესს დავანებ მთათა ფერდობებზე შეფენილი მრავალი, ხალხით საგვე სოფლები, და გუთხარი, რომ ჩვენთან სამწუხაროდ

სოფლები ცარიელდება. უწმიდესმა ბრძანა – „ჩვენთანაც შეიგხება“ და შემდეგ მიამბო: „მე გუთხარი პრემიერ-მინისტრ დარიბაშვილს, თუ როგორ უნდა შევავსოთ ხალხით სოფლები, უნდა მივცეთ კრედიტი არა პიროვნებებს, არამედ მთელ სოფელს, რათა ამ ფულით ააშენონ საწარმო იმ კულტურის საწარმოებლად, რაც იმ შხარეში ტრადიციულია. შემდეგ, მშენებლობის დროს, უნდა გადავუხსადოთ ამ თანხიდან ხელფასი, შემდეგ რაც დარჩება მივცეთ 20 წელით, რომ ეს საწარმო გამოისყიდონ. ხალხს ექნება სამუშაო და ხელფასი, პროდუქტი გაიყიდება“. მე შევაქე ასეთი პროექტი.

რიზესთან მე უწმიდესს ვუთხარი, რომ ოფ-რიზელმა მდვდელმთავარმა გერმანემ, რომელსაც პქონდა ლაზეთის მიტროპოლიტის წოდება, მოსკოვში მე-17 საუკუნეში რუსეთის მეფეს განუცხადა, რომ მისი კათედრა დააფუქმა წმიდა ნინომ, რასაც ხორენაცის ცნობაც ეთანადება ზღვისპირა კლარჯეთში წმიდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ. უწმიდესმა ბრძანა ეს იყო ერთ-ერთი ქართული კათედრა, ისტორიული წყარო ამბობს, რომ იაკობის მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ იერუსალიმში.

ჩავედით ტრაბზონში, აქ ადგილობრივი მუფტი დაგვხვდა, მასპინძლებმა ბრძანა, რომ 2700 მეტეო და სამლოცველო აქვთ, ყველა სასულიერო პირს სახელმწიფო უხდის ფულს, ასევე თურქეთში სომხების ეკლესიების ხარჯებს სახელმწიფო ფარავს.

აქაურ ლაზებს, სამწუხაროდ, გამოხატული ნაციონალური, უფრო ზუსტად, ეროვნული თვითშემეცნება არ გააჩნიათ, ის არც ბერძნების დროს პქონდათ, და არც თურქეთში აქვთ, იმ გაგებით, რომ ნაცეროთობად ჩამოყალიბდნენ.

მიგვიყვანეს ტრაბზონის „აია ხოფიაში“, ბერძნულ ძველ მარმარილოს ეკლესიაში. ორი წლის წინ აქ ჯერ



კიდევ მუზეუმი იყო, ახლა მეჩეთად გადაუკეთებიათ, იატაკზე წითელი ხალიჩა დაუფარებიათ და გუმბათის ქვეშ სივრცე დაუფარავთ, მიღის ისლამიზაცია თურქეთისა და ასევე საქართველოსი.

01.05.2014.

ვარ ანგარის სასტუმრო „შერატონი“, უწმიდესი ხვალ უნდა შეხვდეს თურქეთის რელიგიის მინისტრს. შევთანხმდით ეპისკოპოსები და მისი უწმიდესობა, რომ დავაყენებო საკითხს, რათა თურქეთში ქართულ ეკლესიას ოფიციალური სტატუსი მიანიჭონ, როგორც აქვთ სხვა რელიგიურ ნომინაციებს. შემდეგ ვაპირებო არზრუმში გამგზავრებას, რათა მოვილოცოთ ოშკი და იშხანი. ამ ეკლესიების საკითხიც ხვალ უნდა დადგეს მინისტრთან.

ჩამოვფრინდით ტრაპიზონიდან, შეგვხდა თურქეთში საქართველოს ელჩი ირაკლი კოპლატაძე, მისი მეუღლე ირინე გივიშვილი, კონსული, საელჩოს მუშაკი ჩემი მოგვარე გელა ჯაფარიძე. გვიზნდა შეხვედრა საქართველოს საელჩოში, ლამაზ ადგილზეა და ლამაზი შენობაა. ახალგაზრდებმა გაიხარეს უწმიდესთან შეხვედრით. თბილი სადამო იყო, როგორც ყოველთვის.

გვიან დამით ტელევიზიით აჩვენეს, რომ თურქეთის პრეზიდენტი შეხვდა სომხების ეპისკოპოსს. შესაძლოა ჩვენი პატრიარქის ჩასვლასთან დაკავშირებით სომხები თურქებს თხოვენ იშხანსა და ოშკს.

02.05.2014.

დღეს ანგარაში თურქეთის დედაქალაქში, როგორც ჩვენი დელეგაციის წევრებმა შეაფასეს, შედგა „ისტორიული შეხვედრა“ საქართველოს უწმიდეს პატრიარქსა და თურქეთში რელიგიის საბჭოს თავჯდომარესთან, რომელიც ისლამის სასულიერო პირია. მან თავიდან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ არ უნდა იჩაგრებოდეს არცერთი

რელიგიის მიმდევარი, რომ მათ უნდა ჰქონდეთ აღმსარებლობითი თავისუფლება და უნდა ჰქონდეთ თავიანთი სალოცავები შეუზღუდვად, ამით ის მიგანიშნებდა ქართველი ფსევდოლიბერალების მიერ გავრცელებული ხმების შესახებ, თითქოსდა საქართველოში ისლამის მიმდევრებს პრობლემა აქვთ, მაგრამ მას ჩვენი დელეგაციის წევრებმა დაუდეს ფაქტობრივი ცნობები, რომლის მიხედვითაც ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტ მუსულმანს საქართველოში ემსახურება 350-მდე (311) მეჩეთი, მათ აქვთ ისლამური 2 უმაღლესი სასწავლებელი, ისლამური საშუალო სკოლები, ბაგაბაღები, მედრესები ანუ სემინარები ათეულობით. ამასთანავე, მუსლიმებს საქართველოში აქვთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სტატუსი, ამასთანავე სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მათ აუნაზღაუროს საბჭოთა რეჟიმის დროს მირებული ზარალი, აგრეთვე ყოველწლიურად დააფინანსა ბიუჯეტიდან. ეს ხდება საქართველოში, მაშინ როცა თურქეთში, სადაც თითქმის იგივე რაოდენობის ქართველი ქრისტიანია (ადგილობრივები და საქართველოდან ჩასულები ბოლო წლებში), არ მოქმედებს არც ერთი ეკლესია, ლაპარაკიც კი არაა იმის შესახებ, რომ ქართველებს თურქეთში არა აქვთ სასულიერო-კულტურული ცენტრები (მაშინ როცა საქართველოში არსებობს ასეთი მუსულმანური ცენტრები), რათქმა უნდა, არ არსებობს ქართული სკოლები და ცხადია უმაღლესი სასულიერო სასწავლებლები, არც რაიმე საეკლესიო სტატუსი გააჩნიათ და არც არავითარი დაფინანსება თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა კი თუნდაც ანგარაში ქართული მრევლი არსებობს, რომელიც ჩვენ გუშინ ვიხილეთ ჩვენი თვალით და რომელთანაც შეხვედრამ ძალზე ასიამოვნა უწმიდესი. ასე, რომ ფაქტები თავისთავად დადადებენ სიმართლეს.



ეს ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა რელიგიის საბჭოს თავმჯდომარისთვის. ის იყო ძალზე პეტიციების, დიდი პატივისცემა გამოხატა მისი უწმიდესობისა, ჩვენს მიმართ, დელეგაციის ყველა წევრის მიმართ და ინგან მოქმინა დელეგაციის ყველა წევრის აზრი. მან ინგან, რომ შეიქმნას ორმხრივი სასულიერო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხებს. ჩვენ განსაკუთრებით დავაყენეთ იშხანისა და ოშეის ამოქმედების საკითხი და ვისურვეთ მათ რესტავრაციაში ქართული მხარის მონაწილეობა, რაც მოსმენილი იქნა და კომისია ამ საკითხებს განსაზღვრავს. მან ისაუბრა ახალციხის აპმედეს მეჩეთზე. ეს შეხვედრა ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

შაბათი, 3 მაისი, 2014

ამჟამად, დამის 10 საათზე, ვიმყოფებით ტაოს სოფელ იუსუფელის სასტუმრო „მარელანში“. დღეს დილით უწმიდესი პატრიარქის დელეგაცია გამოვინდით ანკარიდან ქალაქ არზრუმში. შეგვხვდა რეგიონის მთავარი მუფტი, რომელმაც სადილი გამართა ჩვენს პატივსაცემად, მე სიტყვით გამოვედი და აღვინშე ინფორმაცია კონსტანტინე პორფიროგენეტისა, თუ როგორ უქვარდათ X ს-ში ქართველებს ქალაქი არზრუმი და როგორ იხსნეს მისი მოსახლეობა შიმშილისა და სიკვდილისაგან ბიზანტიულთა ალექს დროს, რომ გვახარებს ქალაქის ამჟამინდელი განვითარება. მოვიდა ქალაქის მერი, რომელმაც მათ შორის საჩუქარი მეც მომცა, ოლთუს გიშრის ნაკეთობა.

არზრუმიდან გავვმგზავრეთ ოშეში, პატრიარქს ძალზე ბევრი ჩამოსული ქართველი შეხვდა. აქედან იშხანში, რომელიც ქარგად აღუდგენიათ თურქებს. პატრიარქი საღამოს გაემგზავრა საქართველოში, მე დავრჩი თურქეთში. ხვალ ვაპირებთ ანისის მონასულებას

შორენა თეთრუაშვილთან, ირინე გივიაშვილთან, მეუფე თევდორესა და მეუფე ანდრიასთან ერთად, ღმერთო შენ გვიშველე.

5 მაისი, 2014

დილის 9 სთ. ახლა ვარ თურქეთის ქალაქ ყარსის სასტუმროში, ვაპირებთ გამგზავრებას ძველ ქალაქ ანისში.

გუშინ დილით გამოვედით იუსუფელის სასტუმროდან ანისისაკენ ყარსის გავლით. გზაზე მოვინახულეთ ბანა. აქ იყვნენ ჩემთან ერთან მეუფე თევდორე და მეუფე ანდრია, შორენა თეთრუაშვილი, ირინე გივიშვილი, თავის მეუდლესთან, საქართველოს ელჩი თურქეთში ბატონი ირაკლი. ასევე, ახალციხის ეპარქიის მონაზვნები. მე შემოსა თვითონ მეუფე თევდორემ და გადავიხადეთ პარაკლისი.

მივედით ანისში. გაგვაოცა ანისის გრანდიოზულობამ, სიდიადებმ, სილამაზებმ, მშენებლობის ხელოვნებამ, დიდებულად ნაგებმა ეკლესიებმა და გალავნება.

დიდებულია და კარგად შენახული ანისის მთავარი ტაძარი კათოლიკონი, აი, როგორ უნდა ეკლესიის მშენებლობა. გაოცებული ვარ. ბრწყინვალეა, ასეთი დიდებულად ნაგები ეკლესია მე ადრე არ მინახავს. ვნახეთ აქაური ყოფილი ქართული ტაძრები დავით პოვენცის ნაგები. ეკლესიის ფრესკები ქართულია, ქართული წარწერებით, გუშინ ვაფიქსირებდით, მაგრამ დრო არ გვეყო. დავრჩით დამე ყარსში და ორშაბათს, 5 მაისს, კვლავ ვაპირებთ ანისში გამგზავრებას ხელოვნებათმცოდნებთან ერთად. ანისში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა და ანისის შემონახული ეკლესიების უმეტესობა ქართულია – ქართული წარწერებით, მისი ნაშთებით ანდა ფრესკების აჩრდილებით.



05.05.2014. ანისი

ვიმყოფებით თურქეთში, ქალაქ ანისის ნაშთებთან, უფრო სწორად გრანდიოზულ ნაქალაქართან, რომელმაც გამაოცა თავისი კედელ-გოდოლებისა და ეკლესიათა ნაშთების დიდებულებით, სიმშვენიერითა და სილამაზით, ასეთი იყო აღბათ ძველი თბილისიც და სხვა ჩვენი ქალაქები. ამ ნაშთების ასე მშვენიერ დაცულობას, აღბათ აქვს თავისი განმარტება. ჩანს, ის ერთდოულად და ერთბაშად მიატოვა ხალხმა და სხვები აქ აღარ დასახლდნენ. გრანდიოზული, მონუმენტური მშვენიერებაა. აქ ყარსიდან ჩაგედით საგანგებოდ ანისის გადარჩენილი, გუმბათიანი, მშვენივრად შენახული ქართული ეკლესიის ფრესკების მოსახულებლად. ფრესკები კარგადაა შემორჩენილი, ქართული წარწერებით, რომლებიც გადავიდეთ და აღბათ გამოაქვეყნებს ჩვენთან მყოფი ხელოვნებათმცოდნე მერაბი. პირდად მე, თუ საშუალება მომეცა დავწერდი წერილს ასეთი სათაურით – „სვეტიცხოველი ანისში“. დიახ, ანისის ერთ-ერთ, ჩანს XIII ს-ის, უმშვენიერეს ქართული ეკლესიის დასავლეთის მხრის კედელზე მოჩანს, ჩემთვის უძველესი დიდი ზომის ფრესკა – სვეტიცხოველის გადაჭრილი სვეტი დგას ჰაერში, მის მარცხივ უფალს ევედრება ხელაპყრობილი წმიდა ნინო, ხოლო სვეტის მარჯვივ წმიდა ნინოს თანამგზავრი ქალები არიან გამოხატულნი მლოცველების სახით, სვეტის მაღლა სწევს ორი ანგელოზი, ხოლო მოელი ფრესკის მარჯვენა ზემო კუთხეში მაპურთხეველი იესო ქრისტეა გამოხატული.

საერთოდ კი, ვიტქობ აქ, ანისი ეკლესიის კედლებზე გამოხატულია წმიდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდები სვეტიცხოველის აღმაღლებამდე.

როგორც ვთქვი, ანისის სვეტიცხოველის ფრესკა დიდებულია და აღბათ უძველესია მცხეთის სვეტის ამაღლების ფრესკათა შორის.

აქ გამოხატული წმიდა ნინო მშვენიერია მავედრებელ პოზაში.

საოცარია, ქართველებს ასეთი კარგი წმიდა ნინოს გამოხატულებები გვაქვს და წმიდა ნინოს სუსტი ხატები ვრცელდება ხალხში, რადგანაც ეკლესიებში ისინი იყიდება. სამწუხაროდ, ფოტოგრაფებმა კარგად ვერ გადაიღეს ეს ფრესკები, რადგანაც არ სჯეროდათ, რომ აქ შეიძლება გამოხატული იყოს წმიდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდები, თუმცა კი აღიარეს, რომ აქ გამოხატულია სვეტიცხოველი წმიდა ნინოსთან ერთად.

ანისის სვეტიცხოველის ეს ფრესკა წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს ვრცელი ფრესკული კომპოზიციისა. კერძოდ, ეკლესიის მთელ დასავლეთ მხარეს ქვემო რეგისტრში გამოხატულია, ჩანს წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება, კერძოდ მისი კურთხევა, მის მიერ ჩანს თავისი შვილის ეპისკოპოსად კურთხევა, ხოლო ეკლესიის დასავლეთ, უფრო სწორად ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გამოხატულია წმიდა რიფსიმიანი ქალწულების სიკვდილით დასჯა. მე არ შემიმჩნევია, მაგრამ აქ უნდა იყოს, ამავე ფრესკაზე ვარდის ბუჩქებში დამალული წმიდა ნინო, რომელიც იმჟამად სიკვდილს გადაურჩა, რადგანაც უფლის მიერ ქართლის მოქცევა პქონდა დავალებული. ამავე, დასავლეთის მხარეს კედელზე ბუნდოვნად ჩანს, თითქოსდა ხაროდან ამოჰყავთ წმიდანი. აღბათ, ეს არის წმიდა გრიგოლ განმანათლებელი, რომელიც მეფე ხაროში ჩააგდოდა და შემდეგ კი გაათავისუფლეს. ამავე კუთხეში ჩრდილოეთის მხარეს სამხრეთ რეგისტრში გამოხატულია მეფე თავის მეომრებთან ერთად, ჩემი აზრით, ესაა მირიან მეფე თხოთის მთაზე ნადირობის დროს. აქვეა მრგვალი სარქმელი კედელში გამოჭრილი, სარქმლის მარჯვივ გამოხატულია წმიდა ანგელოზები, რომელნიც მადლის გრძელ სხივს, ორი სანთლის



ნაკადის სახით გზავნიან ორი მიმართულებით. ერთი სქელი წითელი სხივი მიემართება წმიდანის თავისაკენ, ვინაა ეს წმიდანი არ ვიცი, მაგრამ აქ გამოხატული უნდა იყოს მეფე მირიანი, რომელიც დაბრმავდა ნადირობისას და წმიდა ნინოს ღმერთის აღიარების შემდეგ თვალები აეხილა, ხოლო მეორე სხივი მიემართება რაღაც მოქალაქეთა ჯგუფისაკენ.

საქართველოს პატრიარქის თურქეთში შეხვდნენ:

1. რიზეს მუფტი იუსეფ დოლანი;
2. ტრაბზონის მუფტი ქერამედდინ დემირი;
3. პროფესორი, დოქტორ მაჟმედ გიორგეზ;
4. რელიგიის საქმეთა სამმართველოს (საბჭოს) თავმჯდომარე მთელი თურქეთისა;
5. ერზურუმის მუფტი ჰასან ჩინარი;
6. ართვინის მუფტის მოადგილე მუსტაფა. ის საზღვრამდე გამოგვივება.

მასპინძელი

რელიგიის საქმეთა მრჩეველი თბილისის თურქეთის საელჩოში ახმედ ერდემი (ქავთარაძე) (ბორჩხელი).

თურქეთი, მაისი, 2014.



**ოლია ილია მართალი და
საქართველოს ეპლესია
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**

წმიდა ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა და თაყვანს სცემდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, აღიარებდა მის უდიდეს დვაწლს ქვეყნის განვითარების საქმეში. კერძოდ მის უამრავ გამონათქვამთა და შეფასებათა შორის ამოიკრიბა მხოლოდ რამდენიმე, რომელთაც ვთავაზობთ მკითხველს:

1. ილია მართალი საქართველოს ეპლესის შესახებ

„საქართველოს ეპლესია, რომელიც უოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არაოდეს დიდებას ერისას დაგიწყებას არ აძლევდა“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, გ. I, გვ. 213).

საამაყოა ილიასეული შეფასება საქართველოს ეკლესიის დვაწლისა -

„ჩვენმა დამცველმა ეპლესიამ“ - წერდა ის (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, გ. I, გვ. 216). აქ, „ჩვენ“, ცხადია, არის ქართველი ერი და საქართველო.

2. ილია მართალი ქართული ეპლესის ავტორიტეტის შესახებ

ქართული ეპლესის ავტორიტეტი განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანი იყო დიდი ილიასათვის, მისი აზრით ქართული ეპლესია იყო ქართველი ერის ჭეშმარიტი პატრონი, ამიტომაც ილია ეპლესის დალოცვისა და კურთხევის განსაკუთრებული აზრს და მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილია 1888 წლის 12 თებერვალს წერილით მიმართავს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს (1822-1907) რომელიც მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში და

რომლის საფასითაც გამოიცა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, საისტორიო საბუთები (ილია ჭავჭავაძე, გ. 10, გვ. 511) და სხვა:

„ოქვენო მეუფებავ და ჩვენო სასიქადულო მღვდელომთავარო!

ოქვენი წერილი მივიღე და დიდის სიხარულით ვასრულებ თქვენს სამსახურსა... ღმერთმა ჰქმნას თქვენი სურვილი ადსრულდეს და მეც საბუთი მით მომეცეს ვინუგეშო, რომ თქვენ ჩემის მცირე სამსახურით გახიამოვნეთ.

თქვენი მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული“ (იქვე გ. 10, გვ. 126).

იმერეთის ეპისკოპოსს (1825-1896) გაბრიელ ქიქოძეს ილია 1891 წ. 8 თებერვალს წერს -

„თქვენ ყოვლადუსამღვდელესობავ,
მოწყალეო ბატონო მამათ-მთავარო გაბრიელ!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890წ. ერთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მაღლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართლის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და იქვე ერთხმად დაადგინა უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ საზოგადოების საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მისთა დანიშნულებისა...

თქვენის ყოვლადუსამღვდელესობის უღრმესი და უგულითადესი პატივის-მცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა“ ილია ჭავჭავაძე“.

მართალია საქართველოს ეპლესიას XIX ს-ში მართავდა რუსული სინოდი, მაგრამ თავისი სულისკვეთებით ქართული იყო.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მრევლი, სამღვდელოება და მღვდელომთავრების უმრავ-



ლესობაც ეროვნებით ქართველები იყვნენ და საეკლესიო ნამდვილი ცხოვრება ქართულ ენაზე წარმოებდა.

„ათონის ქართველი სავანის შესახებ“ ილია 1888 წ. „ივერიაში (№257, 258) ათავსებს წერილს

„საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედოსევებისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმესა“ (ტ. 8, გვ. 305).

3. ილია მართალი სარწმუნოების შესახებ

„ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი და მოუთავსებელი არიანო. იგია (ყოვლადუსამდგდელესი ეპისკოპოსი გაბრიელია) მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.“

„იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაქმენდით უსმენდა ხოლმე, უვედრენით დმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი თქვენს ცხოვრებასაო, რაღაც თვითოვეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია დაფინანსება“ (ი.ჭ. ტ. 4, გვ. 252).

„პირველად ქრისტიანობამ, იქ სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძვრებით, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ პერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს უნდოდა კერპო-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე“ (ი.ჭ. რჩეული I, 1975, გვ.150).

4. ილია მართალი საქართველოს ისტორიის შესახებ

წმ. დავით აღმაშენებელი - „აი ამისთანა კაცის ხსენება გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰუკა და თავის ძუძუთი გამოზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავისხენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი“ (ტ. 4, გვ.183).

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწერთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმიდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანისცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუკიწყარობა... ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელი საქართველოს ერისათვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია, ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“ (გვ. 180).

„თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა“ (გვ. 214)

„ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელს ქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“ - ამბობს სასულიერო პირი

წმ. ლუარსაბ II - „21-ს ივნისს საქართველოს ეკლესია ადიდებს



სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწამდა შაჟ-აბაზისაგან.“ (ტ. 4 გვ. 184).

„... მეფემ ითხოვა, მაცალეთ სიკვდილის წინ ვილოცოო. ნება მისცეს დაისვენა ოურმე წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც თანა პქნდა. და ესე შეევედრა: „პო დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის-მცემელი ჩემი. შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის, და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა“

მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უდირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე... დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენეთ, იგი გმირი, რომელმაც თქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო, - წავიდა და წამებულის გვირგვინი შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა და დღეს ჩვენ სხვა არა დაგრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათოლიკოზთან ერთად ქება-დიდებით წარმოვსოტქათ:

„ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახვევანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ“

შ. გაბრიელ ქიქოძე

„სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“

„...იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.“ ...მისის ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა ... ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰვევია ძვირფას კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა

ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწვრთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა“

... იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად“ (ტ. 4 გვ. 184).

„... დიდი თუ პატარა ერთი ერთმანეთისათვის საჭირნი ვართ, თუ დღეს არა, ხვალე მაინცა. არა შემიძლიან რაო? კაი კაცობა არ შეგიძლიან? მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ? ღვთის სული რად გიდგა?“ (ი.ჭ. რჩეული I, გვ. 164).

„საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“

„დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დაარსოს მუზეუმი შესანახად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უპვე შეუსრულებიათ და სიონის წრდილოეთით, სიონისვე ეზოში, დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის...“ (ტ. 4, გვ. 205).

5. ილია მართალი სამდვდელოების შესახებ

ილია სამდვდელოების შესახებ წერს სემინარიაში ქართული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით (ტ. 5, გვ. 109).

1881 წლის დეკემბრის „შინაური მიმოხილვა“

„ჩვენს ერს მდვდელი არ ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის გეღარ იცლიან...“ (ი.ჭ. ტ. 5 გვ. 136)

გლახის ნაამბობში ეხება სამდვდელოების მადლს - „როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, მდვდელმა რა



უთხრა დედაქაცსა დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამშა იმ დედაქაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დაგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. **მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!**... ორ!... სითბო?... დიდი რამ არის!... დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! მაგრამ რა სიტყვა!... ცარიელ სიტყვას ის მდგდელი არ სჯერდებოდა მერე შევიტყვა, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა - თითონ დარიბი - დაგდებულ ქარსა და ცოლსა“ (ი.ჭ. ტ.5. გვ. 174).

„**მდვდელი, დალოცვილი, მადლით სავსე მდვდელი**“ (ი.ჭ. ტ.5. გვ.174).

გლახა გაბრიელი პყვება: „**მდვდელთან გავიქცი კურთხევის ჩამოსართმევად ...**

მივედი ლოცვა-კურთხევა ვთხოვე იმან პირჯვარი გადამწერა და მიბრძანა:

- **მშვიდობით, ჩემო გაბრიელ!**

მართალი იყავ და სიმართლეს სდიკ, გზა ყოველთვის კაცური გექნება.

ესეც იცოდე, გინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავის მტერია, მშვიდობით“ (გვ.186).

გლახა: „...ადსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ ვიტყვი“ (გვ. 195).

„ის დალოცვილი მდვდელი ხშირად გარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო“ (გვ. 205).

გლახას საზიარებლად მოიყვანეს მდვდელი

„ - კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო, მე, მდვდელი მოვსულვარ, რომ წმიდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა

- მადლი უფალსა მადლი ... - დაიწყო გლახამ ... ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია, ეხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები ... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით...

აღსარების თქმას სულთა-მხუთავი არ დამაცლის, შემინანია ყოველიცერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მაღირსე ზიარება.

- ... აქ მე შემინდვისარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

- რაკი შენ შემინდე - წამოიძახა სიხარულით გლახამ, - ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ლაპარაკობდა. თუ დირსი ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

- შენთვის და მრავალთავის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანოთხული მისი წმიდა სისხლი მისატევებელად ცოდვათა მიიღე და სჭამე!... - სოქვა დიდებითა და ნუგეშინის ცემით ბლადოჩინმა.

- ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესა! - წარმოსთქვა სასოგებით გლახამა - მაღირსე ახლა ზიარება, მდვდელო!

- ბლადოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუწოქა, კოგზით ზიარება მიაწოდა და წარმოსთქვა ვეღრებითა:

- ჰოი, ყოველთვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენე ესე ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა

მომიხსენე მე, უფალო და დამიფარე!... - შეევედრა გლახა და მერე ბლადოჩინს უთხრა, - არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მსხველსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მაღლეს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმიდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი.“ (გვ. 231).

6. ილია მართალი ოჯახის სიმტკიცის შესახებ

სტატიაში „გომართელის ფილო-სოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია „ილია ლაპარაკობს მტკიცე



ოჯახის აუცილებლობაზე, ოჯახის გაუძხარავად შენახვაზე.

ოჯახის სიმტკიცე, ილიას აზრით, დამოკიდებულია ცოლ-ქმრის სიყვარულზე.

შეიძლებაო ამბობს ილია, ცოლსა და ქმარს ერთმანეთი სტულდეთ, მაგრამ „ვერ გაპყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, მნელად გასაბედია“ (ტ.3, გვ. 431).

6. ქრისტიანული წესი

ცოდვა-მადლი

„ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.

მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა? სანაებელი ცოდვაა და არ სანა-ნებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა მაშ ჩამოთვალე თვითოვეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენია მეთქი...“ (გვ. 326).

ოთარაანთ ქვრივი მორწმუნე იყო, ის ჰყება ქმრის შესახებ:

„მიაბარა დმერთს ალალი სული“ (გვ. 263).

ქვრივი ეუბნება თავის შვილს:

„დმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო: შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო, რაც წაბმეიდოს, შენი ბრალი იქნება... აქ ჩემთან რომ ამოხვალ ადუდებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, - გაივლი; მადლი მხრებში შეგიჯდება

და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო

- მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?...“

გიორგის დაღუპვის წინ ოთარაანთ ქვრივი ითხოვს

„ - მღვდელი, ლვთის გულისათვის, მღვდელი!

... მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!“

კესო გიორგის დაღუპვის შემდეგ გიორგის სამარექთან:

„... მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგატმენდილი ჰლოცულობდა“ : (ოთარაანთ ქვრივი, გვ.312)

ლელთ ღუნია მორწმუნეა:

- ერთი მითხარ, თუ დმერთი გწამს, - ვუხთარი მოხევეს, როცა მე დამიწია, - აი სტეფანწმიდის პირდაპირ რა მონასტერია?

გიწყალობნისთ ცოცხალთა, შეგინძნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდელთ განძთა საფარი, ერთა საბჭო“ (ზგზავრის წერილები).

სრულყოფილი ადამიანი

ლუარსაბი და დარეჯანი - „თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ დმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათოვის შთაუბერია.

- ვაჟო! მე ვარისხებ დმერთსაო? - გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი:

- წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მომიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, - რაზედ ვარისხებთ დმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით - რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია - ესეც კარგია: არარაობას ეგა სჯობია მაგრამ ეს უნდა გვითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?



- დიალ - მეტყველებული შენ - მიჭამია არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილგარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვალოცვას არ ვაკლდებოდიო რა გამოვიდა? იქ ეოველთვის გხმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო. “აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისტვის სცდილხარ? არა, შენ მაგისტვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ - რომ სვა ა სჭამო, და არა იმისატვის სჭამ და სვამ რომ იცხოვრო; ესე იგი ეცადო - რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული“. (კაციადამიანი).

ლუარსაბი კიცხვისა საგანი და თითოთ საჩვენებელი არის თავისი არასრულობის გამო.

ლუარსაბი არ არის სრული კაცი, მას აკლია ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს სრულყოფილ ადამიანს.

როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ადამიანი?

ამ მარადიული კითხვის პასუხი გვაქვს ჩვენ სახარებაში იქსო გვიმოძვრავს - „ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული“. ე.ო. ადამიანი უნდა ბაძველეს, უნდა მიემსგავსოს ღმერთს, რომელმაც შექმნა ადამიანი, შექმნა ის თავის ხატად - და მსგავსად.

ადამიანი, რომელიც არ ცდილობს იყოს სრული ისევე, როგორც ზეციერი მამა, ასეთი კაცის კაცობა და ადამიანობა ეჭვის ქვეშ დასაყენებელი ხდება, რადგანაც ის ემსგავსება არა დავთის ხატად შექმნილ ადამიანს, არამედ ცხოველს - თავის არასრულყოფილი ქცევებითა, მიზნებითა და მოქმედებებით. ასეთი ადამიანი მიზანია დაიკმაყოფილოს ვიტალური მოთხოვნილები, ის არ ფიქრობს სულზე და მის უკვდავებაზე. აქედანვე მისი ცხოვრების ცხოველური და არასრულყოფილი წესი. ილია პირდაპირ ბრძანებს ამის შესახებ.

„იქსო ქრისტე დარიბი იყო, თავში შეველი და ფეხში შეველი დადიოდა, ღმერთად კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ. სჩანს ლირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არ ყოფილა...“

„მწიდებლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხარის პურის ჭამაა, სხვის ოფლის სმაა...“ (ტ. 8, „ქვათა დაღადი“, გვ. 139).

7. მართალი ილია ეროვნული ერთობის შესახებ

„... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მასლობლისათვის და არც უცხოსთვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწევდა...“ (იქვე გვ. 142).

„განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით... დიდებული ქართველობის აზრი, ის საყვაელთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა... სახელი მთელს ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით... ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა...“

„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო დიპადმობრუნებულის ქართლელის მეტმა (ე.ო. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი უურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო. კი ქართველები არ არიანო.



ის „შემქრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი წევნები ქართველობაში უნდა ხედავ-დეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონიერი ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნძულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიდა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალ-ხისა რომელიც ერთად ტანჯულდა...“ (ი.ჭ. რჩეული წიგნი I, 1975, გვ. 141).

„იმერელი, გურული, მეგრელი, ქართველი, კახელი – ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძოობითად მიღებული განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია“ (იქვე, გვ. 141).

8. ილია მართალი პიროვნების სახელი-სა და ავტორიტეტის შესახებ

შინაური მიმოხილვა 1882 წ. სექტემბერი.

„იქ, ევროპაში ერისათვის მოღ-ვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვი-თოვეულის თანამემამულისაცა ცალკედ.

იქ თვითოვეული მამულის შვილი ისე უფროხილდება ერისათვის მოღ-ვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დი-დებასა, როგორც საკუთარის თავისას.

იქ იქნება საკუთარის თავისათვის ის არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის ვისაც ერისათვის შრომა გაუწევია...

იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოვეული მისი თანამემამულე თაგს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი იყოს (ტ.5, გვ. 184).

„უარმყოფელობა ჩვენში“

„...ეს არევ-დარევა აზრებისა ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართ-ლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისე თავმოწონებით არ გათამა-

მებულა, არ გაკადნიერებულა, რო-გორც ჩვენში“ (გვ. 298).

„...საქმაოა მხოლოდ ყური მოპკ-რან ჰოსა და არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოყ-რანტალებენ, გამოუმიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ...“ (ტ.3, გვ. 297).

„...გმობა“ – ეს სამარცხვინო და ყოვლად საზიდარი ხელობა ფლი-დობისა და დაბალსულობისა...“ (ტ.4, გვ. 196).

9. ილია მართალი სიკვდილით დასჯაზე

ილია წინააღმდეგი იყო სიკვ-დილით დასჯისა - „არა კაც ჰქონა“.

ილია ამზადებდა სიტყვას სიკვ-დილით დასჯის მოსპობის შესახებ სახელმწიფო საბჭოში წარმოსათქმე-ლად (რუსთის სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია მუშაობდა 1907 წლის 20 თებერვლიდან 5 ივნისამდე).

შემორჩენილია ამ სიტყვის მოკლე კონსპექტი* სადაც კერძოთ აღნიშნულია: სიკვდილით დასჯა „ეწინააღმდე-გება ქრისტიანობას, რომელიც დაუუძ-ნებულია სიყვარულზე“, (იქვე აღნიშ-ნულია „ხმა ერისა არის ხმა ღვთისა“. „Когда умирает Бог в душе противника смертной казни“* (ტ.10, გვ. 465).

ყოველ ადამიანში სულია ღვთისა, ყოველი ადამიანი ღვთისაგან არის შექმნილი, ამიტომაც სხვა ადამიანის მოკლა ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. ღმერთმა ინება და შექმნა ადამიანი, ამ კაცის მოკლა სხვა ადამიანის მიერ ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა, წინააღმდეგობაა ღვთისა, ამიტომაც მოგვეცა ღვთისაგან „არა კაც ჰქონა“ გაფრთხილება ადამიანისა, პატიოს-ცემა ადამიანისა. ყურადღება ადამიანი-სადმი დიდ სიქველეთ და სიკეთეთ ითვლება ღვთის წინაშე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. ამიტომაც ძველ საქარ-



თველოში ყოველი კაცი, აღზრდილი ქრისტეს ჭეშმარიტი მცნებებით, მოყვარული იყო სხვა ადამიანისა. მისთვის კაცის მოკვლა გაუგონარი და ძალზე უსასტიკეს სასჯელად მიიღებოდა, ამიტომაც ვერ დაიჯერა მოხუცმა პეტრემ, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრობა... მოთხოვობაში სარჩობელაზე მოხუცმა პეტრემ ვერ დაიჯერა, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრობა „ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვათმაქცობა იქნება ჯამბაზისათ

... კაცის ჩამოხრობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის აიღო და ჩამოჰყიდო, რაც უნდა იყოს, დვთის სული ადამიანია ... “ (გვ. 241).

რატომ არ შეიძლება ადამიანის ჩამოხრობა - იმიტომ რომ ადამიანში სულია დვთისა (გვ. 241)

გულგრილობა

„...ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვარცვავდნენ, არავინ არ გამოგესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ თქვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალო და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდება.“ (გვ. 250).



ზოგიერთი მარტინ ბახტიარის მიეროპლიტი ანანია ჯაფარიძე

ქველ ქართულ წყაროებში, სახელი „ზემო ქვეყანანი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება. ის აღნიშნავდა როგორც წესი ტაოს მიმდებარე მხარეებს. ასევე ამ წყაროებში ჩვენ გვხვდება ტერმინი „ზენა სოფელი“. „ზენა სოფელი“ და „ზემონი ქვეყანანი“ აღნიშნავდნენ სხვადასხვა რეგიონებს. ზემონი ქვეყანანი იყო პერს არმენიის ერთერთი ჩრდილო დასავლეთ რეგიონი, ხოლო ზენა სოფელი აღმოსავლეთ საქართველოს ერქვა შიდა ქართლსა და მის მიმდებარე მხარეებს („ზენა სოფელი“ რომელი არს ქართლი“).

ბიზანტიის თავისი დიდი ინტერესები ჰქონდა აღნიშნული „ზემო ქვეყანათა“ მიმართ. უფრო მეტიც ბიზანტიის ის საკუთარ მიწაწყლად მიაჩნდა. მაშინ როცა ბიზანტიის ზენა სოფელი არ მიაჩნდა თავის საკუთრებად.

თუ კონკრეტულად რომელი არს ზემონი ქვეყანანი ეს ჩანს იმ ჩამონათვალიდან რომელშიც არის ასახული ზემო ქვეყნების ის რეგიონები რომლებიც ბიზანტიამ დროებით გადასცა სამართავად ტაოს მეფე დავით კურაპალატს. ესენი იყვნენ სამხრეთ ტაო და მისი მიმდებარე მიწა წყალი ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე. მემატეანე წერს - „მაშინ მოსცნეს მეუფემან ბრძნენთამან ზემო ქვეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რათა თავის სიცოცხლეში აქუდეს და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვა დავით კურაპალატისაგან და მისცა მძევალი უფლისწულნი (ქართლის ცხოვრება ტომი I 1955 წელი. გვ. 273).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს თვით საქართველოშივე დამკვიდრებული აზრით ზემო ქვეყნები, ანუ ზემონი ქვეყანანი არ ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ეკუთვნოდა ბიზანტიის იმპერიას.

ბიზანტიის იმპერიამ, როგორც ცნობილია პრეტენზია განაცხადა და საკუთარ ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნია არაბთა მიერ დაპყრობილი მიწაწყლა. აზრუმიდან ვანის ტბის მიმართულებით მართლაც VII-VIII საუკუნეებში აქედან გააძევეს ბიზანტიულები. X-საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ რაც არაბთა ძლიერება შესუსტდა ბიზანტიამ კვლავ განაცხადა პრეტენზია ამ მიწა წყალზე, არათუ პრეტენზია, არამედ ის მიიჩნია თავისი იმპერიის განუყოფელ ნაწილად, აი ამ პირობით გადასცა ბიზანტიამ დროებით სამართავად დავით კურაპალატს ზემონი ქვეყანანი.

მართალია ბიზანტიის პრეტენზია აღიარებული იყო საქართველოსა და სომხეთის ხელისუფალთა მიერ მაგრამ ზემო ქვეყნებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა მხარს უჭერდა არა ბიზანტიის ხელისუფლებას, არამედ საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს.

კერძოდ, ზემო ქვეყნების ადგილობრივ მოსახლეობაში IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა თვითგამორკვევის დიდი პროცესი. იქამდე ზემო ქვეყნების მრევლი ორ ნაწილად გაიყო აღმსარებლობითი ნიშნის მიხედვით. ქალკედონიტობას მხარს უჭერდა ზემო ქვეყნების ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, ხოლო სომხური მოსახლეობა მხარს მონოფიზიტობას უჭერდა.

იმის გამო, რომ ზემო ქვეყნებში ფაქტობრივად ისტორიული არიან ქართლის მიწაწყლას ამის გამო აქ მკვიდრი ეთნიკურად ქართული მოსახლეობის რაოდენობა ძალზე დიდი იყო. სტრაბონის მიერ აღწერილი პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენა აქ მდებარეობდა. აღნიშნული ქვეყნების ერთ-ერთ მირითად ნაწილს შეადგენდა სამხრეთ ტაო და ისტორიული ხორძენე, სტრაბონის ცნობით, პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და



გოგარენა იყო იბერებით დასახლებული მიწა-წყალი, რომელიც ქრ. შობამდე II საუკუნეში არმენიელებმა წაართვეს იბერებს, ამის შემდგომ ეს ქართველი ქვეყნები მოექცა არმენიის სახელმწიფოს შემადგენლობაში, და ბუნებრივია აქ დაიწყო ქართველობის არმენიზაციის პროცესი, მაგრამ ამ პროცესს აფერხებდა საკმაოდ ხშირი ფაქტები იმისა რომ მცხეთის იბერიის ხელისუფლება ზოგჯერ თავის პოზიციებს იმყარებდა ქართველთა ყოფილ ან მხარეებში მაგალითად ქრისტე-შობის ეპოქაში I-II საუკუნეებში როგორც ცნობილი არის, იბერიის სახელმწიფომ პართიელებისგან დაიცვა არმენია და რომაელთა ნებით მცხეთის იბერიის სამეფო სახლი მართავდა არმენიას, მაშასადამე პარიადრეს კალთებში ხორეძენე და გოგარენა კვლავ ქართველთა მმართველობის ქვეშ მოექცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველთა არმენიზაციის პროცესი შედარებით შენელებული იყო. ამ მხარეთა გაქრისტიანებამ ეს პროცესი უფრო გაამრავლა, მიზეზი ამისა იყო ის, რომ ისტორიული ხორეძენე იმ თავითვე IV საუკუნიდანვე მოექცა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, მაგრამ როგორც ჩანს ზოგადად ზემო ქვეყნების მკვიდრმა იბერიელმა ან ქართულმა მოსახლეობამ შეძლო ეთნიკურ-ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება ბასიანს, ტაოსა და არზ-რუმის ქვეყნებში. ნაწილობრივ კარის, ყარსის სპერისა და მიმდენარე პროვინციებში ეს განსაკუთრებით გამოჩნდა VIII საუკუნეში ამ რეგიონში ქალკედონიტებისა და მონოფიზიტების დაპირისპირებისას.

726 წლის მანესკერტის საეკლესიო კრებამ სათავე დაუდო ზემო ქვეყნების ანუ აღმოსავლეთის ქართველების ეროვნულ გადვიძებას, ამ კრებაზე როგორც ცნობილი არის სომხური ეკლესია საბოლოოდ მიემხრო მონოფიზიტურ მიმართულებებს,

სომხური ეკლესიის ნაციონალიზაცია ეთნიკურ სომხებში მთლიანად მიემხრებ თვიანთ უკვე ეროვნულ ნაციონალურ მონოფიზიტურ ეკლესიას, ხოლო ზემო ქვეყნების იბერიელები ცდილობდნენ მათგან გამიჯვნას, უარს ამბობდნენ სომხურ ნაციონალური ეკლესიის იურისდიქციაზე, ცდილობდნენ საკუთარი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ასეთი ჯილდოს დროს ქართველებმა მართლაც შეძლეს თავი დაეხსნათ სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან, ოღონდ არა მთელმა ქართველობამ, არამედ მხოლოდ მათ რომლებიც შედარებით ახლოს ცხოვრობდნენ საქართველოს საზღვრებთან, იგივე ითქმის ბიზანტიის საზღვრებთან მცხოვრები ქართველების შესახებაც, კერძოდ სამხრეთ და ჩრდილოეთ ტაოში, ბაისანი, არზრუმსა და მიმდებარე მხარეებში მცხოვრებმა ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრობდნენ ბიზანტიის მიწა-წყალზე ეკლესიური გაერთიანება ინგებს არა ბიზანტიურ, არამედ ქართულ ეკლესიასთან. ამის მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურ-ეროვნული ლტოლვა. მათ გარდა ზემო ქვეყნებში ცხოვრობდა უამრავი ქართველი, რომლებიც კულტურულად და ენობრივად უკვე არმენიზირებულები იყვნენ. მათ უარი განაცხადეს შესულიყვნენ მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში და მათ შეადგინეს ე.წ. სომხური ქალკედონიტური ფრთა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის. ისინი სომხები იყვნენ არა ეთნიკურ ეროვნულად არამედ მხოლოდ განათლებითა და კულტურული მიმართულებით, ამასთანავე ისინი იყვნენ სომხურენოვანნი. ანუ იცოდნენ მხოლოდ სომხური ენა. როგორც ვთქვით ისინი იყვნენ არმენიზებული იბერიელები, რომელთა ქვეყანაც სტრაბონის ცნობით პარიადრე, ხორეძენე და გოგარენა მიიტაცა არმენიის სახელმ-



წიფომ, რამაც საფუძველი დაუდო ამ მოსახლეობის არმენიზაციას.

როგორც ვთქვით ისინი იყვნენ ისტორიული არიან ქართლის მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა არმენიზაციაც დაიწყო ქრ. შობამდე II საუკუნეში და მეტნაკლები წარმატებით გრძელდებოდა 726 წლის მანასკერტის საეკლესიო კრებამდე. მთელი 500-700 წელი გრძელდებოდა მათი ინტენსიური არმენიზაცია. მაგრამ ეს დრო შეა საუკუნეებისათვის დიდი დრო არ არის და ხალხის ერთმა ნაწილმა შეძლო თავისი იდენტობის შენარჩუნება.

როგორც ცნობილია, არიან ქართლის ძემ აზონმა საფუძველი დაუდო არა მხოლოდ მცხეთის იბერიის სახელმწიფოს არამედ მან ასევე შექმნა სახელმწიფოს მმართველთა მთელი ფენა. ზედა ფანა, რომელსაც მთალ საქართველოში აზნაურები ეწოდებოდათ. სიტყვა აზნაური სახელ აზონთან ყოფილა დაკავშირებული. ზემო ქვეყნებშიც ყოფილან აზნაურები, ანუ მოსახლეობის ზედა ფენა. მათ აზნაურთა შვილები და უფლისწულები ეწოდებოდათ.

როდესაც აღნიშნული ზემო ქვეყნები ბიზანტიის სამეფო გვარმა დროებით მმართველობაში გადასცა დავით კურაპალატს, მათ მძევლებად სწორედ აზნაურთა შვილები მოითხოვეს, ეს იყო ნიშანი იმისა რომ ზემო ქვეყნები არიან ქართლის კულტურული პოლიტიკური მემკვიდრეები იყენებ და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვა დავით კურაპალატისაგან და მისცა მძევლად უფლისწულნი. („ქართლის ცხვოვრება“ ტომი I. გვ. 273.)



**„პაიასა“ - „აიას გვეყანა“ (შემდგომი
გოლგოთი)**
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

„პაიასა“, „პაიასა-აცცი“ (აზხი) – იყო სახელმწიფო, რომელიც მოიხსენიება ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში ძ.წ.წ XVI–XIII საუკუნეებში.

ხეთოლოგთა უმეტესობა ჰაიასას ათავსებს შავიზღვისპირზე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებთან.

ჰაიასის ქვეყნის არსებობა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა XX ს. დასაწყისისათვის, მას შემდეგ რაც გაიშიფრა ხეთური წარწერები, ამ სიახლეს დიდი რეზონანსი ჰქონდა და შეცვალა იქამდე არსებული წარმოდგენები მსოფლიოს ძეველი ისტორიისა.

სიტყვა ჰაიასას და სომებთა თვითსახელწოდების „პაი“-ს მსგავსებამ სომებს მეცნიერებს ჩამოუყალიბა ამჟამად სომხეთში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ ჰაიასის ქვეყანა იყო სომხური სახელმწიფო და ჰაიასელები პროტოსომები იყვნენ.

ეს თვალსაზრისი მსოფლიო სამეცნიერო წრეებში საუკვიდ მიიჩნევა. თუმცა გავრცელებული არის სომხეთში (და ჩანს საქართველოშიც), როგორც ამას უჩვენებს ქართული საინტერნეტო სტატიები სომხეთისა და სომხების ეთნოგენეზის შესახებ).

სომხებს ჰაიასასთან აკავშირებენ ძალზე ცნობილი სომები მეცნიერები. ჩვენი აზრი განსხვავებულია - აღნიშნულ ტერიტორიაზე (ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე შავ ზღვამდე, სადაც XIV ს.-ში მდებარეობდა ჰაიასა), ბერძნული წყაროების თანახმად (ქრისტეშობამდე XIII-XII საუკუნეებისათვის) მდებარეობდა სახელმწიფო სახელწოდებით „აია“ და სწორედ მისი სახელია ასახული ხეთურ წყაროებში.

შესაბამისად ჰაიასა უნდა იყოს აიას სახელმწიფო, რომელსაც შემდგომში კოლხეთი ეწოდა.

როგორც ცნობილია კოლხეთის ძველი სახელი არის „აია“, სადაც, მეცე აიეტის დროს, შავი ზღვის სანაპიროს მოადგნენ არგონავტები და მითის მიხედვით მოიტაცეს ოქროს საწმისი.

მართალია „აია“ და არგონავტები მითების სფეროს განეკუთვნებიან, მაგრამ, ხეთური წყაროების „პაიასა“ სწორედ აღნიშნულ ადგილის მდებარე სახელმწიფო აღმოჩნდა, თითქმის იმავე სახელწოდებით, ეს ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ დადასტურებად იმისა რომ მითში აღწერილი ამბები აირეკლავდა ისტორიულ რეალობას.

ჩვენს ერამდე XII საუკუნისათვის, როგორც ჩანს, ჰაიასა დაიშალა და მისი ტერიტორია დაიპყრეს.

ამ პერიოდში ჰაიასას ტერიტორია შეიძლება დაიაქნის ნაწილად ჩაითვალოს.

ცნობილია რომ ჩვენს ერამდე XIV საუკუნეში ჰაიასელები შეიჭრნენ ხეთების ტერიტორიაზე და გადაწვეს მისი დედაქალაქი, რომლის შემდეგაც თავის საზღვრად აქციეს ქალაქი სამუხა. ჰაიასა დროდადრო დებდა სამშვიდობო ზავს ხეთების სამეცნიეროსთან და ხეთებს უხდიდა ხარჯს.

ლურსმნული ფირფიტებიდან ცნობილია რამდენიმე ჰაიასელი მეფის სახელი. როდესაც ხეთების სამეცნიერო ტახტზე ავიდა მეცე დუდხალია III ჰაიასელების წინააღმდეგ გაიგზავნა მხედართმთავარი, მემკვიდრე მეფისა.

იმჟამად ჰაიასელები თავის ქვეყანაში იფარავდნენ ლტოლვილებს ხეთების ტერიტორიიდან, მხედართმთავარს დაევალა მათი და ქალაქ სამუხას უკან დაბრუნება.

ჰაიასას მეფემ ხეთების მხედართმთავართან დადო სამშვიდობო ხელშეკრულება და დაუზავდა.

ხეთების მეფემ ჰაიასას მეფეს ცოლად მისცა თავისი დაი, იმ პირბით, რომ ჰაიასას მეფეს აეკრძალოს და მისი მეფე გადასახლდებოდა.



ლებოდა ხეთების სამეფო სახლის სხვა ქალებთან რაიმე სახის ურთიერთობა.

სამშვიდობო შეთანხმება შემდგომ დაირღვა და პაიასას ბელადი თავს დაესხა ხეთების ერთ-ერთ ოლქს, თავის მხრივ ხეთებმაც ალყა შემოარტყეს პაიასა-აცცის ციხე-სიმაგრე ურას. ბრძოლები გაგრძელდა. ხეთების ერთ-ერთმა მეფემ გადალახა პონტოს მთები, გავიდა შავი ზღვის სანაპიროზე და აიღო იქ მდებარე პაიასელების ქალაქი არიასე, იქედან გაემართა აცცის ცენტრისაკენ, პაიასის ქვეყანა დამორჩილებულ იქნა.

როგორც ითქვა, პაიასის ქვეყნის არსებობის შესახებ მეცნიერებმა შეიტყვეს მხოლოდ ხეთურ-ლურსმნული დამწერლობის გამიფვრის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისს ში. იქამდე ურარტუს სახელმწიფოს, ეთნოსა და კულტურას პროტოქართველებთან, ქართველთა თვითსახელწოდების ფუძე „ქალდოთან“ აკავშირებდნენ, არმენიელებს კი ამ არეალზე მხოლოდ ძვ.წ. VI საუკუნეში გამოჩენილებად მიიჩნევდნენ, რომელთაც ურარტუს პროტოქართველთა მემკვიდრეობა გაითავისეს.

ამ თეორიას ავითარებდნენ წმ. ილია მართლის ეპოქის გამოჩენილი ეპროპელი მეცნიერები. ილიამ ეს ფაქტი ასახა თავის „ქვათა დადადში“, სადაც მკაცრად გააკრიტიკა ცნობილი სომები ისტორიკოსი ქ. პატკანოვი და, როგორც წერდა „მისი შეგირდი ნიკო მარი“, ტენდენციური კელევებისათვის.

ი.ჭავჭავაძის შეფასებამ გაადიზიანა ნ. მარი, მან მიზნად დაისახა საკადრისი პასუხით თავისი სამეცნიერო ლირსება დაემტკიცებინა. ამ მიზნის მიღწევას მან მრავალი ათეული წელი და მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. საბოლოოდ მის კვლევა მიებებს ფართო ასპარეზი მიეცა საბჭოთა კავშირში მის შიცოცხლები, XX ს. 20-30-იან წლებში. ის და მისი მიმდევრები გაახარა ხეთურ წარწერებში არა ქალდის(ქართველთა ეპონომის), არა-

მედ პაიასას(სომებთა ეპონომის) სახელის ამოკითხვამ. ახლა, ხეთური წარწერები მათ საშუალებას აძლევდა ფაქტებზე დაყრდნობით საზოგადოებისათვის დაემტკიცებინათ თავიანთი მიუკერძოებლობა

ამ აღმოჩენამ აღაფრთოვანა ნ. მარის გავლენის სფეროში მომუშავე მეცნიერები, რადგანაც ხეთურმა წარწერებმა მათ საშუალება მისცა „მეცნიერული პასუხი“ გაეცათ ქართველი „მოხალისე ისტორიკოსებისათვის“, რომ არმენიელები არა ძვ.წ. მე-6 საუკუნეში გამოჩნდნენ ურარტუსთან, არამედ ძვ.წ. 14 საუკუნიდან, და მათ არა მხოლოდ ჰოროს-ევფრატის სათავეებთან, არამედ მცირე აზიის სხვა რეგიონებშიც საკუთარი სახელმწიფოები პქონდად, და უფრო მეტიც ურარტუ თვითვე იყო პროტოსომხური სახელმწიფო. თვითაპირველად კი ნ. მარის მიმდევარმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს დიდგანიანი წიგნები და გამოკვლევები რომ ურარტუს არ ერქვა ქალდეები, რომ ურარტუს ხალხს არ ერქვა ქალდეეველები, რომ ასეთი თვალსაზრისიც კი დიდი შეცდომად და მიუღებული სამეცნიერო თვალსაზრისით, პირიქით, ხეთურ წარწერებში პაიასა ერქვა შავიზღვისპირობის სახელმწიფოს ძვ.წ. XIV საუკუნეში.

სიტყვა პაიასას და სომებთა თვითსახელწოდების „პაი“-ს მსგავსებამ სომებ მეცნიერებს ჩამოუყადიბა ამჟამად სომხეთში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ პაიასის ქვეყანა იყო სომხური სახელმწიფო და პაიასელები პროტოსომხები იყვნენ. ეს თვალსაზრისი მსოფლიო სამეცნიერო წრებში საეჭვოდ მიიჩნევა, თუმცა, სომხებს პაიასასთან აკავშირებენ ძალზე ცნობილი სომები მეცნიერები.

ეს თვალსაზრისი გავრცელებული არის მხოლოდ სომხეთში და ჩანს, საქართველოშიც (როგორც ამას უჩვენებს ქართული საინტერნეტო სტატიები



სომხეთისა და სომხების ეთნოგენეზის შესახებ).

ჩვენი აზრი განსხვავებულია - სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე (ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე შავ ზღვამდე, სადაც XIV ს.-ში მდებარეობდა ჰაიასა), ბერძნული წყაროების თანახმად (ქრისტეშობამდე XIII-XII საუკუნეებისათვის) მდებარეობდა სახელმწიფო სახელწოდებით „აია“ და სწორედ მისი სახელია ასახული ხეთურ წყაროებში.

ჰაიასა უნდა იყოს აიას სახელმწიფო, რომელსაც შემდგომში კოლხეთი ეწოდა.

როგორც ცნობილია კოლხეთის გველი სახელი არის „აია“, სადაც, მეფე აიეტის დროს, შავი ზღვის სანაპიროს მოადგნენ არგონავტები და მითის მიხედვით მოიტაცეს ოქროს საწმინი.

მართალია „აია“ და არგონავტები მითების სფეროს განეცუთვნებიან, მაგრამ, ხეთური წყაროების „ჰაიასა“ სწორედ აღნიშნულ ადგილას მდებარე სახელმწიფო აღმოჩნდა, თითქმის იმავე სახელწოდებით, ეს ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ დადასტურებად იმისა რომ მითში აღწერილი ამბები აირეკლავდა ისტორიულ რეალობას.

ჯერ კიდევ ჰაიასას ქვეყნის რაობის გააზრებამდე სხვადასხვა წყაროების ურთიერთ შეჯრებით გვირზალიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყნის ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე შემდგომ დროინდელ ტრაპეზუნტამდე ერქვა სახელი „გაია“, „აია“, „მიწა“ - ქვეყნა“ (გვირზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი 1965 გვ. 8,9).

ძალზე მნიშვნელოვანია გოზალიშვილის აზრი, რომ იქამდე, სანამ აღნიშნულ მიწა-წყალს ეწოდებოდა კოლხები, მას ერქვა სახელი „გაია“, გოზალიშვილის ეს აზრი შემდეგში პრაქტიკულად დაადასტურა ხეთური წარწერების ანალიზმა, მათში მარტ-

ლაც აღმოჩნდა ქვეყნა სახელწოდებით ჰაიასა.

ხეთოლოგთა მიერ აღიარებულია რომ ამ ტერმინში „ჰაიასა“, ფუძეა „ჰაია“ ხოლო „სა“ არის ხეთური სუფიქსი, გამოყენებული ქვეყნის სახელის საწარმოებლად, იგივეა რაც ვოქვათ ინგლისურში „ლენდ“, „ლანდ“, ანუ ჰაიასა ნიშნავს, ჰაიას ქვეყნას, უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სუფიქსით „სა“, „სი“, ქართულშიც აღინიშნება გეოგრაფიული სახელები, მაგალითად: ობილისი, ქუთაისი, ბოლნისი, კვაისა, ჯვარისა, უბისა, გორისა, დღნორისა, პერევისა, სხვა სოფლებისა და ქალაქების სახელები.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ჰაიასა იგივეა, რაც ბერძნულ მითოლოგის აია, აიას ქვეყნა, რომელსაც შემდგომ კოლხიდა უწოდეს.

აღნიშნავენ, რომ ლურსმნულ წარწერებშივე მოიხსენიება ჰაიასას მახლობლად მდებარე ქვეყნა სახელწოდებით „გიურიანი“, „იურია“ ან „გურია“, ამ ქვეყნის სახელი ზუსტად არ იკითხება, (მაგრამ მას როგორც აღინიშნა ერქვა გიურიანი, იურია ან გურია) (Дьяконов, И.М. Предистория Армянского народа, глава II, История Армянского нагоря в эпоху бронзи и раннего железа, ст. 43/46).

ქვემოთ, სხვადასხვა სტატიაში მიგუთითებთ, რომ აია-კოლხებიდა იგივეა რაც ჰაიასა-ქალდი, არიან-ქართლი, რომ ეტიმოლოგიურად ერთმანეთის იდენტურები არიან ტერმინები ჰაიასა, აია და არიანი (აია, ჩანს აქედან სიტყვა - არიანი, აია-არიანი), ასევე ქალდი და კოლხებიდა (ქალ-კოლ, „დ“ და „ბ“ მრავლობითობის გამომხატველი იდენტური ნიშნებია).

დიაკონოვი თავის ამ ნაშრომში რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ ქალდები, ქართულ (ქართველურ) ენოვანი ტომი იყო, ის ასევე აღნიშნავს რომ ნ. მარმა სტრაბონის მიერ მოხსენიებული



ჰალიძონ-ქალდები ქართულ სამყაროს დაუკავშირა, ხოლო თავის მხრივ ქალდების ტომი იყო პაიასას შემდგომ წარმოქმნილი ურარტუს მრავალეთიკური სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი ტომი.

ჩვენ ასევე ერთმანეთს ვუკავშირებთ ძველ ქართულ ტერმინ არიან-ქართლსა და ზემოთ აღნიშნულ პაიას-ქალდეს. ტერმინი ქართველი იგივეა რაც ქალდუელი, თავის მხრივ ქალდუ იყო ურარტუს ხალხთა უზენაესი ღვთაება.

ჩვენ ვფიქრობთ რომ პაიასას უნდა დაუკავშირდეს ტერმინი „აია“ და ასევე ტროას ქვეყნის მეორე სახელი „ილიონი“, „ილია“ (აქედან პომეროსის ილიადას, პოემისა და გმირების სახელები).

ამასთანავე, ილიონს ეტიმოლოგიურად უნდა დაუკავშირდეს შტრაბონისა და სხვა ძველი ავტორების მიერ აღნიშნული ტერმინიც - „ჰალიძონი“ (ალი(დ)ონ - ალიონ - ილიონი).

ვფიქრობთ რომ სიტყვა ჰალიძონში „ჰ“ და „ი“ მერყევი და ცვალებადი თანხმოვნები იყვნენ და ზოგჯერ არც კი გამოითქმოდნენ, ამიტომაც ასეთ შემთხვევაში, სიტყვა ალიონიდან სიტყვა ალიანის ან და ილიონის მიღება შესაძლებელია, ალიანიდან შემდგომში შესაძლებელია მივიღოთ სიტყვა- ალია(არია), აია.

„დაიაენი“, „დიაოხეი“, „ბიაინალი“ და სხვა აღნიშნულ ტერმინებში მუდამ გამოყენებული ხმოვნები „აია“ უცვლელად გადადიოდა ამავე რეგიონში წარმოქმნილი სახელმწიფოების სახელებში - „აია“, „ილია“, „გაია“, „გოურია“, „პაიასი“, „დაიაენი“, „დიაოხეი“, „ტაოხეი“, „ბიაინალი“, მათში, როგორც ითქვა, მუდამ მეორდება ერთი და იგივე ფუძე-ხმოვნები, ეს არის „აია“ (ალსანიშნავია, რომ მეგრულში, შესაბამისად პროტოქართულში, ქვეყანას, მიწა-წყალს, ტერიტორიას ეწოდება „ქიანა“).

აია
გაია
პაიასი
დაიაენი
დიაოხეი
ტაოხეი
ბიაინალი
ილია -ილიონი,
ალია -ალიონი
გიურია და სხვა.

ზოგჯერ ამ ხმოვანთა (იგულისხმება აია) შორის წნდებიან ხონანტები (ხონორები) - „ლ“, „ნ“ და „რ“, და ვილებთ ამავე რეგიონში ცნობილ სახელებს, მაგალითად: ნაირი, არიანი, და სხვა. ამასთანავე აღნიშნული „ლ“ და „ნ“ უნდა იყვნენ კ.წ. „რბილი ლ“ და „რბილი რ“, რაც დამახასიათებელია ქართულისათვის.

რბილი „რ“ და „ლ“ ხშირად მოისმოდა, როგორც „ი მოკლე“, ანდა არც ისმოდა, შესაბამისად მაგალითად ტერმინი ილიონი, მოისმოდა, როგორც იიანი, ან იია, ალიონი (აქედან ალიონები), როგორც არიანი, აიანი, აია. მაშასადამე, თუ ასეა, მაშინ ალიანი, არიანი და აია ერთიდა იგივე ტერმინებია, სახელი იმ ქვეყნისა, რომელსაც შემდგომ კოლხიდა ეწოდა.

როგორც ტერმინ „ნაირში“, ასევე ტერმინ „არიანში“ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ხმოვნები „აია“, ასევე თანხმოვნები „რ“ და „ნ“, ისინი, როგორც ითქვა, შეიძლება იყვნენ რბილი „ლ“, რბილი „რ“. ტერმინი „ჰაიასა-აცცი“ -ში „აცცი“ ზოგჯერ იწერება როგორც „აზზი“, საფიქრებელია, რომ ამ ორ „ზზ“-ს შორის იდგა „რბილი ლ“, მაშინ მივიღებთ ცნობილ ტერმინს „ალზი“ (აქედამ აქაური ტომის სახელი ალიზონი ანუ ალიონი). ეს სახელი („ალზი“) შემდგომ საუკუნეებში ერქვა ქვეყანას ვანის ტბის სიახლოებეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოფილი პაიასა-აზზის ქვეყანაში კ.წ. ზღვის ხალხების დასახლების შემდეგ აზზი ანუ ალზი (იგივე



ალიძონი) ხალხის ერთი ნაწილი უფრო აღმოსავლეთით გადასახლდა და შექმნა აღზის ოლქი. (აღსანიშნავია, რომ ტერმინი ჰალიძონი შესაძლოა საფუძვლად დაედო მწერალ არიანეს მიერ ნახსენებ ქვეყნის სახელს „ხორასმიონს“. ის წერს, რომ ალექსანდრე დიდთან მივიდა ხორასმიონის მეფე ფარასმანი, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა კოლხებთან. სახელი ხორასმიონი, - ჰორასმიონი (ხორაზმ) – ჰორასმ = ჰარასმ = ჰალასმ = ჰალა ძმ = ჰალაძნ = ჰალაძონ = ხალიზონ. **ან ხორაზმ = ხალიზონ.** თუ ასევე ხორასმიონის სამეფო აღაძონების ტომისა ყოფილა. კოლხებისა და ხორასმიელთა ომი შიდა კონფლიქტად უნდა ჩაითვალოს).

აღნიშნული სახელები და ტერმინები არ არის ხელოვნურად მოფიქრებული, არამედ დასტურდებიან ამ ტერიტორიაზე (შავი ზღვისპირეთიდან თითქმის ვანის ტბამდე) სხვადასხვა ეპოქაში წარმოქმნილი სახელმწიფოებისა და ქვეყნების სახელებში, რომელიც საისტორიო წყაროებითაა დადასტურებული,

ჩვენი აზრით როგორც ითქვა, ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე გადაშლილ მთიანეთს უნდა ეწოდოს „არიან ქართლის“ მთიანეთი, სხვადასხვა საუკუნეებში აქ ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახელმწიფო, რომელთა ტერმინოლოგიაში მუდამ მეორდება ერთი და იგივე ხმოვნები – „აია“.

უნდა ითქვას რომ ამავე მთიანეთში მალზე ხშირად გამოიყენება ტერმინები კოლხი, ხალიზუ და ქალდი, თავის მხრივ ეს ტერმინებიც ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.

როგორც ვიცით თანხმოვნები გ.პ.ქ პროტოქართულში გამოითქმოდა ერთი თანხმოვნით, ასევე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ ერთი საშუალო თანხმოვნით გამოითქმოდა დ.ტ.თ და ხმოვნები ა.ო. თუ ჩვენ

აღნიშნულ ტერმინებში, კოლხება და ქალდი აღნიშნულ თანხმოვნებს შევცვლით თანაიღენტური თანხმოვნებით, ანუ „კ“-ს თუ შევცვლით „ქ“-თი, „ო“-ს შევცვლით „ა“-თი, მაშინ სიტყვა კოლხიდან შეიძლება მივიღოთ სიტყვა „ქალხი“.

როგორც ცნობილია „ხი“ გამოხატვებს მრავლობითობას, ისევე როგორც ებ (ბ), თ, დ თანხმოვნები, ამიტომაც სიტყვა კოლხში სუფიქსით „ხი“-ს შეცვლა შესაძლებელია სუფიქსით დ თანხმოვნით, მაშინ სიტყვა კოლხი „ქალხიდან“ შესაძლოა მივიღოთ სიტყვა „ქალდი“ და „ქალიტუ“ (ხალიტუ). მართლაც ქალდელები ერქვა კოლხეთში მცხოვრებ ალიძონებს, ასევე, ჩანს, ურარტუს მრავალეთნიკურ ქვეყანაში მცხოვრებთაც, მათ მთავარ „დმერთს“ ამიტომაც ურარტუს – ქალდის ქვეყანაც ერქვა, აქედანვე ხალიტუ.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ რომ ჰაიასას ქვეყანა იყო პროტოქართულების სახელმწიფო, აია-კოლხიდარმლის ხალხმაც შემდგომ ჭოროხის სათავეებიდან არაქსამდე და ვანის ტბამდე ხალიტუსა და „ნაირის“ ქვეყანები წარმოქმნა, ხოლო შემდგომ ურარტუს – ქალდუს ქვეყანას დაუდო საფუძველი, ძველი კოლხების ანუ იმქანინდელი ქალდების უზენაესი ღვთაების (ქალდის) მეთაურობით, ვფიქრობთ მთელი ეს მიწა წყალი იყო არიან-ქართლი, უმველესი აია-ქალდუ.

როგორც აღნიშნეთ, ცნობილი ხეთოლოგების მიერ გამოკვლეულია, რომ ტერმინ „ჰაიასში“ უუძე მირია „ჰაია“, ხოლო „სა“ წარმოადგენს ხეთურ სუფიქსს, ამ სუფიქსით (ასა, ისი), ხეთურში აღინიშნებოდა ქვეყანა. ასე რომ „ჰაიასა“ ნიშნავს „ჰაიას ქვეყანას“, უამრავი მცდელობაა, რომ სუფიქსი „სა“ როგორმე დაუკავშირონ იმავე მნიშვნელობის სომხურ სუფიქსს „კ“-ს, ან და ირანულ „სტან“-ს, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა ამის დასამტკიცებ-



ლად გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, თუმცა, ამ ნაშრომებში არსად მიუთითებუნ რომ „სა“, „ისა“, „ასა“ ქართულ ენაში იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა, როგორც ხეთურში „სა“, როგორც ინგლისურში „ლანდ“ და ირანულში „სტან“, რომ ქართულში „ისა“ და „ასა“ აღნიშნავს ქვეყნის, სოფლის თუ ქალაქის სახელს. ასე, რომ ტერმინი პაიასა იყო „ქვეყანა პაია“, ეს სიტყვა ქართული სუფიქსით „სა“ - ასე გამოითქმოდა - „პაიასა“ (ანუ ქვეყანა პაია), იგივეა რაც ბერძნული მითების ცნობილი ქვეყანა „აია“, რომელსაც შემდგებ კოლხიდა ეწოდა.

2014 წლის მარტი



**ქისტების გამაპმადიანება XX ს-ის
საქართველოში
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**

XIX-XX სს-ში საქართველოში რუსების ბატონობის დროს ქრისტიანული სარწმუნოება არა თუ განმტკიცდა მოსახლეობაში, როგორც მისწერებს ზოგიერთი რუსი მკვლევარი, არამედ აღმოიფხვრა კიდევ. ამის მაგალითად გამოდგება იქამდე საქართველოს ეკლესის იურისდიქციაში მყოფი ჩეჩენთა და ინგუშთა აღმსარებლობის მაგალითი.

საქართველოს რელიგიის ისტორიის შთამბეჭდავი ფაქტია ის, რომ პანკისის ხეობაში XIX ს-ის დასაწყისში ჩასახლებული ქისტების გამაპმადიანების პროცესი დასრულდა XX ს-ის 90-იან წლებში, ქისტები საქართველოს აღნიშნულ კუთხეში ჩასახლების დროს ქრისტიანები იყვნენ და ქართველი მთიელების მსგავსად ქრისტიანულ სარწმუნოებრივ წესებს აღასრულებდნენ. კერძოდ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ერთი ნაწილის გამაპმადიანება დაწყებულა საქართველოში რუსების ბატონობის დროს XIX ს. ბოლოს (ამავე დროს ქისტების უმთავრესი ნაწილი კვლავ ქრისტიანებად რჩებოდა), პროცესი გადრმავებულა რუსთა მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობის შემდეგ XX ს. 20-იან წლებში, გამაპმადიანებას სწრაფი სახე მიუღია II მსოფ. ომის შემდეგ და მოსახლეობის სრული გამაპმადიანება დასრულებულა XX ს-ის 90-იან წლების დამდეგს.

პანკისელი ქისტებისა და საქართოდ ვაინახების ყოფა-ცხოვრების მკვლევარი ხეობის მამისიმედაშვილი წერს: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ჯოყოლოს მოსახლეობის სწრაფი გამაპმადიანება. მანამდე, როგორც თვითმხილველნი გადმოგვცემენ, ხო-

ფელში მეღორეობის ფერმაც კი ჰქონდათ. ჯოყოლოელთა გადასვლა მაპმადიანურ რჯულზე დასრულდა XX ს-ის 90-იანი წლების დამდეგს. ამჟამად ისინი ისლამის მიმდევრები არიან“ (ხვთისო მამისიმედაშვილი. „ვაინახები და ქართველი მთიელები“. თბილისი 1997. გვ. 27).

ქისტების პირველი ჯგუფი პანკისში გამოჩენილა 1826-28 წწ.-ში. პანკისი ამჟამად ეწოდება მთელ ხეობას, მაგრამ ჩანს თავდაპირველად იგი ერთ-ერთი სოფლის სახელი ყოფილა, სადაც ისინი ზემოთ აღნიშნულ წლებში ჩასახლებულან დუი ციცხაშვილი-ხანგოშვილის წინამდლობით. დუის პატივსაცემად სოფელ პანკისისათვის დუის უწოდებიათ. დუი ციცხაშვილი-ხანგოშვილი ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, მეგობარი ადგილობრივ დიდებულებისა და უხუცესებისა. მისი მეთაურობით ქისტების ჩამოსახლება შეთანხმებული ყოფილა ხელისუფლებასთან, კერძოდ თიანეთის მაზრის გამგებლობასთან, რომელსაც იმ დროისათვის ექვემდებარებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი; უფრო მეტიც, ქისტების ჩამოსახლების დროს დუი ხანგოშვილს დიდად დახმარებიან ქართველი დიდებულები, კერძოდ, თავადები ჩოლოფაშვილი, ჯანდიერი და თუშეთის მოურავი ივანე ცისკარიშვილი. დუის გარშემო შემოკრებილან კახეთსა და მთიანეთში მცხოვრები ქისტებიც და საერთოდ, I ნაკადი წამოსულა აღლუნის ხეობის მაისტის თემიდან. მაისტები იყო დუი ხანგოშვილიც. ჩამოსახლების დროს ისინი ისეთივე ქრისტიანები ყოფილან, როგორც საზოგადოდ ქართველი მთიელები, ხევსურები, ფშავლები და სხვა მათი მეზობლები. ამას მიუთითებს ისიც, რომ პანკისელ ქისტებს თავიანთი მშობლიური ადგილებიდან თან „წამოუღიათ“ სალოცავი ნიში, კერძოდ ჩამოტანილი აქვთ სალოცავი ნიში



„მაისტიუ წიგ“, რაც დაახლოებით მაისტის ხატს აღნიშნავს (იქვე, გვ. 22). ასევე წარმოუდგენელია, კახეთ-მთიანეთის ადგილობრივ მმართველობას, ქართველ თავადებს და საერთოდ ქართულ მოსახლეობას XIX ს-ის 20-იან წლებში ხელი შეეწყოთ კახეთის ქრისტიანთა შორის მაჭადიანთა ჩასახლებისათვის. საქმე ის იყო, რომ სწორედ აღნიშნულ დროს აღ. საქართველოს ქრისტიანებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა ე.წ. „ლეკიანობა“, რომელშიც იგულისხმებოდა მაჭადიანი მთიელების განუწყვეტელი ლაშქრობები და თარეში ქრისტიანულ სოფლებში. ასეთ პირობებში ქრისტიანები თავიანთ სოფლებსა და მამულებს არ დაუთმობდნენ მაჭადიანებს. ქართველებს ჩამოსახლებული ქისტები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ეთნო-ჯგუფად მიაჩნდათ თუშთა და ხევსურთა მსგავსად. მართალია, ქისტებს ჰქონდათ თავიანთი სასაუბრო ენა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი ენა და მკვეთრად განსხვავებული დაიღეპტები ამჟამადაც გააჩნიათ ქართველ მთიელებს. ქისტების ამ პირველი ჯგუფის ქრისტიანობას მიუთითებს ისიც, რომ ქისტების მეორე ჯგუფი, რომელიც პანგისის ხეობაში ჩასახლდა 1854-55 წწ.-ში, ნამდვილად ქრისტიანები იყვნენ. მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილა ჯოყოლა ნაციშვილი-დარქიზანაშვილი. ჯოყოლაც ასევე დიდად ავტორიტეტული კაცი ყოფილა და ჰყოლია ქართველი მმადნაფიცები. მათი და ზემოთაღნიშნულ თუშეთის მოურავ ივანე ცისკარიშვილის დახმარებით დუისის ჩრდილოეთით დაუარსებიათ სოფელი ჯოყოლო. მაღვე სოფლის ცენტრში ქისტებს აუშენებიათ ქრისტიანული ეკლესია, რომელშიც წირვალოცვას აღასრულებდა ქისტი სამღვდელოება, რაც დიდად ნიშანდობლივია. ეს მიუთითებს, რომ ქისტები არა მხოლოდ ქრისტიანები იყვნენ, არამედ მათი წიაღიდან გამოსული ახალგაზ-

რდები იღებდნენ შესაბამის სასულიერო განათლებას და მღვდლებად ხელდასხმის შემდგომ აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ეკლესიებში.

ცხადია, ქისტი მღვდლები წირვალოცვას აღასრულებდნენ ქართულ ენაზე, რადგანაც ეს ენა მათვის წარმოადგენდა სალიტერატურო, კულტურის, საურთიერთობო და საღვთისმსახურო ენას. საერთოდ რუსების შემოსვლამდე ძვ. საქართველოში შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთამდე (აზერბაიჯანამდე) ღვთისმსახურება აღესრულებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძვ. ქართულ ენაზე, მეტ ქართულ დამწერლობას ხუცურს უწოდებდნენ. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის, რომ ჯერ კიდევ მთაში ცხოვრებისას ქისტი ხუცესები მთის ჯვარ ხატებშიც აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ხევსური და სხვა ქართველი მთიელების ხუცესთა მსგავსად, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ისმის კითხვა: რამ აიძულა ქისტები XIX ს-ში აყრილიყვნენ თავიანთი სამშობლო კუთხიდან და გადმოსახლებულიყვნენ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ მყოფ პანკისის მხარეში! ამასთან დაკავშირებით ხ. მამისიმედაშვილი წერს: „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით დეილა მარგოშვილი ასკვნის, რომ ვაინახების პანგისში ჩამოსახლების მიზეზი იყო მათი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, მესისხლეობა და შამილის მიერ მაჭადიანობის გასაკრცელებლად ჩეჩენეთის მთიანეთში გატარებული მკაცრი ზომები. როგორც ცნობილია შამილი იქ ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა ისლამს, ვინც უარს აცხადებდა ისლამის მიღებაზე განიცდიდა საშინელ დევნას და ეძებდა საიმედო თავშესაფარს“ (იქვე, გვ. 24). მაშასადამე პანგისში ქისტების ჩამოსახლების მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ მათ არ სურდათ ისლამის მიღება და გამოქვეოდნენ მოძა-



ლადებს, რომლებიც მათ ძალით ამავმადიანებდნენ.

აღსაძნიშნავია, რომ XVIII ს-მდე ქისტები საზოგადოდ ქრისტიანები იყვნენ, ხოლო XVIII ს-ში ნელ-ნელა ქრისტიანობის ადგილი დაუჭერია სუნიტური მიმართულების მაპმადიანობას. იმ დროისათვის მაპმადიანობა ფეხმოქიდებული ყოფილა მხოლოდ ქისტების ზოგიერთ ჯგუფში. ისინი კი შარიათის მიხედვით დადგენილ წესებთან ერთად არ ივიწყებდნენ მამა-პაპურ სარწმუნოებრივ და სხვა ქრისტიანულ ტრადიციებს. ასე რომ, ჩეჩენეთში და ინგუშეთში XIX ს-ის დასაწყისში ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა ქრისტიანობა და მაპმადიანობა. ამავე დროს მოსახლეობას აიძულებდნენ მიეღოთ მაპმადიანობა. როგორც აღნიშნეთ, ვისაც გამაპმადიანების თავიდან აცილება სურდა, თავს აფარებდნენ საქართველოს და შესაძლოა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებსაც.

პანკისში ჩამოსახლების შემდგომ ქისტური მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ქრისტიანულ წესებს იცავდა, მაგრამ მათში თანდათანობით მაინც მოუკიდია ფეხი მაპმადიანობას და XIX ს-ის მიწურულისათვის, კერძოდ 1898 წელს, დუისში დაუწყით მეჩეთის მშენებლობა, დაახლოებით 20 წლის შემდეგ მაპმადიანური რელიგიის მოძღვების შედეგად, კერძოდ 1921 წელს, ჯოყოლოს ეკლესიის მდვდელი იძულებული გამხდარა სამუდამოდ მიეტოვებინა სამსახური და თელავში გადასულიყო. ამის შემდეგაც მოსახლეობა კვლავ იცავდა ზოგიერთ ქრისტიანულ წესს და როგორც აღვნიშნეთ, მაპმადიანურ რჯულზე მოსახლეობის საბოლოო გადასვლის პროცესი დასრულებულა XX ს-ის 90-იან წლები.

თვითონ ისტორიულ ქისტეთში, ვაინახების ქვეყნის ნასოფლარებში ამჟამადაცაა შემორჩენილი უამრავი კოშკი, რომლებზეც ჯვრებია გამოსახული. ტყობაიერდისა და

ალიბერდის ეკლესიებში დაცულია ქართული წარწერები. არქეოლოგთა და სხვათა მიერ გათხრილ სამარეებში მიცვალებულები დაკრძალული არიან ქრისტიანული წესით, თავით დასავლეთისაკენ, ერთ-ერთი ქრისტიანი ქისტისათვის წმიდა გიორგის მედალიონი-ხატიც ჩაუტანებიათ, გროზნოს მუზეუმში დაცულია უამრავი თლილი ქვა და ქვაჯვარი ქართული ასომთავრული ასო ნიშნებით. ქისტები ისტორიულად ქრისტიანები იყვნენ ათეულ საუკუნეთა მანძილზე („აია“ №2, 1997, გვ.).

„ანატორის ჯვარი“ შატილიონებისა და ქისტების საერთო სალოცავია. ანატორის ჯვარში ბოლო დრომდე მოღილენენ ქისტები სალოცავად საკლავით, ქადა-პურითა და სანთლით. XX საუკუნის ოციან წლებში ანატორის ჯვარს პყოლია გამორჩეულად წმინდა და ჯვარ-ხატების კარგი მცოდნე ქისტი ხუცესი ბაგახა. ის მთისიქითა ქისტეთიდან მოღილდა ანატორის ჯვარში სანთლით, საკლავითა და ბაჩაყურეებით (სამკაპა ან ოთხაპა ქადის მსგავსი) ჯვარს ადიდებდა. შემდეგ ქისტები მოხარულ ხორცსა და ბაჩაყურეებს ხალხს ჩამოურიგებდნენ. ხევსურ ბავშვებს განსაკუთრებით უხაროდათ ქისტების მოსვლა ანატორის ჯვარში. ბაგახა სანთელს რომ აანთებდა, ასე ლოცულობდა: – „ნაქორინწა წეიძ ბარ“! – გწალობდეთ ანატორის ჯვარიო. „ანატორის ჯვარი მტრედის სახით მოფრინდებოდა, აკლდამაზე დაჯდებოდა და ლულუნს დაიწყებდა ხოლმე... მხოლოდ ბაგახას – ქისტ ხუცესს შეეძლო ჯვრის ძალით აკლდამასთან ასვლა, ხოლო მტრედი მხარზე დააჯდებოდა მას და კლდეებზე დაატარებდა. მტრედი და დროშა, როგორც ანატორის ჯვრის სახე, ქისტ ხუცესს ხშირად ქისტ ხოფლებშიც მიჰყავდა და იქ ხუცობდა“. როგორც მოხრობელმა ჩორებ ჭინჭარაულმა



მიამბო ქისტებს ხევსური ხუცესიც მიჰყავდათ თავიანთ სოფლებში: „ჩემ პაპა გიგიაც შატილის ხუცეს იყვის, მიჰყავდისთ ქისტეთხი და ახუცინებდიან ბანებზედ“ (ხ. მამისიმედაშვილი, „გაინახები და ქართველი მთიელები“, გვ. 21).

„როგორც გადმოცემიდან ირკვევა, ქისტები ანატორის ჯვრის უნჯი ყმანი ყოფილან“ (იქვე, გვ. 22).

„ბალთაგორის წმინდა გიორგისა და მთის სხვა სალოცავებში მლოცველი ქისტი ისევე ლოცავდა და ესალმებოდა ხატში მისულ სხვა მლოცველს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები“ (იქვე, გვ. 22).

ცნობილ გმირ თორდვა ძაგანამდე ქისტების რჯული ისეთივე ყოფილა, როგორც სხვა ქართველი მთიელებისა, ე.ი. ქრისტიანული, ამიტომაც თორდვა საერთო გმირია.

„მუცოს სათემო სალოცავში, მთავარანგელოზის ჯვარში, ხონეს საათენ-გენოდ ახლაც მიდიან ქისტი ბორჩა-შვილები ძღვითა და საკლავით, ხოლო ხახმატის დღეობაზე პირაქეთ ხევსურეთში შეხვდებით ხევსურს, ფშაველს, ქისტს და სხვა. ისინი სანთლითა და საკლავით მფარველობას შესთხოვენ წმინდა სალოცავს“ (იქვე, გვ. 23).

ანკისში, ამჟამად უკვე გამაპმადიანებული ქისტების რელიგიური სიმღერა შესრულების სტილით ჯვარხატებში აღვლენილ ფშაურ ფერსისაის პგავს. ქისტური რელიგიური სიმღერები თითქოსდა აღავერდის ე.წ. „მონების“ იაგნანას მელოდიას წააგავს .

„ქისტები, ისევე, როგორც კახელები და ქართველი მთიელები იხდიან კოლექტიურ საღვთოს“ (იქვე, გვ. 31). ე.წ. წვიმის მოსაყვანი რიტუალი ამ ქისტებში ისეთივეა, როგორც საერთოდ ქართველებში (გუთნის წყალში გაყვანა, გაწუწვა და ძალით ბანაობა ერთ-ერთი მონაწილისა და სხვა).

„რაიმე მნიშვნელოვანი ამბის აღსანიშნავად (ავადმყოფის განკურნება, ჯარისკაცის დაბრუნება, ხიფათისაგან თავის დაღწევა) აღმოსავლეთ საქართველოში იხდიან საღვთოს. ადუღებენ ლუდს, ხდიან არაქს, კლავენ საკლავს, აკეთებენ ხინკალს და სუფრის ხუცეს-ხევისბერს ამწყალობინებენ. ანთებენ სანთელს და ჭრიან სარიტუალო ქადებს. ანალოგიური ჩვეულება აქვთ ქისტებს“, ოღონდ ახლა ალკოჰოლიანი სასმელები აკრძალული აქვთ და ხუცესების მაგიერ მოლები ლოცულობენ (იქვე, გვ. 33).

ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეუნიშნავთ, რომ ახალი წლის შეხვედრის სარიტუალო წეს-ჩვეულება ქისტებში ისეთივეა, როგორც ქართველებში. ახალ წელს ქისტურად „ნიჯუა“ ეწოდება. „ნიჯუა“-დან ხუთი კვირის შემდეგ იციან „ოღუაი“, რომელიც ქართულ „აღების“ დღესასწაულს ემთხვევა, ამ დღეს კლავენ საუკეთესო საკლავს „ისევე, როგორც ქართველი მთიელები, ქისტებიც საკლავს სოფლის რჩეულ უხუცესს დაამწყალობინებენ და დააკვლევინებენ ხოლმე“. ქრისტიანული „აღება“ ნიშნავს „ხორცის აღებას“, ხორცის საჭამადის გამორიცხას კვების რაციონიდან დიდმარხევის წინა, მოსამზადებელ პერიოდში. კერძოდ დიდმარხევის დაწყებამდე ჯერ არის ხორციელის, შემდეგ კი ყველიერის კვირა. ხორციელის შვიდეულში შეიძლება ხორცის ჭამა, ამ დროს ცდილობენ ხორცის საუკეთესო საკვების მიღებას, რადგანაც ხორციელის კვირა დღიდან, როდესაც სუფრიდან აიღებენ ხორცს, მისი ჭამა უკვე აღარ შეიძლება აღდგომის გახსნილებამდე, ე.ი. თითქმის ორი თვე „აღება“ და მისი შემდგომი ყველიერიც, სახალხო დღესასწაულში გადაიხრდებოდა ხოლმე, ამ კვირებში ხალხი ზეიმობდა და მხიარულობდა, კარგადაც იკვებებოდა, რადგანაც ყველიერის ბოლოდან აღდგომამდე, დიდმარხევის



დღოს, ხალხი უკვე გლოვასა და მწუხარებაში იყო, უმზადებოდნენ ზიარებისა და აღდგომის ღირსეულად შესახვედრად, ამბობდნენ „მარხვა სიანულისა და აღდგომა სიხარულისა“. როგორც აღვნიშნეთ ქისტური „ოდუაი“ არის ქრისტიანული „ადგბის“ დღესასწაული. ხორციელის კვირაში, ყოველი ოჯახი, როგორი დარიბიც უნდა ყოფილიყო, ვალდებული იყო „ხორცზე კბილი დაედგა“. „ოდუაის ორი კვირის შემდეგ, ასევე შაბათ დღეს ქისტები იხდიან დღესასწაულს, რომელსაც სახელად ჰქია „სინი“ (იქვ. გვ. 33), ამ დღოს ახსენებდნენ მიცვალებულებს „ძველსა თუ ახალს“, ვინც ახსოვდათ და მოაგონდებოდათ, რაც ყველაზე ნიშნეულია, ამ დღეს ქისტები მიცვალებულთა მოსაგონებლად იმ კერძს ამზადებდნენ, რომელსაც ქართველები „კორკოტს“ ან „წანდილს“ უწოდებენ, ქისტურად – „ბაკლას“. დიდმარხვის პირველ შაბათს, ისევე როგორც სხვა მომდევნო შაბათ დღეებში, ქრისტიანები საგანგებოდ მოიხსენიებენ მიცვალებულებს, ე.წ. „მიცვალებულთა შაბათი“. ამზადებენ საკურთხეს, კორკოტ-წანდილს (მოხარშულ მარცვალს), მღვდელს თუ საშუალება აქვს, ალოცვინებენ. ასევე ქისტი მლოცველი მიცვალებულის მოხსენიებისას „ამოიღეს ქვაბით მოხარშულ ბაკლას, ქვაბს გარს შემოატარებს რკინეულს რასმე სამჯერ, მოიხსენებს იმავე მიცვალებულებს, მერე ზემოდან გაშლილი ხელით სამჯერ ჯვარს გამოსახავს და შემდგომ შეაქცევიან ბაკლას (მოხარშული სიმინდი, ლობიო, ხორბალი ერთმანეთში არეული)“ (იქვე, გვ. 34).

ეს დღესასწაულები სცოდნიათ მხოლოდ პანკისელ ქისტებს. „ნიჯუა, ოდუაი და სინი“ წააგავს ქართველი მთიელების რელიგიურ დღესასწაულებს. ლეილა მარგოშვილის ცნობით, ჩეხენები და ინგუშები ამ დღეობებს არ იცნობენ. ამდენად მათ ისინი ან

საგსებით დაივიწყეს, ანდა ქისტებმა იგი ქართველებისაგან შეითვისეს“ (იქვ. გვ. 34). აქედან ჩანს, რომ პანკისში ჩამოსახლებისას ქისტებს გააჩნდათ ქრისტიანული საეკლესიო ჩვეულებები, მათ, როგორც ვოჭვით, ჯოყოლოში თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ და ქისტი სამდვდელოებაც ჰყავდათ. ამჟამადაც აღდგომას კვლავ დღესასწაულებენ, „აღდგომის დღესასწაული-სათვის ჯოყოლოელი და სხვა სოფლელი ქისტები დღემდე საგანგებოდ ემზადებიან და მას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. დღეობა ორსამ დღეს გრძელდება, იკვლება საკლავი, ინოვბა სანოველი, ლოცულობები სოფელსა და მის მიმდებარე ადგილებში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიასა და სხვა ნიშებში. სოფელში ამ დღეებში დიდი ლხინი და მხიარულებაა. გარდა წმინდა ადგილებზე სანოველების დანოვებისა, ქისტებმა ქართველების მხგავსად შემოინახეს ხებზე ნაჭრების მიბმის ტრადიცია. ქისტები სალოცავად ძღვით ალავერდშიც მიდიან. ომალოში მცხოვრებ ქისტებს სოფლის სიახლოეს სალოცავად აქვთ წმიდა გიორგის, თუშოლისა და კოპალას ნიშები. ბირკიანელები ლოცულობები წმიდა გიორგის ეკლესის ეზოში. თუშოლი, ზოგიერთი მკალევარის აზრით, იგივე ღვთისმშობელია, ხოლო კოპალას ნიშის არსებობა ომალოში ფრიად საგულისხმოა. კოპალას სახელობის ჯვარ-ხატები გვხვდება ფშავ-ხევსურეთში“ (იქვე, გვ. 34).

ქისტებსა და ქართველებს ერთნაირი ადაოები ჰქონდათ „როგორც ხევსურეთში, ქისტებშიც პატარძალი მამამთილს სახელით ვერ მიმართავს ... მართალია ქისტები მაკმადიანური რწმენის აღმსარებლები არიან, მაგრამ მათ სუფრაზე, თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ღვინის სმა, თუმცა მთიელთა ტრადიციის შესაბამისად იქ მაინც არაუი სჭარბობს“ (იქვე, გვ. 37). ღვინის ზომიერი სმა ქრისტიანული



ტრადიცია. ქისტები ჩანს, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ ქრისტიანული წესების მკაცრი დამცველებიც ყოფილან, ამას მიუთითებს ის, რომ ისინი დიდ მარხვის პირველ დღესა და უკანასკნელს, ე.ი. დიდ შაბათს, მშივრები ატარებდნენ, ვიდრე გარსკვლავი არ ამოვიდოდა. ახლაც მორწმუნე ქრისტიანები სწორედ დიდმარხვის პირველ და ბოლო დღეებში მარხულობენ განსაკუთრებულად. ასეთივე მმარხველნი ყოფილან ხევსურებიც. ძველად ფშავებებსურები კარგი ქრისტიანები იყვნენ თავიანთი ქრისტიანული სალოცავებით, სამდვდელოებითა და დღესასწაულებით, მაგრამ ბოლო საუკუნეებში, სამდვდელოების არ ყოლის გამო, ნასწავლი და ნაკურთხი სასულიერო პირების ადგილი დაიჭირეს ხალხისგან ამორჩეულმა წმიდა ცხოვრებით მცხოვრებმა პირებმა, რომელნიც ცდილობდნენ უცვლელად აღესრულებინათ ის სარწმუნოებრივი წესები, რაც მათ ახსოვდათ ძველი სამდვდელოებისგან. ხევსურთა ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყვნენ ქისტებიც, საერთო სალოცავ-ჯვარ-ხატებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით, საკლესით ტერმინოლოგითა და ქართული ანბანით. ჩეჩენთ-ინგუშეთში აღმოჩენილია არა მარტო ქართული წარწერები, არამედ ხელნაწერებიც. ინგუშეთში, ასას ხეობაში არსებობს ქრისტიანული გალესიები – თხობა-ერდი, ალი-ერდი, თარგიმი, მაღარ-ერდი და სხვა. „1944 წლამდე მრავალი ინგუშის ოჯახში ინახებოდა ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები... უფრთხილებოდნენ მას, როგორც ძვირფას რელიქვიას და გადასცემდნენ თაობიდან თაობას (ა.ი. შავხელიშვილი, ერთ-ერთი განაკვეთი 1992, გვ. 68).

გაინახებში რელიგიის კულტთან დაგავშირებული და ზოგიერთი სხვა ტერმინი ქართულია, მაგალითად ჯვარი ვაინახურად არის „ჯარ“, მარხვა –

„მარხ“, კვირა – „კირ“, სანთელი – „სენთალ“, ორშაბათი – „ორჩუათ“, პარასკევი – „პერასკ“, შაბათი – „შოთ“, ეკლესია – „ქილს“ და სხვა. შავხელიშვილის ცნობით „ჩეჩენეთში, ხილდიხაროს ხეობაში, მრავალი ქართულიდან მომდინარე ტოპონიმია“. ქართული კულტურის გავლენით წარმოქმნილი უნდა იყოს „ქერისტიე“, „ცაცხი“, „ჩამდა“, „მოზღარი“ და „მეციხ“. ქართულად ქერისტიე ნიშნავს ქრისტიანს, ჩამდა – ჩაღმას, ცაცხი – ცაცხეს, მოზღარი – მოძღვარს, მეციხს კი ქართულ მეციხოვნებთან უნდა ჰქონდეს კავშირი“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

ქისტები, საერთოდ, ხალხური თქმულებებითა და გადმოცემებით, ისეთი ღრმა ქრისტიანები იყვნენ, რომ რომელ თემშიც არ უნდა მოხვედროლიყვნენ, ეკლესიებს აშენებდნენ, მაგ. ზეგარდის წმიდა გიორგი ქისტეთიდან მოსულ კაცს დაუარსებია (იქვე, გვ. 19). გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ეკლესიის მცველობა ქისტეთიდან მოსულ სუჯის შთამომავლებისათვის დაუვალებით საქართველოს მეფესა და პატრიარქს („აია“, 1997, №2, გვ. 63).

„ქისტებსა და თუშებს შორის ნათელ მირონით ნათესაობა მოუდიოდათ. ფშავში ლაშარის გორაზე ქისტების საჯვარე არსებობს, ხევსურეთში, ანატორის ჯვარში ქისტი და ხევსური ხუცესი ერთად ხუცესობდა, ქისტების ამინდის „დმერთებია“ – ოჩი (ქართულ ვაჩის შექსაბამება), პელი (ქართული წმ. ელია), დერგ ნანილგ – თოვლის დედა საქართველოში მყინვარზე ბუდობს“ (იქვ. გვ. 66).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქისტებს არა მარტო საერთო სარწმუნოება ჰქონდათ ქართველებთან, არამედ საერთო ისტორიაც, საერთო საისტორიო გმირები და წარსული ცხოვრება, ამის მაგალითი მრავალია. მაგალითად ცნობილი 300 არაგველი – ვაინახურად მიაჩნიათ. „ქისტებში დღე-



მდე პოპულარულია გადმოცემა, თითქოს ის სამასი არაგველი, რომელიც კრწანისის ველზე დაეცა, ვაინახები იყვნენ. ამ ლეგენდას ისინი ასაბუთებენ იმ გარემოებით, რომ ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმოსული ქისტი მეომრები არაგვის ხეობას უნდა ჩამოჰყოლოდნენ და ამიტომაც იწოდებოდნენ არაგველებად“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 8).

მეორე ასეთი მაგალითი ეხება საქართველოს ბედით დამწუხერებულ ლელთ დუნიას „გადმოცემით ილია ჭავჭავაძის ლელთ-დუნია მალხების (ქისტების) ჩამომავალი ჯღუნა ხულელაძე ყოფილა“ (ჯ. კაგულია, ანისტორებია, „აია“ 1997 №2, გვ63). ამ გადმოცემაში ჩანს ქართველებთან საერთო ისტორიის მქონე ქისტები როგორ იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოს კეთილდღეობითა და მომავლით.

მალხებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ვაინახების ერთერთი ეთნოჯგუფი ყოფილა. ვაინახი ხალხის ეთნოჯგუფები ერთი მოსახურებით არიან: დალდაი, ნოხჩი, ახი და მელხი (იქვ. გვ. 65). მეორე მოსახურებით ვაინახი ხალხი ბინადრობდა თემებად. ცნობილია ითონხალის, ხილდიხაროს, იალხაროს, მაისტის, მელხისტის და სხვა თემები (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 15). თითქმის ყველა თემი, გარკვეული კუთხით დაკავშირებულია ქართველებთან. მაგალითად, ითონხალეს ქისტერი თემის დამაარსებელი ვინმე ითონი წარმოშობით ქართველი ყოფილა. მაშასადამე ამ თემს ქისტებად გადაქცეულ ქართველებად მიიჩნევდნენ (იხ. იქვე, გვ. 70. შენიშვნა 14. შავხელიშვილის ცნობა).

ხილდიხაროს თემში მრავალი ქართველიდან მომდინარე ტოპონიმია (იქვე გვ. 7).

ასეთ მაგალითებთან დაკავშირებით შემთხვევითი არ უნდა იყოს თვით ვაინახთა შორის გავრცელებული

ასეთი სახის გადმოცემა: „ქისტეთში გავრცელებულია ლეგენდა, რომ პირველი ქისტის დედა ქართველი ქალი იყო“ (ა. ნოზდაიძე, „ქისტები“ გაზ. „ლაშარის გორა“ 1996, 8 ნოემბერი).

ეს ლეგენდა არა მხოლოდ ებმიანება, არამედ თითქოსდა ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას – „ქისტი, ლლილვნი და ძურმუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი“. ქართულ და ხენწურ ენებში დასტურდება უამრავი ლექსიკური ერთეული, რომელთაც საერთო ძირები მოვალეობათ... საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა მიუთითებს ქართული და ვაინახური ენების ერთგვარ ნათესაობაზე. სავარაუდოა, რომ ამ ხალხებს პრეისტორიულ ხანაში საერთო ენაც კი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოხდა საგრძნობი დიფერენციაცია. ამის გამო ქართული და ხენწური ენები ერთმანეთს დაშორდნენ“ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 68). თეიმურაზ ბატონიშვილი სწორი უნდა იყოს, ამ ენათა დაშორება არაა სავარაუდებელი მაინცდამაინც პრეისტორიულ ხანაში. დამოუკიდებელი ენის ჩამოყალიბებისათვის საკმარისია რამდენიმე ასეული წელიწადი, მითუმეტეს გარე სამყაროსაგან იზოლაციის დროს. უკრაინული და ველიკორუსული ენები, მიუხედავად მათი ერთმანეთთან მტკიცე კონტაქტისა და კულტურულ-სარწმუნოებრივ-საეკლესიო ურთიერთობისა, ერთმანეთს დაშორდნენ XIV საუკუნის შემდეგ და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში. ასევე სხვა ევროპული ენებიც.

„თეიმურაზ ბატონიშვილი ძურმუკნების ქვეშ გულისხმობს ჩენებს, რომლებსაც ასევე „ნოხჩი“ ეწოდებათ, ხოლო ღლილვთა ქვეშ ღლილოს ანუ ინგუშებს, იგივე დალღა. ქისტების ქვეშ შესაძლოა გულისხმობს ზემოთ



აღნიშნულ მელხებს და მაისტის თემს. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, მუცოსთან იყო, მაისტელები იქედან კახეთში (პანგისში) გადასახლებულან (იხ. იქვე, გვ. 23). ყველა ამათი საერთო სახელია, როგორც აღვნიშნეთ, ვაინახი. „გეინახები ჩვენს მეზობლად ცხოვრობს – წერს ა. ნოზდაიძე – ცენტრალურ კაგებასიაში თერგის შენაკადებთან არმხის, ასას, არღუნის, და შარო არღუნის ხეობებში... ვეინახები ჩვენი უახლოესი ნათესავია ენითაც და სისხლითაც. წაგავენ ქართველ მთიელებს. წეს-ჩვეულებით, ზე-ხასიათით, სახლ-კარით, ჯამ-ჭურჭლით, ჩაცმა-დახურვით, ცეკვა-სიმღერით, სასმელ-საჭმელით, უფროს-უმცროსობით, მტერ-მოყვარეობით და სხვა“ („აია“ 1997, №2. გვ. 65).

ნიშანდობლივი ცნობა: „ბამუტში (ჩეჩნეთი) ცხოვრობს შემდეგი გვარების მოსახლეობა: გახაურები, ფერზაულები, სიგაურები, მარშაულები, გაბადაურები, ხაიაურები, ქარსამაულები, სვიაკაურები... ისინი თავს მელხებად თვლიან, მელხისტის თემს კი პირიქითა ხევსურეთის მეზობლად მიუთითებენ“ (იქვე, გვ. 65).

„მალხებს დაბა გველეთში უცხოვრიათ, ძირითადად კი უთანკალესა და მაისტის რაიონებში, ხევსურეთის საზღვრებზე ყოფილან განლაგებული“ (იქვე, გვ. 62).

ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ ქისტების გვარები ქართული სახისაა. ქისტების გვარებია: ფარეულიძე, აჭიშვილი, ბორჩაშვილი, გაჩალიკაშვილი, ბალაკაშვილი, ქავთარაშვილი, მარგოშვილი, ნაციშვილი, მუთოშვილი, კოტორაშვილი და სხვა. ენათესავებიან ქართველ კოჭლაშვილებს, ვეშაგურებს, ზაქაძეებს, მარსაგიშვილებს, მუშტიშვილებს, ღანიშაშვილებს და სხვა.

თავის მხრივ „ჩეჩნეთ-ინგუშეთში ცხოვრობენ გავაინახებული ქართველები, მრავალი ვაინახი (დარჩიევი,

ქარჩიევი და სხვა) თავის წინაპრებად ქართველებს აღიარებს (ხ. მამისიმედაშვილი, ვაინახები და ქართველი მთიელები, 1997, გვ. 19).

ასე რომ, ეთნოგრაფ-მკვლევართა დაკვირვებით, ქისტები საქართველოში XIX ს. დასაწყისში ჩამოსახლდნენ ვითარცა ქრისტიანები და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ერთგული დამცველი, XIX ს. ბოლოს მათში თანდათან გავრცელება იწყო მაჰმადიანიბამ, XX ს. შეუა წლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ კი მათი უმრავლესობა უკვე გამაჰმადიანებული იყო, სრული გამაჰმადიანება XX ს. 90-იან წლებში დასრულდებულა.



**მარადისობის გზაზე
ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი
თამარ ხოხილაშვილი**

გუძღვნით ივანე ჯავახიშვილის
დაბადების 140 წლისთავს

პირველ მსოფლიო ომს ივანე ჯავახიშვილი 38 წლის ასაკში შეხვდა. იგი გზას მარადისობისაკენ კვლავ წარმატებით აგრძელებდა. ივანე ჯავახიშვილზე ბევრი დაიწერა და კვლავაც ბევრი დაიწერება. როგორც ჩატარებული კვლევიდან ჩანს, 1914-1918 წლებში, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების მომზადებითა და გამოცემით აღინიშნება. 1914 წელს, ქართველ მკითხველს, შესაძლებლობა მიეცა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომს გაცნობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ეს მონოგრაფიული გამოკვლევა არაერთი სიახლის შემცველი იყო. სწორედ ამ ტომში შეიცხო ის ხარვეზი, რომლის შევსებას დიდი ივანე, ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში შეეცადა. საკითხი ეხება საქართველოს საისტორიო გეოგრაფიისადმი მიძღვნილ ნარკვევს, რომელმაც ასახვა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში ჰქოვა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ივანე ჯავახიშვილი აღინიშნავდა: „სრულიად უბეოგრაფიოდ კი არ შეიძლებოდა. გასაოცარია ან აქამდის უგეოგრაფიოდ როგორ მუშაობდნენ ისე, რომ ხშირად თვით ავტორებმა არ იცოდნენ იმ ადგილების მდებარეობა, რომელთა შესახებ ისტორიაში იყო ლაპარაკი.“ ივანე ჯავახიშვილი, რასაკვირველია, არ უარყოფდა იმ დამსახურებას, რაც ვახუშტი ბატონიშვილმა საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლაში შეიტანა, მაგრამ დიდი მეცნიერი სრულიად მართებულად შენიშნავდა, რომ VII-XII საუკუნეების კონკრეტული

ფაქტების დაზუსტებისა და უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის რეკონსტრუქციისათვის, კვლევის უაღლესი მეთოდებისა და ბოლო წლებში მოძიებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გათვალისწინება, თანამედროვე საისტორიო მეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. აღნიშნულ ტომში უხვადაა შეგრებილი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. პირველწყაროდ, ივანე ჯავახიშვილი, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოძიებულ ტომნიმებს, ორონიმებს, პიდრონიმებს იყენებს და მათ სემანტიკური კოდების ინტერპრეტაციებსაც გვთავაზობს. განსახილველი ტომი იმ მხრივაცაა ლირებული, რომ მასში საქმაოდ გამოწვილვითაა შესწავლილი ძველი ქართული ქალაქების ისტორია, საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხეები და რაც მთავარია, საზღვაო და სახმელეთო გზები. ივანე ჯავახიშვილის დვაწლი ფასდაუდებელია. ამ წიგნის დანარჩენი რვა თავი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პერიეტიებით აღსაგეს საქართველოს რამდენიმე საუკუნოვან ისტორიას გვაცნობს, სადაც ავტორისეული პოზიცია მრავალ სადისკუსიო საკითხზე არგუმენტირებულადაა წარმოჩენილი. მხედველობაში გვაქვს ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების, არაბობის, საქართველოს გაერთიანების, საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანის და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული პიპოთეზები და კონცეფციები. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომს ქართველი ისტორიკები და ფართო მკითხველი საზოგადოება, ომის საშინელებათა მიუხედავად, სიხარულით შეხვდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებშივე, 1916 წელს ივანე ჯავახიშვილმა



კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოკვლევა - „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ გამოაქვეყნა, რომელმაც არა მხოლოდ მოწონება, არამედ საერთო აღფრთოვანება დაიმსახურა. ქართული ისტორიოგრაფიაში ეს პირველი ნაშრომი იყო, რომელშიც მეცნიერული ანალიზის შედეგად ქართული საისტორიო მწერლობის თანავარსკვლავედი სრულად იყო წარმოდგენილი. როგორც თავად ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა „მისი წადილი იყო, შეძლებისდაგვარად, გამოერკვია, როგორც თვითოვეული მემატიანისა და ისტორიკოსის პირვენება, - თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობიგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალასზრისის კაცი იყო. აგრეთვე, შეეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადება მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა.“ ამასთანავე, მეცნიერი შეეცადა დაედგინა, ყოველი ავტორის თხზულების პირველწყარო და „რა გზითა და რა საშუალებით“ იყო მოპოვებული იგი. ივანე ჯავახიშვილმა დასახული მიზანი სრულყოფილად აღასრულა. ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიების შედეგად, შესაძლებლობა მოგვცა, სიღრმისეულად გავცნობოდით იაკობ ხუცესის, ევსტათი მცხეთელის, წმინდა ცხრათა კოლაელთა, იოანე საბანის ძისა, კონსტანტინე კახაძესი, არსენ კათოლიკოზის, წმინდა ნინოს ცხოვრების, მოქცევად ქართლისას მატიანეს, სტეფანე მტბევარი ეპისკოპოზის, გიორგი მერჩულის, ბასილი ზარზმელი წინამდღვრის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი მტბევარი ეპისკოპოზის, გიორგი მცირის, ლეონტი მროველის, ჯუან-შერის, სუმბატ ძე დავითის, მატიანე ქართლისას, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, თამარ მეფის ისტორიკოსის, აბუსერიძე ტბელის, ლაშაგიორგის მემატიანის, ჟამთააღმწერელის, ძეგლი ერისთავთას, ცხოვრება

ბაგრატ მეფობისას, მესხურ დავითნის მატიანის, გელათურ ქორონიკონის, ფარსადან გორგიჯანიძეს, ქართლის ცხოვრებას, ქართლის ცხოვრების გაგრძელებას, ბატონიშვილი ვახუშტის, ქართლის ცხოვრების გაგრძელების გადაკეთებულ ვარიანტს, სენია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ლივანბეგ ხერხეულიძის საისტორიო მემკვიდრეობას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართული საზოგადოება ივანე ჯავახიშვილის ამ ფუნდამენტურ გამოკვლევას აღფრთოვანებით შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორი შიშობდა, რომ ტექსტის სირთულის გამო წიგნს ოციოდე მკითხველი ეყოლებოდა. კიტა აბაშიძემ, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, უდიდესმა კრიტიკოსმა, ივანე ჯავახიშვილს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შენი წიგნის ფურცლები პირდაპირ გადავყდაპე და დიდად აღტაცებული ვარ. ძალიან დეტალური აღწერა წყაროებისა, რაც ჩემთვის პირადად პირდაპირ აღმატაცებელია და არაფერ რომანს ასე არ გაუტაცებივარ, როგორც შენს ისტორიას.“ ივანე ჯავახიშვილის ამ ახალი ნაშრომისადმი დამოკიდებულებას კიტა აბაშიძემ გაზეთში - „ჩვენი მეგობარი“ (34; 1916წ.), სპეციალური წერილი, სათაურით - „დიდი წიგნი“, მიუძღვნა, სადაც ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „მშვიდმა და წენარმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც სწორედ ჩვენი შესანიშნავი წმინდა მამების (გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის და სხვ.) ენერგიითა და თავგანწირულობით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას, ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კვალს დაასვამს მთვლ ჩვენს აწმუნსა და მომავალს;“ „უნდა მართალი ვთქვა, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მერე არ მახსოვეს ჩემზე რომელიმე დარგის რომელიმე ნაწარმოებებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს;“ და კიდევ: „ნებავი იმ



ახალგაზრდას, რომელიც აღიზრდება ივანე ჯავახიშვილის შრომებზე;“ ან „...დმერთმა გაკურთხოს, ჯავახიშვილო, გულის იმ დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ ნაშრომის წაკითხვის უამს. ჯერ ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა.“ განსახილველ მონოგრაფიასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის და კიტა აბაშიძის შიმოწერაც არის საყურადღებო, რომელიც ი. ჯავახიშვილის პირადმა არქივმა შემოგვინახა.

1916 წლის ამ გამოცემას, ქართველ სხვა მოღვაწეთა დიდი მოწონება მოჰყვა. ასე, მაგალითად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სერგი გორგაძე, ასევე ცნობილ ქართველ მეცნიერს - იოსებ ყიფშიძეს, 1916 წლის 18 მარტს წერდა: „როცა ეგ წიგნი წავიკითხე და გადავდე გვერდზე - თვალწინ ბუმბერაზივით ოთხი სახე ამემართა: სახე იოანე საბანის ძისა, ეფრემ მცირისა, უამთა აღმწერელისა და ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელთაც შემდგომ ჩემს წარმოდგენაში განუყრელად შეუერთდა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით შეჭრვილი პირვნება მათის დირსეულის ისტორიკოს - დამფასებლისა - ივანესი....“

ივანე ჯავახიშვილის დასახელებული წიგნით მიღებულ შთაბეჭდილებას, თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს: „შეუდგები ამ საკირველ წიგნს და გინდა მწვერვალამდის მიაღწიო შეუსვენებლივ, დაწაფო, ვით მოწყურებული ირემი წყაროს და ამოსწურო იგი ბოლომდის.“

დიდ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, სწორედ, პირველი მსოფლიო ომის წლებში, ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ზრუნვას იჩენდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებით. მეცნიერი ისეთი სახელმძღვანელოს არსებობაზე ოცნებობდა, რომელიც მოსახლეობის

ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები იქნებოდა. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემასაც, რადგან საგსებით მართებულად მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის ცალკეული ასპექტების სრულყოფილად წარმოჩენა, ახლო აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული პროცესების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია. მეცნიერის სამუშაო პერსპექტიულ გეგმებში დიდი ადგილი ენათმეცნიერულ ძიებებსაც უკავა. ამ თვალსაზრისით, იგი დიდ იმედს ამყარებდა იმ კვლევებზე, რომელსაც აკაკი შანიძე თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთში, ხოლო იოსებ ყიფშიძე - სამეცნიეროში ატარებდნენ. ამ გეგმების ამსახველი ცნობები, ივანე ჯავახიშვილის პირადმა არქივმა, საკმაოდ მრავლად შემოგვინახა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი ინტენსიურად მუშაობს ქართველი კულტურის და კერძოდ, ხელოვნების ისტორიის პრობლემატიკაზე. 1914 წელს, უკრნალში „ქრისტიანული აღმოსავლეთის“ მესამე ტომში აქვევნებს სოლიდურ სამეცნიერო გამოკლევას, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის შედეგებს ასახავს. მეცნიერმა, ხელოვნებასთან დაკავშირებული ქართული ტერმინების ინტერპრეტაციას, საფუძლად ძველი ქართული საისტორიო ძეგლების მონაცემები დაუდო. ამ ნაშრომმა, ფაქტობრივად, განაპირობა შემდგომში ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემა.

1914-1918 წლების საქართველოში, აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ - საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება,



წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართველ ხელოფანთა საზოგადოება, სამუზეუმო გაერთიანებები. ივანე ჯავახიშვილს ამ ორგანიზაციებთან შპიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ომის წლებში ყველა ეს სტრუქტურა მძიმე მატერიალურ ვითარებაში აღმოჩნდა, ივანე ჯავახიშვილი კი წაკითხული ლექციების საფასურს, როგორც წესი, ზემოაღნიშნულ საზოგადოებებს ურიცხავდა. პირველი მსოფლიო ომის წლებით დათარიღებულ მასალებში, რომელიც მეცნიერის პირადმა არქივმა შემოგვინახა, არაერთ საყურადღებო დოკუმენტს ვხვდებით. ასე მაგალითად, იორგევა, რომ 1914-1915 წლებში ივანე ჯავახიშვილს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მოხსენებები შემდეგ თემებზე წაუკითხავს: „საქართველოს ეკონომიკური წესწყობილება და მდგომარეობა XVII-XVIII სს“; „VIII-XIV სს. ქართული სამართლის ისტორიიდან“; „სიძეველეთა დაცვისა და კედლის მხატვრობის პირების გადმოღების წესები“ - 1916 წელს, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობაში დააშ.

ივანე ჯავახიშვილის პირადმა არქივმა, ამ და სხვა მის მიერ წაკითხული საჯარო ლექციების გეგმებიც და მისდამი საზოგადოებების მადლობის ამსახველი წერილებიც, მრავლად შემოგვინახა.

ბუნებრივია, რომ მეცნიერს დიდად აწუხებდა ახალგაზრდა თაობის ცოდნის დაბალი დონე. თბილისა და ქუთაისში ჩატარებულმა ბიებებმა ივანე ჯავახიშვილს დიდი სინაცვლით აღსავსე შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „ჩვენმა მომავალმა ახალგაზრდობამ ქართული არ იცის, არ შეუძლია ქართულად აზროვნება.“ მეცნიერის თვალსაზრისით, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახალგაზრდობამ ეროვნული ფესვები არ დაკარგოს და მზად იყოს ეროვნული სულისკვეთებით,

მომავლის აღმშენებლობისათვის. ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილი არა მხოლოდ პუმანიტარული, არამედ საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგების განვითარებით იყო დაინტერესებული და როგორც მისი უბის წიგნაკის ჩანაწერები გვამცნობენ, იგი მისთვის ჩვეული მიზანდასახულობით აღნუსხავდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში მომუშავე მომავალ მკვლევრებს.

სავსებით კანონზომიერია, რომ სწორედ ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით და აქტიურობით დაიწყო ქართულმა საზოგადოებამ ქართული უნივერსიტეტის ფუნდამენტის შექმნა და, ჯერ კიდევ ომის წლებში, 1917 წლის 12 მაისს თბილისში, ხოლო ამავე წლის 17 მაისს ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილი საზოგადოების წინაშე საპროგრამო მოხსენებებით წარსდგა, რომლებშიც თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნების აუცილებლობაზე ისაუბრა და საერთო მხარდაჭერა დაიმსახურა. მოგვიანებით, 1948 წელს ეს მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნდა. ივანე ჯავახიშვილისა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ოცნება, დავით აღმაშენებლის ხენების დღეს 1918 წლის 8 თებერვალს აღსრულდა, როდესაც თბილისის უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ მსოფლიო ომში საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლისა და ჩექნი ქვეყნისათვის ბრესტ-ლიტვოვსკის (1918 წლის 3 მარტი) საზავო ხელშეკრულების მძიმე შედეგების მიუხედავად, სწორედ 1914-1918 წლებში, ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით, მუხლჩაუხრელი შრომით, ქართველ მამული-შვილთა (ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე, მოსე ჯანაშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, კიტა აბაშიძე, დიმიტრი შევარდნიძე....) მხარდაჭერით, საქართველოში მყარი საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას



და ეროვნულ უმაღლეს განათლებას. დიდი ივანე ჯავახიშვილის და ქართველ მოღვაწეთა დაუდალავი, თავ-განწირული შრომის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ საისტორიო მეცნიერებას, რომელმაც ასწლოვანი გზა დირსევულად განვლო და მომავალი განვითარების პერსპექტივაც გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, II ტომი, ტფლისი 1914
2. ჯავახიშვილი ივ. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, ტფლისი 1916
3. გვრიტიშვილი დ. ივანე ჯავახიშვილი, თბილისი 1949
4. ბაქრაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, თბილისი 1976
5. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1976
6. კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბილისი, 1977
7. ჯორბენაძე ს. ცხოვრება და დგაწვერი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი 1981
8. მეტრეველი რ. ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი 1999

SUMMARY ON THE WAY OF ETERNITY

The article demonstrates on the example of the life of Ivane Javakhishvili that despite the horrors of the World War I and the sacrifice made, he was successfully continuing the way towards eternity. As a result of the tireless, selfless work of great Ivane Javakhishvili and other Georgian figures, the foundation was laid for new Georgian historical science, which has gone the centennial path with dignity and also has the prospects of future development.



ღილას ხეობა მანანა ქუთათელაძე

საქართველოს უმცელესი ადმინისტრაციული დაყოფა გეოგრაფიული ხევების მიხედვით ხდებოდა. „ხევი“ იყო ძირითადი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა დიდის ხევი, რომელიც თბილისის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით „...მის დასავლეთით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა, ამის სამხრით ხეობა დიდისა. გამოსდის ამისი წყალი სხალდიდისა და სათოვლისა მთას და დის აღმოსავლეთით. მიერთვის მტკარს დასავლეთიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთები. სამხრით არს ველი დიდი დიდმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ძროხათა სიმრავლენი, ნაქულბაქება ზეით არს დევის ნამუხლი-კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით მუხად გვერდი“ ვახუშტის მიხედვით „დიდის ხეობა განიყოფება ველად ანუ ბარად, ზეგნად და მთად“. ქართულ წერილობით წყაროებში დიდმის პირველ მოხსენიებას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ვხვდებით.

დიდმის ხეობაში დასახლება უმცელესი დროიდან არსებობდა, რასაც ადასტურებს სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დაწ. VIII-VII საუკუნეების გორასამარხები, დაწ. III-I საუკუნეების ორმოსამარხები და ქვერსამარხები. ხეობაში დასტურდება ანტიკურ საქართველოში გავრცელებული მიცვალებულისათვის ცხენის ჩატანების და ასევე ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ფაქტიც.

სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან თბილისის დასაპყრობად წამოსულმა ყველა დამპყრობელმა თავისი გამანადგუ-

რებული კვალი დატოვა დიდმის ხეობაში. ისტორიულ წყაროებში მრავლადა დაცული ცნობები დიდმის მიდამოებში მიმდინარე ბრძოლების შესახებ - პირველი ცნობა ვახტანგ გორგასალთანაა დაკავშირებული. იგი საბარსელების წინააღმდეგ ბრძოლის მოლოდიში დიდომთან დაბანაკდა „...ვახტანგ განაძლიერა ციხე ქალაქისანი, და ურჩეულები მებრძოლი ერისა მისისა კითარ ასიათასი მხედარი და ასიათასი ქუთით იაყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიდმით კიდრე ქართლის კართამდე, და საბარსთა დაიაბანაკებ ცხენის ტერიტორიან ჩაღმართ“.

არაბთა ბატონობის დროს, VIII-XI საუკუნეებში დიდმის ხეობა თბილისის სამიროში შედიოდა. XI საუკუნეში დიდი თურქობის დროს, სოფელი დიდო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დამპყრობლები გაზაფხულზე საქონლით აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ, ხოლო შემოღებით ავჭალა-დიდმისკენ ზამთრის საძოვრებზე გადადიოდნენ. ამიტომ დიდმის ველი თურქთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა.

XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლების შემდეგ დიდმის ხევის სოფლების მოსახლეობა საგრძნობლად იზრდება. XIII საუკუნის 20-იან წლებში ქართლში ოსმალები დამკიდრნენ. თბილისთან ერთად ოსმალებმა არც სოფლები დაინდეს. დიდომში სახლები დაანგრიეს და გადაწვეს, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაიყვანეს.

1541 წელს თბილისში და დიდომის ხეობის სოფლებში ყიზილბაშები გაბატონდნენ და ბეგარა-გადასახადებს ირანელებს უხდიდნენ. 1578 წელს ყიზილბაშთა ბატონობა ოსმალთა ბატონობით შეიცვალა, რაც 1606 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში გადასახადებს სოფლის მოსახლეობა უკვე ოსმალებს უხდიდა.

XVI საუკუნის II ნახევრიდან ქართლის მეფე სიმონ I-მა სოფელი დიდომი თავის სადგომად გადააქცია



და წლების განმავლობაში იბრძოდა სპარსელებისა და თურქებისაგან თბილისის განსათავისუფლებლად. მან დიღომთან ბრძოლაში დაამარცხა გამაპმადიანებული საქუთარი მმა, დაკით XI დაუდ-ხანი.

XVIII საუკუნეში დიღმის ხევი მუდმივად ლეპთა თარეშის ადგილს წარმოადგენდა და ეს გარემოება ძლიერ აფერხებდა მოსახლეობის ზრდას. ამას დაემატა 1736 წელს თბილისში გაჩენილი ჭირი, რომლის დროსაც დიღომში და მის მიმდებარე სოფლებში იმდენად მძიმე მდგომარეობა შექმნილა, რომ ხეობის სოფელები დროებით აყრილა და გახიზნულა.

მტერთა მუდმივ თარეშს როგორც მოსახლეობა ისე სოფლებიც ეწირებოდა. ამ სოფლების ნაწილი ლორძინდებოდა და ისევ ივებოდა მოსახლეობით, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენამდე ნასახლარების სახით მოადწია. დღეისათვის რამოდენიმე ათეული ნასოფლარია გამოვლენილი ხეობაში. სხადასხვა პერიოდში დიღმის ხეობაში შედიოდა სოფლები: ბევრეთი, დელისი, ვეძისი, კორათხევი, კარსანი, ლელობი, ზემო და ქვემო ლისი, მაჩხანი, სხალდიდი, მუხადგვერდი, საბურთალო, ტაბარუკი, შლამიაანთხევი, ძაღლაანთხევი, წმინდა წელი, წოდორეთი, წინუბანი, ვაშლიჯვარი, თეთრაძე, თელოვანი, თხინვალა, თეთრაანი ანუ თეთრაძიანი, დიდგორი, ნაქულბაქევი, ქვაბთა, ნენავი, ჯიხურები, ქობა, ჯოიანი, ნაბაჭაური, ბაჭყალა, ქუბანი, უპიტი, ძაღლაანი, ფაფანი, ბოგონო, კოშკის სერი, ბაბაკოლები, ნაოქიანი, ძაღლაანთხევი და სხვა.

დიღმის ხეობის ძირითად მოსახლეობას ყოველთვის ქართველები შეადგენდნენ, ამიტომ ამ ხეობაში მრავლდ არის უძველესი მართლმადიდებლური ტაძრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არაბობის ხანში, რომელიც VII საუკუნის შუაწლებიდან XI საუკუნის შუაწლებამდე გრძელდებოდა, იმ დროს როდესაც მთელი საქართველო ინგრეოდა და

ნადგურდებოდა დიღმის ხეობაში ქართული მართლმადიდებლური ტაძრები შენდებოდა. „დიღმის ხეობაში შემავლი სოფელებიდან ბევრი დროთა სვლამ და მტერთა შემოსევებმა აღგავა პირისაგან მიწისა, ბევრიც მოსახლეობაში მიატოვა. იგივე ბევრი ეწია ამ სოფლებში განვითარებულ კლეინისა და სხვა ნაგებობებს: ზოგი მტრის დაუნდობელმა ხელმა დაანგრია, ბევრიც ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას მოვლებული თავად დაიხვრა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ბევრი ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს თავისმა მლოცველმა მიიკიწევა და დანგრევის პირისაა მისული. მრავალმა გვარმა არც კი იცის, თუ სად ლოცულობდა მისი წინაპარი“ – წერს ირ. სონდულაშვილი. დღეისათვის უკვე ბევრ ტაძარში აღდგა დგვისმსახურება, ბევრშიც აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ბევრი ისევ უყურადღებოდა მიტოვებული.

ფასდაუდებელი ინფორმაცია დაგვიტოვა 1990-იან წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ჯუანშერ სონდულაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი და გამოკვლეული ძეგლების ნაწილი დღეისათვის უკვე აღარ არსებობს. სამწუხარო შემთხვევის გამო დიღმის ხეობაში მდებარე არქეოლოგიური ექსპედიციის შენობა, სადაც ინახებოდა ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები დაიწვა, განადგურდა ბევრი უნიკალური მასალა. ბატონი ჯუანშერის შვილმა იროდიონ სონდულაშვილმა მოგვაწოდა მის მიერ აღდგენილი მამის ხელნაწერები, რისთვისაც მას უდიდეს მაღლობას ვუხდით. ამ მასალებზე და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ დიღმის ხეობის ტაძრების ისტორია.



სოფელი დიდობა

დიდობის ხეობის ცენტრს ტრადიციულად სოფელი დიდობი წარმოადგენდა. ისტორიულ წყაროებში დიდობი – დიდუამისა და დიდვამის სახელითაც გვხვდება. სოფელი დიდობი ისტორიული და წერილობითი წყაროების მიხედვით წარმოადგენდა სახელმწიფო ონუ სახასო მამულს XVIII საუკუნის ბოლომდე, მეფე გახტანგ VI-ს „დასტურლამალში“ ცალკე თავად აქვს გამოტანილი - „დიდობის საბატონოს გამოსაღებისათვის“, რომელშიც აღწერილია სოფლის ვალდებულებები: „დიდობის გამოსაღები საბატონო არის: სახასო გლეხი კომლი რგ [113]; ამათ აქებ მაღი თავზედ შაური მცდა ორი. ამისგან ხუთი აბაზი ბატონისა არის, შაურ-ნახევარი მოურავისა და მემალისა, ნახევარ შაური სალთხუცისა და მდიღნებისა. ღალა სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონს; ურწყავზედ შეიდზედ ერთი. კულუხი შეწერით არის; მამულზედ პერდია, ღიდს დიდობით და ცოტას ცოტაობით შეაწერებ. საშობაო ცხუარი ი; სააღდგომო ცხუარი ი. ბატონის ზვრის მუშაობა ყოვლის-ფრით იმათ უნდა შეიმუშაონ. ყარაიაზედ პირველზედ კონის ჩადგმა, რამდენიც გუთანი გამოვა, სამ დღეს ყარაიაზედ კუანა, მისი მოკა, შეტანა და გალეწუა; ბატონის აყრაზედ ცხენისა და ურმის თხოება, ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგმურის დაყენება; ბატონის მიბრძანებაზედ შეძლებით სამასპინძლო; საბაზიურო ქათამი, კომლზედ თვითო ქათმის პარება, თავილის ქეშიური, კოჭორზედ მეჯინიბის ბატკანი...“. ასევე ცალკეა გამოტანილი „სადედოფლო“ გლეხების მოვალეობანი.

ერეკლე მეფემ თავის ქალიშვილს ქათევანს, იოანე მუხრანბატონის მეუღლეს, მზითვად სოფელი კარალეთი მისცა, რომელიც მას პავლე ციციანოვმა ჩამოართვა. 1810 წლის 16 აგვის-

ტოს ქეთევან ბატონიშვილმა რუსეთის იმპერატორს თხონით მიმართა სოფელ კარალეთის მაგივრად მისთვის სოფელი დიდობი ებოძებინა: „განსვენებულმან მეფემან ჩემისა, გათხოვებასა ჩემსა ზედა მეფეურისა ნებითა თვისითა და მშობლიურითა ჩემდამი სიუკარულითა ინგა მონიჭებად ჩემდა მზითვად სოფელი კარალეთი, დამტკიცებული ჩემის სამკიდროდ და საბოლოო სამცდომებულოდ სამეცნისა სიგელითა მისითა. სოფელსა ამას უფლობით მე განსვენებით თვინიერ ყოველთა ვისგანმე ცილებათა მისითა. უმეტეს ხანთა ესე ვითარცა ცილებისათვის დადებულთა გარნა შემდგომად რუსეთის მმართველობის შეტანისა საქართველოსა შინა სოფელი ესე ჩემი მმართველობასა თავადსა ციციანოვისასა მიღებულ იქმნა ჩემგან. თუმცა საჩივარსა ჩემსა შეუდგა თქვენის იმპერატორების დიდებულებისა შინაგანთა მინისტრისა გრაფ ქუჩების მიერ უმაღლესი ბრძანებით რათა მექმნას მე თანხმობითა ჩემითა ნაცვლობა სახეთა ღირსებისამებრ ამისისა ქონებითა. გარნა ვიდრე აწამდე შეიდი უკვე წელი არს ჯერ ცალიანებულ მე თვინიერ ყოველისა ნაცვალებისა. ყოველად უმოწყალესო ხელმწიფე, გარდონებედე მოწყალითა თვალითა სიმაღლით ტახტისა შენსა დამხობილოთა უქსთა ქუჯე მისთა ასელსა და შეილოთა მეფისა“.

1811 წლს იმპერატორმა დააკმაყოფილა ქეთევნ ბატონიშვილის თხოვნა და ამის შემდეგ სოფელი 1920 წლამდე ბაგრატიონ-მუხრანელების საკუთრებას წარმოადგენდა. საბჭოთა პერიოდში სოფელი დიდობი მცხეთის მუნიციპალიტეტში შედიოდა. 2007 წლიდან სოფელი და დიდობის ხეობის დიდი ნაწილი თბილისის საზღვრებში მოქმდა.



1. დიღმის წმინდა მარინეს ეკლესია



სოფელი დიღმის ცენტრში დგას წმინდა მარინეს ეკლესია, რომლის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია. შესაძლებელია იგი სოფლის სხვა ეკლესიების თანადროულად, ადრევეოდალურ ხანაში აშენებულიყო. ამ ვარაუდს ამყარებს 1987-1988 წლებში ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების დროს ეკლესის გარშემო მოპოვებული კარგად გათლილი ორნამენტებიანი ქვის კვადრები და კვარცხლბეკი, რომელზედაც ახლანდელი ეკლესია აგებული. იგი თავდაპირველად დამუშავებული თლილი ქვით უნდა ყოფილი იყო ნაგები, „ეკლესის ხელმეორებდ აშენების დროს ძველი ეკლესის ქვა კვარცხლბეკის გასამართად გამოუყენებიათ, ხოლო ახლანდელი ეკლესია შემდგომ საუკუნეებს განეკუთვნება, რომელშიც შეცვლილია სამშენებლო მასალა და თლილი ქვის ნაცვლად

აგურია გამოყენებული.“ - წერს ირ. სონდულაშვილი

1902 წელს, წმინდა მარინეს ეკლესის წინამდგარი მამა იოველ გამრეკელი წერს, რომ „წმინდა მარინეს ეკლესია აშენებულია 1320წ.“ ცნობილია, რომ 1283 წელს საქართველოში მიწისძვრა მომხდარა, რომლის შედეგადაც ქართლში ბევრი ეკლესია-მონასტერი დანგრეულა და დაზიანებულა. მიწისძვრა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ სვეტიცხოველის ტაძრის გუმბათიც კი ჩამოიქცეულა. ცხადია სოფლის შედარებით პატარა ეკლესიებიც დაზიანდებოდა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ 1320 წელს მოხდა წმინდა მარინეს მიწისძვრისაგან დაზიანებული ეკლესის აღდგენა-შეკეთება.

1335 წელს, გიორგი ბრწყინვალეგი საქართველო მონდოლთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა. მან აღადგინა ქართველთა მონასტრები იერუსალიმსა და სინას მთაზე. ამავე პერიოდში მას დიღმის ხეობის ეკლესიებიც აღუდგნია, მათ შორის დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიაც. XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც დიღმის თავის წმინდა გიორგის ტაძარი მუხრანბატონებმა კარის ეკლესიად გადააკეთეს, სადეკანოზოდ წმინდა მარინეს ეკლესია გამოცხადდა. მრევლის გაზრდის გამო საჭირო გახდა ეკლესის შენობის გადიდება. ტაძარის დარბაზი დასავლეთის მხრიდან დაუგრძელებიათ და სამხრეთის ფასადში ახალი შესასვლელი გაუმართიათ.

სელოცნებათმცოდნე თ.სანიკონის 1996 წელს ჩატარებული აღწერით: „ეკლესია დარბაზულია ($14,1 \times 6,25\text{m}$) მთლიანად ნაგებია აგურით და მთლიანად შელესილი ყოფილა. შესასვლელი სამხრეთიდანაა კარი გარედან გადახურულია არქიტაკტიონი, შიგნიდან-ნახვარწილული თაღით. აღმოსავლეთით დრმა ნახვარწილული აფსიდია. გრძლივ კედლებზე ერთსაფეხურიანი



პილახტრებია, რომლებსაც ეყრდნობა შეისრული საბჯენი თაღები. პილახტრებს შორის გადაყვანილი ნახევარწრიული დეკორატიული თაღები ღრმა ნიშებს ქმნის. სამხრეთ კედელში სამი ფართო სარტყელია, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაში თითო. აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევლის ორივე მხარეს ორი დაბალი საბჭოთა ნიშია, რომელთა კონქრი სათაურები მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი. ქალებისას აგურის ორი პირისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს“.

წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოში შემორჩენილია XIX საუკუნის საფლავის ქვები. აქ დასაფლავებულია მდვდელი „დავით გიორგიევი“ რომელმან გიმდუდელე ამა ქალებს შინა 39 წელი. ხოლო გარდავიცვალე 64 წლისა 1855 წელსა მარტის 21 დღესა.“ აქვეა დასაფლავებული მუხრანბატონის გამზრდელი - „ამ საფლავს მდებარეა ქნიანის არჩილის ბაგრატიონის-მუხრანბატონის გამზრდელი ელისაბედი უქმრო და უშვილო შობიდამ. მხილველთა გვევრებით შენდობა ბრძანოთ. გარდაიცვალა წყდა წელსა ოკომრისასა.“

1902 წლის 2 აგვისტოს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა სტატია ტაძრის გარშემო მდებარე სასაფლაოს შესახებ: “შეა ხოფელში წმ.მარინეს ეკლესია. გალავანში უწინ საერთო სასაფლაო ყოფილა; ეხლაც შეიძლება დამარხვა მიცვალებულისა, თუ ჭირის-უფლები 40 მანეთს გადაიხდიან. ამ თვენახევრის წინად ერთი მიცვალებული დაუმარხავთ, 40 მანეთი აუდიათ, მკლი მკვდარი ამოუდიათ, და ახალი ჩაუსვევებიათ. საბრალო მკვდრის ჩონჩხი ეხლაც იქვე ჰქონია და გამვლელ-გამომკლელი ფეხ-ქვეშ სთელავენ. კარგი იქნება, ვისაც ეს საქმე შეეხება, დავთორებში ჩაიხედოს და გაიგოს, იქნება იმ მკვდარსაც 40 მანეთი ჰქონდა მიცემული, და რაღაც ემართლებინ საფლავიდან ამოღებას!“

ამ ბრალდებას ამავე გაზეთში დიდი სამრევლო-საეკლესიო სკოლის ზედამხედველი, მღვდელი იოველ გამრეველი პასუხობს რომ „...არავის ახსოვებ და არც გაგონილა, თუ ოდესაში აქ სასაფლაო ყოფილიყოს; არც გადასახის საბუთებშია სადმე მოხსენებული მიცვალებულის დამარხვა და ვულის გარდახდებინება ეკლესიის გალავანში მოხდება ხოლმე ადგილობრივის ძღვდელ-მთავრის ხებართვით და არა ძღვდლის მიერ; ძღვდელი მხოლოდ ამა წედ ფორმალურ მოწერილობას მიიღებს ხოლმე მთავრობისაგან. მიცვალებული რომელზედაც თ-ჯ ლაპარაკობს, დასაფლავებულია სამრეკლოს ახლოს, სადაც ზარის მრეკავთ უკეთ შეეძლოთ შეემჩნიათ, რადგან ყოველ შაბათკიორას ირკება ზარი, და თუ ამას შეამჩნევდენ, რასაკირველია, მომმართავდნენ მე, როგორც კაკელის წინამდევარს; გარდა ამისა ჩეენ, კაკლების წინამდევარნი, როდესაც ნებას გაძლევთ საფლავის გათხრისას კაკლების გალავანში, კაძლევთ იქ სადაც არავითარი ნიშანი ადგილს არა ეტყობა-რა. წარმოვიდგინოთ, რომ მოთხოვის დროს მეხაფლავეთ შეამჩნიეს ძვლები, ამოღებს საფლავიდან, ან კი რომელი ქრისტიანი იზამბ, სხვაგან გადაიკრას, თუ არა იქვე მიქვევას, საიდანაც ამოღოთ?! იქ მიცვალებული, რომელზედაც თ-ჯ ლაპარაკობს, დასაფლავდა იქ, სადაც მისი ნათესავები არიან დასაფლავებულნი; თუ მიკეცით ნება იქვე დასაფლავებისა, მივეცით იმიტომ, რომ თავისუფალი ადგილი იყო, ან კი საიდან წარმოვიდგენდით, რომ ოდესაში იქ ყოფილია კინძე დასაფლავებული?...“

1869 წელის სექტემბერში წმინდა მარინეს ეკლესიის ეზოში დიდი სეინის პირველი ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა. თავდაპირველად სკოლის შენობა მხოლოდ ორი ოთახისაგან შედგებოდა – დიდი ოთახი მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო



პატარა საყარაფლოსა და სახოფლო სასამართლოს წარმოადგენდა. 1870 წლის 15 იანვრის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ, რომ „ჩვენი სიღარიბისადა გვარად შეოლა კარგად არის მოწყობილი“ მოსწავლეთა რაოდენობა 23 მოსწავლეს აღწევდა „ათი-თორმეტი წლის ბიჭების გვერდით ვაჟებიც სწავლიდები.“ სოფელში ასევე ქალთა სკოლაც არსებობდა, რომელშიც ოცა-მდე გოგონა სწავლობდა. სკოლას თავისი საჯუთარი შენობა არ გააჩნდა. მეცადინეობები ტარდებოდა მასწავლებლის სახლში, რომელიც ამავე სოფელში ცხოვრობდა. სკოლებში აღგილობრივი მღვდლები ასწავლიდნენ. თუმცა ამ სასწავლებლებს დიდნანს არ უარსებია.

1897 წლის, 10 აპრილის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „სოფელი დიღომი თბილის თითქმის ზედვე აკრაგს, და აქმამდე ამ სოფელში სკოლა არ არსებობდა. ამ სოფელს, რომელშიც თხებას ზედ მეტი ძცხოვრებია, შეუძლია შეინახოს არა თუ ერთ-კლასინი, არამედ ორკლასინი სახსწავლებლიც. ამ სოფლის ახალგაზრდობა აქმამდე მოკლებული იყო რუსულ-ქართულ წერა-კითხვის ცოდნას. ბევრჯერ მოისურვეს სოფლებმა სკოლის გახსნა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა ამ ბოლო დორმის. ახლა-კი დაგვა დრო, რდებს ეს დიდი ნაკლი შევხებულ იქნება. მარტის თვეში გორიდამ დიღომში გადმოიყვანეს ძღვდლიდად მამა იოელ გამრეკელი, რომელმაც პირველი თვისი უურადღება მიაქცია დიღომში სკოლის უქონლობას. ამის თაობაზედ მამა გამრეკელი მოელაპარაკა დიღომის მამასახლისს ბ. მამუნაშვილს, რომელმაც თვისის მხრით მოძღვარს უოველი დახმარება და შემწეობა აღუთქა. 2 მარტს, დიღომის მაკლესიში მამასახლისმა ხალხი შეკრიბა. მამა იოელ გამრეკელმა წარმოსთხვა ხალხის წინაშე ქადაგება სწავლა-განათლების მნიშვ-

ნელობის შესახებ; ხალხი ზედ ამ ქადაგებამ იმოქმედა; ხალხმა იმ დღესვე განაჩენი შეაღვინა. ამ განაჩენის ძალით უნდა გახსნილ იქნას დიღომში ერთ-კლასინი საგვარეულო საკოლა; თითოეული კომლი გაღდებულად ხდის თავისს თაგე აძლიოს უველ წლივ სკოლის შესანახად ათათი შაური. მამა გამრეკელმა უოველი გარემოება საქმისა განაჩენითურთ ქართლ-კახეთის საეპარქიო სახსწავლებლი საძოოს მოახსენა და თანაც წარუდგინა დასამტკიცებლად მახსავლებლებლი თანამდებობაზედ ქალბ. ჭელიძისა, რომელმაც ამ ხეთის წლის წინად სწავლა დაამთავრა თბილისის საეპარქიო საქალებო სახსავლებელში და აქომამდე სოფელ დიღომში კერძო მასწავლებლად იყო. მამა გამრეკელი შუამდგომლობს, რათა ის შენობა, რომელიც დიღომებმა დაიქორავებ დღეს სკოლის მოსათავსებლად, სოფელს დაუთმოს სახელმწიფოდ.“

დიღომელების თხოვნა მალევე გაუზიარებია საქართველოს ეგზარქოს „მისს ყოვლად-უსამღვდელოებობას, საქართველოს ექსარხოსს უთხოვნია ბატონ ტფილისის გუბერნატორისათვის დააქართოს სოფელ დიღომის მკიდრთა განაჩენის დამტკიცება, ერთ-კლასინი სამრეკლო-საგვარეულო სკოლის დაარსების შესახებ“ - წერს 1897 წლის, 30 აპრილის გაზეთი „ცნობის ფურცელი“.

დიღმის მოსახლეობის დაუინგებული თხოვნის შედეგად 1897 წელს დიღმის ხეობის სამრეკლო სკოლა გაიხსნა. „საქართველოს საეგზარხოს სასულიერო მოამბეში“ ვკითხულობთ: „28 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსმა კლადიმერმა სოფელ დიღომში აკურთხა ერთკლასინი სამრეკლო სკოლა. საზეიმო წირვა დიდი პომპუზურობით ჩატარდა დიღმის წმინდა მარინეს გვლენიაში. წირვას ესტრებოდნენ რუსეთის იმპერიის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. თბი-



დისიდან და მიმდებარე სოფლებიდან დიდძლი ხალხი“

„დიდის სამრევლო სკოლა. კვირას, 28 ენერისთვეს, საქართველოს გენერალური კლადიმირმა აკურთხა ახლად დაარსებული სამრევლო სკოლა სოფლიდომში, თავ. კ.ი. მუხრან-ბატონის მაძულში. თავ. მუხრან-ბატონმა ამ თავითვე სკოლის გასაწყობად შესწორა 400 გ. და ყოველ წლივ აღუთქა 100 გ. თუ აგრობომიური განყოფილებასაც გახსნიან, მაშინ თავ. მუხრანს აძლევს მიწას, რამდენიც დასჭირდება.“ (1897 წ. „ცნობის ფურცელი“ 30 სექტემბერი).

1902 წლიდან სოფლის მაცხოვრებელთა თხოვნით შენობა სკოლას გადაეცა. შენობა რესტავრაციას საჭიროებდა. თბილისიდან საგანგებოდ მოიწვიეს მშენებლები, შეადგინეს შენობის სასკოლოდ გადაკეთების გეგმა, რომელიც პეტერბურგში გადააგზავნეს. უწმინდესმა სინოდმა თხოვნა დააკმაყოფილა და თანხა გამოაგზავნა. შენობის რესტავრაცია 6 თვეს გაგრძელდა.

1902 წლის 2 აგვისტოს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი სტატიიდან ვგებულობთ, რომ დიდმის სამრევლო სკოლისათვის ზრუნვა სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც დაუწყიათ: „ორი კვირაა დიდომში კვირაობით ტფილისის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენები იმართება დიდომის სამრევლო სკოლის დასაარსებლად. ხალხი ძლომად ეხსრობა და ნაიძომოვნებიც ბრუნდება შინ. ადგილების ფასები 15-დან 50 კაპიკამდეა. საქმის მოთავენი მადლობის დირსნი არიან. კარგს იზამენ, შემდეგ შიაც განავრდონ ასეთი წარმოდგენები. აღგენებ უფრო ა. ცავარელის კომუნიებს, რაიცა ხალხს მოსწონს და ასიამოვნებს.“

დიდომში ახლადაგორებული რევოლუციური მოძრაობის დროსაც არ დაუკარგავს წმინდა მარინეს ეკლესიას თავისი ავტორიტეტი და მნიშვნელობა. ყველა საპროტესტო აქცია, რა თემასაც არ უნდა შეხებოდა იგი, ყოველთვის წმინდა მარინეს ეკლესიასთან

იყო დაკავშირებული. ამისათვის ქართულ პრესაში დაბეჭდილი რამოდენიმე სტატიის მოყვანაც კი საკმარისია:

- 1905 წლის მარტი „ცნობის ფურცელი“ – „დიდომის გაკლებიაზე დიდძლი ხალხი შეიკრიბა. ყრილობას ექვსასმდე კაცი და ქალი დაეხსრო. ყრილობა შეუდგა მშვიდად, წესიერების დაურღვევლად გლეხობის ეხლანდებლი მდგომარეობის გამორკვევას. ყრილობაზე მრავალი აზრი გამოითქვა. განაცხადეს, რომ გლეხობა დღევანდებლი ცხოვრებას აუზანელ პირობების წყალობით მეტად ცუდს მდგომარეობაშია. უკულავერში გადასახადია. ახდევინებენ საბალახესა, ტყისა და მრავალ ხევას. ყრილობამ საჭიროდ სცენო გადასახადების სრულად მოსპობა საბალახესა და აგრეთვე მტკვრის პირად ქვიშმიწის სარგებლობისათვის ყრილობამ აარჩია 10 კაცი წარმომადგენლებათ და დაავალა უფრო დაწვრილებით გამოარაგიოს გლეხობის საჭიროებანი. ყრილობამ აარჩია აგრეთვე რამდენიმე დეპუტატი და გააგზავნა თავის მოთხოვნილებებით დიღომის მემამულეს კნ, ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან.“

- 1905 წლის აპრილი „ცნობის ფურცელი“ – „ს. დიდომი (ტფ. მაზრა). ამას წინად დიდმის საზოგადოება შეიკრიბა სოფლის თავში და სჯა პქონდა თავის ჭირ-გარამზე. ყრილობას დაეხსრო მთელი დიღომის საზოგადოება, 1200 კაცი და ქალი. დიღომის ათ საათიდან ნაშუადღევს სამ საათამდის ილაპარაკებ და გამოარაკიებს თავიანთი მოთხოვნილებანი. ყრილობის შემდეგ მთელი საზოგადოება დაიძრა სოფლის კენ წითელის დროშებით და „გაუმარჯოს ერთობის“ კვირილით. მივიდნენ თავ. მუხრანსკის მთიჯარადორებთან და წარუდგინეს შემუშავებული მოთხოვნილება. შემდეგ მივიდნენ ეკლესიაში და მღვდელის თანდასწრებით შემფიცევა ერთმანეთს ერთობაზე“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წმინდა მარინეს ეკლესიაში შეწყდა დვოისმსახურება. თავდა-



პირველად ეკლესია პურის საცხობად გამოიყენებოდა, ხოლო ეკლესიის სასაფლაოს ტერიტორია საჭიდაო მოედნად გადააქციეს. მოგვიანებით ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო შენობები და დიდი მაღაზიის შენობა ააგეს.

სოფელ დიღომის მაცხოვრებელთა ინიციატივით საყოფაცხოვრებო შენობები და მაღაზია დააწერიეს. წმინდა მარინეს ეკლესიის წინამდგრის მამა დავით ისაკაძის ძალის სხმევით და არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას პროექტით ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. ეკლესიის სამხრეთი ფასადის შესასვლელ კარზე დამატებითი სადგომი-კარიბჭე მიაშენეს და მთლიანად შეცვალეს ეკლესიის აგურის პერანგი, ამოშენებულ იქნა მეორე, ძველი შესასვლელიც, რომელიც ახლანდელი შესასვლელის აღმოსავლეთით იყო მოწყობილი.

ახლად მიშენებულ კარიბჭეს ეკლესიის სამხრეთ ფასადის თითქმის ნახევარი უკავია. კარიბჭე შიგნიდან სამ ნაწილად არის დაყოფილი. ცენტრალურ ნაწილში კამარა დაბალი გუმბათოვანი ფორმისაა, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ განყოფილებაში ცილინდრულადაა გადახურული. კარიბჭეს აღმოსავლეთ განყოფილების სამხრეთ ფასადში ერთი გირზო სარკმელია დატანებული. კარიბჭეს ფასადი დეკორატიულადაა დამუშავებული, ცენტრალური თაღის თავზე მოთავსებულია ჯვრის გამოსახულება.

ეკლესიის ფასადებზე ნუთი ნახევარწრული სარკმელია მოთავსებული, აქედან ორი სამხრეთის ფასადზე, ხოლო თითო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის ფასადებზე. სამხრეთის სარკმლის გაუქმების შემდეგ, ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთ ნაწილში გამოჭრილი სარკმელი გადაკეთდა.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სიბრტყეზე გაკეთებულია ორი ვიწრო და მაღალი სამკუთხა გეგმის მქონე

ნიში, ორივე ნიშის თავში მოთავსებულია მარაოსებური ორნამენტი, ხოლო სარკმლის თავზე თრსაფეხურიან კვარცხლბეჭებული მდგარი დიდი ზომის ტოლმკლავა ჯვარია, რომლის მკლავებიც გრეხილი უწყვეტი ორნამენტებითაა შემკული და მის ცენტრში მედალიონში ჩამჯდარი დეკორატიული ქვაა მოთავსებული. აღმოსავლეთის სარკმელს მაღლიდან საზღვრავს თავსართი.

საკურთხეველი დარბაზიდან ორი საფეხურითაა შემაღლებული და გამოყოფილია ორნამენტებით მორთული ხის კანკელით. ტაძარში დაბრძანებულია ახლადდაწერილი ხატები, რომელთა შორის აღსანიშნავია წმინდა მარინეს ხატი მისი წმინდა ნაწილით. ასევე აღსანიშნავია ხატმწერ შოთა ცინცაძის მიერ დაწერილი ხატი, რომელზედაც სოფელ დიდმის მფარველი წმინდანებია გამოსახული (წმ. სამება, კვირაცხოველი, ჯვართამაღლება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, წმ. ნინო, წმ. მარინე, წმ. გიორგი, წმ. თეოდორე, წმ. მოციქული სტეფანე, წმ. დავითი და წმ. კონსტანტინე). ტაძარში ასევე დაბრძანებულია ცრემლმდინარე წმინდა ნიკოლოზის ხატი.

ტაძარი შელესილია და მოუხატავი. ირ. სონდულაშვილი წერს: „ეკლესია მოხატული ყოფილა. საკურთხეველისა და სხვა ადგილებში შემორჩენილი იყო ფრესკის კვალი... მკვლევარები მიიჩნევენ, რომ დიღმისთავის წმინდა გიორგის და წმინდა მარინეს ეკლესიები ერთი და იგივე პერიოდში [XIX-XXსს. მიჯნა] და ერთი და იგივე მხატვრის მიერ უნდა იყოს მოხატული.“

ბოლო წლებში ტაძრის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოვწყო, შემოერტყა გალავანი. ეზოში აშენდა სამრევლო სკოლის შენობა. ეკლესიას შემოვლებული აქვს ახალი გალავანი, რომლის შემოსასვლელი კარიბჭეს თავზე აგებულია სამრეკლო. დიდმის წმინდა მარინეს ეკლესიაში 1998 წლის 28 აგვისტოს აღდგა ღვთისმსახურება.



2. წმინდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის ეკლესია



სოფელ დიდომში, მამადალანთ უბანში დღემდე შემორჩენილია უძველესი ტაძრის ჩრდილოეთ კედლის დიდი ქვებით ნაგები საძირკველი. ამ საძირკვლის მიხედვით ირკვევა, რომ ძველი ტაძარი საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა. ირ. სონდულაშვილის აზრით ეკლესია აშენებულია წინაქრისტიანული ხანის სამლოცველოზე. აქ უხვად არის გამოვლენილი გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ამსახველი არქეოლოგიური მასალა.

ძევლი ტაძრის ჩრდილოეთ კედლის გვერდით შემორჩენილია სამაროვანი, რომელიც ქაფუთის ზომის მიხედვით ბავშვის საფლავია. ადრეფეოდალური ხანის ეს სამაროვანი გვაფიქრებინებს, რომ ქრისტიანული ტაძარი ამ პერიოდში, ანუ IX-X საუკუნეებში უკვე არსებობდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ძველად ამ ეკლესიას „ბრძა თევდორესა“ და „წითელი საყდრის“ სახელითაც მოიხსენიებდა. შესაძლოა „წითელი“ მას სამშენებლო მასალის – აგურის გამო დარქმეოდა, რაც შეეხბა „ბრძა თევდორეს“ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით.

საბჭოთა პერიოდში ეკლესია კერძო მოსახლის ეზოში მოექცა. მაცხოვრებლების გადმოცემით ტერიტორიის გაწმენდის დროს დაზიანდა ტაძრის

კედლის ნარჩენები და ამოიყარა ძველი სამაროვნები.

სოფელში შემორჩენილი ძველი ტრადიციის მიხედვით, დიდი მარხვის პირველ შაბათს, წმინდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის ხენების დღეს, სოფლის მაცხოვრებლები ამ ტაძართან მიდიოდნენ სალოცავად. ამ ტრადიციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაედგინათ, რომ უძველესი ტაძრი წმინდა ტირონის სახელზედ იყო ნაკურთხი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ეკლესია „მამადალაანთ“ უბანში მდებარეობს. ამ უბნის ძირძველ მოსახლეობას მძევაშვილები ანუ მზევაანენიმზევაძეები წარმოადგენენ. ისინი სოფელ დიდომის უძველესი გვარის წარმომადგენლები არიან. პირველი წერილობითი საბუთი, სადაც ამ გვარს ვხვდებით 1466 წლითაა დათარიღებული, იგი სვეტიცხოველის სიგელია და მეფე ბაგრატის შეწირულობას წარმოადგენს. XVII-XVIII საუკუნეებები მზევაძეები სვეტიცხოვლის, ხოლო შემდგომ პერიოდში კი უკვე სამეფო-სადედოფლო ემებად გვევლინებიან. ამის დასტურია ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“, სადაც ვკითხულობთ: „დიღომში რაც სადედოფლო გლეხი არის: ...მზევაანი ხოლუა და მისი ძიძას შვილები თოარა და კაკილა მოყალინე. ეს მხატვები დაღასა და კულუხას თარხები არიან...“. XX საუკუნის დასაწყისიდან გვარი დამახინჯდა და ისინი უკვე მძევაშვილებად იწერებოდნენ.

ამ გვარის წარმომადგენლები წმინდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის ტაძარს ტრადიციულად თავის საგვარეულო ეკლესიად თვლიან. სოფელ დიდმის მკვიდრის ლვთისო მძევაშვილის ინიციატივით და სახსრებით ძველი ეკლესის საძირკველზე აშენდა ახალი ტაძარი. 1998 წელს, წმინდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის ხენების დღეს ამბა ალავერდელმა მთავარგაბისკოპოსმა დავითმა (მახარაძე)



ახლად აგებული ტაბარი წმინდა დიდ-მოწამე ტორონის სახელზე აკურთხა.

ახლადაგებული ეკლესიის პროექტის აკტორია რევაზ ჯანაშია. ირ. სონდულაშვილის აღწერით წმინდა თეოდორე ტირონის ეკლესია ერთნავიანია და ნაგებია ძველი წითელი აგურით. იგი აგებულია სამ საფეხურიან შემაღლებაზე. ეკლესია თავის გარშემოწერილობასთან შედარებით მაღალია. ტაბარს შევრილი ხუთწახნაგა აფსიდი აქვს, რომელიც დარბაზის კედლებთან შედარებით სიგანეში უფრო შევიწროვებულია. ეკლესიის კედლებზე მოთავსებულია ოთხი ვიწრო სარკმელი. პირველი სარკმელი აღმოსავლეთით შვერილი აფსიდის ცენტრშია, მეორე აფსიდის ცენტრალური სარკმლის მარცხნივ, მესამე დარბაზის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე დასავლეთის კედლებზეა მოთავსებული. ყველა სარკმელი გარედან ნახევარწრიული მოყვანილობისაა.

ეკლესიის აფსიდის აღმოსავლეთის სიბრტყეზე მდებარე სარკმლის თავზე აგურით ჩაშენებული დიდი ზომის ჯვარია, რომელსაც თავზე, მთელ სიგანეზე გასდევს აგურითვე დეკორატიულად ჩაშენებული ნახევარწრიული მოყვანილობის თაღი.

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, რომელზეც მიშენებულია ოთხკუთხა გეგმის მქონე კარიბჭე, კარიბჭის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარე ღიაა და ნახევარწრიული თაღებია გაპეტებული. დასავლეთის თაღი კედლიდან შვერილ კონსოლებს ეყრდნობა, ხოლო კარიბჭის სამხრეთის ფასადში გაპეტებულია ორი დიდი ზომის შეწყვილებული ნახევარწრიული მოყვანილობის სარკმელი. ეკლესიის დარბაზი მოქცეულია ორფერდა გადახურვის ქვეშ. ცალკე გამოყოფილი გადახურვის ქვეშ იმყოფება აღმოსავლეთით მდებარე შვერილი აფსიდი, რომელიც დარბაზის გადახურვასთან შედარებით დაბლაა, სამხრეთის კარი-

ბჭე ციცაბო გადახურვის ქვეშაა მოქცეული.

ეკლესიის დარბაზი პატარა ზომისაა, კედლები შელესილია გაჯით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი ნახევარწრიულივე კონქით ბოლოვდება, ეკლესიის საკურთხეველი არ არის ღრმა და ორი სარკმელით ნათებება. აფსიდის ცენტრალური სარკმლის სამხრეთით ოთხკუთხა ნიშია გაკეთებული, ხოლო მეორე ნიში, ცენტრალური სარკმლის ჩრდილოეთით მდებარე სარკმლის ქვეშაა მოთავსებული და ისიც ოთხკუთხა ფორმისაა. საკურთხეველი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურითაა შემაღლებული. დარბაზის კედლებზე ორი წყვილი პილასტრია, რომელებიც ორსაფეხურიანი კაპიტელებით ბოლოვდება და ზედ ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პირველი წყვილი - მოპირდაპირე პილასტრი საკურთხევლის ნახევარწრიული კონქის დაბოლოებასთანაა და კედლებზე ორ საფეხურს ქმნიან. მეორე წყვილი - მოპირდაპირე პილასტრი კი დარბაზის ცენტრშია. შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს, დასასვლელის კედლობან, მესამე ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღია გაკეთებული, რომელიც ჩრდილოეთით და სამხრეთით ფასადებიდან შვერილ ხუთ საფეხურიან კონსოლებზეა დაყრდნობილი.

ეკლესია შიგნიდან მაღალია, ამიღომაც მიუხედავად დარბაზის სიმცირისა, შემსვლელი საკმარის სივრცეს აღიქვამს. ეკლესიის ყველა სარკმელი, როგორც გარედან, ასევე შიგნიდან ნახევარწრიული მოყვანილობისაა. საკურთხეველს აქვს სის, მოჩუქურთმებული ლამაზი კანკელი.

კანდელის ხატები ათონის ივერიის ყოვლადწმინდა დვოთისმშობლის მონასტრის ძირითადი ტაძრის კანდელის ხატების ასლებია. ეკლესიაში არის დაგით რთველიაშვილის მიერ ხეში ნაკეთი ჯვარცმა და წმინდა თეო-



დორე ტირონის ხეშივე ნაკეთი ხატი. ტაძრის მთავარი ხატი დაწერილია ბერ ეპიქის (შველიძე) მიერ. ტაძრის კარი ლამაზი ჩუქურთმებითა შემკული და მის თავზე ხეზე ნაკვეთი წმინდანებია გამოსახული. ტაძარს გალავანი აქვს შემორტყმული.



სამაროვანი ტაძრის ეზოში



კანკელი



წმთელდორე ტირონის ხატი

3. ჩარგალეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია



სოფელ დიღმის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მიღიხევის მარცხნა ნაპირზე დგას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია, რომლის გარშემო სოფელი ჩარგალი იყო გაშენებული, დღეს იგი სოფელ დიღმის საზღვრებშია მოქცეული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია დიღმის ხევის ერთ-ერთი უძველესი ტაძარია, იგი VIII-XI საუკუნეებშია აგებული. მოგვიანებით, XIV საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალის დროს ეკლესია გადაუკეთებიათ, რომლის დროსაც გამოუყენებიათ აგური და ფიქალი ქვა. ორ სონდულაშვილის აზრით „შესაძლოა ძეგლი აგებული იყოს ძეგლ სამლოცველოზე, მის გარშემო მრავლად მოსჩანს ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც წინაქრისტიანული ხანის გადმონაშთებს წარმოადგენენ.“

ხელოვნებაომცოდნე თ. სანიკოძის 1990 წლის აღწერით: „ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ზემო უბანში, ფერდობზე, თარიღდება აღრინდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია ($8,95 \times 5,65$), ნაგებია უხეშად დამუშავებული მოხრდილი ქვებით. გვიანდებლი შეკეთების დროს გამოუყენებიათ აგური და ფიქალი. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია – კამარა, სახურავი და კედლების ზედა



ნაწილი ჩამონაბრუელია. შესახვდელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთის არა-დრმა აფხიდში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. დარბაზის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები დანაწევრებულია წყვილი დეკორატიული თაღით. თაღები კუთხეებში კონსოლებს, ხოლო ცენტრში პილასტრებს ეყრდნობა. ახე-თივე თაღია დასავლეთის კედლებზე. დარბაზის დასავლეთ მონაკვეთში, გრძივ კედლებზე მიშენებულია კონტრ-ცირკების მხგავსი გაურკვეველი დანიშნულების სქელი კედლები (შემორჩენილია ფრაგმენტები). აგურისა და ქვის დიდი ლოდებით ნაგები კანკელი (ამჟამად დანგრეულია) გვიანდელ ვერდალურ ხანას მიეკუთვნება. შესახვდელს გარედან ქვის არქიტაგრი აქვს (ხოვრა 2.5 მ), რომლის ცენტრში, წრეში ჯვარია ამოკვეთილი.

რენე შმერლინგი სასაფლაოს ღვთისმშობლის ეკლესიის არქიტაგრის ჯვრის შესახებ აღნიშნავს, რომ ასეთმა ორიგინალურმა ფორმის ჯვარმა „არ პოვა გამეორება ქვაზე ქართულ კეთოლობაში“. ეკლესიას შესახვდელი ჩრდილოეთ კედლებშიც პქონდა გაჭრილი, რომელიც დაკავშირდება ამოშენებულია.

საინტერესო ცნობას გვაწვდის 1883 წლის 7 ოქტომბერის გაზეთი „დროება“, რომელშიც დაბეჭდილია სვეტიცხოვლის მიტროპოლიტის 1784 წლის - „განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტირიისა მიერ“, რომელშიც მიტროპოლიტი ნიკოლოზი „დიდმელნ ხუცებს აბრაამს და პავლეს“ აძლევს მითითებებს: „...ორნი იგი ეკლესიანი, ერთი ყოვლად წმიდისა და მითითებულისა, რომელიცა არს სასაფლაო აბრამ ხუცეს მამა-პაპათა და კვალად უკლესია თეთრი წმიდისა გოორგისა. ეს ორი ეკლესია მიგვიცემია თავის შემოსავლით საკუთრად აბრამისათვის, რომ მეორე ხუცესი ვერ შეეცილოს“.

იმის გაგებაში თუ სოფელ დიდომში მცხოვრებ რომელი გვარის „არმომადგენლის „არს სასაფლაო

აბრამ ხუცეს მამა-პაპათა“ დაგვეხმარა 1725 წელს ვახტანგ VI-ის მიერ გიორგი ლასურაშვილისა და მის ძმების მეფისათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახურისათვის გაცემული მამულის წყალობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწეუნითა დუთისათა ჩვენ, დუთის-ამაღლებულმან, დუთივ ცეკვით ზეცით გვირგვინოსანმან იქევან დავითიან-ხოლომონიან-პანგრატიონანმან და ყოვლისა საქართველოსა თვთმცყრობელმან მეფეთ-მეფებ პატრონმა ვახტანგ და თანამეცხედრებან ჩვენმან ჩერქეზ-ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან ჩვენმან რუსებან ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებული და საბოლოოდ გამოსადევი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყველეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვენთა დიდათ ერთგულსა და ნამხანეურს ემას ლასურის შვილს გიორგის და მმასა შენსა იქევს, მარკოზს და მათეს, შვილთა და ყოველთაგვე მომავალთა სახლისა თქუენისთა: - ასე რომე ჩვენს რუსეთს ყოვნაშია დიდათ გვემსახურებით და ჩვენის შვილისაც ერთგულად მაამებელი, მოსამსახურე იყავ: ამისად სანაქებოდ ჩვენცა შეგიწყველეთ და გიბოძეთ დიღვაძე შენის ბიძაშვილების მელიქიზეას და შავერდის ნაქონი მამული სახლით, კარით, კვანძით, სასაფლაოთი“.

1800 წელს გიორგი XII-ის მიერ, გაცემულ წყალობის წიგნიდან ვგებულობთ, რომ ქართლის ყველა მეფე და დედოფალი უახლებდა წყალობის წიგნს ამ გვარის წარმომადგენლებს. ამავე წყალობის წიგნში უკვე კონკრეტულად „მღვდელ აბრამა“ ლასურაშვილია მოხსენიებული: „ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მყრობელ მქონებელმან მეფემან გიორგი მეათხამებან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, დიღმელს ლასურის-შვილს მღვდელს აბრამსა და მმის წელს შენსა მელიქებელს, შვილთა და მომავალთა



ხახლისა შენისათა; ესე რომე ძველთაგან სითარხნე გქონებოდათ და მოაღავენი კოფილიყვავით, როგორადაც ძველს სიგელში გიცხადებს კურთხეულის ელექტრ დამოუკლისაგან და აგრეთვე ნაზარალისანისაგან და ეს სიგელი კურთხეულს მამას ჩვენს მეფეს ირაკლისაც დაუმტკიცებინა. ჩვენცა წყალობა გვიქნია და გვიბოძებია, რომ არაფრისთანას სათხოვარსა და გამოხალებში და ბევრაში არ უნდა გაგრიონ და არც არა უნდა გეთხოვებოდეს. დიღმის მოურავმა მამასახლისმა და ერთობით დიდებულებმა ასე უნდა იცოდეთ და ან რომელიც იახალები მიხვიდეთ, რომ ეს მღვდელი არაფერ სათხოვარში არ უნდა გარიოთ და არც არა უნდა შეაწუხოთ. კველამ ესე უნდა იცოდეთ, თუ ეს ჩვენთან მოხივარი მოვიდა, იცოდეთ, დიდათ გიწყებო გარდაგახდევინებო“. თუმცა 1784 წლის განჩინებაში და 1800 წლის წყალობის წიგნში მოხსენიებული მღვდელი აბრამი ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ამის დაბეჭიოთებით თქმა არ შეგვიძლია.

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში არ მიმდინარეობდა დვოთისმსახურება. ტაძარი თითქმის მთლიანად ჩამოშლილი მიწით იყო დაფარული. კამარა, სახურავი და კედლების ზედა ნაწილი ჩამონგრეული იყო. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში აშენებული აგურის და ქვის დიდი ლოდებით ნაშენი კანკელი დანგრეული იყო. „დარბაზიდან საკურთხეველში შესახლელი კანკელში, ძალიან დაბალია და გაკეთებულია აგურის ნახევარწრიული დეკორატიული წყობით, რომელიც ახალ დანაშენს უნდა წარმოადგენდეს“ – წერს ირ. სონდულაშვილი.


1993 წლიდან არქიტექტორ რევაზ ჯანაშიას პროექტის მიხედვით ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. 2001 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნებარესის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით და დეკანოზ იოანე ჩიგოგიძის

ძალისხმევით, არქიტექტორების პ. ნუცუბიძის და თ. გაბუნიას პროექტის მიხედვით ტაძარმა დაიბრუნა პირვანდელი სახე. 2009 წლის 11 ოქტომბერს ახლად აღდგენილი ტაძარი თიანეთისა და ფშავებულების მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) აკურთხა.

ყოვლადწმინდა დვოთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის გარშემო უმველესი დროიდან სასაფლაო არსებობდა, რომელზედაც ძელი საფლავის ქვებია შემორჩენილი. ეკლესიის დღესასწაულზე დიდძალი მრევლი ტრადიციულად ეკლესიის ეზოში იქიბებოდა. ეზოში დასაფლავებული მიცვალებულების პატრინები გარდაცვლილთა სულის მოსახენიებლად სუფრას შლიდნენ. სალამოთი სასაფლაოს მოედანზე ჭიდაობა იმართებოდა.



ტაძრის შესახლელი კარი. XX ს. დასაწყისი



ტაძრის შესახლელი კარი რესტავრაციის შემდეგ



4. წმინდა სტეფანეს ეპლესია



სოფელი დიღმის ცენტრში, რომელსაც დღემდე ციხისუბანს ეძახიან, მდებარეობდა თავდაცვითი ნაგებობა, რომლის შესახებ საბმაოდ მცირე ცნობებმა მოაღწია ჩვენამდე. თუმცა სოფლის უხუცეს მოსახლეებს ახსოვთ ქონგურებიანი გალავანი.

ა. სონდულაშვილი წერს: „ხშირი შემოსევების გამო სოფლის მოსახლეობას თავდაცვითი ნაგებობა აუშენებია, რომელიც დიღმის ციხის სახელწოდებითაა ცნობილი. ციხე შეა სოფელში მდგარა, გარშემორტყმული ყოვილა გალავნითა და ქონგურებიანი კუშებით. ციხეში წეაროს წეალი იყო შეუბნილი გვირაბებით და შენიშვნილი მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხიც ამგვარად იყო გადაჭრილი“.

1771-1772 წლებში ი. გიულდენშტედტი საქართველოში მოგზაურობისას გვაწვდის ცნობას დიღმის ციხის შესახებ: „ნახოვდარ დევის ნამუხლარიდან 5/4 ხათთი მივდიოდით თითქმის პირდაპირ სამხრეთით, მტკვარში შეჭრილ გაჯ მინდორზე, რომელსაც პქვია დიღმის მინდორი, და მივედით დიღმის ციხემდე, რომელიც მდებარეობს 2 ვერსის დაშორებით იმ აღილოდან, ხადაც მდლილომისებული ერთის მტკვარს მარჯვენა მხარეს მიუდინდება, რადგან ეს შესართავი ბევრად ქვევითად.“

მიუღოვებინა 2 წლის წინ ჭირის გამო“. თუმცა გიულდენშტედტს დაშვებული აქვს ერთი შეცდომა, იგი ამბობს, რომ ციხი მდებარეობდა დიღმისწყლის და მტკვრის შესართავთან, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ეს შესართავი ბევრად ქვევითად.

XVI საუკუნის II ნახევრიდან ქართლის მეფე სიმონ I-მა სოფელი დიღმი თავის სადგომად გადააქცია საიდანაც წლების განმავლობაში ებროდა საარსელებისა და თურქებს. შესაძლებელია გამოვთქმათ ვარაუდი, რომ დიღმობის მას აეგო თავდაცვითი ნაგებობა.

დღეისათვის ციხის ტერიტორიაზე კერძო მოსახლეების საცხოვრებელი სახლებია აშენებული. თუმცა შემორჩენილია მრავალრიცხვოვანი გვირაბების ქსელი, რომლებიც ხევში ეშვებიან. ადგილობრივი მოსახლის თქმით ეს გვირაბები ისეთი ზომისაა, რომ ადგილად გააგრავებს დიდ სატვირთო მანქანას, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში მიწა ჩაფარდნილა და თან ცხენიც ჩაუყოლებია. სოფლის უხუცეს მოსახლეობას ახსოვს გალავნის ქონგურებიანი გალავნის ნანგრევები.

დიღმის ციხის ტერიტორიაზე აშენებული იყო წმინდა სტეფანეს ეპლესია, რომელიც სავარაუდოდ ციხის კარის ეპლესია უნდა ყოფილიყო.

ირ. სონდულაშვილის ცნობით „დიღმის ციხის გვერდით, სამხრეთის მხარეს, იდგა ხათალი ქვით ხაგები პატარა ზომის კელებია. ამ კელების ეზოდანაა ამოღებული ქვის ის კუბო, რომელმაც მეცნიერთა უკრადღება მიიპყრო და „დიღმის სარკოფაგად“ არის ცნობილი. ამ კელების სახელი ისტორიულ წეაროებშიც მოიხსენიება, მაგალითად ერთ 1843 წლის ნახიდობის ხაბუთში ვკითხულობთ: „... არის ამის მიჯნები აღმოსავლეთის მხარეს, თეთრანთ ნინიას და თეთრანთ ხოსიას და გამყრელიძიანთ სახლებამდინა, დასავლეთის მხარეს ფირიანთ გიორ-



გის კალომდისა და წმინდა სტეფანეს გადასამდებარებელი მიზანი სამუშაოების დროს ამოდის ქაუკიუთები როგორც უკონდალური, ასევე ადრეული ხანისაც. აღნიშნული გელესია დაანგრიეს 1937-1938 წლებში და კოლმეურნების კანტორა ააშენება“.

ამ ეკლესის საძირკველზე დღეს არაბულების და ვერძეულების ორი ოჯახი ცხოვრობს. ტაძრის ნანგრევებზე მცხოვრები არაბულების ოჯახში პერიოდულად აედლებზე და ფარდებზე ჩნდება სხვადასხვა ზომის ჯვრების გამოსახულება, რომლებიც ნაკურთხი წყლის მისხმის შემდეგ ქრებიან.

სოფლის და ეკლესის საძირკველზე მცხოვრებ მოსახლეებს დიდი სურვილი აქვს ადადგინონ წმინდა სტეფანეს ეკლესია. ამისათვის საჭიროა ორი ოჯახისათვის გამოიყოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართობი, რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

5. სვეტიცხოვლის ნიში



დიღმის ციხის ჩრდილო-დასავლეთით, კენჭიაშვილების უბანში აშენებულია სვეტიცხოვლის ნიში. დღეს იგი კერძო მოსახლის – ვ. კენჭიაშვილის სახლის ეზოშია მოქცეული. როგორც ჯ. სონდულაშვილის პირად არქივიდან ვგებულობთ ამ ნიშის სიახლოვეს, მიწის სამუშაოების დროს ამოდის კერამიკული მასალა და ასევე მოსჩანს ძველი სამარხებიც.

სვეტიცხოვლის ნიში საგალი გზის ნაპირას იყო აშენებული, ხოლო მის მოპირდაპირედ ადრე ბაზირხანა ანუ

ზეთსახედელი მდებარეობდა. დღე-მდე შემორჩენილი დიდი ზომის ქვების მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ადრე ამ ადგილას ეკლესია მდებარეობდა, რომელიც შესაძლებელია თვითონ დანგრეულიყო ან მტრის შემოსვას ემსხვერპლა. ეკლესიის არსებობას უდარედ მიუთითებს ასევე ძველი სამარხებიც, რადგან სასაფლაოს არსებობა ტრადიციულად მხოლოდ ტაძრის გარშემო იყო შესაძლებელი. მოსახლეობამ ვერ შეძლო ტაძრის აღდგენა. ეკლესიიდან შემორჩენილ ქვებზე აგურით ამოიყვანეს აედლები და გადახურეს.

6. დიღმის თავის წმინდა გიორგის ეკლესია





ადგილობრივი მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით დიღმის სეობაში წმინდა გიორგის სახელობაზედ 21 ეკლესია ყოფილა აშენებული, დღეისათვის მათგან მხოლოდ რამოდენიმედა შემორჩენილი.

სოფელ დიღმის შესახლელში, პატარა ბორცვზე, გზის მარჯვენა მხარეს დგას წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც XI საუკუნის I მეოთხედშია აშენებული. ეკლესია წყალობის წიგნებსა და სიგელ-გუჯარებში „დიღმის თავის წმინდა გიორგის“ სახელით მოიხსენიება.

„ძეგლი ლიტერატურაში სრულიად უცნობია, ცენტრიდან ასეთი სიახლოების მიუხედავად, მის შესახებ ერთი სიტყვაც არსად დაწერილა, არც ერთი დროის მოგზაური-მეცნიერების არ დაინტერესებული მისი არქიტექტურით და წარწერებით. თვით ვახუშტიც არაფერს გვამცნობს მასზე“ - წერს პარმენ ზაქარაია, რომელმაც 1943 წელს აღწერა ძეგლი. ტაბარი ცალნავიან დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, დასავლეთის ფასადზე გვიანდელი მინაშენით. ტაბარის ზომებია 8.1*5.6 მეტრი.

„აღმოსავლეთის ნახევარწიული აფხიდი შეისრული კონქით მთავრდება. აფხიდის ცენტრში სარქმელია, რომლის გვერდებზე ორი პატარა და ორი დიდი ნიშია. საუკრთხეველში სწორკუთხა სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია. შესახლელის მარცხნივ, დასავლეთის კედლის კუთხებთან მდებარე პილასტრები თრსავებურიანია, ხოლო მარჯვნივ-ერთსაფეხურიანი. გვიანდელი შეისრული კამარის საბჯენი თაღი ამ პილასტრებს უყრდნობა. ინტერიერში კედლები შელესილია. ეკლესიისათვის დასავლეთი მხრიდან მიუშენებიათ დამოუკიდებელი ნაგებობა, რომელიც XVI-XVII საუკუნის ფორმებს ატარებს. მიშენების სახურავი სამცერდაა, რომელზედაც სამრეკლოა დაშენებული.

XIX საუკუნის ბოლოს სამრეკლოს ოთხ სევერულ მდგარი ფანტასიური დაადგეს. სევერულ აქვთ კაპიტელი და ორსაფეხურიანი ბაზისი. დასავლეთის კედლებზე ჩაშენებულია ნახევარწიული ბური, რომლის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. სათავსის ოთხივე კედლები თითო საფეხურით არის შეწეული. მის არქებ ზემოდან საზღვრავს ოვალური თაღი, რომელიც ტომბების საშუალებით გადადის სვერულ გუმბათზე. ნაგებობას მარტივი ფორმის ლაგვარდანი აქვა.“ - წერს ა.სონდულაშვილი.

ტაბარი მდიდარია მამკობი ელემენტებით. ზომით ყველაზე დიდი ჯვარი, მოთავსებულია აღმოსავლეთ ფასადის დერძზე, სარქმლის ზემოთ. სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარი კედლის სიბრტყეშია ჩასმული და არავითარ რელიეფს არ ჰქმის. მთელი ჯვარი ხუთი ნაწილისაგან შედგება, რომლის თითოეული ნაწილი წარმოადგენს სწორკუთხედს ერთი ქვისაგან. ქვები თრი ფერისაა შეა კვადრატი ბაცი მოყვითალოა, ხოლო მკლავები - ლაგვარდი.

აღმოსავლეთ ფასადზე სარქმლის სამხრეთით კიდევ ერთი ჯვარია მოთავსებული, რომელიც ქრისტიანულ ხელოვნებაში ძალიან გავრცელებული „განედლებულ ჯვრის“ ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ჯვარი ჩაჭრილი ფონით მაღალ სწორკუთხედშია ჩამჯდარი. როგორც ცნობილია „განედლებული ჯვრის“ ასეთი ტიპის სახის გამოყენება ხდებოდა დროის მოკლე მონაკვეში - XI საუკუნის I ნახევარში.

ტაბარის აღმოსავლეთ კედლებზე, ერთმანეთის გვერდზე ჩასმულია ორი რელიეფური ქვა, რომლებზედაც თითო ლომია გამოსახული. ლომები მოცემულია პროფილში, პირით ერთმანეთისკენ. მარჯვენა ფიგურა ძლიერად დაზიანებული, უკანა ფეხებისა და წინა ფეხების ქვედა ნაწილების მეტი არაფერია შერჩენილი. მარცხენა კი



კარგადაა შენახული. „გრაფიქულია კონტურის შიგნითა ნახატი: ფაფარი და საერთოდ ტანის მოელი ბერვი კონცენტრულადაა დამუშავებული, ბრჭყალები მთლიანად გაშლილია. ასეთი სქემატურობის მიუხედავად ოსტატს შედარებით კარგად აქვთ გადმოცემული ლომის ბუნება, მისი მტკიცებლური ხასიათი. ფიგურის ასეთი გრაფიქული დამუშავების პირდაპირ პარალლელს ჩვენში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერთ“ – წერს პ.ზაქარაია. ამ რელიეფს აქვთ წარწერა „ქრისტე შეიწყალე ლომი“, შიძლება ვივარაუდოთ, რომ „ლომი“ საკუთარი სახელია.

აღმოსავლეთ კედელზე, სახურავის კონქის ქვეშ მოთავსებულია ორი წარწერიანი ქვა. ორივე ქვა დაწვენილია და სტრიქონები ვერტიკალურადაა. მარცხენა იკითხება ქვემოდან ზემოთ, ხოლო მარჯვენა ზემოდან ქვემოთ. წერწერა ერთ მთლიან ქვაზე ყოფილა, რადაც მიზეზით ჩამოვარდნილა, გატეხილა და შემდეგ სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ. ტექსტში მოხსენიებულია აშად დინარისძე.

წმინდა გიორგის ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვთ. შესასვლელი კარის გვერდით გაჭრილია სარკმელი, რომელიც სიგანით ორჯერ მეტია ვიდრე აღმოსავლეთისა. იგი ძალზედ ორიგინალური და მდიდრული ჩუქურთმითად მორთული. ამ სარკმლის ორივე მხარეს ბაზისიანი და კაპიტელიანი ნახევარწრიული შეწყვილებული ნახევარსვეტებია, რომლებსაც ზემოთ ორმაგი გრეხილი აერთიანებს. პ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ სამხრეთ „სარკმლის ასეთი გაფორმების უშუალო პარალლელს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიერთ.“ სარკმლის გვერდით წარწერაა „ესე სარკმლი მე აშედ დინარისძმან შევქმნე ვინ წაიკითხო, ლოცვა ყავთ“.

წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ ფასადი მდიდარია რელიეფებით. მასში ჩადგმულია სამი სხვადასხვა

რელიეფური ქვა ჯვრის გამოსახულებით. ერთი მათგანი მდებარეობს შესასვლელი კარის მარცხენა ზემო კუთხეში. ჯვარი ჩასმულია ჩაჭრილ მალალ ოთხქუთხედში. იგი წარმოადგენს ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგარ „გოლგოთის ჯვარს“.

მეორე ჯვარი ამავე სამხრეთ ფასადზე მოთავსებულია ზემო მწკრივში, სარკმლის აღმოსავლეთით მდებარე მეორე ქვაზე. რელიეფი წარმოადგენს „გოლგოთის ჯვარს“. სწორჯუთხედში ჯვარი ჩასმულია ასიმეტრიულად, მის განიერ ნაწილში მოთავსებულია მინიატურული ზომის მკლავებგაშლილი ადამიანის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელით ჯვრის ვერტიკალური მკლავი უჭირავს. რელიეფზე ნუსხანარევი ასომთავრული წარწერაა „ქრისტე შეიწყალე აბულ ესე“. მესამე - წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვარი მოთავსებულია სამხრეთ ფასადის ქვედა ორნამეტალური მწკრივის ბოლოს. ბოლო მეორე ჯვარი კი, მოთავსებულია შესასვლელი კარის თავზე. უკელა ეს რელიეფი ტაძრის თანადროულია.

სოფელი დიდის წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ორი რელიეფური ქვაა სხვადასხვა ფორმის ჩიტის გამოსახულებით. პირველი მათგანი მოთავსებულია სარკმლის მარჯვნივ, იმავე ქვაზე, რომელზედაც სარკმლის მოჩარჩოებაა ამოკვეთილი. ხოლო მეორე ჩიტი მოთავსებულია კუთხის ქვაზე, ისინი სახით ერთმანეთს შესცემიან. ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე ჩიტის (ფარშევანგის) გამოსახულება ხშირია და მას თითქმის ისეთივე სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც წარმართობის დროს, იგი უკვდავების, აღდგომისა და გაზაფხულის სიმბოლოა ადრინდელ ქრისტიანობაში.

ტაძრის სამხრეთ ფასადზე ორნამეტალური მოტივებიანი კიდევ თრი რელიეფური ქვაა. პირველი ქვა



წარმოადგენს XI საუკუნის I ნახევრი-სათვის დამახასიათებელი ორნამენტის სახესხვაობას, რომელიც ცოცხალ, მზარდ მცენარეულ მოტივს წარმოადგენს. „იგი მხოლოდ XI საუკუნის პირველი წლების ძეგლებს ამშვენებს“ – წერს რ. შემერლინგი. ამ რელიეფზე ასომთავრული წარწერაა: „წმინდაო გორგი, შეიწყალე ამის ქვისა მოძღველი აბულახელარ, ვინ წაიკითხოთ ლოცვა უავ“. მეორეა დიდ გრძელ ქვაზე მოთავსებული მცენარეული რელიეფი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაზიანებული.

ბოლო რელიეფური ქვა რომელიც ეკლესიის სამხრეთ ფასადზეა განთავსებული არის ადამიანის ხელის მტევნი, რომელიც შესაძლოა ოსტატის სიმბოლოს წარმოადგენდეს. რელიეფი გამოყვანილია მხოლოდ კონტურალური ხაზებით. „ხელის გამოსახულება ფართოდ ყოფილა გავრცელებული არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის ხალხებში. ამ უკანასკნელთაგან იგი ამულეტის მნიშვნელობით ისმარებოდა.“ – წერს ირ. სონდულაშვილი.

პ. ზაქარაიას აზრით სამხრეთ ფასადზე მდებარე კარის მოჩუქურომება XIX საუკუნისაა, რადგან მისი საერთო სახე ძეგლისაგან დიდად განსხვავდება. იგი წერს: „ძეგლის კარის მოჩარჩოება გაუსული საუკუნის ნამოქმედარი ჩანს. მისი საერთო სახე ძეგლისაგან დიდად განსხვავდება. თავისეთავად ამ კარის არქიტექტურა ატარებს იმ მონძომების დაღს, რომელიც ახასიათებდა გასულ საუკუნეს (XIX). კომპოზიციის საერთო სახე და მისი მთავარი კლემენტოვილი რელიეფი გაუდინდება. ამ კარის შესახებ ა. ნატროვები გვამცნობს, რომ ის აგებულია 1856წ.“

პატარა დარბაზული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელი მორთულობის გარეშეა. დასავლეთ ფასადზე მიღმულია მინაშენი. პ. ზაქარაიას აზრით

იგი XVI-XVII საუკუნეში მიუშენებიათ. ეს მინაშენი არ იყო გათვალისწინებული დვორისმსახურებისათვის, იგი დამისთევით მოსული მლოცველებისათვის დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა. მინაშენს შესასვლელი აქვს სამხრეთი კედლის შუაში. მის ჩრდილო კედელზე გაჭრილია ერთადერთი სარქმელი. დასავლეთ კედელში მოთავსებული იყო ნახევარწრიული გეგმის მქონე ბუხარი საკვამლე მილით. ბუხრის იორივე მხარეს დატანებულია თითო პატარა ზომის სწორკუთხა ნიში. კედლები და კამარა ამოყვანილია აგურით. გარე მასები თლილი ქვითა შემოსილი. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ეკლესიაზე დასავლეთის მიშენება მომხდარა XIX საუკუნეში ვინმე მაღალდაძის მიერ.

XIX საუკუნეში ტაძარი განუახლებიათ. ტაძრის დასავლეთ მინაშენს დაადგეს სამრეკლო, რომელიც მოთავსებული იყო მისი დერძების ცენტრზე.

ეკლესიას გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ერეკლე II-ის შვილიშვილს თამარს აუგია. „ეკლესია 1905-იან წლებში თითქმის გაუქმდებულია, რის შემდეგადაც ირგვლივ შემოვლებული გალავანი დაუნგრევიათ და ქვები გაუზიდავთ. ამავე დროსაა დაკარგული გალავანის სამხრეთ შესასვლელის ორივე მხარეს მოთავსებულია პატარა ბარელიეფები. მარცხნივ ყოფილა წმ. გიორგი, მარჯვნივ დათვისმთბობელი.“ – წერს პ. ზაქარაია. ირ. სონდულაშვილის ცნობით „დაკარგული ბარელიეფი წმინდა გიორგის გამოსახულებით ბატონმა პ. სონდულაშვილმა აღმოაჩინა თეთრი გიორგის სახელობის უკლესიაში, რომელიც ამჟამად დადგორის არქეოლოგიურ ბაზაშია დაცული, იგი მაღა დაუბრუნდება თავის პირვანდელ ადგილსამყოფელს“.

„XIX საუკუნის ბოლოს, თუ XX საუკუნის დახმატებში ეკლესია მოუ-



ხატაგო ზეთის ფერებით. კომპოზიციები მრავლადაა. ამავე დროს უნდა იყოს გალესიაში არსებული ხის ხატებიც. იყო თუ არა ფრესკული მხატვრობა ამის გარეშევა დღეს არ შეიძლება“ - წერს პ.ზაქარიაძე.

ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი მხატვრობა 1962 წელს ტაძარში მომხდარმა ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა. ფრესკებზე წმინდანებთან ერთად გამოსახული იყვნენ ქართველი მეფეები. დღეისათვის ტაძარის კედლებზე ფრესკების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს, ხევის პირას ეზოში, შემორჩენილია მარნის ნანგრევები და სხვადასხვა ზომის თიხის ქვევრები. ტაძრის ეზოში ძველი საფლავის ქვებია.

დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიაში ჯვრისწარაც ხდებოდა. ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო ამ ეკლესიაში ჯვარს ძირითადად მხოლოდ ქვრივი ან ასაკოვანი წყვილი იწერდა.

სიგელ-გუჯარების მიხედვით ირკვევა, რომ დიღმის თავის წმინდა გიორგის ეკლესია სადეკანოზო ყოფილა, ხოლო დეკანზები საუკუნეების მანძილზე ერემაძენი ყოფილან, რომელთა შთამომავლებად ზერთელაშვილები და ხუციშვილები გვევლინებიან, ხოლო მას შემდეგ რაც დიღმის თავის წმინდა გიორგი მუხრანელმა ბატონიშვილებმა კარის ეკლესიად გადააკეთეს, სადეკანოზო წმინდა მარინეს ეკლესია გამოცხადდა.

ჭ. სონდულაშვილის ცნობით წმინდა გიორგის ეკლესიის გარშემო სოფელი დიღმის ძირძველი გვარის ზერთელაშვილების შთამომავლები ცხოვრობენ. ზერთელაშვილებს და მათ განაყოფს ხუციშვილებს დიღმის მოსახლეობა „მდვდლიანო“ სახელით მოიხსენიებენ. „დიღმის წმინდა გიორგის დეკანზე მეფე და კათალიკოსი ამტკიცებდა, ამ ეკლესიის დეკანზობა ზეოდაშვილებისა და ხუციშვილების

ხახლს ქუთვნებია ძველთაგანვე. რაც დასტურდება ეკლესიის ძველ გუჯარებში. შემორჩენილია ბევრი თქმულება ამ გვარის წარმომავლენებულ ზე „პალა ძღვდელი“. როგორც ლუკაგითან და თათრებითან მებრძოლ ძღვდელ ზე. „ცალ ხელში ჯვარი უჭირა მეორეში ხმალით. ბევრჯერ ყოფილა დიღმის ციხე განსაცდელში თურმე და პალა ძღვდელს გამოსახალი უპოვნია და მეტე კერასოდეს აუდია ციხე და მოსახლეობა გადაურჩენია. „პალა ძღვდელს თათრულთან ერთად ლუკურიც ხცოდნია“ გადმოგვცემს თქმულება: „ერთხელ პალას ამბავი მოუტანებ ზედა ზებზე ლეგის ჯარი დგას და გარშემო ხოვლების აოხრებას აპირობენ, შეკარა ხალხი და ლამე ზედა ზნის ტყეში ლეგის ხადგომთან ხალხი გადამალა, თვითონ კი ლუკურად გადაიცვა და ბანაკში შეიპარა, ცედი ამინდი ყოფილა ეკლესიისა და ციხის კედლებითან მრავალ ალაგას ცეცხლი ჰქონიათ გაჩაღებული ლეგის. შეაღამისას ლეგებმა, ფარაულები გამოცვალებს და დაიძინებ, ცეცხლიც მიმელდაო. პალას მძინარე ლეგებისათვის იარაღი აუყრია და ტყეში თავის კაცებისათვის გადაუცია, მერე თავს დასხმიათ მათ ბევრი ამოუხოციათ და დაუტყვევებიათ, ქართველი ტყვები, რომლებიც ლეგებს დაჭვირათ გაუშვიათ. მეორე დღეს პალას ტყვე ლეგები თბილისში მეფე ერებულებათვის მიუგრია, გახარებულ მეფეს პალა მამულებით დაუსაჩუქრებია და დიღმელებისათვის ბევრი წაყლობა ექნათ“.

„დიღმის თავის წმინდა გიორგის ეკლესიას მეფეთაგან მრავალი შეწირულობა ჰქონია: ხარები, ზარები, მამულები, ყმები და სხვა, რაც განადგურდა 1930-იან წლებში. ამ ქარტების გადაურჩა ერთი ხარი, რომელიც ჯერ სკოლა მოიხმარდა, ამჟამად კი წმინდა მარინეს ეკლესიის სამრეკლოშია მოთავსებული. ზარზე მოთავ-



ხებული წარწერა უიწყება: „ქ. ზარი ესე პირველ შეწირული მფის როსტომისაგან გატეხილი იყო და მევებ გიორგის გაეკუთხბინა ქაკს ტ.ნ.ზ. ამ მე ვნახე გატეხილი ახლად გავაკუთხბინე და შევწირე დიღმისთავს წ ას გიორგის საოხად სულის ტნის წელსა ჩემისა მეუღლისა, ჩემისა კნინა ძარიამისა. ღეხერალ მაიორი ქნაზი გრიგოლ ბაგრატიონი, მუხრანსკი.“ - წერს ირ. სონდულაშვილი.

საბჭოთა პერიოდში ტაძარში არ მიმდინარეობდა ლვთისმსახურება. 2000 წლიდან, რევაზ ჯანაშიას პროექტით, გელა ზანდარაშვილის და კახა ხოსირაშვილის სახსრებით დიღმის წმინდა გიორგის ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

დანგრეული გალავანის საძირკელზე 1986-1987 წლებში დიღმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ბატონ ჯ.სონდულაშვილის თაოსნობით დაიწყო დანგრეული გალავნის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც 2001 წელს დასრულდა.

გალესილ მინაშენს მოაცილეს ცემენტი და გამოჩნდა დიდი კვადრებით ნაგები მინაშენი. ტაძარს გაუკეთდა ახალი ორფერდა გადახურვა კრამიტით, ხოლო მინაშენს სამფერდა. ახალი გადახურვის გამო ტაძარს მოხსენეს ძველი სამრეკლო. ახალი სამრეკლო ჩაიდგა ტაძრის გალავნის დასავლეთ შემოსასვლელის თავზე. ტაძრის დასავლეთ კედელში გაიჭრა მინაშენთან დამაკავშირებელი ახალი კარი. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის მამკობი რელიეფები:



7-8. წმინდა გიორგის და თეთრი გიორგის ნიში

ადგილობრივ მოსახლეობის გადმოცემით სოფელ დიღმის წმინდა გიორგის რამოდენიმე ნიში იყო აშენებული. დიღმისთავის წმინდა გიორგის ეკლესიის მარჯვენა მხარეს, ქვევიდან შემაგალი გზის პირას „ოსევაანთ ბაღების“ გვერდით იყო აღმართული დიდი ლოდი რომელზეც ჯვრები იყო გამოსახული. ამ დიდი ლოდის მარჯვენივ და მარცხნივ კი, მცირე ზომის ორი ჯვრიანი ლოდები მდგარა. ეს ადგილი წმინდა გიორგის ნიშად იყო ცნობილი. საბჭოთა პერიოდში ჯერ დიდი ლოდი მოუსაით, ხოლო შემდეგ 1932 წელს დანარჩენი ორი პატარაც.

ჯ.სონდულაშვილს ჩაწერილი აქვს სოფელი დიღმის მაცხოვრებლებში შემორჩენილი თქმულება წმინდა გიორგის ნიშის შესახებ: „თეთრ გიორგისა და წმინდა გიორგის ჩხუბი მოხვდიათ (ხალხის რწმენით თეთრი გიორგი მოუნათლავია, ხოლო წმინდა გიორგი მონათლული), თეთრ გიორგის აუდია დიდი ჭადრის მორი და წმინდა გიორგისათვის უსერია, მორი უკლესის ეზოსთან დაცემულა, იქ სადაც





ახლა ჭადრის დიდი ხე დგას (ხალხის რწმენით ამ მორის ადგილზე) აღმოვჩნდა ეს ჭადრის ხე) წმინდა გიორგის კი ერთი ლოდისათვის დაუკლია ხელი და გადმა ქვედაზე მდგომი მორი გიორგისაკენ გაუსვრია. მაგრამ იქვე ახლოს, „ოხეფაანთ ბაღებთან“ დაცემულა. შემდეგ აქ ხალხმა ნიში მოაწყო“.

„ჭადრის დიდი ხე“, რომელიც დიდმის თავის წმინდა გიორგის დასავლეთით გალავნის გარეთ იდგა თეთრი გიორგის ნიშად იყო ცნობილი. სამწუხაროდ ბოლო პერიოდში ეს ხეც მოიჭრა.

9. როსტიაშვილების ეკლესია

ვახტანგ VI-ის მიერ, XVIII საუკუნეში შედგენილ დასტურლამაღმი სოფელ დიდმის მაცხოვრებელთა შორის ნახსენებია როსტიაშვილების გვარიც - „მოყალნებ ხედების დალა, მეფისათვის რომ ხუთხედ იდებენ, ხადედოვლოს ექსხედ ავიდეთ; კულუხი შეწერით, ჩვენმა უფრო შედავათით შეაწერონ; სამხარეულოს შეშა მოუტანონ, სხვა ნურა ეთხოვებათრა. ასე გვიძრძანებია და გვითარებია. საშობაოდ და სააღდგომოდ ნურასა პსთხოვთ ძღვენის-ძეგბ; პირის-თავი და ნახირის-თავიც გვიპატივებია, ამიტომ რომ მუდამ იმსახურებიან; მებათ-გვერდის ფარაულობას და გზის შენახვისა; თან იციან და როსტიაშვილები ამისიც თარხანი არიან და სამასპინძლოსაცა, და კერც ურემს შეუბამთ. საყდარი რომ აქსო თავიანთი, იმას გალავანი შემოავლონ.“

როგორც ჯ.სონდულაშვილი წერს: „ზემოთ მოტანილი დებულებიდან საინტერესოა ის გარემოება, რომ ყველა თარხანს სამასპინძლოს გამოღება მაინც ევალებოდა. როსტიაშვილები კი ამისგანაც თავისუფალნი იყვნენ და ფარაულობიდანაც იმ დროს, როცა გზის შენახვის მიზნით მოედ

დიდობს ევალებოდა ვიწროებისა და მებათგვერდის გზების დაცვა. როსტიაშვილებს თავიანთი საგვარეულო საყდარიც პქონიათ, რაც ერთობ საინტერესო და საყურადღებო ცნობას შეიცავს. ისტორიული წეაროების მიხედვით როსტიაშვილები უკანასკნელად 1784 წელს იხსენიებიან - იგე ბარათაშვილის ანდერძში ნათქვამია, რომ: „როსტიაშვილი სვიმონ და კავთელა როსტიაშვილები სამუშაონი არიანო“: დღეისათვის როსტიაშვილების გვარი დიდმის ხეობაში აღარ სახლობს. ჩვენთვის უცნობია როდის სახლდება ეს გვარი დიდმის ხეობაში და არც ისაა ცნობილი თუ როდის მოხდა მათი ხეობიდან გასვლა.

დასტურლამაღმი ნახსენებია როსტიაშვილების კუთვნილი „საყდარი“, რომლის შესახებ ცნობის მოპოვება ვერ შევძლით.

10. კვირაცხოვლის ეკლესია





სოფელი დიღმის ჩრდილოეთით მდებარეობს კვირაცხოვლის უკლესია. ადრე მის გარშემო დიღმის ბაღები იყო გაშენებული, ახლა კი აქ მჭიდრო დასახლებაა. კვირაცხოვლის ტაძრის დღე-განცემი შენობა აგებულია XIX საუკუნეში. „ახლანდელი კლესის ჩრდილოეთით კარგად მოხანს ძველი კლესის კედლის მოხაზულობა. აქვე, ამ მოდამოებში მრავლად მოიპოვებოდა შეასუსტების ამხახელი მასალა და ძეგლი კლესის მრამენტიანი თლილი ქვები“ – წერს ირ. სონდულაშვილი.

კვირაცხოვლის ტაძრის დღევანდელი შენობა ერთნავიან დარბაზული ტიპის ეკლესიას წარმოადგენს (11,5*5,15 მ.). შენობა ნაგებია ნატეხი ქვით და აგურით. ტაძარს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ნახევარწრიული აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია წვრილ პილასტრებზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღით. აფსიდში ერთი სარკმელი და ორი დრომა ნიშია. დარბაზის გრძივ კედლებზე სამ-სამი მარტივებიტელიანი მასიური პილასტრია, რომლებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი სამი თაღი. გრძივი კედლები შემკულია კამარის საბჯენი თაღების ფუძეებში ჩასმული მრგვალი ხის ძელებით. დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში თითო სარკმელია, სამხრეთისაში ორი. ინტერიერში კედლები შელესილია და შეთეთრებული.

ეკლესიას ორფერდა გადახურვა აქს და იგი კრამიტითა გადახურული. სახურავის დასავლეთ ნაწილზე ქართული აგურით დაშენებულია სამრეკლო, რომელიც აგურისავე ოთხფერდა გადახურვა აქს. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე აგურის დეკორატიული წყობით გამოყვანილია ჯვარი. ტაძარს სხვა მამკობი ელემენტები არ გააჩნია.

„XVIII საუკუნის ბოლოს, დიღმის გლეხობის ნაწილმა ქალაქის ბაზარში გაჭრობას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში გაჭრობაზე მოხოვლია სომხების ან

ხომხური სარწმუნოების მქონე პირთა ხელში იყო, ამიტომ ქართული მოსახლეობა გარკვეული სიძელეების წინაშე აღმოჩენილია. ამის გამო ბევრმა ქართველმა გამოიცვალა მამა-პაპისეული სარწმუნოება და მიიღო სომხურგორიზონანული. ამ პერიოდში პირველებმა დიღმის საუკეთესო მებოსტენებებმა, თოვებიშვილებმა ჰიიღეს სომხური სარწმუნოება. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ფირიაშვილები და ხეჩუაშვილები. ამ გვარებმა სალოცავად და საძვალედ სოფელ დიღმის ძეგლად აშენებული ქართული მართლმადიდებელი კვირაცხოვლის კლესია აირჩიეს. თბილისიდან უოველ კვირა დღეს ამოდიოდა სომები ძღვდელი წირვის ჩასატარებლად“ – წერს ა. სონდულაშვილი.

ახლად „გასომხებულება“ დიღმის მაცხოვრებლებმა კვირაცხოვლის ეკლესია დაისაკუთრეს. იმისთვის, რომ ტაძარი „სომხურ ყაიდაზე“ გადაეკეთებინად საკურთხევლის იატაკი უნდა აემაღლებინათ, ამისათვის საჭირო გახდა ეკლესის დარბაზის იატაკის დაწევა. ამაზე მეტყველებს დარბაზის გრძივ კედლებზე ჰაერში დარჩენილი პილასტრების ძირები. საკურთხევლის იატაკის მაღლა აწევაზე მიუთითებს მის იატაკის ჭრილის ცენტრში ჩაშენებულია პატარა ვიწრო სვეტი, რომელიც ბოლოვდება სვეტისთავით და გამოკვეთილია ერთ მთლიან ქაში. სვეტზე გამოსახულია დეკორატიული ჯვარი, რომლის ძირის გაგრძელებას დარბაზის იატაკის საფარი, აგურის კვადრები ფარავს. შემაღლებული საკურთხევლის აღნიშნული ჯვრიანი სვეტი ძველ ეკლესიას უნდა განეკუთვნებოდეს. დარბაზიდან საკურთხეველში ასასვლელად ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებთან გაუკეთებიათ ორ საფეხურიანი კიბე. მიუხედავად ტაძრის „გასომხებისა“ კვირაცხოვლის დღესაწაულზე დიღმის მთელი მოსახლეობა იყრიდა თავს.



„ეკლესიის კედლები თეთრად იყო შეღესილი, ჩრდილოეთის კედებზე ცენტრში მოხანდა მხატვრობის ქალი, რომლის სიუკეტის დადგენა შეუძლებელი იყო, ამამად ეკლესიის კედლები გაწმენდილია და აღნიშნული მხატვრობის გარდა აღმოჩენილია სხვადასხვა ხევნებიც. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მხატვრობა სრულიად შეესაბამება ეკლესიის აგების თარიღს. ეკლესიის კედლების გაწმენდის შემდეგ გაირკვა იმ ფრესკის სიუკეტი, რომელიც ჩრდილოეთის ფასადის ცენტრში იყო შემორჩენილი. აღნიშნული სიუკეტი ასახავს, რომელიდაც გვირგვინობის კურთხევის სცენას. მოქმედება შენობის ინტერიერში, კერძოდ ეკლესიაში, ხდება. ძლიერდებოდა დგას საკურთხევლის ამბიონზე, მის წინ დამოქიდია გვირგვინობაში მამაკაცი, ხოლო მუხლმოყრილის უკან დგას გვირგვინობის ქაღალდი. თუ ვინ არიან აღნიშნული აერსონაჟები ჩვენთვის უცნობია. აქვე არიან ეკლესიის სხვა მსახურებიც. ერთ-ერთ დიაკვანს ხელში სახარება უპყრია, კომპოზიციის თავში გამოსახულია წმინდა სამება. ამავე ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთ ნაწილში პილასტრით გაყოფილ პირველ განყოფილებაში გამოსახულია ადამიანი და ქას სამოთხოდან განდევნის სცენა, ხოლო საკურთხეველთან ახლოს, კურთხევის კომპოზიციის აღმოსავლეთით, ამაღლების სცენაა, დასავლეთის კედებზე კი გამოსახულია „განკითხების დღის“ სცენა” - წერს ირ. სონდაზელაშვილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ XIX საუკუნეში თავის წმინდა გიორგის ეკლესია მოიხატა, ასევე არსებობს ვარაუდი, რომ ამავე მხატვრის მიერ მოიხატა წმინდა მარინეს ეკლესია. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის წმინდა გიორგის ეკლესიის კედლებზე წმინდანებთან ერთად ქართველი მეფების გამოსახულებებიც იყო. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ კვირა-

ცხოვლის ეკლესიაც ამავე პერიოდში და ერთიდა იგივე მხატვრის მიერაა მოხატული.

ეკლესიის ეზოში ძველი საფლავის ქვებია შემორჩენილი. სამწუხაროდ ეზოს გალავანი არ აქვს შემორტყმული და ადგილობრივი მოსახლეობა ტაძრის ეზოს და საფლავის ქვებს სამანქანო გზად იყენებს. ბოლო წლებში ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები და მასში აღდგა ქართული მართლმადიდებლური დამთხვერი დამთხვერი.

11. წმინდა სამების ეკლესია



სოფლის დასავლეთით, ძველი უბის „წერწვერის“ თავში იდგა სამების გუმბათოვანი ეკლესია. 1980-1990-იან წლებში სოფელ დიდომში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღგილ წერწვერაში, ჯაგნარით დაფარულ სამაროვანზე გამოვლინდა ფერდალური ხანის რამდენიმე ქვაფუთი. ამ სამაროვანის მიმდებარედ იდგა წმინდა სამების ეკლესია, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით კლდის თლილი დიდი ქვებით იყო ნაგები და იგი ერთადერთი გუმბათიანი ტაძარი ყოფილა დიდმის ხეობაში. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ეკლესია ან ადრეფერდალურ ან შუასაუკუნეებში იყო აშენებული.

ამ ეკლესიის შესახებ ძალიან მწირმა ცნობებმა მოაღწია ჩვენამდე.



ერთადერთი წყარო, რომლის მოძიებაც ჩვენ შევძლით არის სევტიცხოვლის მიტროპოლიტის 1784 წლის - „განხინება მისის უწმინდესობის დიქასტირისა მიერ“, რომელშიც მიტროპოლიტი ნიკოლოზი „დიღმელნ ხუცებს აბრაამს და პავლეს“ აძლევს მითითებებს: კალებია წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა, სასაფლაო პავლე მღვდლის მამა-პაპათა, და კვალად კალებია წმიდისა სამებისა. ეს ორი კალებია მიგვიცემის პავლესთვის საკუთრად და კოვლით შემოსავლით შეუცილებლად ვისგანმე...“ სამწუხაროდ „პავლე მღვდელის“ ვინაობის დადგენა ვერ შევძლით.

ხელოვნებათმცოდნე სარა ბარნაველი, რომელმაც 1950-იან წლებში აღწერა დიდმის კალესიები წერს, რომ წმინდა სამების კალესია გაუნახლებიათ XVI საუკუნეში და რომ მასზე „არის ლიადარული წარწერა“, რომელიც სამწუხაროდ დღისათვის დაკარგულია.

სოფელი დიდმის წმინდა სამების ეკლესიის შენობიდან ჩვენამდე მხოლოდ ქვებმა მოადწია. საბჭოთა პერიოდში მასში შეწყდა დავთისმსახურება. II მსოფლიო ომის დროს აღნიშნულ ეკლესიაში წისქვილი მოაწყვეს, ხოლო შემდეგ წისქვილის ნაცვლად ეკლესიის ტერიტორიაზე გაკეთდა ნის დამამუშავებელი სამქრო სამხერხაოთი, რამაც საბოლოოდ დაანგრია სამების ეკლესია. მომდევნო წლებში ეს სამქრო ეკლესიის ნანგრევებით გადავიდა კერძო საკუთრებაში.

სოფელში ბოლო პერიოდამდე არსებობდა დიდი ხნის ტრადიცია – სასაფლაოსკენ მიმავალ მიცვალებულს აუცილებლად ასვენებდნენ ამ ტაძრის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი საბჭოთა პერიოდში დაინგრა, ეს ტრადიცია კიდევ დიდხანს მოქმედებდა.

ამჟამად ამ ადგილას მხოლოდ ეკლესიის ქვები და საძირკვლის ნაშთიდა მოჩანს. სოფელი დიდმის

მრევლმა შეძლო წმინდა სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის საბატრიარქოსათვის გადაცემა. მათ სურვილი აქვს, რომ აღდგეს წმინდა სამების ეკლესია. ჯერჯერობით, ეს სახიკეთო საქმე ვერ ხერხდება. მოსახლეობამ მოაგროვა ეკლესიის შენობიდან შემორჩენილი ქვები და ამ გროვის შეაში დადგეს ნის ჯვარი, იმის ნიშნად, რომ აქ ძველ საძირკვლებელი წმინდა სამების ახალი ეკლესია აუცილებლად აშენდება.

ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იგი წლების განმავლობაში სწავლობდა ისტორიულ საბუთება და წერილობით წყაროებს, განსაკუთრებით კწ. „მზითვის წიგნებს“, როგორც მატერიალური კულტურის ამსახველ ძეგლებს. მისი მეცნიერებული მოღვაწეობის მთავარი სფერო იყო პლასტიკა, კერძოდ – გლიპტიკა. მეცნიერულად შეისწავლა და გამოაქვეყნა ქართული ნივთიერი კულტურის, კერძოდ, მშენებლობის ისტორიასთან დაკავშირებული ძევლი საბუთები. მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები – „ქართული დროშები“, „საქართველოს ანტიკური საბეჭდავების ისტორიიდან“, „მხატვარი დავით ქართველი“, „ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი“ და მრავალი სხვა.

12. კავთის წმინდა გიორგის ეკლესია





ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში ჩამოედინება მდინარე კავთურა. კავთურას ნაპირებზე გაშენებულია რამდენიმე სოფელი, რომლებშიც შემორჩენილია უძველესი ისტორიული ძეგლები. „პავთა“ კავთურას ხეობაში გაბატონებული სახელწოდებაა და ამ სახელის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა – სოფელი კავთისხევი, კავთურა, კავთის ციხე. ასევე ხდებოდა ამ ხეობაში არსებული ეკლესიების შემთხვევაშიც – თავგავთა, კავთის ეკლესია, კლდე კავთა და ა.შ. გიორგი შატბერაშვილი წერს: „ერთნაირი სახლწოდებების დასაკრაკრულებლად პირველ რიგში ასესებდნენ ხეობას ან გეოგრაფიული პუნქტის სახელს, შეძლებ კი მკლების ან წმინდანის სახელს.“

დიღომში არსებული წმინდა გიორგის ეკლესია ასევე კავთის სახელით მოიხსენიება. კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესიას მამულები პქონია დიღმის ხეობაში და მათ ამ ტერიტორიაზე თავდაპირველად წმინდა გიორგის ნიში აუგიათ, მოგვიანებით კი, XIX საუკუნის II ნახევარში ნიშის ადგილას ახალი ეკლესია აიგო.

არსებობს მოსახრება, რომ ეს ეკლესია სოფელ კავთისხევში მდგარი წმინდა გიორგის ეკლესიის მეტოქია. თუმცა ეს მოსახრება ჩვენი აზრით მცდარია, რადგან კავთისხევის ტაბარი აგებულია 1886 წელს. შესაძლებელია გამოვთქმათ ვარაუდი, რომ დიღომში აგებული კავთის წმინდა გიორგის ეკლესია მდინარე კავთურას და ბოტისის წყლების გამყოფი ქედის კლდის კონცხზე მდებარე თავკავთის ციხე-გალავანში მდებარე VIII საუკუნეში აგებული წმინდა გიორგის ეკლესიის მეტოქი ყოფილიყო.

დიღმის კავთის წმინდა გიორგის ეკლესია ერთნავიანია და იგი სოფელის სამხრეთით მდებარეობს. ეკლესიის ზომებია $12,2 \times 7,8$ მ. ნაგებია კარგად დამუშავებული ქვიშაქვით და რიყის

ქვით. მას შესასვლელი ორი მხრიდან ქონდა – სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ა. სონდულაშვილის აღწერით „ეკლესიას ეჭვი თაღოვანი სარჯმელი აქვთ: ერთი აბიდშია, ორი-ჩრდილოეთის და ორიც სამხრეთის კედლებში, ერთი დასავლეთის კედლებში კარის თავზე. აფხიდის სარჯმლის ორივე მხარეს ნიშებია. დარბაზი ხის ცილინდრული კამარითაა გადახურული. ინტერიერი შელექსილია. იატაკზე მოგებულია თლილი ქვის კვადრები. დასავლეთის ფასადზე კარის არქიტავრს არქიზოლტი ასრულებს, არქიტავრის ხემოთ, სწორკუთხა ქვაზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მკლების წრეთა რიგითა და ლილვით შედგენილი ლავგარდანი აქვა.“

2000-2001 წლებში მოხდა ეკლესიის რესტავრაცია და კავთის წმინდა გიორგის ტაბარი კვლავ მოქმედი გახდა. ადგგენითი სამუშაოების შედეგად ეკლესიამ გარკვეული სახეცვლილება გაინიცადა. თავდაპირველად ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან პქონდა, ამჟამად კი ეკლესიაში შესასვლელი კარი მხოლოდ დასავლეთ კედლებშია გამჭრილი, ხოლო სამხრეთის კარი გააუქმეს და ფასადი ერთ მთლიან კედლებს წარმოადგენს.

ეკლესიის აღმოსავლეთის საკურთხევლის კედელი გარედან მთელ სიგანეზე შვერილი, ნახევარწრიული მოყვანილობისაა. ტაბარს აქვს ექვსი სარქმელი, რომლებიც გარედან ოთხ-კუთხა ფორმისა არის. თითო სარქმელი მოთავსებულია აღმოსავლეთის ნახევარწრიული მოყვანილობის საკურთხევლის შვერილი კედლის ცენტრში და დასავლეთის ფასადზე, ხოლო ორორი სარქმელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე. ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილზე მიშენებული აქვს კონტრფორსის შებური სვეტი. ეკლესიას დასავლეთის ფასადის შესასვლელ კარზე აქვს ახალი მინა-



შენი, რომელში მოხვედრაც ჩრდილოეთის მხრიდან, ნახევარწრიული მოყვანილობის თაღოვანი შესასვლელიდანაა შესაძლებელი. მინაშენის სამხრეთის კედელზე ერთი სარკმელია მოთავსებული. მინაშენი მოქცეულია ცალფერდა დამრეცი გადახურვის ქვეშ.

ეკლესია ფასადების დეკორატიული გაფორმების მხრივ არც თუ ისე მდიდარია, მისი დეკორატიული მორთულობა ორად ორი ჯვარით ამოიწურება, რომლებიც ახალი შექმნილებია. ერთი ტოლმკლავა ჯვარი მინაშენში შესასვლელი ნახევარწრიული თაღის ცენტრშია მოთავსებული, ხოლო მეორე ეწ. „ვაზის ჯვარი“ ეკლესიის დასავლეთის ფასადზე სარკმლის თავზე მოთავსებულ ქვაზეა გამოკვეთილი.

რაც შეეხება ეკლესიის ინტერიერს, კედლები გაჯითაა შელესილი. დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილში არც თუ ისე დრმა საკურთხეველია. აფსიდის ცენტრალური სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ ნიშებია გაკეთებული. სარკმლის სამხრეთით მდებარე ნიში ოთხკუთხაა, ხოლო ჩრდილოეთით ნახევარწრიული მოყვანილობისა. დარბაზიდან საკურთხეველი ორი საფეხურითაა შემაღლებული. გრძივ კედლებზე პილსატრები არ არის, არც კამარასა აქვს საბჯენი თაღები. გვხვდება მხოლოდ საკურთხევლის დარბაზისაგან გამყოფი თაღი. ყველა სარკმელი შიგნიდან ნახევარწრიული მოყვანილობისაა. ეკლესიის კედლები ძალიან სქელია, რაც კარგად ჩანს სარკმელების ჭრილებში. ეკლესიის შიდა მორთულობა ახალი თაღოვანი კანკელით ამოიწურება. კანკელს ხუთი თაღოვანი მალა აქვს. თაღები ოთხკუთხა სვეტებს ეყრდნობა, რომლებიც მარტივი სვეტისთავებით ბოლოვდებიან.

ეკლესია გადახურულია თუნექით, აღმოსავლეთის მხარეს, გადახურვა ნახევარწრიულ ფორმას იღებს. ეკლესიის სახურავის აღმოსავლეთ ნაწილში


აღმართულია ჯვარი. ტაძარი გარშემორტყმულია გალავნით, რომელიც აგურით არის აშენებული. გალავნში შესასვლელი მოწყობილია ჩრდილოეთის კედლის ცენტრში. კარიბჭე ნახევარწრიული თაღოვანი ფორმისაა, რომელიც კრამიტით ორფერდად არის გადახურული.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ეკლესიაში შეწყდა დვოისმსახურება. შენობას კოლმეურნეობის საწყობად იყენებდნენ.

კავთის წმინდა გიორგის ეკლესიაში რამოდენიმე ძველი ხატია დაბრძანებული, რომლებიც სოფელი დიღმის მკვიდრს ბერ გაბრიელს გადაურჩნია - ყველა დღესასწაულის ხატი და წმინდა გიორგის ხატები. ტაძრის მოძღვარს მამა შიო მენაბდეს და ეკლესიის მრევლს სურვილი აქვს, რომ ბერი გაბრიელი გადმოასვენონ ტაძრის ეზოში.

1999-2000 წლებში ტაძარს არქიტექტორ რ. ჯანაშიას პროექტით და დ. კალმახელიძის დაფინანსებით ჩაუტარდა სარქსტავრაციო სამუშაოები, რის შემდეგაც აღდგა დვოისმსახურება.

13. თეთრი გიორგის ნიში



მდინარე დიდმურას მარჯვენა ნაპირზე, სოფლი დიღმის სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე, ხევის პირას



აშენებული ყოფილა წმინდა გიორგის უძევესი ეკლესია. ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით ეკლესია მტრის შემოსევის დროს დანგრეულა, რომლის საძირკველი დღემდება შემორჩენილი. ჯ. სონდულაშვილის ცნობით „ნაეკლესიარის გარშემო მიწის სამუშაოების დროს მრავლად ამოდის ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ამსახველი მასალა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეკლესია აგებული უნდა ყოფილიყო ძველ სამლოცველოზე“

მტრის შემოსევებისაგან დაუძლუ-რებულმა მოსახლეობამ ვერ შეძლო დანგრეული ეკლესიის აღდგენა და ამ წმინდა ადგილზე დიდმოწამე გიორგის პატარა სალოცავი ააშენა, რომელსაც დღეს თეთრი გიორგის ნიშს ეძახიან.

14. თეთრი გიორგის ეკლესია



XIX საუკუნეში სოფელ დიდომში მიწების შეძენას იწყებენ „პირველ-

ხარისხოვანი მოქალაქენი“ ზაქარია და გრიგოლ სარაჯიშვილები. „1846 წელს დიდმელმა სახელმწიფო გლეხმა მათგ მიჭელაშვილმა თბილისელ მოქალაქეს ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილს მიჰყიდა 11 დღიური სახნავი მიწა დიდომში 300 მანეთად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1845 წელს მიჭელა-შვილებს მუხრანბატონისგან გამოუხ-ყიდიათ თავი 30 დღიური სახნავი მიწით, რაშიც სულ 200 მანეთი გადაუხდიათ, თვითონ კი ამ მიწის 1/3 ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ 300 მანეთად გაუყიდიათ. ზაქარია სარაჯიშვილმა მიჭელაშვილებისაგან ნაყიდ ტერიტორიას სხვა აღვიღებიც მიუმატა და მოაწყო დიდი მეურნეობა“ - წერს ა.სონდულაშვილი. ზაქარია სარაჯიშვილის სოფლის ცენტრში, დღევანდელი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი სახლი აუშენებია და თავისი მამულისათვის გალავანიც შემოურტყმას.

ზაქარია სარაჯიშვილს სოფელი დიდმის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, დიდმისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე წმინდა გიორგის ეკლესიაც აუგია. სარაჯიშვილები წარმოშობით კახეთი-დან არიან და რადგან მათ მშობლიურ მხარეში წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიები უფრო მეტად თეთრი გიორგის სახელს ატარებს, ამიტომ მათ მიერ აშენებულ ეკლესიასაც თეთრი გიორგი უწოდეს.

სოფელი დიდმის თეთრი გიორგის ეკლესია აშენებულია 1863 წელს. ამის შესახებ მოგვითხრობს ეკლესიის შესასვლელის თავზე მოთავსებული ქტიოტორული წარწერა. ნაცრისფერ ქვაზე მხედრული ასოებით ამოკვე-თილია თარიღი და აღმშენებლის სახე-ლი: „მე მამა-პაპათა მიხავდა შენსა ზაქარია სარაჯოვს-ლუბერნსკის სეკრე-ტარს დავითისასა სახელმობასა ჩემსა, რომელმან აღვაგე წმინდა ტაძარი ესე საკუთარითა საფასითა ჩემითა და



შევაძეებ უოგელთა სამჯაულითა წელს 1863[“]. თუმცა თავისი გვარის საძვალედ აშენებულ ეკლესიაში მხოლოდ ზაქარია სარაჯიშვილია დაკრძალული.

რენე შემერლინგის აზრით ქვაზე წარწერა ადგილობრივი ოსტატის შესრულებულია, რადგან იგივე ხელ-წერითა ეკლესის გარშემო მდებარე სასაფლაოს ქვებზე გაპეტებული წარწერები. იგი ასევე თვლის, რომ ადგილობრივი ოსტატის შესრულებულია წმინდა გიორგის რელიეფური ქვაც, რომელიც დღეს ეკლესის საკურთხეველში დევს: „ეს არს განსახურებული ჩემი, რომელი მონაცე, ამას დავეძევიდრო უკუნისამდე. ზაქარია დავითის ძე სარაჯოვი, აღმაშენებული გადასახისა ამის; შემიდან 74 წლისა, გარდავიცვალე 1880 წელს 26-ს მაისს. აღმომკითხველთა გეკედრებით, შენდობა ჰყავთ ჩემთვის. ვიქალი ეს დავხდებ სახსოვრად სიყვარულისა მისისა პირმშობან ძემას მისმან დავით. საუკუნომცა არს ხენება შენი, საუკარელო მშობელო.“

ს. ბარნაველი, პ. ზაქარია და ა. სონდულაშვილის აზრით ეკლესია აგებულია ძველი უკლესის საძირკველზე, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ ძველი ეკლესია უფრო ქვევით მდებარეობდა, რომლის საძირკველზეც დღეს წმინდა გიორგის ნიშია აგებული.

ეკლესია ხევის მეორე მხარეს, მდ. დიღმურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და მასთან მისვლა ჭირდა. ეკლესიაში დათისმსახურების ადსადგნად ზაქარია სარაჯიშვილის ვაჟმა, ცნობილმა მეწარმემ და მეცნატმა - დავითმა გზის დასამოკლებლად ხიდის აგება გადაუწყვიტა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის 1904 წლის 6 აგვისტოს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ბ-ნი სარაჯიშვილი აკეთებს თურმე მშვენიერს ხიდს, რომელიც თურმ გიორგის ძველ გაკლესიასთან მიმავალ გზას ამოკლებს. როგორც ამბობენ, ეს ძველი

გაკლებია სარაჯიშვილთ გვარისაგან გოვილა აგებული. დღეს წირვა-ლოცვა არ არის, მაგრამ გიორგობას ბევრი მღრღველი მიღის იქ. გარდა ამისა, გაღმა მხარეს დიდძალი სახნაგ-სათესი ადგილები თურმე აქვთ გლეხებს და ძალიან გაადვილებული ექნებათ იქით მისვლა-მოსვლა ამ ხიდის წყალობით. სოფელი რიგ-რიგად ქვას თურმე ეზიდება ამ ხიდისათვის, დანარჩენ ხარჯს ბ-ნი სარაჯიშვილი ეწევა. წელს დიდძალი ხალხი მოუდია იქ სააგარაკოდ. ლეინის მოსავალი კარგია, მით უმეტეს ვინც უწამდა, მშვენიერად ასხია ვაზა. ეხლა კალორბაა და, როგორც მოგეხსენებათ, მთელი სოფელი ბზის კორიანტელშია გახვეული. გარდა იმისა, რომ თვალში კაცს, სხვა მხრივაც მავნებელია ესა: სოფლად მოვენილი ბზე წიმისაგან ლაქება, თბღება და შმორდება, რაც ამ ხოლორის მოლოდინში მაინც ერთი ორად საშიშია. კარგი იქნება, დიღომმა, სადაც 700 კომლი მცხოვრებია, სოფელს გარედ გაიკეთოს კალო, როგორც მცხოვრისა და ძეგმში, აგრეთვე სხვა კულტურული დასახლებულ სოფლებშია“.

თეთრი გიორგის ეკლესია ცალნავიანი დარბაზული ტიპის ძეგლია. ეკლესიას შესავლელი სამხრეთიდან აქვს. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდია, რომლის ცენტრშიც დიდი ზომის სარკმელია მოთავსებული. სარკმლის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია დიდი ოთხკუთხა ნიში, ხოლო სარკმლის მარცხნივ ერთი პატარა და ერთი დიდი ნახევარწრიული ნიშია მოწყობილი. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მარტივი პილატრებით. კიდევ ერთი სარკმელია მოთავსებული სამხრეთის კედელზე, ხოლო სარკმლის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის კედელზე, გაკეთებულია მეოთხე დიდი ზომის ნიში. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელებზე მოთავსებულია კიდევ ორი შეწყვილებული პიასტრი, რომლებიც გვირგვინდება



კაპიტელებით და ზედ ხის კონსტრუქ-
ციის ნახევარწრიული კამარაა დაყრდ-
ნობილი. ტაძარის სამხრეთ და ჩრდი-
ლოეთ კედლებზე გამოყვანილი წყვილი
დეკორატიული თაღია, რომელთა თავე-
ბი და ბოლოები ეყრდნობა პილას-
ტრებზე - კაპიტელების ქვევით დეკო-
რატიულად გამოკვეთილ კონსოლებს.
ეკლესია ნაგებია კარგად დამუშავე-
ბული, არც თუ ისე დიდი ზომის ქვით.
ინტერიერში კედლები შელესილია,
შელესვის კვალი კედლებს გარედანაც
ეტყობა. ეკლესია დარბაზულია მისი
ზომებია 7.15×5.18 . იგი ნაგებია თლილი
ქვით, გადახურვა ორფერდა.

XX საუკუნის დასაწყისში თეორი
გიორგის ეკლესიაში დვოთისმსახურება
შეწყვეტილა. დღეისათვის ეკლესიაში
არ არის დადგმული კანკელი და იგი
მოუხატავია. თამაზ მდევამვილის სახს-
რებით ტაძარს ჩაუტარდა აღდგენითი
სამუშაოები.




საკურთხეველი



დავით სარაჯიშვილის აგებული ხიდი

15. ჩხაიკა, ყოვლადწმინდა



დვოთისმშობლის ეკლესია

დიდმის ხეობაში მრავალი სოფე-
ლი არსებობდა, რომლებმაც ჩვენამდე
ნასახლარების სახით მოაღწია. ასეთი
ნასოფლარია ქობა, რომელიც დიდმის
ხეობის მარცხენა ნაპირზე, კორათხე-
ვის გზის პირას მდებარეობს. ტყეში
დღემდე მოსჩანს ნასოფლარი და
პატარა ერთნავიანი ეკლესია, რომე-
ლიც ყოვლადწმინდა დვოთისმშობლის
სახლზე არის აშენებული. სოფელი
ქობა სვეტიცხოველს ეპუთვნოდა და
მასში ძირითადათ ქობელაშვილები და
შიომშვილები ცხოვრობდნენ.

გახშირებული მცრის შემოსევების
გამო გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში
დიდმის ხეობის მთის მოსახლეობა
სოფელ დიდომში ან მის მიმდებარე
ტერიტორიაზე ჩამოდიოდა საცხოვრებ-



ლად. ამ პერიოდში იყრება სოფელ ქობას მოსახლეობა და სოფელი დიდის ზემოუბაზში სახლდება.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ქობას მოსახლეობა არ ივიწყებდა თავის ძველ საღოცავს, XVIII საუკუნეში ქობელაშვილებმა და შოთავიშვილებმა თავის უბანში, ქობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნიში ააგეს. ამ ნიშის გარშემო მათ თავისი საგვარეულო სასაფლაოც დააარსეს. სადაც დღემდეა შემორჩენილი ამ გვარების წინაპართა საფლავის ქვები.

მოგვიანებით, საგარაუდოთ XIX საუკუნის დასასრულს ან XX საუკუნის დასაწყისში, ძველი ნიშის საძირკველზე მათ კლდის ქვით დაუწყიათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესის მშენებლობა, რომელმაც ჩვენამდე დაუმთავრებელი სახით მოაღწია. ეკლესის გარშემო, სასაფლაოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ეკლესის გამოუყენებელი ორნამენტებიანი ქვები.

ამ დაუმთავრებელი ეკლესის შესახებ არსებობს ხალხში შემორჩენილი თქმულება: ეკლესის მშენებლობის დროს მუშავისათვის ცეცხლზე საჭმელი იხარშებოდა. იმ დროს, როდესაც მშენებლები მუშაობდნენ ქვაბი უკურადღებოდ დარჩენილა და შიგ მცურავი ჩავარდნილა, ეს ყვავს შეუმნევია, მომუშავებს საჭმლის ჭამა დაუპირებიათ ყვავს ჩხავილი აუგეხია, ქვაბს დასტრიალებდა და საშუალებას არ აძლევდა, რომ ეს საჭმელი ეჭამათ. ყვავი მუშებს მოსვენებას არ აძლევდა, მშენებლები ვერაფერს მიმხვდარან. ყვავი ქვაბში ჩამხეტა, მუშებს ქვაბი დაუწევიათ და უნახავთ, რომ შიგ მცურავი იყო ჩახარშული, ასე გადაარჩინა ყვავმა მშენებლები თავისი სიცოცხლის ფასად. მშენებლებს მიუტოვებიათ ეკლესის შენება, ხოლო ამ დაუმთავრებელ ეკლესის „ჩხაიკა“ შეერქვა.

სასაფლაოს ტერიტორიაზე დაუმთავრებელი ეკლესის ადგილზე აშენდება ახალი ეკლესია, რომელსაც ჯვართამაღლების სახელობაზედ აკურთხებენ.

16. დიდგორის ნიში

დიდმის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი, დვინიაანთ და ლასურაანთ უბანში, გზის პირას, აღმართული ყოფილა დიდგორის წმინდა გიორგის ნიში.

„ამ ნიშთან ლოცვლობდა ის ხალხი, ვინს დიდგორობის დღესასწაულზე 7(20) მაისს დიდგორზე წასკლას კერ ახერხებდა. ამ ნიშთან ანთებდებენ სანთელს და კლავდიენ საკლავე, აქვე მოდიოდნენ დიდგორისაკენ მიმავალი მლოცველებიც, აანთებდებენ სანთელს და შემდეგ გზაც განაგრძობდნენ“ - წერს ჭ. სონდულაშვილი.

17. ხოლუაშვილების საღოცავი

XVIII საუკუნეში სოფელ დიდომში კახეთიდან გადმოსახლებულა ხოლუაშვილების რამოდენიმე ოჯახი. გადმოცემით მათი გვარი კახეთიდან ლეკიანობას გამოქცევია. „მათ ერთი „ხახლიიაცი“ ლეკებს ებრძოდა და ბეკრი ლეკიც დაუხმოცნია.“ - წერს ჭ. სონდულაშვილი. ხოლუაშვილები დიდომში, ზემოუბანში დასახლებულან.

როგორც ჩანს ხოლუაშვილები საკმაოდ ძლიერ გვარს წარმოადგენდა, რადგან მათ თავიანთ ახალ სამოსახლო უბანში საკუთარი კოშკი და კარის ეკლესიაც აუგიათ. სამწუხაროდ ამ ეკლესის შესახებ ცნობების მოპოვება ვერ შევძელით.

დღისათვის აღარც კოშკის და აღარც ეკლესის კვალი აღარ ჩანს. თუმცა შემორჩენილია საკმაოდ ძველი სახლები, რომლებიც ნაგებია კარგად თლილი დიდი ქვებით. ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვთ მხოლოდ კოშკის ნანგრევები. საგარაუდოა ეკლესია უფრო ადრეულ პერიოდში დაინგრა.



18. თელიწყაროს ეპლესია

სოფელი დიღომი საუკუნეების განმავლობაში სამეფო და სადედოფლო სოფელს წარმოადგენდა, იგი გადმოცემით მეფეთა საზაფხულო დასასვენებელი ადგილიც ყოფილა. მდინარე დიღმურას ნაპირზე, ბატონაანთ ზვრებში მეფე ერეკლეს საზაფხულო სასახლე მდგარა, ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვს ამ სასახლის სვეტბიანი მარანი, რომელიც საპორა პერიოდში დაშალეს და მისი ქვებით სოფლის კლუბი ააშენეს.

მეფის სასახლის ტერიტორიაზე მრავალსაუკუნოვანი ბუმბერაზი თელები მდგარა, ამ თელების ქვეშ გამოდიოდა ცივი წყარო, რომელსაც მოსახლეობა „თელის წყაროს“ ეძახდა. ამ წყაროს სიახლოებეს მდგარა მეფეთა სასახლის კარის ეპლესიაც, რომელსაც თელის ზვრის ეკლესიას ეძახდნენ.

ჯ. სონდულაშვილის პირადი არქივიდან ვიგებთ, რომ: „ერთ-ერთ თელაზე ბოლო წლამდე გაიღა სახი. ხის ძირში რამოდენიმე ქვევრი იყო მოთავსებული. თელების ცენტრში იდგა დიდი ქვის მაგიდა, გარშემო ქვისავე დასაჯდომებით, მაგიდის სამხრეთით, წყაროსთან აუზში იყო მოთავსებული ქვისგან გაკეთებული ადამიანის ფეხის ფიგურა, რომელიც მრავალი საუკუნის წინ უნდა ყოფილიყო გაკეთებული. ეს ფიგურა აუზის შეკეთების შემდეგ სადღაც გაქრა. თელის წყაროზე გაზაფხულზე და ზაფხულში იხდიდნენ საღმრთოს „ცაღლუბლის სიმუშიდისათვის“ და „წვიმის გამოწვევის“ მოწით“

დღეისათვის ეს ტერიტორია კერძო მოსახლის ხელშია და მასზე სათბურებია გაშენებული. წყაროს სათავესთან კი აუზია აშენებული და ამ ადგილს ტრადიციულად მხოლოდ საქაიფოდ იყენებენ. (მხოლოდ ქეიფის ტრადიცია შემორჩა). ხოლო მის

სიახლოებეს მდგარი ეპლესის კვალი დიდი ხანია გამქრალია.

19. კოშკის სერის ეპლესია

ჯ. სონდულაშვილის მიერ 1980-იან წლებში აღმოჩენილ იქნა მდინარე დიღმურას მარცხენა ნაპირზე „კოშკის სერთან“ დარბაზული ტიპის ეპლესის ნაშთი, რომელიც ბოლო წლებში გაქრა. აქვეა საოვალოვალო კოშკის ნაშთებიც.

20. გაშლიჯვრის ონადირის წმინდა გიორგის ეპლესია



დიღმის ხეობა წერილობით წყაროებში პირველად ქართლის ცხოვრებაში ვხვდებით, სადაც არწერილია მეცე ფარნაოზის ცხოვრება: „და დევნა უყო ირემთა ველსა დიღმისასა. და



ივლტოდეს ირემნი ღირდალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტეფანი ისარი და პეტრი ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა. და დღე იგი მწუხრი, გარდა და, და დაჯდა ირემსა მის თანა, რათა-მცა დაყო მუნ დამე და დილეულ-მცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქთა ძეველად. და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დასხეა წ მა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ აღმოიდო ჩუგლუები და გამთარდა კარი ქუაბისა მის, რათა-მცა მუნ შიგა დაიმშრალა წ მისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ-შინა განდი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი.“

მაშინ ფარნაოზმა „დაპკრძალა კარი ქუაბსა ეგრეთვე“ და ოჯახის შესატყობინებლად მცხეთას დაბრუნდა. იმავე დამეს დედისა და ორი დის თანხლებით უკან დაბრუნდნენ განძის გადმოსატანად: „...მას-ვე დამესა წარმოვიდეს სამნი-ვე იგი სა ედრებითა და ჭურჭლებითა და იწყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლვად სიმარჯუესა თა სსა, ხოლო ვითარ განთენდებოდის, კუალად ეგრეთ-ვე აღმოქმნიან კარი ქუაბისა მის. და ესრეთ გამოკრიბეს განძი იგი ხუთ დამე და დაიგულეს სიმარჯუესა მათსა“.

ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული „კლდისა მის ძირსა ქუაბი“ დღევანდებით ვაშლიჯვრის ტერიტორიის სამხრეთით მდებარე მთას ეხებოდა, რომელსაც თანადირის მთას ეძახიან. დიღმისწყლის მარჯვენივ მდებარე, ამ კლდოვან მთაზე დღემდევა შემორჩენილი ქვაბულები – „ქაბების თავი“, სადაც მევე ფარნავაზმა განძი იპოვა. მას შემდეგ ამ ადგილს „თანადირი“ ეწოდა, რაც სანადირო ადგილს ნიშნავს. დიღმის ხეობის მოსახ-

ლეობაშიც – თხადირი ცნობილი იყო, როგორც მხოლოდ ბატონთა სანადირო ადგილი. მათი გადმოცემით თხადირის შემოგარენი ტყით კოფილა დაფარული.

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს, V არქეოლოგიური კონგრესის მოსამზადებელ პერიოდში, 1881 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ვაშლაჯვართან და თრედებთან მოსახლეობას ენეოლითის ხანაში - 5 ათასი წლის წინათ უცხოებია.

1972 წელს, დიღმისწყლის მარჯვივ, სანადიროს გასწვრივ მდებარე ქვეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ვაშლიჯვრის სამართვანი. მასზე ორი ტიასის სამარხი იქნა აღმოჩენილი – ქვის ფილებით გადახურული IV-V საუკუნეების ორმოსამარხები და VI-VII საუკუნეების ქვაუფები. ორივე ტიასის სამარხში მიცვალებულები დამარხული იყვნენ ქრისტიანული წესით – გამოტილი, გულხელდაკურევილი, თავით დასავლეთისაკენ.

დიღმის წყლის მარჯვენა ნაპირზე, იქ სადაც დიღმის წყალი მტკვარს ერთვის, თხადირის მთის ვერდობის ძირას. უძველესი დროიდან ხოველი ვაშლიჯვრი მდებარებდა, რომელიც ძველად სამეფო მამულს წარმოადგენდა და დიღმის სამოურაოში შედიოდა. ხოვლის მიდამოებში ვაშლებული იყო დიდი სამეფო და შემდეგ საბატონო ზერები, რომელსაც ვაშლიჯრის ხვარის სახელით ვხვდებით დიღმის ხეობის ტოპონიმია. ხოველი ვაშლიჯვრის შემორჩენილი, რომ ვაშლიჯვარში ვაშლებული იყო ვაშლის ხეობი, რომლებიც ჯვრის ფორმის ვაშლებს ისხამდნენ.

ხოვლი ვაშლიჯვრის ტერიტორია 1982 წელს თბილისის, საბურთალოს რაოთხის საზღვრებში მოექცა. 1983 წელიდან დაიწყო თბილისის ახალი



საცხოვრებელი უბნის მშენებლობა. სოფელი საცხოვრებელი რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედა.

დიდი მის ხევის მარჯვენა ნაპირზე, სოფელი გაშლიჯვრის ტელი სასაფლაოს ტერიტორიაზე, ონადირის მთის ძირში მდებარეობს ონადირის წმინდა გიორგის პატარა ეკლესის ნანგრევები, რომელიც IX-X საუკუნეებშია აგებული.

ონადირის, წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზული ტიპისაა, მისი ზომებია $5,9 \times 4,4$ მეტრი. ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის თლილი ქვებით, რომლის წყობა არარეგულარულია, დარბაზული ეკლესის აღმოსავლეთი ფასადი შემოსილია კარგად გათლილი ქვის დიდი ფილებით. შიგნით სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები დანაწევრებულია რთული პროფილის თითო პლასტირით. მორთულობა ძებნია, მხოლოდ ფასადებს ამკობს მოხრდილი გლუვი დისკოები. ასევე სადაა და მორთულობას მოკლებულია საკურთხევლის აფსიდიც.

მოგვიანებით, დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეებში ეკლესია განუხალებიათ აღდგენილი ნაწილებიც ქვიშაქვისაა, მაგრამ წყობა შედარებით ტლანებია. ამჟამად იგი ძლიერ დაზიანებულია, ჩამონგრეულია კამარა და კონქის ნაწილი. შემსასვლელი ეკლესის სამხრეთიდან პქონია. გრძივი კედლების შუაში თითო რთულპროფილიანი პილასტრა, რომლებსაც კარგად გამოყანილი კედლის დეკორატიული თაღები კურნობა. ფასადები მოპირკეთებულია კარგად დამუშავებული ქვებით. ეკლესის ფასადებიდან თავდაპირველი წყობა კველაზე მეტად ჩრდილოეთის ფასადს შემორჩა.

ეკლესიაში ძლიერად მოიპოვებოდა საუკუნეების მანძილზე შეწირული ირმის რქები, რომლებიც გასულ წლებში ძეგლის გასუფთავების დროს გადაუყრიათ. ბოლო წლებში აღილობრივ მოსახლეობის ტაძარი ფერდობიდან ჩამოზავვებული მიწისაგან

გაუხუფთავებია, რომელიც ტაძარს თითქმის ფარავდა. მძიმე ტექნიკით გაუყვანიათ ეკლესიასთან მისასვლელი გზა, რომლის დროსაც მიწის ვენით დაფარული ეკლესის გარშემო მდებარე უძველესი საფლავის ქვები. აღილობრივ მოსახლეობის გადმოცემით ამ საფლავის ქვებზე წარწერები ძველი ქართული დამწერლობით ერთგულია დამწერლობით ერთგულია შესრულებული.

21. ნაქერლების ეკლესია

სოფელი დიდი მის სამხრეთით, დიდი მის ხეობაში, ე.წ. „ნაქერლებში“ XX საუკუნის 90-იან წლებში აღმოჩნდილ იქნა ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესის ნანგრევები. ამ ეკლესის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ შევძელით და არც ისაა ჩვენთვის ცნობილი თუ რომელი წმინდანის სახელზედ იყო ნაგურთხი. ამჟამად ნანგრევების მიგნება შეუძლებელია.

22. „ბაღების თავის“ ნიში

კ. სონდულაშვილის პირადი არქივში დაცულია ცნობა „ბაღების თავის ნიშის“ შესახებ: „დიდი მის ზემოთ „ბაღების თავში“, იქ სადაც დღეს სოფლის ახალი დასახლებაა, იდგა ძველის-ძველის ნიში, თუ რა სახელზეა აგებული აღნიშნული ნიში ჩვენთვის უცნობია. აქ მოხუცებულები მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ამ ნიშს უძრალოს – ბაღების თავის ნიშად მოსხენიებდნენ. ნიშის ირგვლივ მიწის სამუშაოების შესრულების დროს აღმოჩნდა ვერდალური ხანის ქვაყუთები“. დღისათვის „ბაღების თავის“ ნიშის კვალი მოლიანად გამქრალია.



23. თეორაანის ექლესია



სოფელი თეორაანი დიდმის ხეობის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. ამ სოფელს ვახუშტი ბატონიშვილი თეორაძეს უწოდებს – სოფლის მკვიდრი გვარის თეორაძეების მიხედვით. თეორაძეები სამეფო ანუ სახასო ყმები ყოფილან, ნაწილი კი მსახურებად ითვლებოდნენ. XIX საუკუნიდან კი, თეორაძეები მუხრანელ ბატონების ყმებად ითვლებიან. XX საუკუნიდან ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო თეორაძეები თეორაშვილებად იწერებიან.

ჯ. სონდულაშვილის აზრით სოფელი თეორაანი, მასში არსებული კაშხალის თანადროულად უნდა გაშენებულიყო. სოფლის მიმდებარე ტერი-

ტორიაზე დღემდე ჩანს კირის ხსნარით და ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები. მეცნიერთა აზრით კაშხალი აგებულია ადრინდელ ფეოდალურ ხანაში და იგი საირიგაციო მშენებლობის მაღალ დონეს მოწმობს. კაშხალი მდებარეობდა თეორაანის ბაღების თავში, სოფელ თეორაანის ბოლოს. იგი ნაგები იყო ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. ამ ნაგებობის დანიშნულება იყო წყლის დაგროვება და სარწყავი არხის წყლით უზრუნველყოფა. კაშხალი საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა, შემორჩენილი ნაგრევების მიხედვით მისი სიგრძე 22 მეტრი ყოფილა, სიგანე 6 მეტრი, ხოლო სიმაღლე 7 მეტრი. აქევე გვხვდება ნასახლარები და სოფლის შესახლელები გზის პირას კოშკის კვალი. ნასახლარებზე ჩატარებული გათხრების შდეგად აღმოჩენილი ინვენტარი თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით.

სოფელ თეორაანის აყრის და დიდომში ჩასახლების ზუსტი თარიღი უცნობია. თეორაძეების გვარი XV საუკუნის სიგელ გუჯარებში უკვე სოფელ დიდმის მკვიდრთა შორის გვხვდება. თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით სოფელი თეორაძე XVIII საუკუნეში მოქმედია. აქედან შესაძლებელია ვიგარაულოთ, რომ სოფლის დაცლა ეტაპობრივად ხდებოდა.

აქვეა ძველი ეკლესის ნაშთი, რომელიც სოფლის განაპირას, ბორცვზეა აშენებული. ეკლესია თითქმის მთლიანად მიწით იყო დაფარული და მისი გარჩევაც კი ძნელდებოდა. ჩვენამდე მხოლოდ ეკლესის კედლების ნაშთებმაღად მოაღწიეს. ეკლესიაში შესანიშნავად მოჩანს არალრმა საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის მოყვანილობა, რომელიც მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ჩრდილო და სამხრეთ კუთხეებამდე სწორ სიბრტყედ გარდაიქმნება. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდის მარჯვივ და მარცხივ, მოწყობილია ორი ღრმა



ნახევარწრიული მოყვანილობის ნიში, რომლებსაც თავზე ქართული აგურით ჩაშენებული დეკორატიული კამარები გადასდევთ. როგორც ჩანს ეკლესიას შესახვლელი დასავლეთიდან პქონია, რადგან ეკლესის სამხრეთით ფერდად და ერთი მთლიანი კედლის კვალია შემორჩენილი. იგი კლდის ფლეთილი ქვითა და კირის სსნარითაა ნაგები.

1990-იან წლებში თეორაშვილების გვარის ინიციატივით ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა. მათი გადმოცემით ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია წმინდა გიორგის სახელზედ იყო ნაკურთხი. ამ გვარის წარმომადგენლებს სურვილი აქვთ აღადგინონ დანგრეული ეკლესია, რისთვისაც შპვე შედგენილია პროექტი.

25. ჯოიანის წმინდა გიორგი



სოფელი დიდმის ზემოთ, დიდგორის ჩრდილოეთით, ნაოქიანის ხევის ორივე ნაპირზე გაშენებული ყოფილა სოფელი ჯოიანი, რომელის ნასახლარების კვალი დღესაც კარგად ჩანს, თუმცა იგი ტყითაა დაფარული. აქვე ამ ხევის პირას გაშენებული ყოფილა ბაღ-ვენახები, რასაც მოწმობს ხეხილისა და ვაზის ნაშთები. აქაურ ტოპონიმიკაში კამინი ენიჭება.

ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილია პატარა ერთნავიანი ეკლესია, რომელიც ჯოიანის წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. გადმოცემით ეს ეკლესია კოტორაშვილების მიერაა აშენებული. ეს გვარი დიდმისხევის სოფელ მუხადგვერდიდან „თხელ მუხებიდან“ გადმოსახლებულა ჯოიანში. როდის აიყარა სოფელი ჩვენთვის უცნობია. თუმცა XVII საუკუნიდან კოტორაშვილების გვარი უკვე სოფელ დიდმის მკვიდრ მოსახლეობაში გვხვდება.

წმინდა გიორგის ეკლესიას მეცნიერები XI-XII საუკუნეებით ათარიდებენ. ჯოიანის ეკლესია ძლიერ იყო დაზიანებული, მხოლოდ კედლებიდა იყო შემორჩენილი. სახურავი და ნახევარწრიული კამარა მთლიანად იყო ჩამონგრეული. აღმოსავლეთის ნახევარწრიულ აფსიდში შემორჩენილი იყო სარქმელი და ნიშები. დასავლეთის კედლის სიბრტყეზე, კუთხებში კარგად მოჩანდა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი, რომელიც სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებიდან შვერილ კონსოლებს ეყრდნობოდა, ნაეკლესიარში პატარა აღადგინული მოჩანდა ძირს დაგებული ბრტყელი ქვები, შესასვლელი კარი მთლიანად იყო ჩამონგრეული, იქვე ეგდო დიდი ქვის კოჭი – არქიტრავი, რომელზედაც ლამაზი ჯვარი იყო გამოსახული, სამხრეთის ფასადის გადარჩენილ ნაწილზე მოჩანდა ქვის წყობაში მოთავსებული ორი შვერილი ქვის კვადრი.

1999-2000 წლებში ჯოიანის წმინდა გიორგის ეკლესია აღადგინეს და პირვანდელი სახე დაუბრუნეს. ეკლესია აგებულია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით და მოქცეულია ორფერდა გადახურვის ქვეშ, მასალად გამოყენებულია კრამიტი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამხრეთის ფასადზე ქვის წყობაში ქვის კვადრების შვერილებია, აღნიშნული შვერილები წარმოადგენენ ქვის წყობაში მიღებული



ჯვრის მკლავების დაბოლოებებს. გვლესიას გარშემო შემოსდევს დეკორატიულად დამუშავებული ლავგარდანი. მას ერთადერთი სარკმელი აქვს აღმოსავლეთის ფასადზე.

ინტერიერში არც თუ ისე ღრმა ნახევარწრიული გეგმის საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ნახევარწრიული მოყვანილობის თაღით. ნახევარწრიული აფსიდის სიბრტყეზე სარკმლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაკეთებულია თითო ღრმა, შეისრული ფორმის ნიში, სამხრეთით მდებარე შეისრული ნიშის თავზე გაკეთებულია კიდევ ერთი, ოთხკუთხა მოყვანილობის ნიში. დასავლეთის კედელთან, როგორც ჩვენამდე იყო მოღწეული, გაკეთებულია ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი, რომელიც ეკლესიის აღდგენის შემდეგ სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებიდან შვერილი კონსოლების მაგიერ პირდაპირ კედლებზეა დაყრდნობილი. შესასვლელი სამხრეთის ფასადზეა, რომლის თავზეც მოთავსებულია, ძველი ეკლესიიდან შემორჩენილი არქიტრავი, რომლის ცენტრშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯვარია გამოსახული. ეკლესიის იატაკზე აგურის კვადრებია დაგებული.

26.ჯოიანის ქაჯვარი



IV საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის დამლევამდე ჯვარი წარმოადგენდა განსაკუთრებულ სიმბოლოს. მას ტრადიციით დგამდნენ არა ეკლესიასთან, არამედ ღია ამაღლებულ ადვილად დასანას ადგილას. როგორც ცნობილია ნინომ, მეფე მირიანმა და წარჩინებულებმა IV საუკუნის II მეოთხედში აღმართეს ხის ჯვარი მთაზე, როგორც ქრისტიანობის სიმბოლო. იგი იდგა ღია ცის ქვეშ და შორი მანძილიდან ჩანდა. მცხეთის ჯვარის აღმართვის ფაქტი მთელი ქართლი-სათვის სამაგალითო გახდა. მატიანე გადმოგვცემს, რომ მირიანმა თხოთის მთაზე და უჯარმაშიც გაშლილ და ადვილად დასანას ადგილზე აღმართა ჯვრები.

მცხეთის ჯვარი მატიანეში მოხსენიებულია როგორც „ძლევით შემოსილი ჯვარი“, რაც წარმართობაზე გამარჯვებას გულისხმობს. სტელა ჯვარი V საუკუნის ბოლო მეოთხედში მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის ყოფაცხოვრებაში. ქართლში ხმირად გვხვდება ქვაჯვარები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სალოცავის აღმნიშვნელი იყო. ქვაჯვარებს დაგვდნენ გზის პირას გამოსახენ ადგილებში, საზღვრის აღმნიშვნელად იმ ადგილიდან საიდანაც იწყებოდა წმინდა ადგილი. უმეტესად კი ისინი იდგმებოდა ძველი ეკლესიის ნაშთზე. დიღმის ხეობის, სოფელ ჯოიანის წმინდა გიორგის წრდილოდასავლეთით, აღმართულია უძველესი ქვაჯვარი. შესაძლებელია ეს ქვაჯვარი ჯოიანის წმინდა გიორგის კუთხილი მამულების საზღვარზე მდგარიყო.



27. დგთისმშობლის ეკლესია



ყოვლადწმინდა დგთისმშობლის ეკლესია მდებარეობს დიდგორის ველზე სოფელ თელოვნისაკენ მიმავალი გზის პირას შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიას ჩრდილოეთის მხრიდან ჩამოჟღის ქართლის კარის (ნაოქიანო კარის) ხევი.

1987 წელს დიღმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა აღნიშნული ეკლესია. იგი მთლიანად მიწით იყო დაფარული, მოჩანდა მხოლოდ რამოდენიმე მოზრდილი ქვა და ერთი სვეტი. ვ. სონდულაშვილის აღწერით ტაძარი ერთნავიანი დარბაზული ტიპის ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება ($8,70 \times 5,50$ მ). იატაკი ქვით უნდა ყოფილიყო მოგებული, რასაც მოწმობს კედლის გასწვრივ შემორჩენილი ქვის წყობა. ეკლესიას ჰქონია არც თუ ისე დრმა, ნახევარწრიული მოვანილობის საკურთხეველი, იგი დარბაზისაგან გამოყოფილია ერთსაფეხურიანი შემაღლებით. საკურთხეველში ნახევარწრიული აფსიდის სიბრტყეში მოწყობილია ორი ნახევარწრიული გეგმის მქონე ლრმა ნიში. ნიშები საკურთხევლის იატაკიდან დაახლოებით 20-30 სმ-ის სიმაღლეზეა გაკეთებული. როგორც ჩანს, ნიშები საკმაოდ დიდი სიმაღლისა უნდა ყოფილიყო. ეკლესიის დარბაზი დანაწევრებული ყოფილა

საფეხურადი პილასტრებით, რომელთა ნაშთები ახლაც შემორჩენილია დარბაზის გრძივ კედლებთან. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთ ფასადის დასავლეთ ნაწილშია მოწყობილი. ეკლესია შიგნიდანაც და გარედანაც მოპირკეთებული ყოფილი დიდი ზომის სუვთად თლილი მოყვითალო ფერის ქვით. ფასადების პერანგი ეკლესიის ამზენებლის დიდ ოსტატობას და გემოვნებას ამჟღავნებს. როგორც ჩანს, ეკლესია მტკიცედ ყოფილა ნაგები, რომელიც შემდგომში მტრის შემოსევებს გაუხადგურებია. აქ კარგად მოჩანს ცეცხლის კვალიც. ეკლესია გადახურული ყოფილა ლორფინებით.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, აქცენტი გადატანილი უნდა ყოფილიყო სახურავისა და ლავგარდანის დამუშავებაზე. ეკლესიის სახურავის ლორფინებზე გამოსახულია მცენარეული ორნამენტები, რომელიც მიღებულია სწორი რელიეფის დრმად ჩაჭრის შედეგად და ერთ სიუჟეტი რამოდენიმე ქვის დამუშავების შედეგად ყოფილი მიღებული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ქვის ფილაზე შესრულებული სტილიზებული ორნამენტი, რომელიც სიცოცხლის ხედ იქნა მიჩნეული. სიცოცხლის ხის მოტივი საქართველოსათვის ტრადიციულია, არსებობს მოსაზრება, რომ იგი ჩვენში შეაბრინჯაოს ხანიდან ვრცელდება.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოქმედ სასაფლაოზე მრავლად მოსხანს საფლავის ქვებად გამოყენებული ეკლესიის დეკორატიულად დამუშავებული ლორფინები და მომრგვალებული პროფილით დამუშავებული ლავგარდანის ფრაგმენტები.

ეკლესიის სამხრეთ კედლებთან, შესასვლელი კარის პირდაპირ, აღმართულია სპეციალურად დამუშავებული ქვის საფუძველზე გამაგრებული ოთხწახნაგა ქვის სვეტი. სვეტი ნაკლულია. მის მეორე ზემოთა ნაწილი, რომელ



ზედაც ჯვარია გამოსახული გადატანილია დიდგორის მოსალოცავზე. აღნიშნული ჯვრიანი სვეტი მიწაზე ეგდო და მოსალოცავთან XIX საუკუნის ბოლოს გადაუტანია დიდმის წმინდა მარინეს ეკლესიის მდვდელ იოველ გამრეკელს. როგორც ჩანს, სვეტის აგების მიზანს სწორედ ჯვრის აღმართვა უნდა წარმოადგენდეს. სვეტი ლამაზად გათლილი ქვისაგან არის დამზადებული, ორნამენტითაა შემკული სვეტის ორი მხარე სამხრეთისა და აღმოსავლეთისა, ხოლო ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეები სრულიად სადაა. სიბრტყები დამუშავებულია ამოდარვით შესრულებული რელიეფური ზოლებით, რომელიც მოჩარჩოებას ქმნის.

ეკლესიის შესასვლელსა და სვეტს შორის მოთავსებულია აკლდამისებური სამარხი. არქეოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამარხში სამდვდელო პირი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, ამასვე მოწმობს ამ სამარხთან ახლოს, გათხრითი სამუშაოების დროს აღმოჩენილი ამავე საფლავის ქვა, რომელზედაც ასომთავრულად შემდეგი ტექსტია მოთავსებული „ესე საფლავი იოვანე ხუცისაი“.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და არქიტექტურული ფორმების მიხედვით ეკლესიას მეცნიერები VIII-IX საუკუნეებით ათარიღებენ.

28. თელოვანის წმინდა ნინოს ეკლესია



სოფელი თელოვანი მდებარეობს სოფელ დიღმის ჩრდილო დასავლეთით, იგი ორ ხევ შუა განლაგებული, ჩრდილოეთით ესაზღვრება დედოფლის („ბარიშნას“) ხევი, ხოლო სამხრეთით ქართლის კარის ხევი (ნაოქიანო ხევი). სოფელს გარშემო ტყე აკრაგს და იგი ისტორიულად სააგარაკო სოფლად ითვლებოდა. თელოვანი ძევლ ისტორიულ საბუთებში ხშირად გვხვდება, 1392 წლის მცხეთის საეკლესიო სიაში ჩამოთვლილია ყველა ის მამული და სოფელი, რომელიც მცხეთის ეკლესიას ეპუთვნოდა და მათ შორის სოფელი თელოვანიც არის დასახელებული. მისი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სვეტიცხოვლის ყმებს წარმოადგენდნენ სოფელი გარკვეულ პერიოდში საბატონო იყო. 1696 წლის ერთ სიგელში მოწმედ აღნიშნულია თელოვანის ბატონი გაბრიელაშვილი, ხოლო XVII საუკუნის საბუთიდან ვეკებულობთ, რომ თელოვანში მცხოვრები ხუცესი ნიკოლოზ ქიქნაძე ციცი ციციშვილმა უბოძა პაპუნა მაღალაშვილს, მაღალაშვილების გვარი მოგვიანებით თელოვანის მებატონებად გვევლინებიან.

სოფელ თელოვანის წმინდა ნინოს ეკლესია შემაღლებული ბორცვზეა აგებული. ეკლესიის მახლობლად განლაგებულია საფლავის ქვები. ეს ადგილი მაღალაშვილების საძვალეს



წარმოადგენს, დღესაც არის შემორჩენილი მაღალი სფერი რუსულენოვანი წარწერით: „თავადი თამარა მაღალოვა, გარდაიცვალა 22 აგვისტოს 1889, მეთუქვემდებარე წელს.“

წმინდა ნინოს ეკლესია ერთნავიან დარბაზული ტიპის ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება. იგი ძალიან დაზიანებულია, მისი სახურავი და სამხრეთის კედელი მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის მთლიანი კედელი, საკურთხევლის პარარა ნაწილი და დასავლეთ კედლის ნახევარი. ეკლესია აშენებულია კლდის არც თუ ისე კარგად დამუშავებული ქვისა და აგურის ლამაზი წყობით. ეკლესიას ღრმა საკურთხეველი პქონია.

ნახევარწრიული გეგმის მქონე საკურთხევლის გადარჩენილ კედელზე შემორჩენილია ერთი ღრმა ნახევარწრიული ნიში. ჩრდილოეთის კედლის ცენტრში, მოთავსებულია პილასტრი, რომელიც კაპიტელით ბოლოვდება და ზედ აგურით დაშენებული ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი ყოფილა დაყრდნობილი. აღნიშნულ პილასტრსა და საკურთხევლის დაბოლოებას შორის მოთავსებული ყოფილა ორი დიდი ნიში, დაბლითა ნიშს თავზე აგურის დეკორატიული წყობით მიღებული ნახევარწრიული თაღი გადასდევს, ხოლო მეორე ნიში სწორკუთხაა. დასავლეთის ნახევარ კედელზე მოჩანს აგურის წყობით გამოყვანილი დეკორატიული თაღის ნაწილი. ამავე დასავლეთის კედელში შემორჩენილია სარკმლის კვალი.

ეკლესია კრამიტით ყოფილია გადახურული. მეცნიერთა ვარაუდით ეკლესია XVIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული. ჯ. სონდულაშვილის აზრით ტაძარი აშენებულია ძველი ეკლესიის ნაშთზე და რომ მისი წინამორბედი ეკლესია შესაძლებელია ორნავიანიც ყოფილიყო, რადგან ადრეული ეკლესიის საძირკველი ახალი ნაეკლესიარის დარბაზის ცენტრიდან იწყება სამხრეთის მხარეს გადის და ერთ დიდ მოხაზულობას ქმნის.

30. ზეგარდის წმინდა გიორგის ნიში



დიდმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციამ მუხადგვერდის ტბის მიდამოებში გამოავლინა ანტიკური ხანის ნამოსახლარი გორა, გვიან-ბრინჯაო-ადრერეკინის ხანის და ფეოდალური ხანის ნამოსახლარები. ასევე ყორღანების ჯგუფი ტბის მახლობლად, ადგილ დიდველზე, გაითხარა ერთი ყორღანი, რომელსაც ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებენ.

მუხადგვერდის საზოგადო მოდგაწერთა პანთეონის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა შუა საუკუნეების ერთნავიანი რიყის ქვით ნაგები, პატარა ეკლესიის ნაგრევები და მისი თანადროული ნასახლარი.

დღეისათვის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი, რომელსაც შესასვლელი სამხრეთ კედელში პქონია გაჭრილი.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით ეს ეკლესია სოფელ მუხადგვერდში არსებული ზეგარდის წმინდა გიორგის ეკლესიის ნიშია. დიდმის ხეობაში XVIII-XIX საუკუნეებში მთის მოსახლეობა შემოვიდა და დამკვიდრდა. სოფელ მუხადგვერდში დასახლდა მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან აყრილი მოსახლეობა. მათ სოფლის განაპირას, სასაფლაოსთან ააშენეს პატარა ლამაზი ეკლესია. მათ ახალი ეკლესია სოფელ დაუმაცხოში არსებული საკუთარი სამლოცველოს – ზეგარდის



წმინდა გიორგის სახელობაზედ აუშენებიათ.

მუხადგვერდის ტბასთან, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სიახლოეს არსებული მკლესია კი, უკვე სოფელ მუხადგვერდში აგებული ტაძრის ნიშია. ჯ. სონდულაშვილი წერს: „მუხათგვერდის ტბასთან, ერთ ლამაზ კლდოვან ბორცვზე, აგებული ყოფილა ზეგარდის წმინდა გიორგის ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც სამხრეთით დიდმის მინდორს დაკურებდა, ხოლო ჩრდილოეთით კარგად მოჩანდა მცხეთის გარკვეული ნაწილი. გადმოცემით 1870-იან წლების მიწურულს ეკლესია რუხმა სამხედროებმა ააფეხუს და ეკლესის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი მოეწყო, რომელმაც მოიცვა ნახოვლარ ზეგარდის დიდი ნაწილი, სადაც მრავლად მოჩანდა ნამოხახლართა კვალი”.

31. ნაქულბაქევის წმინდა გიორგის მამათა მონასტერი



მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისისა და მცხეთის საზღვართან მდებარეობდა დიდის ხეობის უძველესი სოფელი ნაქულბაქევი, რომელიც სავაჭრო გზების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

1867 წელს დიდომში იპოვეს ფილა ბერძნული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ ნაქულბაქევის სიმაგრე ჩვ.წ. I საუკუნეში აუშენებია ვესპასიანესდა მის მემკვიდრეების – ტიტეს და დომიციანეს ივერთა მეფეებისათვის. 736-738 წლებში არაბთა ჯარმა მურვან ყრუს სარდლობით ნაქულბაქევი დაანგრია.

1981-1983 წლებში ნაქულბაქევის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა 3000 წლის წინანდელი უნიკალური სამარხები. ნასახლარის აღმოსავლეთით აღმოჩენილ იქნა IV-V საუკუნის მარანი და 5 ქვერი. ნაქულბაქევის ტერიტორიზე ასევე გამოვლენილ იქნა ადრეფეოდალური ხანის ნასახლარი, რამდენიმე სათავსიანი ოთხკუთხა ფორმის 4 ნაგებობა. თიხატკეპნილი იატაკი ზოგ შემთხვევაში ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. შენობები გადახურული იყო კრამიტით.

სოფელი ნაქულბაქევი მცხეთის სვეტიცხოველის საკუთრებას წარმოადგენდა. „წერილობით საბუთებში ნაქულბაქევი ძევრგან მოიხსენიება. 1398 წ. სოფელი, მისი შეწირულობა განუხლა ალექსანდრე მეფე სვეტიცხოველს. ასევე სვიმონ მეფე 1559წ. სვეტიცხოველს კვლავ განუხლა ნაქულბაქევის შეწირულობა. XVIII საუკუნისათვის სოფელი ნაქულბაქევი ეტყობა აოხერგულა, ხოლო მისი მცხოვრები აქთითოთ გაფანტულა ან მტერს ამოუწყებია, რასაც მოწმობს პატანა მაღალაშვილის ანდერძი, რომელსაც ხოველი აღუდგენია და იქ ხალხი დაუხსახლებია. ხოველი ნაქულბაქევი გახტანგ VI დახტერლამაშიაც მოხსენიება, მაგალითად გზების შენახვისათვის განკუთვნილ თავში, ნაქულბაქელებს და დიდებულებს უვალებოდათ ვიწროებისა და მუხადგვერდის გზის შენახვა.“ – წერს ჯ. სონდულაშვილი.

სოფელი ნაქულბაქევი თბილისის ერთ-ერთი უახლოესი სოფელი იყო და



ამიტომ ამ სოფელში ჩერდებოდა მრავალი სტუმარი, რომელიც ან თბილისისაკენ მიემართებოდა ან პირიქით თბილისიდან დასავლეთისაკენ. ხშირად უამინდობისა და გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო სტუმრებს საკმარის დიდი ხელი უწევდა ნაქულბაქევში გაჩერება. „ნაქულბაქები დოღმის მინდორზე პატარა სოფელი იყო. მეფის მოხელეებმა აღარ მოუხერხეს როგორც გზისპირი სოფელი: ხან ურმებს აბმუკინებდნენ, ხან რას და ხან რას, ბევრა ბევრი ჰქონდათ. მობეზრდნენ. აიგარნენ და გლოდანის ზემოთ დასახლდნენ მამკოდას „გეტუკით“ - წერს ჯ. სონდულაშვილი ადგილობრივი მოსახლის გადმოცემას.

XIX საუკუნეში სოფლის აყრის შემდეგ დიღმის მინდორზე აშენდა ორი თავშესაფარი „წითელი დუქანი“ და „თეთრი დუქანი“, სადაც მგზავრს საშუალება ეძლეოდა დამე გაეთია და ბოსლებში საქონელი დაებინავებინა.

ნაქულბაქევის ტერიტორიაზე მდებარეობს მცირე ზომის დარბაზული ტიპის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც აღრევეოდალურ ხანაში, VIII-IX საუკუნეებში აუშენებიათ. ტაძარი ნაგებია ნატეხი პირმოსწორებული ქვით. არქიტექტორ გ.გაფრინდაშვილის მიერ 1990 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით: „ეკლესია დარბაზულია (9,3*6,6მ), ნაგებია ნატეხი პირმოსწორებული ქვით; კონსტრუქციულ ადგილებში გამოყენებულია თლილი ქვა. ამჟამად ნაგებობას სახურავი აღარა აქვს (გადახურული ყოფილი კრამიტით). შესახვლელი სამხრეთიდანაა. დასავლეთ კარი ამოშენებულია. ორივე კარი გარედან არქიტაკტორით, ხოლო შიგნიდან ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. აღმოსავლეთით, ნახევარწრიულ ღრმა აფხიდში თოხი ნიშაა – სამი ჩრდილოეთით, ერთი სამხრეთით. დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი მარტივაპორელებიან მასიურ პილატებს გერდ-

32. მღვდელი მიქელ თამარაშვილი. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (ნამდვილის საბუთების შემობანითა და განმარტებებით, XIII საუკუნეებან ვიდრე XX საუკუნეებად). ტფილისი, 1902.
33. მიქელ თამარაშვილი. „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფებ ქართველ კათოლიკობას“. თბილისი, 1904.
34. იოანე ბატონიშვილი (1768-1830) „კამარასობა“ - „ხუმარსწავლა“ (ტ. 1), თბილისი, მერანი, 990
35. მღ. პოლივეგატოს კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესია - კათოლიკოსი და მღვდელ-მთავარი, ტფილისი, 1900 წ.
36. „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალისათვის - საარქივო მასალები“ 1906 წ. თბილისი 2000 წ.
37. ა. შანიძე, გ. გებელიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ს. გიორგაძე, დ. უზნაძე. „სალიტერატურო ქართულისათვის“ - ქართული ორთოგრაფიის სადაც საკითხების მოსაწესრიგებლად შექმნილი საორგანიზაციო კომისია (პროექტი, ტფილისი, 1921, გვ. 51).



-
38. ედიშერ ჭელიძე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, 2005.
 39. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. V, 1980.
 40. ზ. უვანია. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან, ქუთაისი, მოწამეთა, 1994.
 41. გ. ნიკოლაიშვილი, ზ.სისიაშვილი. ქართველი წმიდანები და მათი ტროპარ-კონდაკები, 2006.
 42. რუის-ურბნისის ძეგლისწერა – საქართველოს ეკლესიის 1987 წლის კალენდრის მიხედვით, გვ. 461-476:
 43. ი. დოლიძე. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, ტ. II, 1970.
 44. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. (რედაქტორი როინ მეტრე-ველი), 2000.
 45. რ. მეტრეველი. პატრიარქი – ერის სულიერი მამა, 2008.
 46. პ. გამსახურდია, ტ. III, გვ. 746-747.
 47. „ქართლის ცხოვრება“. სიმონ ყაუხებიშვილის გამოცემა, ტ. 2, გვ. 155, 249. ობ., 1959.
 48. ლეონ მელიქსეთ-ბეგი. სომხურ-ქართული დექსიკონი, 1886.
 49. Русско-армянский словарь, т. 2, изд-во АН Арм. ССР, Ереван, 1956.



მთავრობის სამოხალეო
არისტოკრატია გვიანანტი
ხანის ქართლში

მაია ქუთათელაძე

სამეცნიერო სტატია გვიანანტი-
გური ხანის საქართველოს ისტორიის
გამორჩეულად მნიშვნელოვანი – საზო-
გადოების სოციალური სტრუქტურის
რეკონსტრუქციის პრობლემას ეხება.
გვიანანტი გური ხანის ქართლის სამე-
ფო მკვეთრად დიფერენცირებული
საზოგადოებით გამოირჩეოდა. სოცია-
ლური ფენების შესწავლის თვალსაზ-
რისით განსაკუთრებით მნიშვნელოვა-
ნია წერილობითი წყაროების მონაცემე-
ბი, მათ შორის უცხოელი ავტორების
ცნობები. მის მიუხედავად, რომ ქარ-
თული ნარატივები მოგვიანო ეპოქისაა,
ისინი წინაქრისტიანული ქართლის სა-
მეფოს სოციალური ისტორიის შესახებ
ყველაზე ინფორმატიულია. საქმე ეხება
როგორც ქართულ საისტორიო, ისე
სასულიერო მწერლობის ძეგლებს.
უცხოენოვანი წყაროები, ამ კუთხით,
შედარებით ეპოქის თანადროულია.
არანაკლები მნიშვნელობისაა მცხეოს
ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეპიგრაფი-
კული წარწერები, რომლებიც ქართ-
ლის სამეფოს სამოხალეო არისტოკ-
რატის შესახებ მოგითხოვონ. ამჯე-
რად, ქართლის სამეფოს სამხედრო-სა-
მოხელეო არისტოკრატიის ზედაფენის,
გ.წ. ერისთავთა სოციალური კატეგო-
რისა და ქართლის სამეფო უმაღლესი
მოხელის – ეზოსმოძღვრის შესახებ
ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოჩე-
ნილი მასალისა და ჩვენს ხელთ
არსებული უცხოურენოვანი წყაროების
ანალიზს შემოგთვაზებთ.

ქართლის სამეფო პოლიტიკურ-
ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო
დაყოფილი, რომელთა მმართველებსაც
ქართულ წერილობით წყაროებში
ერისთავებად მოიხსენიებდნენ. ქვეყნის
პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ

დაყოფას ქართული საისტორიო ტრა-
დიცია ქართლში ეროვნული დინას-
ტიის მამამთავარს მეფე ფარნავაზს
უკავშირებს. როგორც ლეონტი მროვე-
ლი მოგითხოვონ: „...განამრავლა
ეროვნი მხედარი ქართლოსიანი, გა-
ნაწესნა ერისთავნი რვანი და საბაბე-
ტი“ [1]. „ქართლის ცხოვრება“ ასახე-
ლებს ხან რვა, ხან ცხრა ერისთავს.
ზოგჯერ ერისთავის ნაცვლად პიტიახ-
ში მოიხსენიება. გ. მელიქიშვილის
აზრით, პიტიახში ერისთავის სინო-
ნიმია, ყოველ შემთხვევაში, გვიან-
ანტიკურ ხანაში მაინც [2]. ს. ჯანაშიას
თვალსაზრისით, ირანული ტერმინი
„პიტიახში“, რომელიც ქართლის ტერი-
ტორიაზე აღმოჩენილ ახ.წ. I-III საუძუ-
ნებების ბერძნულ-არამეულ წარწერებში
გვხვდება, ქართლის მმართველი ზედა-
ფენის აღსანიშნავად იხმარება და შეე-
საბამება ქართულ ტერმინს „ერისთავი“
[3]. საერისთაოები ისტორიულად ჩამო-
ყალიბებული ტერიტორიული ერთეუ-
ლებია, თუმცა ქვეყნის საერისთაოებად
დაყოფა და მის სათავეში ერისთავის
ჩაეყენება მოწმობს, რომ ამ დაყოფის
საფუძველი ლაშქრის ორგანიზაციის
პრინციპი იყო და საერისთაო, პირველ
რიგში, სამხედრო-ადმინისტრაციულ
ერთეულს წარმოადგენდა. სომეხი
ისტორიკოსის მოვსეს ხორენაციის მიერ
მოხსენიებული არიან მირიან მეფის
საგრაცები, რაც სხვა არაფერია, თუ
არა მეფის მოხელეები, ოლქის მმართ-
ველები, რომელთაც ქართული წერი-
ლობითი წყაროები ერისთავებს უწო-
დებს [4]. მეორე სომეხი ისტორიკოსი
ფავსტოს ბუზანდი ქართველ ერისთა-
ვებს მოიხსენიებს ტერმინით „ნახარა-
რები“ [5]. ამ სომხური ტერმინის
შინაარსი სრულად შესატყვისება
ქართულ ერისთავის ფუნქცია-
მოვალეობებს. ერისთავი, უპირველეს
ყოვლისა, სამხედრო ადმინისტრაციუ-
ლი ერთეულის მეთაურია და შესაბა-
მისად ლაშქრის გამოყვანის ვალდე-
ბულების მატარებელი. ამის დასტურად



ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში დაცული ინფორმაცია გავიხსენოთ – გარდაბნის ველზე ირანელთა წინაღმდეგ ქართულ-სომხური სამხედრო ძალის დაპირისპირებაზე, სადაც სწორედ სომები ნახარარებისა და შესაბამისად, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ლაშქრის სპარსელთა მხარეს გადასვლამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

სავარაუდოდ, სწორედ ერისთავებს უნდა გულისხმობდეს აპიანე ტერმინში „ჰეგემონი“, როცა ისინი პომპეუსის ტრიუმფის აღწერისას რომში მეფის შვილებსა და მხედართმთავრებზე უწინ პეტრე მოხსენიებული. აპიანეს უელი „ჰეგემონები“ – ერისთავები, როგორც მსხვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ოლქის გამგებლები, ფლობდნენ რეალურ ძალაუფლებას, როგორც საეროს, ისე სამხედროს და შეადგენდნენ სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის უმაღლეს ზედავენას. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სწორედ მათზე საუბრისას ხმარობს სომები ისტორიკოსი ფაგსტოს ბუზანდი ტერმინს „ნახარარი“. ქართლის სამეფოს მაღალი სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლებს გულისხმობს რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი, ამჯერად ტერმინში „პროტოი“, რომლითაც იგი მოიხსენიებს იმპერატორ ანტონინე პიუსთან რომში სტუმრობისას ფარსმან მეფის ამაღაში მყოფ იბერიელ წარჩინებულებს. სწორედ ეს დაწინაურებული სოციალური კატეგორია თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძველქართულ თარგმანებში „პროტოის“ შესატყვისად სოციალური ტერმინები „აზნაური“ და „მთავარი“ დასტურდება [6]. ვინაიდან ტერმინი „აზნაური“ გვიანანტიკური ხანისათვის ჯერ კიდევ ადრეული სოციალური კატეგორიაა, „პროტოის“ შესაბამისად გვრჩება ტერმინი „მთავარი“. მთავარი ქართლის მეფის დიდ მოხელეს

წარმოადგენს და ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული მეფის „პალატ-ბანაკის“ წევრია.

ერისთავთა ძირითად მოვალეობას ლაშქრის შევსება, გამოყვანა და ომებში მისი სარდლობა შეადგენდა. ამის დასტურია მცხეთის ეპიგრაფიკული წარწერიდან ცნობილი ერისთავი შარაგასი, რომელიც ქართლის მეფის გამარჯვების ამბავს მოგვითხოვდეს და ამ ლაშქრობაში თავის მონაწილეობასაც ადასტურებს [7]. მაგრამ ერისთავი მხოლოდ სამხედრო უწყებას როდი ედგა სათავეში. ერისთავს ემორჩილებოდა ადმინისტრაცია, მას ემორჩილებიან „შიშითა და კრძალულებით ქუეშემყოფი მისინი“, ერისთავის ხელშია ფინანსები – სწორედ ქუეშემყოფთა საშუალებით „მოვიდოდა ხარკი სამეუფეო და საერისთავო“ და „სამართალი – „ჟყოფდა სასჯელსა სამართლისასა“, როგორც ამას გვეუბნება „მთავართა და ერისთავთა დაგინების წესი“ [8]. ამგვარად, ერისთავს ემორჩილება საერისთავო მმართველობის ყველა დარგი, როგორც სამხედრო, ისე საერო ხელისუფლება.

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ ნათლად ადასტურებს იმ განუსაზღვრელ უფლებებს, რომელიც პიტიახში თავის სამფლობელოს მოსახლეობის მიმართ ჰქონდა. ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, ამ უფლებების განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პიტიახშის უფლების შთამომავლობით დამკვიდრებას ერთ სახლში [9].

ერისთავები სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის უმაღლეს ზედავენას ეფუთვნოდნენ, ისინი ცალკეული ძველებისა და მხარეთა მმართველები იყვნენ და ჩვეულებრივ, სეფეწულთა და წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდნენ. ა. ბოგევრაძე არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ერისთავის (საეროდ, მოხელეობა)



ცალკეული წარჩინებული სახლების მემკვიდრეობით პრივილეგიად ქცეულიყო [10]. ა. აფაქიძის აზრით, ქართლის სამეფოში მემკვიდრეობითი იყო არა მარტო მეფობა და ისეთი მსხვილი პოლიტიკური თანამდებობები, როგორიცაა სპასპეტისა და ეზოსმოძღვრის სახელოები, არამედ პიტიახშთა ინსტიტუტიც [11]. პიტიახშებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პ. ინგოროვებას. მისი აზრით, საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ „პიტიახშები“ იყვნენ „სეფერულები“, ისინი სამეფო საგვარეულოს ეპუთვნოდნენ, ხოლო კერძოდ არმაზელი პიტიახშები, რომლებიც იყვნენ უმაღლესი ხელისუფალი, ინიშნებოდნენ თვით მეფის უახლოეს მკვიდრთაგან, ისინი ჩანს იყვნენ, პირველ რიგში, თვით უფლისწულები, მეფის ძენი“ [12].

გ. წერეთელი მცხეთა-არმაზის წარწერების ანალიზიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართლის სამეფოში ყოფილან დიდი და პატარა პიტიახშები [13]. ერთ-ერთი ასეთი მცირე პიტიახშის არსებობა არმაზის ბილინგვის ეპიტაფიდან გახდა ცნობილი. ეს არის ფარსმან II-ის მცირე პიტიახში ზევახი. თუ პიტიახში მართლა ქართული ერისთავის შესატყვისია, იგივე უნდა დავუშვათ ერისთავებთან მიმართებაშიც. საბოლოოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლის სამეფოში დიდ ერისთავთან ერთად არსებობდა „ცოტა“ ანუ „პატარა“ ერისთავის ინსტიტუტიც. ა. ბოგვერაძის მიხედვით, ქართულ წყაროებში მოსხენიებული ეს „ცოტა“ ერისთავები იყვნენ უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულის მმართველები, რომლებიც ამა თუ იმ „დიდი საერისთაოს“ საგანმგებლოში შედიოდნენ [14]. როგორც ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, ასეთ „ცოტა“ ერისთავებად უნდა მივიჩნიოთ პანკიძის,

ხორნაბუჯის, მაჭულის, ვეჯინის და სხვ. ერისთავები [15].

ქართულ საისტორიო მწერლობაში შემორჩენილია „დადგინების წესი“ არა მარტო მეფის, არამედ „მთავართა“ და „ერისთავთა“. მართალია, ამ „წესის“ შემცველი XVI საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს „წესი“ ამ დროიდან ჩნდება პრაქტიკაში. ამ ძეგლის მონაცემები კიდევ უფრო ამტკიცებს მოსაზრებას, რომელიც მცხეთის ბერძნულ-არამეული წარწერებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა – ქართლის სამეფოში არსებობები დიდი და პატარა პიტიახშები [16].

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის სამეფო კარზე პიტიახშის სამოხელეო ინსტიტუტის არსებობას ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებიც ადასტურებს. მაგ., ცნობილი შარაგასის წარწერა, სადაც ქართლის მეფის ფარსმან II-ის ძის მითრიდატეს გამარჯვებათა შესახებ მოვითხოვთ მეფის პიტიახში შარაგასი; არმაზისხევის პიტიახშთა №1 სამარხში აღმოჩნდა გემიანი ბეჭედი ბერძნული წარწერით „ასპარუგ პიტიახში“; ასევე არმაზისხევში, პიტიახშთა №3 სამარხში ნაპოვნი გერცხლის თასი შემკული ბერძნული წარწერით „მე მეფე ფლავიოს დადგებ ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს“; არმაზისხევის პიტიახშთა №2 სამარხში ვერცხლის პინაკის ფსკერზე სასანურ-ფალაურ წარწერაში მოხსენიებულია ვინმე „... პიტიახში დვთაებრივი არდაშირისა“ [17].

ქართლის სამეფოს პიტიახშები პყოლია ლიხს გადაღმაც, რომლებიც ზედ კოლხეთის საზღვართან მსხდარან და ამრიგად „მონაპირენი“ ყოფილან. როგორც ჩანს, მათ უპირველეს მოვალეობას სამეფოს საზღვრის დაცვა წარმოადგენდა. კოლხეთის საზღვართან, ბორში მჯდომი იბერიის ერის-



თავის არსებობაზე მეტყველებს ბორში მდიდრული ორმოსამარხების ინვენტარში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკი არამეული წარწერით – „ბუზმიპრ, კეთილი პიტიახში. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო პოზიცია აქვს დაფიქსირებული გ. ცქიტიშვილს. იგი მიიჩნევს, რომ იძერის ერისთავთა შორის მონაპირე ერისთავის არსებობისა და ერთი მათგანის ბორში ჯდომის ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ ანტიკური ხანის ქართლს სახელმწიფო მმართველობის როული და მაღალგანვითარებული სისტემა ჰქონია [18].

XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისის ქართული საისტორიო წერო ქსნის ერისთავების საგვარეული მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ გვაცნობს ერისთავთა ინსიგნიებად მიჩნეულ ნივთებს – „ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშაი და შუბი“ [29]. ქართლის დიდმოხელეთა ხელისუფლების სიმბოლო აღმოჩნდა არმაზისხევის პიტიახშთა ერთ-ერთ სამარხში. როგორც გ. ლომთათიძე თვლის, რომ ეს ოქროს ბეჭედი დიდი ხელისუფლების საბეჭდავს წარმოადგენდა [20]. გ. წერეთლის თანახმად, არმაზისხევის ერთენოვანი სტელის მე-12 სტრიქონში გვხვდება ნიშანი, რომელიც ძალზე ჩამოჰავს პარგუპატის ხელისუფლების საარსულ ნიშანს და რომელიც აგრეთვე სიმბოლო უნდა იყოს მაღალი თანამდებობს პირის ხელისუფლებისა სახელმწიფოში [21]. საბოლოოდ, პიტიახშის ძალაუფლების ნიშნები კიდევ უფრო აძლიერებს მათი თანამდებობის სიმტკიცეს [22].

ერისთავ-პიტიახშებს სხვანაირად „უფალი“ ეწოდებოდათ. სწორედ ასე მოიხსენიებს ვარსქენ პიტიახშს იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ ნაწარმოების რამდენიმე პერსონაჟი. ამავე თხზულებიდან ირკვევა, რომ ამგვარ „უფლებს“ თავიანთი მონები,

მსახურები და სხვა მათზე დაქვემდებარებული ადამიანები ჰყოლიათ [23]. ქართულ წეაროებში დადასტურებული ამგვარი იერარქია სრულად შეესატყვისება ადრეული შუასაუკუნეების ევროპაში ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ იერარქიულ სისტემას, რომელიც ფეოდალური ეპოქის ერთ-ერთი მკაფიო მახასიათებელია.

ამგვარად, ქართლის სამეფოში დაწინაურებული ფენის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე დგანან ერისთავები, რომლებიც სამეფოს ცალკეულ დიდ ოლქებს მართავენ და სამეფო ხელისუფლების მსხვილ მოხელეებს წარმოადგენენ. მათი აღმნიშვნელი ტერმინი სხვადასხვა უცხოურ წეაროში სხვადასხვაგვარად უდერს, თუმცა ყოველი მათგანის უფლება-მოვალეობებში სწორედ სამხედრო ვალდებულებაა უპირველესი და პრიორიტეტული.

მცხეთაში, არმაზციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ბერძნულ-არამეულმა გპიგრაფიკულმა წარწერამ ქართლის სამეფო კარზე კიდევ ერთი სამოხელეო თანამდებობის – ეზოს-მოძღვრის არსებობის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია. არმაზის ბილინგვის მიხედვით, ეს არის ხევარნუბ მეფის ეზოსმოძღვარი იოდმანგანი. „ეზოისმოძღვარი“ ვისიმე ეზოს (მეურნეობის) გამგებელს ნიშნავს. ეზოს-მოძღვარი განაგებდა სახელმწიფო შემოსავალს – ხაზინას, იყო სამეფო ხარკის, როგორც მას „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს „ხარკი სამეუფეოს“ შემკრები, სათავეში ედგა სამეფო მეურნეობას, უძღვებოდა სამეფო კარის სხვა საქმეებს. მის ფუნქციაში, აგრეთვე, სამხედრო ლაშქრობებში მონაწილეობაც შედიოდა. წარწერის თანახმად, ეზოსმოძღვარი იოდმანგანი არის „ძლევამოხილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“, რაც მის სამეფო ლაშქარში აქტიურ მონაწილეობაზე მიუთიოებს.



ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეზოსმოძღვრის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. გ. მელიქიშვილის აზრით, ეზოსმოძღვრის ფუნქციაში მეფის პირადი რაზმის ან კიდევ „სამეფო მიწებზე“ მსხდომი „ტაძრეულისაგან“ შემდგარი ლაშქრის ხელმძღვანელობა შედიოდა [24]. იგივე მოსაზრებისაა გ. ლომთათიძე. იგი აღნიშნავს, რომ ამ დიდად გავლენიან მოხელეს ჯარის სარდლობა და ამასთანავე, მეფის პირადი მცველი რაზმის მეთაურობა ევალებოდა [25]. ეზოსმოძღვრის შესახებ განსხვავებულ პოზიციაზე არიან კ. გრიგოლია [26] და გ. წერეთელი [27]. ისინი თვლიან, რომ ქართლის სამეფო კარზე სპასპეტი ეზოსმოძღვრის სახელითაც იყო ცნობილი, ანუ „ძლევამოსილი, მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ ეზოსმოძღვარი მხედართმთავარი, ე.ი. სპასპეტი ერთიანი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში ეზოსმოძღვრები ხელმძღვანელობას უწევდნენ მშენებლობის საქმეს ცალკეულ უბნებზე – საპიტიაშვილში. შესაძლებელია, რომ ეს საზოგადოებრივ, საფორტიფიკაციო თუ სამეფო რეზიდენციის კომპლექსებსაც შეხებოდა [28].

მიგვაჩნია, რომ ქართლის სამეფო კარზე სპასპეტი და ეზოსმოძღვარი ორი სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტია. სპასპეტის ფუნქციები უფრო ფართოა. იგი არის მხედართმთავარი, ხელმძღვანელობს ლაშქარს, მაშინ როდესაც ეზოსმოძღვარი მხოლოდ მეფის პირადი მცველი რაზმის მეთაურია. ეს ის მცველი რაზმია, რომელიც დოონ კასიუსის თანახმად, აკროპოლისში იდგა. ეზოსმოძღვარი კი, სამეფო მეურნეობასა და სახელმწიფო ხაზინს განაგებდა. ის როგორც სამხედრო, ისე საერო მოხელეა. ასევე საერო და სამხედრო ხელისუფლება

უპყრია ხელთ სპასპეტსაც, თუმცა მისი ფუნქციები უფრო მრავალმხრივია. ჩანს, იგი მთელ სამეფო ლაშქარზე ვრცელდება და ამას შიდა ქართლის მმართველობაც ემატება. ამასთანავე, სტრაბონის მონაცემებით, სპასპეტი ფარნაგაზიანთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელია, მეფის ახლო ნათესავი. ქართლის სამეფო კარზე ეს ორივე პოლიტიკური სახელო – სპასპეტისა და ეზოსმოძღვრისა შთამომავლობითია, იგი მამიდან შვილზე მეტავიდრეობით გადადის. ამის დასტურია არმაზის ბილიგვა, რომლის მიხედვითაც, ეზოსმოძღვარ პუბლიკოს აგრიპას ძემ - იოდმანგანმა მამის თანამდებობა ეზოსმოძღვრისა მიიღო ფარმან II-ის ძის ხევარნუგის სამეფო კარზე. უმაღლესი რანგის სახელმწიფო სახელოთა მემკვიდრეობითი ხასიათი ქართლის სამეფოს პოლიტიკური ინსტიტუტის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

კიდევ ერთი ეზოსმოძღვარია მოხსენიებული მცხეთაში, არმაზციხებაგინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ II-III საუკუნეებით დათარიღებულ ბერძნულენოვან წარწერაში, რომელიც ქვის ფილაზე შესრულებული წარწერიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფის ამაზასპეტ ეზოსმოძღვარმა ანაგრანესმა საკუთარი სახსრებით აგებული აბანო შესწირა „არმენის მეფის კოლოგეზეს ასულსა და იბერთა მეფის ამაზასპეტ მეუდღეს“. ამ ბოლოდროინდელი აღმოჩენის ტექსტმა დაადასტურა ჯერ კიდევ ა. ავაქიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეზოსმოძღვრის ფუნქციებში სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული გრანდიოზული მშენებლობების გაძლიერდა შედიოდა. ამასთანავე, ეზოსმოძღვარი ანაგრანესი ქართლის მეფის მეუდღის მამამძუძედაც მოიხსენიება. ქართულ წყაროებში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ არიან-ქართლიდან გადმოასახლა რამდენიმე ოჯახი „მამამძუძეთა და დედამძუძეთა“ და



მოგვიანებითი ხანის ეს ეპიზოდი ქართლში ნათესაობის ამ ფორმის არსებობის ხანგრძლივობაზე მეტყველებს. არმაზციხე-ბაგინეთის წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ქართლის სამეფოში ეზოსმოძღვრის თანამდებობა, ისევე როგორც სპასპეტისა, სამეფო საგვარეულოს ნათესავთა ხელშია. იმის მიუხედავად, სამეფო საგვარეულოს წევრობა სისხლის ნათესაობით არის განპირობებული თუ „მამამძუძეთა და დედამძუძეთა“ ინსტიტუტის არსებობით.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.
2. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 462
3. ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 204.
4. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 179.
5. Փավստոս Բузանդ, Իстория Армении, Еր., 1953, кн. V, гл. XV, с. 162-163.
6. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 207.
7. მცხეთა, I, მცხეთის ეპიგრაფიკული ძეგლები, თბ., 1955, გვ. 151-152.
8. კ. კეპელიძე, „მთავართა“ და „ერისთავთა“ დადგინების წესი ძეგლ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955, გვ. 162.
9. ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 228.
10. ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 85.
11. აფაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ხახევარსაუკუნოები გზა, თბ., 1972, გვ. 100-101.
12. პ. ინგოროვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 417.
13. Г. Церетели, Армазская Билингва, Тб., 1941, с. 50-52.
14. ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 210.
16. კ. კეპელიძე, „მთავართა“ და „ერისთავთა“ დადგინების წესი ძეგლ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955, გვ. 159.
17. მცხეთა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 125-158; თ. გაუხეჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
18. გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1955, ტ. I, გვ. 311.
19. „ძეგლი ერისთავთა“, გამოსცა შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 346.
20. გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952, გვ. 148.
21. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 46.
22. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 369.
23. იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.
24. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 458.
25. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 369.
26. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, ნარკვევები საქართველოს



ისტორიის წყაროთმცოდნეობისათვის, I,
თბ., 1954, გვ. 19.

27. Г. Церетели, Армазская Билингва, Тб.,
1941, с. 70.

28. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქა-
ლაქო ცხოვრება ძველ საქართველოში,
თბ., 1963, გვ. 227.

Iberian kings relatives. These two offices were hereditary in the Iberian kingdom.

SUMMARY THE RULING ARISTOCRACY IN LATE ANTIQUE IBERIA

Maia kutateladze

The society of the Late Antique Iberia was strictly segregated. In the study of Late Antique Iberian society, the written sources, both Georgian and non-Georgian, have primary importance. Even though the Georgian sources are composed much later than the non-Georgian ones, the former give more precise and detailed information on the Iberian society. The article will discuss the way Georgian sources represented various Iberian social groups, particularly Ruling aristocracy. Besides, the historiographical debates on this particular issue will be brought in in this article. Bilingual, Greek and Aramaic, inscription discovered in Mtsketa, reveals the existence of ezosmodzgvari office in Iberian Kingdom. Ezosmodzgvari was in charge of royal treasury and was controlling the tax collecting process in the Iberian Kingdom. Besides the administrative functions, ezosmodzgvari was participating in the military campaigns. According to the bilingual inscription, ezosmodzgvari Iodmanagn was participant of several victorious military expeditions. Ezosmodzgvari and spaspet were two different offices in the Iberian Kingdom. Spaspet was more influential than ezosmodzgvari, as the former was commander in chief and leader of the army, whereas the latter had more limited military function as he was controlling king's personal guard. Ezosmodzgvari was official who possessed administrative as well as military power. According to Strabo's account, individuals who were bestowed the office of spaspet were



გვარეული სააკადეთა და თარხან-მოურავების წინაპრები

გაუა რთარაშვილი

დონა სააკაძის შვილიშვილი – იოანე (ივანე) სააკაძე მოიხსენიება სოფ. კავთისხევის (კასპის რაიონი) მოურავად გულშარ დედოფლის სიგელში. იოანე (ივანე) სააკაძის მოღვაწეობის ჩვენთვის ცნობილი წლებია დაახლოებით 1412-1461 წლები. მის სახელს უაგშირდება სააკაძეთა ამ შტოს ატენის ხეობიდან, კერძოდ სოფ. ფელიდან სოფ. კაჭთისხევნოსტეში გადმოტანის პროცესი, რომელიც იწყება მიწების გაცვლით, კერძოდ, გულშარ დედოფლის მიერ კავთისხევის მოურავისათვის (იოანე სააკაძისათვის) მიცემულ მიწის ნაკვეთების გაცვლილობის წიგნში ვკითხულობთ: „სახელითა დევოსათ, მამისა, მისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდის დედოფლისა ჩუქნის დევოსმშბლისა მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდადებითა, შუამდგომლობითა ყოველ(თა) წმიდათა მოწმობითა ესე სიგელი და წიგნი გიბოძე ჩუქნ დედოფალმან გულშარამ თქუენა სა(ა)კაძეთა კ(ა)ვთისახევ(ი)სა მოურავსა ივანეს, თქუენსა მმასა გიორგისა, შვილო(ა) და მ(ო)მავალთა ყოველთავე სიაოშსა როსტევანსა, შ(ა)ლვ(ა)სა, ავთანდილსა. გაგიცვალეთ ნოსტესა რომალ(ი)სშვილისა გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა, რასაცა ბერია(ს) კალო გაიტანსა ბენდიანურის სახლამდისა, კედელსა და კალოსა აქათი ზემო ზღვრამდის სამზღვ(ა)რიზისა დიდი ლოდი, რასაც მზღვრები და ხევი ჩამოიტანს ქვემო შარამდისა, არა გზა დაგვეჭიროს ბედნიერის კ(ა)რშიგან საურმო, არა მოხსნასა კალოზედა, არა აბარაში კ(ა)ლოზედა. ესე ასრე გაგიცვ(ა)ლე, ჩემსა მეზვრესა კავთისხევსა სანაცვლო ს(ა)ხლკ(ა)რი მიეცა. მისი სანაცვლო მიწაც დაგაგდებინე

ჭანაჭახშიგან ერთსა დღისა ბეცლელაური. ნაშენებასა თუ ისქრთამი მამეცა. ანდ(ე)რძიც იყო იმა ვაჟისაგანა შენა დამესახლე ამასთანა არავის რა საქმე ედე(ვ)სა, არ(ც)ა მონასტერსა დ(ა)იწერა ქ კს რ. (?) [დ 1355 გვ I, აბზ.5 ისტორიული საბუთი: „გულშარ დედოფლის მიერ ივანე (იოანე) სააკაძისათვის ბოქებული მიწის გაცვლის წიგნი დადედოფლის ხელროვა-დამტკიცება“ (1462 წ. დ 1355, დაცული ხელ). ძალა ისტორიასა და სამართალში: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული საბუთების კოლექციის მიხედვით (XII-XIX სს.) [„ალბომი“, თბ. 2014წ. გვ. 35].

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, კავთისხევის მოურავს – ივანეს (იოანეს) ჰყოლია მმა გიორგი, შვილები: სიაოში, როსტევანი, შალვა და ავთანდილი. თუ ამ სახელებს დავაკვირდებით სააკაძეთა მომავალ თაობებში ისინი ისევ ფიგურირებენ, რადგანაც ქართველებში არსებული ტრადიცია წინაპართა სახელების მომავალ თაობაზე დარქმევისა გრძელდება. ამ შემთხვევაში „შალვას“ სახელის გარდა, მომავალ წლებში აღნიშნული სახელები ხშირად გვხვდება. ზემოთ მოყვანილ საარქივო საბუთს დ-1355-ს თარიღად უზის ქორონიკონი „რ“ (ანუ რიცხობრივად 100). ბატონმა სარგის კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული სიგელის დედნიდან გადმოწერისას გამოტოვებულ იქნა ასო „ო“ (მე-15 საუკუნეში ამ ასოს გამოხატულება – კონფიგურაციის გამო) და მაშინ მივიღებთ თარიღად 1482 წ. ე.ი. გულშარ დედოფლის სიგელის დათარიღების სავარაუდო ვარიანტებია 1452 წ. ან 1462 წ., ანდა ბოლო ვერსიით 1482 წ., მაგრამ გულშარი დედოფლის 1445 წლიდან და გარდაიცვალა 1471 წელს; ამასთან, გულშარი ცოლია მეფე გიორგი VII-ის (1446-1466 წწ.) მმისა დემეტრესი, რომელიც 1445 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლო-



მდე ანუ 1452 წლამდე თაგს აცხადებდა მეფე დემეტრე III-ედ და, საგარაუდოდ, ქართლის მცირე ნაწილს აკონტროლებდა, ამიტომ თარიღი 1452 წ. უფრო სარწმუნოა და დასაშვები. დემეტრეს ვაჟია კონსტანტინე II.

სამეფო აზნაურების – სააკადეკის უფროსი შტოს აღზევება ქართლის სამეფოს პოლიტიკურ სარბიელზე იწყება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. 1503 წელს მეფებმა კონსტანტინე II-მ (1479-1505 წწ.) დემეტრეს ძე, ალექსანდრე I-ის შვილიშვილი – კონსტანტინე II უკარევარე ათაბაგმა 1483 წლის 13 აგვისტოს არადევთან დაამარცხა და ამ მმათაკვლის აღგილს ხალხმა „ცეცხლის ჯვარი“ უწოდა) და დავით X-მ (1505-1525 წ. დავით X კონსტანტინე II-ძე – იყო მედგარი მეომარი. მან ირანის შაშ-ისმაილი იმ პერიოდში დაამარცხა, როცა თბილისის ციხის-თავმა უდალატა და დედაქალაქის კლიტენი (ჩაბარა) უბოძეს ივანე სააკადეს (1503-1543 წ.) მე-3 ხარისხის თავადის წოდება. ზემოთ ნახსენები კავთისხევის მოურავის იოანე (იგივე ივანე) სააკადის შვილიშვილია პაპის მოსახელე ივანე სააკადეც. როგორც ჩანს, თავადობა უბოძეს არა მთელ შტოს, არამედ მხოლოდ ივანეს და მისი ოჯახობის წევრებს. მე-18 საუკუნის ბოლომდე ამ ოჯახის შთამომავალი თავადებად მოიხსენიება. მიუხედავად მე-3ხარისხის თავადობისა, სწორედ ამ ოჯახის წევრებს უკავიათ საჯარო მოხელეთა მაღალი თანამდებობები: თბილისის მოურავობა, მეფის სახლთუცესობა, სხვა სამეფო დომენის მიწების მოურავობა. მეფის ვაზირობა, მეფის სალაროს გამგებლობა. საისტორიო პერიოდის მიხედვით ასეა სხვადასხვა მეფის დროს; კერძოდ, ლუარსაბ I, სიმონ I, გიორგი X და ლუარსაბ II მეფობის პერიოდებში. ეს წოდებები სააკადებმა მოიპოვეს სიმაციოთ, გამჭრიახობით, ნიჭიერებით, მეფისადმი თავდადებით, სახელმწიფო

ინტერესებისადმი დაუდალაობით და ერთგულებით, სწორი სახლმწიფო პოლიტიკის წრმართვით. ისინი ხდებიან ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო მოხელენი, დიდალი უმა-მამულებისა და აზნაურების მფლობელები და უკვე ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) დროს ივანე სააკადე მეფის დარბაზის წევრია. 1543 წლის 20 აპრილს მან მონაწილეობა მიიღო ბარათაშვილების გაყრის საქმის განხილვაში: „ქ. ძალითა და ბრძანებითა დკონიათა დაგვხედით ჩუქ მეფეთ-მეფე პატრონი ლუარსაბ, დაგვისხეს გვერდთა ბატონი კათალიკოზი, ბარათაშვილი ივანე, და ქსნის ერისთავი ბატონი შანშე, და ამილახვარი ბატონი თაყა, და დიასამიდე ბატონი ვარამ, და მაწყვერელი ბატონი ქრისტეფორე, და ფავლენის-შვილი ბატონი დავით, და ჯავახის-შვილი ბატონი ჯავახი, და სააკადე ბატონი ივანე ბარათაშვილის ბატონის ფარიშატისა და გიორგის და ამათ მამათ მამულის გასაყოფად...“ [დ 10381, 20.04. 1543 წ. იგივე დ-1039 პ-კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ეროვნული ცენტრი].

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ივანე სააკადე უკვე ბატონად მოიხსენიება ქართლის თავადების: ბარათაშვილების, ქსნის ერისთავების, ამილახვების, ფავლენიშვილების, ჯავახიშვილების, დიასამიდეებისა და სხვათა გვერდით. აქ ნახსენები „მეფეთ-მეფე პატრონი ლუარსაბ“ - მეფე ლუარსაბ I-ია (1527-1556 წ.), ხოლო „ამილახვარი ბატონი თაყა“ - თაყა III. მისი მეუღლე იყო ფანასკერტელის ულამაზესი ასული ულუმპია. მათი შვილები იყვნენ თომა, ბარზი, ავთანდილი, ფარემუზა, იოთამი და ბეჟანი. მები ზევდგინ და სიაოში. თაყამ ამილახვრობა და გორის მოურავობა მიიღო 1511 წელს. თაყას სახელთანაა დაკავშირებული „გორის-ჯვრის“ გადმოსვენება 1513 წელს, იმერეთიდან, გელათიდან, ისევ მშობ-



ლიურ გორში (როცა გორში მყოფ ალექსანდრე II-ს აცნობეს თურქების მიერ იმერეთის აკლება, იგი უმაღ აიყარა გორიდან, იმერეთში გადავიდა მტერთან შესაბმელად და თან წააპრანა გორიჯვრის ჯვარი შემწედ, რომელიც გელათში დააპრანება). [ქ. მამისთვალაშვილი „ამილახვრები“, 1996 წ. გვ. 11-12]. ამილახვართა მოქმედებული დაზნელმა (ძ. ლეხურის ხეობის მარცხენა სანაპირო სოფ. ქვემო ჭალასთან, ქასპის რ-ნი) დაახლოებით 1514-1515 წლებში თავისი ემა და მამული თავა III-ს უანდერდა [პ. კარბელაშვილი „ამილახვართა და დაზნელთა გვარებს შორის მტრობის გამომწვევი მიზეზების საინტერესო ლეგენდა“. გვ. 105-106, 1898 წ.]. თავა III ქართლის საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ფეოდალი იყო და, ზემოთ მოყვანილი საბუთიდან ჩანს, რომ მტერის მარჯვენა მხარის შიდა ქართლის არეალში მოღვაწე ივანე სააკაძეც იმდროინდელ საქართველოში არანაკლებ გავლენიანი ფიგურა.

ივანე სააკაძის ვაჟია მე-16 ს-ის შუა ხანებში მოღვაწე გიორგი სააკაძე (არა დიდმოურავი!) (1543-1570 წწ.), რომელიც მრავალ საბუთში და სიგელ-გუჯარში უკვე „პატრონად“ მოიხსენიება და, როგორც ჩანს, ე.წ. „წვრილ-თავადობა“ ადარ აკმაყიფილებს. ამ ეპოქას დიდი ივანე ჯავახიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს:

„მე-16 საუკუნე ის დროა, როცა დიდებული ხელისუფალი და ძლიერი გვარისშვილიც მეფესავით „პატრონად“ იწოდებოდნენ. პირველად, ქართულ საისტორიო წყაროებში, ტერმინი „პატრონი“, მე-9, მე-10 საუკუნეების დოკუმენტებში გვხვდება.

1547 წლით დათარიდებულ საბუთში, რომელშიც გიორგი ივანეს ძე სააკაძე უკვე პატრონად არის მოხსენებული: „აქ სახელითა დვთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ერთობისა და პატიოსნისა ცხოვრებისა, ჯვარისა ცხოველისათა თავსმდებობითა. მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდისა წინასწარმეტვედისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოავნესითა და წმინდისა იოანე მახარებელისათა და ყოველთა წმინდათა დვთისათა, რომელი საუკუნითგან სათხო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო რქისტესა და კუალადცა სათხო ყოფად არიან, ამათითა შუამდგომლობითა ესე უკუნისამდე, უამთა გასათავებელნი, ნასყიდობისა წიგნი და სიგელი მოგახენების ნავროზმან, ნადირმან და აბრამამან თქუენ სააკაძე პატრონსა გიორგის და შვილთა თქუენთა და მოგეიდეთ ხევთა შუა ჩუენი ნასყიდი ვენახი, ხეზდალუანთ მარანს ქვეშეთი და რაც მახარებელსა მივყიდე იმის სამდღვარს ქვემოთი და ავიდეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩუენი გული შესჯერდა. (მოგეიდეთ)... მისითა ჭურმარნითა, საწახლითა, სახლკარითა, აწე არავინ არს მშლელი და მაცილობელი ამა ჩვენგან მოსყიდულისა ვენახისა, ჭურმარნისა და სახლკარისა. ოუკინცა შემოგცილოს, პასუხის გამცემი ჩუენ ვართ. არიან ამისნი მოწამენი და შუვა დამხდომნი... თანდრივერები... სამი შვილი მიქა, ქადაგის შვილი გიგა სრულებით აზნაურშვილები და ავ... მორ... მოსე... ფალა... ქ-ქს სლექ“ აქვეა შემდეგი მინაწერი: “აწე მე, გი... გი, ესე თქვენგან მოსყიდული ვენახი და ჭურმარნი, სასაწახელო და სახლკარი შინა... ოზასა მოგეც სააღაპოთ, ასე რომ ათას კოგას დვინოსა, ასესა პურსა...” („საისტორიო კრებული“, მე-4, 1929 წ. (ცსსა 1450-27-147; 1547 წ.))

როგორც ზემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, „სააკაძე ბატონი ივანეს“ და განსაკუთლისა, უმეტესად გურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა დვთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, მეოხებითა წმიდისა და პატიოსნისა ძელისა ცხოვრებისა, ჯვარისა ცხოველისათა თავსმდებობითა. მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდისა წინასწარმეტვედისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოავნესითა და წმინდისა იოანე მახარებელისათა და ყოველთა წმინდათა დვთისათა, რომელი საუკუნითგან სათხო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო რქისტესა და კუალადცა სათხო ყოფად არიან, ამათითა შუამდგომლობითა ესე უკუნისამდე, უამთა გასათავებელნი, ნასყიდობისა წიგნი და სიგელი მოგახენების ნავროზმან, ნადირმან და აბრამამან თქუენ სააკაძე პატრონსა გიორგის და შვილთა თქუენთა და მოგეიდეთ ხევთა შუა ჩუენი ნასყიდი ვენახი, ხეზდალუანთ მარანს ქვეშეთი და რაც მახარებელსა მივყიდე იმის სამდღვარს ქვემოთი და ავიდეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩუენი გული შესჯერდა. (მოგეიდეთ)... მისითა ჭურმარნითა, საწახლითა, სახლკარითა, აწე არავინ არს მშლელი და მაცილობელი ამა ჩვენგან მოსყიდულისა ვენახისა, ჭურმარნისა და სახლკარისა. ოუკინცა შემოგცილოს, პასუხის გამცემი ჩუენ ვართ. არიან ამისნი მოწამენი და შუვა დამხდომნი... თანდრივერები... სამი შვილი მიქა, ქადაგის შვილი გიგა სრულებით აზნაურშვილები და ავ... მორ... მოსე... ფალა... ქ-ქს სლექ“ აქვეა შემდეგი მინაწერი: “აწე მე, გი... გი, ესე თქვენგან მოსყიდული ვენახი და ჭურმარნი, სასაწახელო და სახლკარი შინა... ოზასა მოგეც სააღაპოთ, ასე რომ ათას კოგას დვინოსა, ასესა პურსა...” („საისტორიო კრებული“, მე-4, 1929 წ. (ცსსა 1450-27-147; 1547 წ.))



რებით, დიდი მოურავის პაპის და მოსახელის თავად გიორგი სააკაძის დროიდან (“პატრონი სააკაძე გიორგი”-ვო), სააკაძეთა საგვარეულოს ეს ოჯახი ეკონომიურად და თანამდებობრივად ძალზე გაძლიერებული და მომდლავრებულია, ყიდულობები ახლომახლო ადგილებში, ქართლში (ძირითად დღევახდელი ქასპის რაიონი) მიწებს, ჭურ-მარნებს, საწნახლებს, სახლებს, იმრავლებენ ყმებსა და ა.შ. ანუ ეკონომიურად სააკაძეთა ეს შეოსაცმლი ძლიერია და ტოლს არ უდებს ქართლის ფეოდალებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მესამე ხარისხის თავადები არიან, პაპა, გიორგი სააკაძე-დიდი მოურავისა, უკვე მსხვილ ფეოდალთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ოჯახის წევრებს დიდი სახელმწიფო თანამდებობები უკავია და დიდი ეკონომიური სიძლიერითაც გამოირჩევიან (გ.დ. თარხან-მოურავი, დ.ი.თარხან-მოურავი, „სააკაძეთა გვარის წარმომავლობა“. თბ. 2002 წ. გვ. 202-203).

დიდი მოურავის პაპის „სააკაძე გიორგი პატრონის“ გარდაცვალების შემდეგ, მისი ოთხი ვაჟი ერთმანეთს გაეყარნენ და სააკაძეთა ერთიანი სახლის გაყოფა, საგვარაუდო, მოხდა 1570-1575 წლებში ანუ დაახლოებით დიდი მოურავის დაბადების თარიღის მახლობელ პერიოდებში.

სააკაძეთა პირველი ფეოდალური სახლი შეადგინეს უშმოელმა (იგივე ზეშთაელ) (...-1590წ) და დიდი მოურავის მამა სიუაშმა (იგივე შომშა) (...1606წ); მეორე სახლში გაერთიანდნენ მეფის სახლთუხუცესი ჯანზურაპ სააკაძე (...-1608წ), სიმონ 1-ლი, გიორგი მეათე, ლუარსაბ მეორემდე (1607 წლამდე), მეფობაში და სააკაძეთა უმცროსი ძმა ივანე იგივე იოანე სააკაძე. ოთხივე ძმა გამოირჩეოდა სამშობლოს ერთგულებით, სიმამაცით, ნიჭიერებით და სამეფო კარზე საგმაოდ დაწინაურებული და მეფესთან დაახლოებული პირები იყვნენ, განსაკუთ-

რებით დიდი სიმონ პირველის მეფობის პერიოდში.

იოსებ ტფილელის და გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შესანიშნავ მკვლევარს ქალბატონ რიმა ფირცხალაიშვილს სააკაძეთა გენიალურ შტოში დიდი მოურავის პაპის მხოლოდ ორი შვილი ჰყავს მითითებული: სიაუში და ზეშთაელი (რ. ფირცხალაიშვილი „იოსებ ტფილელი და მისი „დიდიმოურავიანი“. თბ. 1978 წ. გვ. 117-120), თუმცა მოგვიანებით დადგინდა კიდევ ორი ძმის ვინაობა ჯანზურაპ და იოანე(ივანე) სააკაძებისა (გ.თარხან-მოურავი, დ. თარხან-მოურავი. თბ, 2002წ, „სააკაძეთა ფეოდალური გვარის წარმომავლობა გვ. 203-205), რაც დასტურდება დედოფალ ნესტან-დარეჯანის 1607 წლით დათარიღებული „წყალობის წიგნით“ (სსსცა-1450-27-198), 1590 წლის 21 იანვრით დათარიღებული „მზითვის წიგნით შამანდუს ჯავახიშვილის ასულისა“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დ 14425, 1597წ). აღნიშნულ საარქივო დოკუმენტებს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

აღსანიშნავია, რომ სააკაძეთა გვარი ტრადიციულად მეფის ერთგულია დამუდამ საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ბანაკშია. როგორც ჩანს, ისტორიიდან, ასე ყოფილა გმირი და მამაცი სიმონ პირველის (დიდი) მეფობის სხვადასხვა პერიოდში (1556-1569წ და 1578-1600წ). სიმონ პირველი ლუარსაბ პირველის ძე 19 წლისა გამეფდა. იგი უშიშარი და სამშობლოსათვის დაუდალავი მებრძოლი იყო. მაშინ სპარსელებს ეპყრაო თბილისი და გმირი მეფე ქართლს გორიდან პატრონობდა. მას ჰყავდა უდირსი ძმა დავით ბატონიშვილი, ყიზილბაშთა შაპის კარზე დაუდ-ხანად მონათლური სამშობლოს მოდალატე, გამაპმადიანებული ნაძირალა, რომელიც სვიმონ პირველმა 1567-68 წლებში



ორჯერ სასტიკად დაამარცხა დიდმის ვალზე, მაგრამ 1569 წელს მხარგრძელთა ბოროტ ნათესლარზე აღმოცენებული მეფის, გამცემი, კახაბერ ყორლანაშვილის „დამსახურებით“ ბრძოლაში, (გარკვეულ მომენტში) უიარაღოდ დარჩენილი მეფე შეიპყრეს და დაატყვევეს ირანელებმა ალამუთის ციხეში. გმირმა მეფემ, ალამუთის ციხეში ცხრა წელი გაატარა (ტ. მუ. მუმლაძე „ქართველ მეფეთა ქრონოლოგია“, თბ. 2014წ. გვ. 40-42). ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ფეოდალებს სამშობლოსათვის დაუცხრომლად მებრძოლი მეფის დატყვევებამ ხელ-ფეხი გაუხსნა და ბარძიმ (იგივე ბარზი) ამილახვარი, რომელიც სიმონ პირველის მოწინააღმდეგ იყო და მხარს უჭერდა მეფის გამამადიანებულ ძმას დაუდხანს (ვ. ოთარაშვილი „კასაის ისტორია“, თბ. 2015წ. გვ. 163), ასევე ქსნის ერისთავი, მეფის ოჯახის აწოკებას შეუდგნენ. ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით რომ ვოქათ, სიმონ პირველის დატყვევების დროს „ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი ნესტანარეჯანი, ასული კახის ბატონისა, კასპის მახლობელად იყო კავთისხევს“, თავის მცირეწლოვან უფლისწულ გიორგისთან ერთად, “დრო იცეს ამილახორმა და ქსნის ერისთავმა და შეესივნეს დედოფლის ნესტან-დარეჯანისა და ააფორიაქეს და წარიდეს საქონელი ყოველივე რაც პქონდა, რამეთუ დაუდხანს არ ენაღვლებოდა.” იგივეს გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც „ამილახვარი და ქსნის ერისთავი მიუხდნენ დედოფალსა სვიმონ მეფისასა, კავთისხევს მდგომსა და წარუხუნებს სრულიად ქონებანი და აიალაფეს“ („ქართლის ცხოვრება“ ტ. მე-4. თბ. 1973 წ. გვ. 409).

ამ დროს კავთისხევი და მისი შემოგარენი (ცნობისათვის ს. კავთისხევიდან ს. ნოსტემდე ხუთიოდე კილომეტრი) სააკადების სამურავოა და, როგორც ჩანს, სწორედ მები სააკა-

ძეები გამოექმაგნენ დედოფალს, მხარში დაუდგნენ, ერთგულად ემსახურნენ დაზარალებულ მეფის ოჯახს. ამას დაღადებენ დოკუმენტები, კერძოდ, თავისი მადლიერება დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა დიდი მოურავის, ბიძის, ჟემთელ სააკაძის და მისი ძმების მიმართ შემდეგი „წყალობის წიგნით“ გამოხატა: „ნებითა დვთისათა ჩვენ დედოფალმან ნესტან დარეჯან და ძეთა ჩვენთა პატრონმან გიორგი (მომავალი მეფე გიორგი მეათე – ვ.ო.), ლუარსაბ და ალექსანდრე ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყვალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა ყმასა და თავდადებით ნამსახურსა სააკაძესა გიორგის შვილსა ჟემთელსა და ძმათა შენთა, მას ჟამსა ოდეს მოგვიდექით კარსა და გორსა ერთს კუამლს ვაჭარსა გუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წიგნითა ამით დაგიმკვიდრეთ და მოგიბოძეთ გორს ნინიკას შვილი თოხარიკი აბოვაი და მისი შვილი და მომავალი სახლისა მისისა ყოველივე მისითა სახლკარითა, ჭურმარანითა და ყოვლითურთ მისითა სამართლიანითა შენ, სააკაძეს ჟემთელს და ძმათა შენთა და მომავალთა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რამეთუ ჟამბან მისი წესი არ დაიშალოს და საქმე სხვა რიგად გამოიცულოს და ეს გამოგერთუას, ამისად სანაცვლოდ სხუა ასეთი მოგეცეს, რომე ამისი მუქაფა იყოს. ამისად გათავებისად თავდებად დვთით ყოველნი მისნი წმინდანი მოგუიცემია... ორი ხელრთვა...“ („ქართლის დედოფლის ნესტან-დარეჯანის წყალობის წიგნი ჟემთელ სააკაძისადმი“ დაახ. 1570-1578 წლები, დ-13050 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

დიდი მოურავის ბიძა, ჟემთელ სააკაძე, 1580 წლისათვის გარდაცვლილი ყოფილა. რასაც ადასტურებს კახეთის ბატონიშვილის იასე ლევანის ძის წყალობის წიგნი: „ქ. ნებითა და შეწევნითა დვთისათა ჩვენ დვთივგვირ-



გვინოსნისა მეფისა ლეონის ძემან და თუით მეფემან პატრონმან იასე და საყვარელთა ძეთა ჩვენთა პატრონმან პანკრატ და პატრონმან მაჟმად მირზა. ესე სამკვიდრო წიგნი და სიღელი მოგეცით თქუებ სააკადე სიაუშს, ასრე ამა პირსა ზედა, რომე ბედნიერსა ხელმწიფესა მეფეთა-მეფესა პატრონსა სვიმონისთან მოვედით და თქუებ და კურთხეულმან თქუენმან მმამან, ზეშ-თაელ, მრავალი ვალი და სამსახური დასხვევით ჩუენზედა და ჩუებ მრავლის სამსახურისა თქუენისა სამუქფოდ და ჯილდოდ სააბრეშუმესა თემშიგან, სადაცა შენი გული შეიჯერებოდეს, კაცი კომლი ორმოცი (გიბოძეთ) და არა გიტყოთ და არცა მოგიშალოთ. გქონდეს და გიბედნიეროს ლვთით და ესრე ასრე გაგითავდეს და არა მოგე-შალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩვენთა სხუათა მეპატრონეთა-გან. ამისა გათავებისა თავსმდებად თავად ლვთისანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი. დამამტკიცებელნი ლვთით აკურთხენეს. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ქ. ქს სნიტ (სმ) ხელთა თბილისისა (მთავარეპისკოპოსისა) ბარნაბასითა, ხუთი ხელჩართული ხელმოწერა“. („კახეთის მეფის იასეს წიგნი სიაუშ სააკადისადმი სააბრეშუმოს თემში 40 კომლის ბოქების შესახებ“ დ-14441, 1580 წ.). ამ წყალობის წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ დიდი მოურავის მამასა და ბიძას მრავალი კეთილი სამსახური გაუწევიათ კახეთის მეფის ალექსანდრეს ძმის იასესათვის. იასე – ლევან მეფის ძე მმეგლად იყო საპარსეთში და იქ აღიზარდა. როცა ალექსანდრე, კახთა მეფე ირანელთაოვის არასახურველ პირად იქცა, მაშინ მის წინააღმდეგ სწორედ იასე გამოიყენეს და მეფის ტახტის დასაკავებლად კახეთის მეფობა უბოძეს და საქართველოში გამოუშვეს (გ. ჯამბურია „გიორგი სააკადე“ თბ, 1964წ. გვ. 23). სავარაუდოდ, ირანის შაჟმა ეს ნაბიჯი 1578

წელს გადადგა; იმ წელს, როცა ირანის შაჟი ხუდაბენდე და დედამისი ოთარ შალიკაშვილის ასული ქართულად ბჭობდნენ საქართველოს გამაჟმადიანებაზე, ხოლო კალთაში 7 წლის აბას-მირზა, შემდგომში ქართველთა სისხლისმელი მრისხანე შაჟ-აბასი ჰყავდათ ჩასმული. (თ. მუმლაძე, „ქართველ მეფეთა ქრონილოგია“ თბ, 2014 გვ. 42). ადსანიშნავია, რომ ქონება-მაჟული მაშინ სააკადებს არ მიუღიათ, რადგანაც იასეს კახეთის მეფობა არ ლირსებია, მაგრამ უკვე, გვიან, დიდი მოურავის სიკვდილის შემდეგ, გიორგი სააკაძის ცოცხლად გადარჩენილმა შვილმა, იორამმა როსტომ-ხანის (ხოსრო-მირზა) მეფობის დროს, (როცა მას კახეთიც ჰქონდა სამართავად, 1645-1656 წწ.) „ბოძების წიგნის“ საფუძველზე, 1652 წელს მიიღო როსტომ-ხანისაგან, ზემოთ მოუვანილ საბუთში დასახელებული, 40 კომლი, ამავე წელს იორამს ნოსტეც დაუბრუნა ხოსრო-მირზამ (პ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, ფონდი დ, საბ. 13.956, 1652წ.)

დიდი მოურავის კიდევ ერთი ბიძა, თავადი ჯანზურაბ სააკადე, იგივე ზურაბ სააკადე (...-1607 წლის შემდეგ) იყო ქართლის სამეფოს კარის სახლოუცესი („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თ. მე4, თბ. 1972 წ. გვ. 258) დახულობით 1590-1607 წლებში, ანუ ქართლის მეფების სიმონ პირველი, გიორგი მეათე და ლუარსაბ მეორის მეფობის პირველ წლებში. ისტორიულ საბუთებში მისი სახელი უკანასკნელად იხსენიება 1607 წელს, დედოფალ ნესტან-დარეჯანის წყალობის წიგნში: „ნებითა დვოთისათა! ჩუებ დვოთივგირგვინოსანმა დედოფალთ-დედოფალმა პატრონმა ნესტან-დარეჯან ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ(და გიბოძეთ) შენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა, სახლის უხუცეს ზურაბს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა მას ჟამსა, ოდეს ცხირეთს და სამებას



თევზიას კერძს მამულს გვეაჯენით. ვისმინეთ აქა და მოხსენება ოქენი (და) გიბოძეთ თევზიას კერძი ცხირეთს დასამებას, მისის სამართლიანის საქმითა, რისაც მქონებელი ყოფილიყოს მთითა ვიდრე ბარამდისინ. აწე გქონდეს მკვიდრად და მოუშლელად გიბედნიეროს დვოის ნებითა ჩუენსა ერთგულად სამსახურშია. არასოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენდა მეპატრონეთაგან. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორნიკონს სევ. ხელთა კარისა ჩუენისა მწიგნობარის თუმანიშვილის თაყასითა. (ხელრთვა).“ (სსსცა 1450-27-198. 1607 წელი). ამ ისტორიული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჯანზურაბ(იგივე ზურაბ) სააკადეს, ისევე როგორც მის ძმებს, დიდი წვლილი მიუძღვის სააკადეთა სათავადო შტოს სამთავროს შექმნაში. ამ სათავადოს შემადგენლობაშია ცხირეთი დასამება. ეს ის ცხირეთია, რომლის ციხეში 1609 წლის ზაფხულში ლუარსაბ მეორე იდგა მცირე ამალით, როცა თათარხანის ლაშქარი მტკვრის ხეობით, ფარულად, ქართლში შემოიჭრა. ე.ი მეფე და სამეფო კარი სააკადებს ძალიან ენდობოდა. მეფეთაგან ყმა-მამულების წყალობის მირებით, ასევე მიწების ნასყიდობით, სააკადეთა სათავადო ფართოვდებოდა და ეკონომიურად ძლიერდებოდა. მიწების ყიდვა, როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, მთელი მე-16 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ყიდვენენ ჯავახიშვილები და ძირითადად ყიდულობდნენ სააკადები და ციციშვილები... ამ მოსაზრებას ადასტურებს 1590 წლის 21 იანვრის „ნასყიდობის წიგნი სახლთუხუცეს ზურაბისა“: „ფიცი, პირი და წიგნი მოგახსენეთ ჩვენ ჯავახიშვილთა, როინის შვილთა მასურ და ბეჭან თქენ, ხელმწიფის სახლის უხუცესსა, ბატონს ზურაბს. ასრე და ამა პირსა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩუენი მკვიდრი მამული, რაც ძმათაგან მორჩომია მამაჩვენსა

როინს მის ძმათაგან, ზემო და ქვემო ცხირეთი და მისი გარეშემო და ცუცუბანი და ოძისის ხევს გამოღმა და ზემო ნახოფლარები, ცხავერი, მეტაბანი უბანი, სამებანი, ჯვარი და მადლინი ამათითა ჭალითა. სახნავსათიბითა, მისითა შემოსავლითა და გამოსავლითა, საქმითა, სამძღვრითა, საძოვრითა, სასირითა. ავიღეთ ფასი სრული, რომლითაც ჩუენი გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოვლის კაცისაგან უსარჩლავად და უცილებლად, ასრე რომე არაგვარი კაცი არ შემოგეცილოს. აწე ვინცა და რამანც გვარმან კაცმან, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ თავადმან ანუ აზნაურმან ანუ გლეხმან ანუ დიდმა ანუ მცირემან ხელი ყოს შლად და დაქცევად ამისად, მასამცა ედების ძრწოლა გეხილა შიშთვილი იუდაისი... არიან ამისნი მოწამენი: მოურავბი სიაუშ და მეფეთ-მეფის კარის მწიგნობარი აბაშიძე ესტატე და კიდევ დამიწერია ქასოც, იანვრის კა” (სსსცა 1450-27-153).

ამ ისტორიული საბუთიდან ჩანს, რომ შიდა ქართლის არეალში (დღევანდელი კასპის რაიონი ძირითადად) მოსახლეობა ცხოვრობს 1590 წლის დასაწყისისათვის შემდეგ სოფლებში: ზემო და ქვემო ცხირეთი და მათ გარშემო ცუცუბანსა და ოძისის ხევს გამოღმა. აღსანიშნავია, რომ ზემო ცხირეთში მდებარეობდა ლუარსაბ მეორის სასახლე ანუ ცხირეთის ზემოციხე, ხოლო ქვემო ცხირეთში ცხირეთის ეკლესიები ციხისძირზე, სოფელი ოძისი (კასპის რაიონი – ვ.ო) მდებარეობდა დღევანდელი სოფ. ახალციხის თავზე, სადაც არის ოძისის მთავარანგელოზის ეკლესია. სავარაუდოდ, სოფელ ცუცუბნის ეკლესის შესახლელში მდებარეობს წმინდა თევდორე მდგდლის საფლავი, დღევანდელი ნოსტესა და ერთაწმინდას მიმდებარედ (ზემოთ) ნახოფლარები



ცხავერი, მეტა(ან)თ უბანი, სამებანი, ჯვარნი. ახალციხის მახლობლად ნოსტესა და ერთაწმინდას შუა არის ზედა ჯვარის ანუ ზენაჯვარის (ნასოფლარი ჯვარის) ეკლესია (გ. ბოჭროძის „ქართლის ეკლესია მონასტრები და სიღველები”, თბ. 2011წ, გვ. 367). ცუცუბნიდან ერთაწმინდამდე დაახლოებით ერთი კილომეტრია. ცუცუბნის ეკლესის მახლობლად არის ე.წ „ალუბლის ბაღები”. ამ მიდამოებშია ალბათ წმინდა მდვდელი თევზორე პეტრელის საფლავი. ამავე დოკუმენტში ნახენები, მოურავი სიაუშ...” გიორგი სააკაძის მამა სიაუშ სააკაძე – თბილისის მოურავია, რომელიც სვიმეონ პირველთან (ლუარსაბ პირველის ძე) უაღრესად დაახლოებული პირი იყო. როგორც ჩანს, ფეოდალური საქართველოს სამოხელეო ინსტიტუტის ე.წ „მოურავის სახელის“ პირველი დირექტორი წარმომადგენელი სიაუშ სააკაძეა, რომელსაც ისტორიულ საბუთებში „მოურავ სიაუშად“ იხსენიებენ მხოლოდ. გავა წლები და „მოურავის სახელი“ უკვე ზეაღმატებული ხდება, გმირი მამულიშვილის – გიორგი სააკაძის ხელში.

დიდი მოურავის პაპამ „პატრონმა“ გიორგი სააკაძე (სავარაუდო ოარილები 1543-1570) თავის უმცროს ვაჟს მამის სახელი დაარქვა – ივანე ანუ იოანე. თავად იოანე სააკაძის მოღვაწეობა-საქმიანობის შესახებ რაიმე ცნობები სამწუხაროდ არ შემორჩენილა. ცნობილია მხოლოდ, რომ მას ცოლად ჰყოლია გამრეკელ-ჯავახიშვილის ქალიშვილი შამანდუხი, რომლის თვისაც მზითვის მამას და მმებს თამაზს და შანშეს ცხირეთის ახლომახლო მდებარე მიწა-მამულები თავისი წყალ-ჭალით უბოძებით. ეს ამბავი მომხდარა ქართლის უმამაცესი მეფის სვიმონ პირველის მეორედ გამეფების (1578-1600 წლები) პერიოდში, კერძოდ, 1597 წელს: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და ყოველთა მის წმინდათა

თავდებობითა, ძლიერებითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა.. დიდისა და მაღალისა ხელმწიფისა ბრძანებითა და ხებართულობითა ესე ზითვის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით ქალი, ჩუენ ჯავახიშვილმა, გამრეკელმა და შვილთა ჩუენთა თამაზ და შანშემ, მივათხოვეთ ჩუენი პირმშო შვილი და ასული ჩვენი შამანდუხ-ბატონსა ივანეს, მივეცით და წარუმდვარეთ ზითვად ცხირეთი გოჩიას გარეთ, რაცა ჩუენი კერძი მამული იყო, ანუ ციხეშიგან. ანუ სოფელ შიგან, ანუ სამებასთან, ანუ მთასა, ანუ ბარსა, ამა ალაგებშიგან. რაც ჩუენი მონახდომი იყოს, ჩემის ქალისათვის ზითვად მიგვიცემია ველითა, ვენახითა, მათითა სამძღვრითა, გზითა, რუთა, ყოვლისა მისისა სამართლიანითა, როცა ჩუენ კერძად მქონებელი ყოფილიყნეთ, ჩუენის ქალისათვის მიგვიცემია ზითვად და მოუმდელად, ასრე და ამა ოირსა ზედა, რომელარიბი ვიყავით, ზითვისა და წესისა ალაგი გუაქუნდა. არის ამის მოწამე, ჯავახიშვილი ქაიხოსრო, მახვილასძე იოთამ და მისი შვილი... და მე რუსთველის შვილს მურვანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქესეპე, მეფობასა შინა პატრონისასა სვიმონისასა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან სიგრძესა შინა უამთასა უკუნითი უკუნისამდა ამინ.“ („მზითვის წიგნი შამანდუხ ჯავახიშვილის ასული“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი . ინსტიტუტი). დ 14425, 1597). როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, ჯავახიშვილთა მიწა-მამულები ხან ნასყიდობით, ხან მზითვის სახით ხელ-ხელა სააკაძეთა ხელში გადაის, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის ბოლოდან.

თავადი სიაუშ გიორგის ძე სააკაძე, დიდი მოურავის მამა, ცნობილი სახელმწიფო მოხელე, დიდი თანამდებობის პირი იყო (რ. ფირცხალაიშვილი, „იოსებ ტფილელი და მისი დიდმოუ-



რავი“, თბ. 1978წ. გვ.118. გ. თარხან-მოუ-რავი და დ. თარხან-მოურავი „სააკა-ძეთა ფეოდალური გვარის წარმომავლობა“ „თბ. 2002 წ. 1/1 გვ. 205). სიაუშ სააკაძეს ეკავა როგორც თბილისის მოურავის თანამდებობა, ასევე მოურავის სახელს ითავსებდა მეფის მრჩევლის ანუ სპარსულად მუსაპიდის (როგორც სპარსულ წყაროებშია) და მეფის სალაროს განმგებლის თანამდებობებს, რაზეც მეტყველებენ ისტორიული დოკუმენტები და საარქივი საბუთები („ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“, თბ. 1955წ. ტექსტი დადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო კ. ფუთურიძემ). მიუხედავად იმისა, რომ სიაუში (შიომში) თანამდებობრივად თავის ძმას, მეფის სახლოუხვეს (ჯან) ურაბს ემორჩილებოდა, იგი უფრო გავლენიან ფიგურად გვევლინება იმდროინდელ სამეფო კარზე. სამწუხაოდ, ცდება პლატონ იოსელიანი, რომელიც მიიჩნევდა, რომ გიორგი სააკაძის მამა, სიაუში, ისტორიულ საბუთებში არ იხსენიება და სამეფო საქმეებში არ გარეულო: „გიორგის მამა კი, ჩანს, სამეფოს რაიმე საქმიანობაში არ გარეულა; იგი არც ისტორიაში არ იხსენიება და არც საგვარეულო საბუთებში, რამდენიც კი მე ხელო მქონდა“. როგორც ჩანს, პლატონ იოსელიანს ხელო არ ჰქონდა ის ისტორიული საბუთები, რომელშიც მშენივრად ჩანს დიდი მოურავის მამა, სიაუში, როგორც გავლენიანი მეფის კარის მოხელე. ოუმცა პლატონ იოსელიანი იქვე აღნიშნავს, რომ სიაუში, თანამედროვე აქტებიდან ცნობილია, რომ წარჩინებულ აზნაურთა წოდებას ეპუთვნოდა და ჰქონდა დიდი სიმდიდრე, ადგილ-მამული და ძვირფასეულობა“ (პ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“ თბ. 1973 წ. გვ. 55. ს. კაკაბაძე დასახ. ნაშრომი). როგორც ბატონი ლევან სანიკიძე წერს: „სწორედ სიაუშს არგუნა მისმა საწუთისოფლო ბედისწერამ მამობა ყველაზე დიდი სააკაძისა“ (ლ. სანიკიძე „გიორგი სააკაძე“ თბ. 1988 წ. გვ. 5). როგორც გიორგი და დავით თარხან-მოურავებიც აღნიშნავენ თავის კვლევაში, ს. კაკაბაძის, გ. ჯამბურიას და მ. სვანიძის შეხედულებით, იმის გამო, რომ სააკაძეთა საგვარეულოს ეს ოჯახი უშიშარი მეფე სვიმონ პირველის (1556-1569 წ და 1578-1600 წ.) დიდი ნდობით სარგებლობდა, ამიტომ ქართლის მეფემ „თავის მოურავი სიაუშ სააკაძე მეტად საასუხისმგებლო დავალებით, კერძოდ, თურქეთთან ზავის დასადებად, სტამბოლში გააგზავნა.“ ის სვიმონ მეფის მრჩეველი, ვეზირი ანუ სპარსულად მუსაპიბი ყოფილა. სიაუშ სააკაძე მუსაპიბად იხსენიება 1588 წლით დათარიღებულ ერთ ისტორიულ საბუთში. ამავე წლით დათარიღებულ მეორე ორენოვან (ქართულ-სპარსულ) დოკუმენტის ქართულ ტექსტში მუსაპიბად იწოდება, ხოლო სპარსულ ტექსტში კი მოღარედ არის მოხსენიებული; ე.ი. სიაუშ სააკაძე, სვიმონ მეფის საჭურჭლის ანუ სალარო-საგანძურის

შიომშის (იგივე სიაუშის) შვილებად იწოდებიან (რ. ფირცხალაიშვილი „იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ. 1978წ. გვ. 119). ისინი არასდროს იწოდებიან სიაოშის შვილებად, როგორც ს. კაკაბაძეს შეცდომით პგრნია (ს. კაკაბაძე, „გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ“, საისტორიო კრებული, მე-4, 1929 წ. გვ. 68). დადგენილია, რომ ისტორიული საბუთების მონაცემების მიხედვით საამის შვილობა გიორგი სააკაძის შტოს გვარ-წოდება არ ყოფილა. შეცდომას უშევებს პიოსელიანიც და ს. კაკაბაძეც, როცა დიდი მოურავის მამა შიომში და ზურაბ სააკაძის მამა, შიომში, სხვადასხვა პიროვნება პგრნიათ (პ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბ. 1973 წ. გვ. 55. ს. კაკაბაძე დასახ. ნაშრომი). როგორც ბატონი ლევან სანიკიძე წერს: „სწორედ სიაუშს არგუნა მისმა საწუთისოფლო ბედისწერამ მამობა ყველაზე დიდი სააკაძისა“ (ლ. სანიკიძე „გიორგი სააკაძე“ თბ. 1988 წ. გვ. 5). როგორც გიორგი და დავით თარხან-მოურავებიც აღნიშნავენ თავის კვლევაში, ს. კაკაბაძის, გ. ჯამბურიას და მ. სვანიძის შეხედულებით, იმის გამო, რომ სააკაძეთა საგვარეულოს ეს ოჯახი უშიშარი მეფე სვიმონ პირველის (1556-1569 წ და 1578-1600 წ.) დიდი ნდობით სარგებლობდა, ამიტომ ქართლის მეფემ „თავის მოურავი სიაუშ სააკაძე მეტად საასუხისმგებლო დავალებით, კერძოდ, თურქეთთან ზავის დასადებად, სტამბოლში გააგზავნა.“ ის სვიმონ მეფის მრჩეველი, ვეზირი ანუ სპარსულად მუსაპიბი ყოფილა. სიაუშ სააკაძე მუსაპიბად იხსენიება 1588 წლით დათარიღებულ ერთ ისტორიულ საბუთში. ამავე წლით დათარიღებულ მეორე ორენოვან (ქართულ-სპარსულ) დოკუმენტის ქართულ ტექსტში მუსაპიბად იწოდება, ხოლო სპარსულ ტექსტში კი მოღარედ არის მოხსენიებული; ე.ი. სიაუშ სააკაძე, სვიმონ მეფის საჭურჭლის ანუ სალარო-საგანძურის



გამგებელი ყოფილა. 1590 წელს უკვე მოურავის თანამდებობაზეა მოხსენიებული. სავარაუდოდ იგი თბილისის მოურავია. სტამბოლშიც მისი ელჩობა რომ წარმატებული იყო, ამას აღნიშნავს სიაუშისადმი გაცემული სვიმონ დიდის წყალობისორი წიგნი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ: „წყალობითა ღვთისათა. ქ. ჩუენ, ღუთით გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნისა ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქენებ, ჩუენსა ერთგულსა, ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა ემასა სააკაძეს მუსაპის სიაუშს; - მას უამსა ოდეს მოგუიდებით კარსა და მამულისა წყალობასა გუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქენები და გიბოძეთ გ(ო)რ(ჯა)სპისა და რობამისა კერძი ერთაწმიდა სრულად და ხელშეუვალად, აგრეთვე ნოსტეს ამათივე კერძი ორი კუამლი და საკუამლო. ესე ყოველნივე სამართლიანისა მათისა სამდღვრითა და საქმითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სასარითა, სასაფლაოთა, საძებრითა და უძებრითა, მთითა, ვიდრე ბარამდის თქენებთვის გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენს ერთგულად სამსახურსა შინა და ვერავინ ხელგყოს ამა ჩუენგან ნაწყალობებისა მამულისა შლად და შეცვალებად, თუინიერ დამკვიდრებისა და გათავებისაგან კიდევაწედასთა მოგახსენებთ და უქუდაესთა გიბრძანებთ, ერთობილნო კავთისა და ერთაწმიდის ხევის ტარულანო (ქართული მოურავის საარსული შესატყვისია - ვ.ო) და სხვანო, ოსაქმენო, კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო, ვინგინდავინ იყუნეთ და ანუ ვინგინდავინ იქნებოდეთ დღეის წაღმა, მერმე ესე ჩუენგან ნაწილობები მამულისა წიგნი და სიგელი თქენენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამ ფარვანაში ეწეროს. მის მეტსა ნურას შეეცილებით და ნურცა რას შეუცვლით. დაიწერა ნიშანი და ბძანება ესე ქორონიკონსა სოჭ, მკათათუეს პ, ხელითა კარისა

ჩუენისა მწიგნობრისა რევიზვილის ზიდფიდარისათა. სვიმონ“ („წყალობის წიგნი, მიცემული სვიმონ პირველის მიერ სიაუშ სააკაძისადმი“). 1588 წ. ივლისის რვა. ხელნაწერთა ერ. ცენტრი 4444). ამ საბუთში მეფე სვიმონ წერია ხელშეულად (ხელმოწერაა). აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: „ქართულ-საარსული ისტორიული საბუთები“, თბ. 1955 წელი გვ. 32 (ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, რედ. ნ. ბერძენიშვილი). ქართული ტექსტი დაწერილია ქალადღზე, მრგვალი, საკმაოდ ლამაზი მხედრული ასოებით. განკვეთილობის ნიშნად იხმარება ორი წერტილი, თითოეული სიტყვის შემდეგ. მოცემული დოკუმენტის საარსული ტექსტი დაწერილია შექასთეს ხელით მეორე გვერდზე და შემდეგნაირად იკითხება: „ის არის დმერთი, ქებული ყოველ საქმეში! აბულ-მანსურ სულთან მაჰმუდ-ხან მირზა. ჩემი სიტყვით ამჟამად სიდიადის თავშესაფრის, უმაღლესობასთან დაახლოებულის სიაუშბეგ მუსაპიბისადმი კეთილგანწყობილებისა და ყურადღების გამო, ჩვენ გუწყალობეთ და ვუბოძეთ თაგვის წლის დასაწყისიდან, გასპრის და რობამის კერძი სოფელი ერთაწმინდა. ხენებული სოფლის ქეთხუდა და გლეხები, იცნობენ რა მოხსენებულ პირს თავის თიულდარად, წლით წლამდე გადასცემენ მას დაწესებულ მალს და ბაჰრას და არაფერს არ დამალავენ და არ დაფარავენ დამიოს ბრძანებას და სიტყვას არ გადავლენ. მოვალეობა თიულდარისა ის არის, რომ ისე მოეპყრას გლეხებს, რომ გახდეს მიზეზი მათი კეთილდღეობისა და მისი მეცადინეობისა და მზრუნველობის ნაკოფი ცხადი შეიქმნეს. მაღალი კარის მუსტაფები (ამ) მაღალ ნიშანს შეიტანენ დავთრებში და ცვლილების და გადასხვაფერების უჭვისაგან (მანკისაგან) დაცულად იცნობენ, საფსებით ასე მოიქცევიან (როგორც ნაბრძანებია), ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებია), ყოველ წელიწადს ახალ ბრძა-



ნებას ნუ მოითხოვენ, იცოდნენ ამის შესახებ (გამოცემული) ბრძანება და წინააღმდეგობას ნუ გახვევენ და ორივა მაღალი ნიშანი კურთხეული ბეჭდით შეიმკობა-ერწმუნონ მას. დაიწერა შაბანის თვეს 996 წ.“ („ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“, ვ. ფუთურიძის რედაქციით თბ. 1955 წ. გვ. 34; ხელ. ეროვნ. ცენტრი დ-14444). ამ დოკუმენტში ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭდი გაურკვეველი წარწერით ქართული ტექსტის მხარეზეა დასმული. აღნიშნული დოკუმენტიც შედგენილია 1588 წლის 8 ივნისს. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დიდი მოურავის მამა სიაუში უკვე საბოლოოდ ემკვიდრება „კავთისა და ერთაწმინდის ხევის“ არეალში და მის მფლობელობაში გადადის ასევე სოფ. ხოსტე თავისი „ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სასარითა, სასაფლაოთი... მთითა ვიდრე ბარამდის.“ ფაქტიურად სიაუშ სააკაძე ამ წყალობის წიგნის მიღების შემდეგ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფლების (დღევანდელ კასპის რ-ნი) და მამულების და წყალ-ხევების მფლობელი გახდა კავთურის ხეობიდან დაწყებული თეამი-ატენის ხეობის ჩათვლით. ამავე დროს იგი მოურავის თანამდებობაზეა და მეფესთან დაახლოებული პირია. 1588 წლის ხოებერში თავად სიაუშ სააკაძის მამულები კიდევ უფრო ფართოვდება და ქონება იზრდება, რაზეც მეტყველებს „წყალობის წიგნი სვიმონ პირეველის მიერ სიაუშ სააკაძისადმი.“ ამ საბუთის ქართული ტექსტი დათარიღებულია 1588 წლის 2 ხოებრით: „წყალობითა დუთისაითა! ქ. ჩუენ, დუთივ გუირ-გუინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმეონ ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყვალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა სააკაძეს მუსაპიბსა სიაუშს; - მას უამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულსა წყალობისა გუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი“).

და გიბოძეთ ჯავახიშვილის შალვასა და მის ძმათა კერძი ოძისი (იგულისხმება კასპის რ-ნის ნოსტეს მახლობლად მდებარე სოფელი - ვ.ო) სამართლიანის მისის ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სასარითა, სათიბრითა და სახნავითა და ყოვლისა მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა, მთითა ვიდრე ბარამდის თქუენთვის გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან და ვერვინ ხელგყოს ამის შლად, თუინიერ დამკუიდრებისა და განთავსებისაგან კოდე. აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბოძანებთ, ერთობილნო საჯავახიანოს მოურავნო, მელიქნო და სხვანო კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო მოსაქმენო, ვინგინდავინ იყუნეთ და ანუ ვინგინდავინ იქნებოდეთ დღეის წაღმა, მერმე ესე ჩუენგან ნაწყალობევი მამულისა წიგნი და ნიშანი თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამ ფარვანაში ეწეროს, მის მეტს ნურას შეუშლით და ნურც რას შეეცილებით. დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქორონიკონსა სოვ, გიორგობის თვეს ბ, ხელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა რაგიშვილის ზილფიფარისათა. სვიმეონ მეფის სახელი საბუთში ხელული ხელმოწერითა. (ხელ. ეროვნ. ცენტრი დ-14416). ქართული ტექსტი ქადალდზე დაწერილია მხედრული ასოებით. განკვეთილობის ნიშანდ ნახმარია, ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტი დაბეჭდილია წიგნში „ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“. (ტექსტი დააღინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ თბ. 1955 წ. გვ. 36-37.) ამავე წიგნში ზემოთ მოყვანილი ქართული საბუთის სპარსული ტექსტიც არის წარმოდგენილი, რომელიც თარიღდება 1588 წ 22b – 19 მე-11 და რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ(სტილი ყველგან დაცულია - ვ.ო) : „ ის არის ლმერთი ქებული ყოველ საქმეში!



აბულ-მანსურ სულტან მუჰამედ-ხან მირზა, ჩემი სიტყვა. ამჟამად სიღიადის თავშესაფრის, თანასწორთა ბურჯის სიავუშბეგ მოლარის მიმართ წყალობისა და კეთილგანწყობილების გამო, ჩვენ ვუწყილობეთ და ვუბოძეთ ხესენებულს, თაგვის წელიწადის დასაწყისიდან, შალვა-ბეგის და გუშბარ-ბეგის კერძი სოფელი ოძისი. მოხსენებული კერძის ქეთხედებმა და გლეხებმა იცნონ ხესენებული (სიავუშ-ბეგი) თავის თიულდარად, არ გადავიდნენ მის ნაბრძანებსა და სიტყვას და მალუჯათი, გამოსაღებნი და მცირე ბაჭრა ბაღებისა, ნახნავ-ნათესის მოსავლისა, ძროხის შემოსავლისა და სხვა სახელმწიფო გადასახადი წლითი-წლამდე ხესენებულ (პირს) ჩაბარონ და გადაუხადონ და არაფერი დაფარონ და დამალონ. მაღალი კარის მუსტოფებმა მოხსენებული მაღალი ნიშანი ჩასწერონ დავთრებში და ცვლილებისა და გადასხვაფერების ნაკლისაგან დაცულად იცნონ. ამის მიხედვით იმოქმედონ უსათუოდ და ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. როცა მაღალი ნიშანი შეიმქობა კურთხეული ბეჭდით და წერილით - ერწმუნონ მას. დაიწერა ზულ-პიჯჯას თვეს, 996წ.“ აღნიშნულ საარსულ ტექსტს ბოლოში უზის სვიმონ პირველის, დიდი, მრგვალი, ბეჭედი.

ხაზგასასმელია, რომ წყალობის სიგელში ნახსენები სოფ. ოძისი ნოსტეს მიმდებარედაა სოფ. ახალციხის თაგზე (იგულისხმება კასპის რ-ნი სოფ. ახალციხე - ვ.ო.) ორბეთის ეკლესის ნაგრევი და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები.

ზემოთ მოყვანილ საბუთში სიაუშ სააკაძის კიდევ ერთი სახელია ნახსენები: „სიავუშ-ბეგ მოლარე“. ე.ი გამოდის, რომ სიუაშ სააკაძე როგორც მეფის მოურავი, ასევე მოლარეც ყოფილა და მისი აღგილ-მამულები, 1588 წლიდან, საკმაოდ გაფართოებულა, რაც, ბუნებრივია, თავისთავად

ისახებოდა მის ქონებრივ (ეკონომიურ) მდგომარეობაზეც.

დიდი მოურავის მამას ცოლად პყავდა დიდგვაროვანი თავად ბარათა-შვილების ქალი - თამარი. მათ ოთხი შვილი ჰყოლიათ; სამი ვაჟი - გიორგი, ექმთაველი და ქაიხოსრო, ერთიც ქალიშვილი - როდამი (პირობითი სახელი) (რ. ფირცხალაიშვილი „ოთასებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ. 1978 წ., გვ. 120-121; გ. ჯამბურია „გიორგი სააკაძე“ თბ. 1964 წ. გვ. 26; ანტონ ფურცელაძე „გიორგი სააკაძე და მისი დრო“ თბ. 1911წ. გვ. 100). ამ შვილებიდან უდიდესი გმორული სახელის და ტრაგიკული ბედის იყო გიორგი სააკაძე, პაპის მოსახელე, ქართველი ერის ისტორიაში დიდ მოურავად ცნობილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრაგიკული ბედით დადგასმულნი იყვნენ მისი დედმამიშვილებიც.

დიდი მოურავის მამა სიაუში 1605-1606 წლების შემდეგ ისტორიულ საბუთებში ცოცხალი ადარ ჩანს. მისი გრდაცვალების თარიღებიც უცნობია. თუ თბილელის (სააკაძის) შესანიშნავი პოემის „დიდმოურავიანის“ მიხედვით ვიშკელებთ, სიაუშ სააკაძე, 1606 წელს ცოცხალი ყოფილა. ამ პოემის ავტორი, იოსებ ტფილელი, გიორგი სააკაძეს ათქმევინებს: „მეფეს ლუარსაბს როს ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი; ოცის წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი.“ (ი. ტფილელი „დიდმოურავიანი“, კარი მეორე. თბ. 1939 წ. გ. ლეონიძის რედაქცია). აქ, მეფე ლუარსაბი, ლუარსაბ მეორე გიორგის ძეა. ეს, ის პერიოდია, როდესაც მეფე გიორგი მეათე გარდაიცვალა და მეფის ტახტზე მისი ახალგაზრდა ვაჟი ავიდა. 13 წლის ლუარსაბი 1605 წელს იყო, ხოლო ლუარსაბი 1606 წელს გამეფდა. ე.ი სიაუში ლუარსაბ მეორის მეფობის პირველ ხანებსაც მოსწრებია (გ. ჯამბურია „გიორგი სააკაძე“ თბ. 1964 წ., გვ. 25).



ანტონ ფურცელაძე სიაუშ (შიომშ) სააკადის ოჯახზე წერს: „ოჯახი შიომშ სააკადისა ხომ მართლაც და შესანიშნავი იყო. ამისი ოთხი ვაჟიშვილი იყვნენ ერთმანეთზე უკეთესი ვაჟები და შემმართებელი. როგორც მრავალი საბუთები გვარწმუნებენ (სამწუხაროდ, რომელთა ნაწილი დღეს დაკარგულია - ვ.ო) გიორგი სააკადის და სხვა მის მამის შვილების აღზრდაზე პქნიათ დიდი გავლენა, როგორც მის მამის შიომშს, აგრეთვე და უფროც შიომშის ცოლს, დიდად გონიერს და ვაჟაცური განუდრექელი ხასიათის მქნებს, თამარს, რომელსაც მთელი ოჯახი გაუზრდია მართლაცა და გმორულად. (ანტ. ფურცელაძე „ბრძოლა საქართველოს მოსახლეობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკადე და მისი დრო“. თბ, 1911 წ. გვ. 100). თავის ნაშრომში ა. ფურცელაძე შიომშის (სიაუშს) ოთხ ვაჟს ახსენებს, ხოლო ქალიშვილის შესახებ ამონარიდში არაფერს ამბობს, თუმცა შემდგომში წერს: „სააკადეს (იგულისხმება დიდი მოურავი - ვ.ო.) ჰყავდა სრულიად ახალგაზრდა და საოცარი მნიშვნელობის დაი, რომელიც თავისი სილამაზით გახდა საანდაზო საქართველოსა და სპარსეთში. ყველა სპარსეთის კუთხეში ისმოდა სიმღერა, შემკობა და ქება ამ ქალისა. მელექსენი ადგენდნენ ამაზედ ლექსებს, მომდევრალნი აწყობდნენ ხებს, მთელს სპარსეთში დადიოდა ხმა ამის შვენებისა და სინაზისა, ამაზედ ლაპარაკობდნენ, როგორც საოცარ მოვლენაზედ...“ (ანტ. ფურცელაძე დასახ. წიგნი გვ. 126-127). ადსანიშნავია, რომ გიორგი სააკადის დაზე შეუკარებულმა ლუარსაბ მეფემ ჯვარი დაიწერა ქათახვის მონასტერში 1611 წელს, რომელიც შემდგომ ტრაგედიის მიზეზად გადაექცა დიდ მოურავს (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). გიორგი სააკადის დის სახელს ახსენებს სიმონ ქვარიანი: „თილისმა ქალწული... მშვენიერი მაკრინე... მან (ლუარსაბ მეფემ - ვ.ო) დაიწერა ჯვარი მშვენიერ მაკრი-

ნეზე ქვათახევის მონასტერში.“ (სიმონ ქვარიანი „ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში, გიორგი სააკადე და მისი დრო.“ ქუთაისი 1911 წ. გვ. 38-40). ე.ი თუ სიმონ ქვარიანს ვერწმუნებით გიორგი სააკადის დას მაკრინე რქმევია. თუმცა ზოგჯერ მკვლევარები პირობით სახელს „როდამს“ გვთავაზობენ. (გ. თარხან-მოურავი, დ. თარხან-მოურავი და სხვა ნაშრომი) მაკრინე (ან პირი სახელი როდამი) შიომშის ასული სააკადე ქართლის დედოფალი იყო 1611 წლის ივლისიდან 1612 წლის შემოდგომამდე. იგი იყო ლუარსაბ მეორის თანამეცხედრე, ფაქტობრივად, გიორგი სააკადის წინააღმდეგ მოწყობილ წაგინის შეოქმულებამდე. ლუარსაბ მეორემ დიდი მოურავის დაზე ჯვარი, როგორც აღვნიშნეთ, ქვათახევის მონასტერში დაიწერა, რომელიც სოფელ წინარეხიდან (კავთისხევის საკრებულო) რამდენიმე კილომეტრშია. იმ დროს ქვათახევის მონასტერს განაგებდა არქიმანდრიი იოსებ ნასიძე, ხოლო ქორწინების წესი ააგო იოსებ კანდელაგმა.

ვერც „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ვერ მალავს ბერი ეგნატაშვილი (რომელიც გიორგი სააკადისადმი მთლად ობიექტურობით ვერ გამოირჩევა) დიდი მოურავის დის მშვენიერებას: „ჰყანდა მოურავსა დაი ერთი მეტად შეგნიერ და კმალუც...“ („ქართლის ცხოვრება“ ტ. მეორე. თბ, 1959 წ. გვ. 388). ხოლო ლუარსაბ მეფის ქორწინებასთან დაკავშირებით ადნიშნავს: „მოივგანა (მეფე ლუარსაბმა - ვ.ო.) ქალი ტურფად შეუენიერ და ჰყვანდა თუესა რაოდენსამე“. (დასახ. წიგნი გვ. 389). პლატონ იოსელიანი წერს: „სახელი მოურავის ამ დისა არსად არ არის მოხსენებული, არც ისტორიაში, არც თარხან-მოურავების საბუთებში.“ თუმცა, ისიც, ხაზს უსვამს დიდი მოურავის დის მშვენიერებას და საარაკო სილამაზეს, იგი იმოწმებს უცნობ ავტორს, რომელიც ამბობს: „მოურავის და ისეთი მომხიბლავი და ლამაზი იყო, რომ მასზე



შესანიშნავი სპარსული ლექსი ითხვებოდა. იგი გახდა გმირი მრავალი ამბებისთვის. შეიძლება მათში საქართველოს დედოფლის სახელი ამოიკითხოს ისტორიაზე. (პ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბ. 1973 წ. გვ. 56). გიორგი სააკაძის სილამაზეს აღნიშნავს ასევე ბატონიშვილი ვახუშტი, რომ დიდ მოურავს „ჰყავდა დაი შვენიერი და კეკლუცი“ („ქართლის ცხოვრება“, „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, თბ. 1973 წ. ტ, მეოთხე, გვ. 423.) გიორგი სააკაძის და მაკრინე და დედა თამარ ბარათაშვილი ცნობილი კალიგრაფები ყოფილან, რის შესახებაც არსებობს თქმულება: „გიორგიმ ნახა სიზმარი“, რომელიც დაბეჭდილია ვახტანგ სიდამონიძის მიერ შექრებილ და მისივე წინასიმუშვაობით გამოცემულ დიდი მოურავისადმი მიძღვნილი ლექსების, ბალადების და ლეგენდების კრებულში (თბ. 1988 წ. გამ. „მერანი“) და რომელიც უცვლელად არის შეტანილი ჩემ მიერ 1992 წელს გამოცემული მხატვრული ხელშეკრულით შესრულებული ე.წ „სამზიონო ვეფხისტყაოსნის“ წინასწარმეტყველებაში (შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნი“ გამომცემლობა „გული“ 1992 წ. გვ. 8-9 მს.ტვ. ხელნწ. ნანული შეტანილება სუციშვილი). ამ თქმულების თანახმად, გიორგი სააკაძის დედას - თამარს და დას - თეკლეს, ერთ დამეში, გადაუწერიათ შოთას უკვდავი „ვეფხისტყაოსნი“-ლეგენდა გვიყვება: „იმ დამეს დედა და შვილი - თამარი და თეკლე დაუდალავად წერდნენ, ავსებდნენ პერგამენტის ფურცლებს, რომელთაც ალამაზებდა ნახატებით, ფერწერით განთქმული, კავთისხეველი თევზორე მორჩილი. ასე იწერებოდა მშვენივრად გაფორმებული ვეფხისტყაოსნი.“ („გიორგიმ ნახა სიზმარი.“ თბ. 1988 წ. გამ. „მერანი“ შემდეგ. ვ. სიდამონიძე). ქართველი კალიგრაფისტებადამწერები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენი ძვირფასი ეროვნული საუნჯე, ჩვენი წარსულის სულიერი ძეგლები

ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოადწევდა. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მონაწერები მოწმობენ, რომ გადამწერლობა საქართველოში უძველესი დროიდან პროფესიას წარმოადგენდა. კალიგრაფისტთა თითოეულ ოჯახს თავისებური მანერა და სტილი ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემდნენ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული პალეოგრაფია“, თბ. 1949 წ. გვ. 97). ზემოთ მოვანილი ლეგენდის თანახმად, გიორგი სააკაძის დას თეკლე რქმევია, ხოლო ნახევნები ხოფელი, კავთისხევი (კასპის რაიონი), ისევე როგორც ნოსტე - ერთაწმინდა, სააკაძეთა სამფლობელოში შედიოდა. ამ თქმულებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ გიორგი სააკაძის დედა და და, უაღრესად განათლებული, ქრისტიანულად განსწავლულნი და ეროვნულ საუნჯეზე მზრუნველნი ყოფილან. ქვათახევის მონასტერში არის ერთი უსახელო საფლავი. იქ მობინადრე ბერების განმარტებით არის დასაფლავებული ქართლის დედოფლალი, გიორგი სააკაძის ერთადერთი და. ასევე არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც დიდი მოურავის და მონაზვნად აღიკვეცა მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ სააკაძეთა მფლობელობაში მყოფ ქვათახევის მონასტერში დაკრძალებს. შეიძლება დავუშვათ პიპოთეზა, რომ პლატონ იოსელიანის ნაშრომში ნახევნებ „მონაზონ მაკრინეს“ რაიმე კავშირი ჰქონდეს ქართლის ტრაგიკული ბედის დედოფლალთან (პ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“ თბ. 1973 წ. გვ. 340.) ამგვარად, სიმონ ქვარიანის თუ ვერწმუნებით, გიორგი სააკაძის დას მარკინე რქმევია, ხოლო თუ ლეგენდა-თქმულებას - თეკლე.

მივუბრუნდეთ ისევ გიორგი სააკაძის დედის საკითხს. თამარ ბარათაშვილი - სააკაძისა, დვთის მოშიში, სამშობლოს მოყვარული, ენერგიული



და ძლიერი პიროვნება ყოფილა. იგი ბარათაშვილთა დიდი ფეოდალური სახლის შვილი ამაჟი, დიდად პატივ-ცემული და უშიშარი ქალი იყო. ამას გვაფიქრებინებს ის ისტორიული დოკუ-მენტები, სადაც იგი „პატრონად“, „ბატონად“ და „საპატიო“ ქალად არის მოხსენებული (გ. ჯამბურია „გიორგი სააკაძე“ თბ. 1964 წ. გვ. 25).

ე.წ. „წავისის სერობის“ შემდეგ 1612 წლის 20 მაისს, რომლის მონა-წილენივ, ლუარსაბ მეორის გარდა იყვნენ შადიმან ბარათაშვილი და სხვა დიდი თავადები შეთქმულნი გიორგი სააკაძის წინააღმდეგ. დიდი მოურავი იძულებული იყო გასცლოდა ივერიას და სპარსეთში შაპ-აბასის კარზე გადახვეწილიყო. ამ დროს მისი მტრები და მოშურნენი სამშობლოდან გაძევე-ბული ეროვნული გმირის სახლ-კარს და ყმა მამულებს არბევდნენ, იტაცებ-დნენ და ინაწილებდნენ. გიორგი საა-კაძის დედა, თამარი, ქართლში იყო თავის მამა-პაპეულ ატენის თუ თემის ხეობაში და შეძლებისდაგვარად არაკა-ცებისაგან თავს იცავდა, საგვარეულო ქონებას პატრონობდა. მაგრამ შემდეგ არც ის დაუნდიათ დიდი მოურავის მტრებს. როგორც გიორგი სააკაძე სასამართლოში ამბობს: „ფეხშიშველა, შვილთა, მოახლებითა, მოსამსახურე-ბითა, ლიხთ-იმერით გარდამიგდეს და დამიკარგესო“. („სასამართლო განაჩენი დიდი მოურავის და ჯავახიშვილის საქმის გამო“ 1620 წ. ივ. სურგულაძე „ნარკვევები საქართველოს სახელმწი-ფოსა და სამართლის ისტორიიდან“, თბ. 1963 წ. გვ. 56). როგორც ანგონ ფურცელაძე წერს, ქაიხოსრო ჯავახიშ-ვილზე, რომ „მიუხებნენ ამის (გიორგი სააკაძის - ვ.ო) დედას და მძებსა ფელის ციხეში, მოუკლეს მმა, უპირებდნენ ამოწყვეტას მთელს სახ-ლობას, თუ ისინი დამით არ გაკპა-როდნენ და ფეხშიშველნი არ გადაჭ-რილიყვნენ იმერეთს...“ (ან. ფურცელა-ძე, „ბრძოლა საქართველოს მოსახ-ობად და საქართველოს შესაერთებ-

ლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო.“ თბ. 1911 წ. გვ. 179). ამის შემდეგ, მტკიცე ხასიათის თამარ ბარათაშვი-ლი-სააკაძისა იმერეთიდან კვლავ დაბ-რუნებულა დიდი მოურავის მამულში, მაგრამ თეიმურაზ პირველი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი, 1615 წლიდან, ისევ აგრძელებენ მის მტრობასა და შევიწროვებას. ქახელების აჯანყების შედეგად თეიმურაზ პირველმა სამეფო ტახტი დროებით დაიბრუნა. ამ დროს ქაიხოსრო ჯავახიშვილს თეიმურაზ მეფისთვის თამარ ბარათაშვილ-სააკა-ძის სასამართლოში გამოძახება უთხო-ვია. (რაც მის ვაჟაცერ უესტად ნამდვილად ვერ ჩაითვლება). დიდი მოურავის დაუძინებელ მტრებს თეიმუ-რაზ პირველისთვის ურჩევიათ „რომე თუ არ გაებრჭოსო (ე.ი სასამართლოში არ გაყვესო მოხელეებს) ხელთ მივს-ცეთო (ქაიხოსრო ჯავახიშვილს - ვ.ო) და როგორც ერჩივნოს, მისი საქმე იმ რიგად გარდუწუიტოსო.“ მაგრამ მიტ-როპოლიტ შერმაზანს არ დაუნებებია: „რომე ეგ როგორ იქნებისო, ახლა ერთი საბატიო დედაკაცი დაგვეჭირესო და სიტყოდ ხელთ მიგვეცესო“. თეი-მურაზ მეფე დათანხმებულა და თამა-რისთან კაცნი მიავლინა, მაგრამ თამარი მხხედ იდგა და მეფეს საკად-რისი პასუხის გაუგზავნა, რომელიც არასასიამოვნო გამოღვა თეიმურაზ პირველისთვის, რაც კარგად ჩანს დიდი მოურავის და ქაიხოსრო ჯავა-ხიშვილის საქმის, 1620 წლის, სასამართლოს განაჩენში: „კიდევ სარჩელა ბატონმა მოურავმან (სარჩე-ლი შეიტანა სასამართლოში დიდმა მოურავმა - ვ.ო) რომე: ... ადგა ქაიხო-სრო (იგულისხმება ქაიხოსრო ჯავახი-შვილი - ვ.ო) და ბატონს თეიმურაზს (მეფეს - ვ.ო) კაცი მიუგზავნა, რომე: მოურავისაგან ბევრი ძალა მჭირსო, ამას გეხვეწებიო, რომე ბატონის მოუ-რავის დედა გამაბრჭო. ბატონმან თეი-მურაზ ბატონს დედაჩემს მანუჩარ მიუგზავნა, რომე ქაიხოსრო თქუნენის



შვილისგან ბევრსა ჩივისო და გაებრ-ჭევო.

ბატონმა დედაჩემმან ასრე მოახ-სენა: დასტურადა ბევრს ჩივისო, მაგ-რამ ასრე გასული და ასრე გამხდარი ჩემგან მაგისი ბრჭობა როგორ იქნე-ბისო; და ან თქუენი რა საკადრისი საქმე არისო, რომე ამ დროით დედაგაცი ლაშქარში საბრჭოდ ვიარე-ბოდეო.“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენ-ტრი დ – 6259, 1620 წ. 15 აპრილი). სიტყვა „განბრჭობა“ გასამართლებას ნიშნავს სულხან-საბას ლექსიკონში. ისტორიოგრაფიული საბუთებიდან ნათ-ლად ჩანს, რომ დიდი მოურავის მოხუც დედას როგორ უდიერად ეპყრობიან თეიმურაზ მეფე და ზოგიერთი დიდ-გვაროვანი, რაც არაქრისტიანულია და აღმაშფოთებელია. თითქოს დაგიწყე-ბიათ სახარების მე-10 მცნება „... არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვა-სისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვნეს მოყ-ვასისა შენისა“ (წიგნი „გამოსვლათა“ თ. 20. 2 – 17).

იმავე ისტორიულ საბუთში ვა-თხულობო გიორგი სააკაძის ნათქვამს: „ჩემმან ქიშპმან კაცებმან გამოურჩივეს, რომე თუ არ გაებრჭოსო, ხელთ მივს-ცეთო და როგორც ერჩივნოს, მისი საქმე იმ რიგად გარდაუწყვიტოსო.“ და ამ დროს მშველელებად, დიდი მოურა-ვის დასაცავად გაევლინებიან კახელი დიდგვაროვნები (თავადები) და არა ქართლელები: ალავერდელი, შერმაზან ჩოლოებულები, ნოდარ ქორქაძე, რომ-ლებიც მეფე თეიმურაზ პირველის უახ-ლოესი გარემოცვის წევრები არიან და თავისი თვალით აქვთ ნანახი საქართველოს ულამაზესი და ბარა-ქიანი კუთხის კახეთის აყრა-უბედურე-ბა შაპ-აბასის შემოსევის დროს. მათ ამ შემოსევებისას დაკარგეს ახლობლები, სიმდიდრე, სახლ-კარი, მამულები და იძულებულები არიან თავშესაფარი ეძებონ, ყველაზე მთავარი, მათ იციან ვინ იყო დამნაშავე კახეთის უბედურე-ბაში, გადაწვა-აყრა-აოხერებაში. ისმის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: რომელი მათგანი აპატიებდა გიორგი სააკაძეს და მის ოჯახის წევრებს ათასობით დანგრეულ კომლს და ათასობით მოკ-ლულის, ნაწამების სისხლს? პასუხი ცხადია: არცა ერთი! გიორგი სააკაძის დედას - თამარს კი იცავდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ, დიდ მოურავს კახეთის აოხერება - აწიოკებაში ბრალი არ მიუძღვოდა. ყველაზე უკეთ ამის შესა-ხებ ნოდარ ქორქაძემ იცოდა, რომე-ლიც იმ დროს თეიმურაზ მეფის ნებით შაპ-აბასის ბანაგში იმყოფებოდა.

ერთი საბატიო დედაკაცი დაგუეჭირო-სო და სიტყუად ხელს მიგუეცესო. ამა-ზედ დაიშალეს და აღარ მისცეს“ ანუ ჰეშმარიტმა ქრისტიანმა მიტროპო-ლიტმა და კახელმა თავადების ნაწილ-მა არ დაანება თეიმურაზ პირველსა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს მოხუცი თამარ ბარათაშვილ-სააკაძის დაჭერა-გასამართლება. აქ ისმის მთავარი კი-თხვა: ვინ და რატომ ამოიღო სმა დიდი მოურავის დედის - თამარ ბარათაშვი-ლი-სააკაძის დასაცავად? ხაზგასმუ-ლია, რომ ამ „საპატიო ქალის“ მშვე-ლელებად გვევლინებიან არა ქართლის თავადები, არამედ კახელი სასულიერო მოღვაწენი და დიდგვაროვნები: ალა-ვერდელი მიტროპოლიტი შერმაზან ჩოლოებულები, ნოდარ ქორქაძე, რომ-ლებიც მეფე თეიმურაზ პირველის უახ-ლოესი გარემოცვის წევრები არიან და თავისი თვალით აქვთ ნანახი საქართველოს ულამაზესი და ბარა-ქიანი კუთხის კახეთის აყრა-უბედურე-ბა შაპ-აბასის შემოსევის დროს. მათ ამ შემოსევებისას დაკარგეს ახლობლები, სიმდიდრე, სახლ-კარი, მამულები და იძულებულები არიან თავშესაფარი ეძებონ, ყველაზე მთავარი, მათ იციან ვინ იყო დამნაშავე კახეთის უბედურე-ბაში, გადაწვა-აყრა-აოხერებაში. ისმის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: რომელი მათგანი აპატიებდა გიორგი სააკაძეს და მის ოჯახის წევრებს ათასობით დანგრეულ კომლს და ათასობით მოკ-ლულის, ნაწამების სისხლს? პასუხი ცხადია: არცა ერთი! გიორგი სააკაძის დედას - თამარს კი იცავდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ, დიდ მოურავს კახეთის აოხერება - აწიოკებაში ბრალი არ მიუძღვოდა. ყველაზე უკეთ ამის შესა-ხებ ნოდარ ქორქაძემ იცოდა, რომე-ლიც იმ დროს თეიმურაზ მეფის ნებით შაპ-აბასის ბანაგში იმყოფებოდა.



**ფირმინ „გაგასიის“
05ტერარეტაციისათვის**

ნანა ბახელიანი

„ამბებს მითიური და
ისტორიული მხარეები გამოჯნელი
აქთ: ძველს, ტურისა და
საკურველს მითები
ეწოდება, ხოლო ისტორიას
ესაჭიროება ჯეშმარიტება“
ხტრაბონი

ძველახლოადმოსავლური სამყაროს
ამა თუ იმ რეგიონის გეოგრაფიულ
გარემოში გზები, მთები, მდინარეები,
სხვადასხვა გასასვლელები, რომლებიც
სავაჭრო, სამსედრო და სხვა სახის
კომუნიკაციებს ფლობდა, მთავარ გასა-
ლებს წარმოადგენდა ცივილიზაციის
ასპარეზზე სხვადასხვა ხალხის წარ-
მოსახენად, რაც მეზობელი ქაფენების
წარმომადგენელთა მიერ დაწერილ
ტექსტებში და მატერიალური კულ-
ტურის ნაკალევში პოულობს ასახვას.

უძველესი დროიდანვე კაგასია
ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელო-
ვან რეგიონს წარმოადგენდა, სადაც
კაგასიური, ხურიტული, ინდოევროპუ-
ლი, სემიტური კულტურები ერთმანეთს
ხვდებოდნენ.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს
ბერძნულენოვან ტექსტებში (პომერისი,
ესქილე, ჰეკატიოს მილეტოსელი,
ჰეროდოტე, თეოკრიტოსი, აპოლონიოს
როდოსელი, აპოლოდოროსი, სტრაბო-
ნი, პლუტარქოსი, დიონისიოსი, არია-
ნოსი, აპიანოსი, კლემენს რომაელი,
ტაციანოსი, ლუკიანოსი, კლავდიოს
პტოლემაიოსი, დიონ კასიოს კოკეია-
ნოსი, ფილოსტრატოსი, ბასილი დიდი,
ევსებიოს კესარიელი, კვინტუს სმირნე-
ლი, ნონოსი, სტეფანე ბიზანტიონელი)
ტერმინ კაგასიის შესახებ დაცული
ცნობების საფუძველზე გეოგრაფიული,

კულტურული, პოლიტიკური, ეთნიკური
ფენომენის ინტერპრეტაცია.

ტერმინ „კაგასიაში“ მაღალი მთები
მოიაზრებოდა. პლუტარქოსი (ა. წ. I-II
ს.) თხზულებაში „მდინარეთა, მთათა
სახელწოდებებისა და იმის შესახებ,
რაც მათში მოიპოვება“ კაგასიის წარ-
მოშობის მითოლოგიურ ვერსიას გვაწ-
ვდის: „ფასისის გეერდით კაგასიონის
მთა მდებარეობს, რომელსაც თავდა-
პირველად „ბორეასის სარეცელი“ ეწო-
დებოდა შემდეგი მიზეზის გამო:
არქტუროსის ქალიშვილში – ქლორის-
ში თავდავიწყებით შევარებულმა
ბორეასმა მოიტაცა ის, მიიყვანა ერთ
მთაზე, რომელსაც ნიფანტესი ეწოდე-
ბოდა და გაუჩნდა მას შემდეგ ამ
ქალისაგან ვაჟი პირპაქსი, რომელსაც
შემდეგ ჰენიოქოსის სამეფო გადაეცა.
სწორედ ამის გამო მთას სახელად
ეწოდა „ბორეასის სარეცელი“, ხოლო
კაგასიონი შემდეგი გარემოების გამო
ეწოდა. გიგანტებთან ბრძოლის შემდეგ
ზევსის მუქარას გამოქცეულმა კრო-
ნოსმა „ბორეასის სარეცელს“ შეავარა
თავი და ნიანგად ქცეული იქ იმალე-
ბოდა. მაგრამ [პომეტევსმა], რომელ-
მაც ერთი ადგილობრივი მცხოვრები
მწყემსი კაგასოსი მოკლა და მისი
შიგნეულობა გამოიკვლია, თქვა, რომ
მტრები შორს არ იყვნენ. აქ მოსულმა
ზევსმა მამა დაგრეხილი მატყლით
შეკრა და ქეხსნელში ჩააგდო. მთას კი
მწყემსის პატივსაცემად დაარქვა კაგა-
სოსი“ [1,290].

პირველად სწორედ ანტიკურ ხანაში
გამოიკვეთა კაგასიის, როგორც მრა-
ვალი თვალსაზრისით განსაკუთრებულ-
ი რეგიონის ადგილი მსოფლიო
ისტორიის არეალში. კაგასია ბერძნე-
ბის მიერ წარმოდგენილი იყო როგორც
მითოსურ, ისე ისტორიულ რაკურსში.
ბერძნებმა დასაბამი მისცეს კაგასიას-
თან დაკავშირებული მითის გეოგრა-
ფიულ არეალთან იდენტიფიკაციას და
ტერმინი „კაგასია“ მრავალფეროვან



და მუდმივად მზარდ სივრცეებს დაუკავშირეს.

ტერმინი „კავკასია“ პირველად ესქილეს (ძვ. წ. 525/4-456/5წ.) ოთხულებაში „მიჯაჭვული პრომეფე“ გვხვდება. ესქილე მას შემდეგნაირად წარმოაჩენს: „...უკიდურეს კლდეს... მიაღწია მიწის უკანასკნელ ნაწილს, რადგან კავკასოსი არის დასახლებული მიწის სასრული ზღვარი... მაღალი, გრძელი, საიდანაც შესაძლოა შორს ცქერა... მთა კავკასოსი ძალზე გაგრძელებულია“ [2,67]. ესქილეს ამ განმარტებას მნიშვნელოვნად ავსებს არისტოტელე (ძვ. წ. 383-322წ) ოავის კორპუსში „მეტეოროლოგია“: „...ხოლო კავკასიონიდან ბევრი სხვადასხვა [მდინარე], გამორჩეული [წყლის] სიმრავლითა და სიდიდით და მათ შორის ფასისი. კავკასიონი უმაღლესი მთა, როგორც სიფართოვით, ასევე სიმაღლით და მიმართულია ზაფხულის აღმოსავლეთისაკენ. მის სიმაღლეს ადასტურებს ის, რომ ის კარგად ჩანს ე. წ. სიდრმეებიდანაც და ხომალდით ტბაში შემავალთაოვისაც. აგრეთვე, მისი მწვერვალები მზითაა განათებული ღამით ერთ მესამედამდე, განთიადამდეც და კვლავ საღამოს მერეც. მის სიფართოვეს აჩვენებს ისიც, რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ტომები ცხოვრობენ და სადაც, ამბობენ, რომ ბევრი ტბებიაო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ყველა ეს საცხოვრისი ჩანს ვიდრე უკანასკნელ მწვერვალამდე“ [3,34].

თეოკრიტოსი (ძვ. წ. IV-III სს.) ოთხულებაში „იდილიები“ მას ქვეყნის უკიდურეს საზღვრამდე გადაჭიმულს წარმოადგენს, ესაა ქვეყნის უკიდურესი მხარე [4,127].

აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ კავკასიას მაღალ მწვერვალებიან მთებად მოიხსენიებს. იქნე იგი ტერმინის სემანტიკასაც განმარტავს, გვამცნობს რა შემდეგს: „მაღე ცისკარზე შობილი ეოსი აღმოვიდა და ოოვ-

ლიან კავკასიონს შუქი მოჰვინა“. აპოლონიოს როდოსელი კავკასიის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის: „ლიკოსის შესართავთან, რომელიც ხმაურა მდინარე არაქსს რომ დაშორდება, წმიდა ტალღებს ფასისს უერთებს, შემდეგ კი ეს ორი მდინარე, უკვე გაერთებული, კავკასიის ზღვას შეედინება“ [5,178-179]. კავკასიის ზღვაში იგი ევქსენიოსს გულისხმობს.

სტრაბონი (ძვ. წ. I - ას. წ. I სს.) კავკასიის აღწერისას მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდის. ფუნდამენტურ თხულებაში „გოგრაფია“ „მსოფლიოს სიგრძედ ღებულობს ის ხაზს ტავრზე და პირდაპირი ხაზით ზღვაზე, ვიდრე სტელებამდე და შემდეგ კაგბასოსსა, როდოსსა და ათენზე“. ავტორი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კაგბასიის ლოკალიზაციის შესახებ: „...ხოლო კავკასოსი მდებარეობს ორივე, როგორც პონტის, ასევე კასპიის ზღვის ზემოთ. ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს ზღვებს. ის (კაგბასოსი) საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს: იგი მდიდარი არის მრავალნაირი ტყით, სხვათა შორის ნავსაშენითაც. ერატოსთენესი ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასოსი იწოდება კასპიად, შესაძლებელია კასპიელების სახელის მიხედვით. ზოგი ტოტი ამ მთისა მოქმართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულო, აგრეთვე სკიდისესსა და პარიადრეს: ყველა ესენი არიან ტავრისის ნაწილები, რომელიც ქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს, ეს ნაწილები როგორდაც აქედან მოწყვეტილნი არიან ჩრდილოეთისაკენ და გრძელებიან კავკასოსამდე და ევქსენიოსის სანაპირომდე, რომელიც ვრცელდება თემისკირამდე, დაწყებული კოლხისიდან“ [6,121].



ახ. წ. II ს-ის მოღვაწე დიონისიონი „სამყაროს აღწერაში“ მკვეთრად მიჯნავს აზიას ევროპისგან სწორედ კავკასიით და მას აზიის სათავეებად მოიაზრებს: „ევროპას აზიის მიწისაგან გამიჯნავს ტანაისი – დასავლეთითა ევროპა, აღმოსავლეთით კი – აზიის მიწა, მისი სათავეები კავკასიონის მთებში, შორით ჩხრიალებებზე“ [7,299].

არიანოსი (ახ. წ. I-IIს.) კავკასიას მაინცდამაინც ევროპულ ალპებს აღარებს: „ქავკასიონის მთა სიმაღლით წაგავს უკელაზე მეტად კელტურალპებს...“ [8,159].

კლავდიოს პტოლემაიონი (ახ. წ. 90-168 წწ.) თავის თხზულებაში „გეოგრაფიული სახელმძღვანელო (მითოებანი)“ დაწვრილებით განიხილავს და კავკასიის მთების ზუსტ მდებარეობასაც განსაზღვრავს: „მთა კორაქსი, რომლითაც მთავრდება კოლხეთისა და იბერიის გავლით წამოსული მთები – კავკასიონად წოდებული და ასევე პირკანის ზღვისაკენ მიმავალი მთის განშტოება, მასაც კავკასოსი ეწოდება. ხოლო კორაქსის მთის კიდეთა მდებარეობა განსაზღვრავბა 69°48' და 75°48', ხოლო კავკასოსის 75°47' და 85°48'“ [9,356].

დიონ კასიოს კოკეიანოსი (ახ. წ. II-III სს.) „რომის ისტორიაში“ კავკასიის დასასრულად კასპიის ზღვას მიიჩნევს [10,362].

ავტორთა ნაშრომებში, თითქმის ყველგან, „იგი ქვეყნის უკიდურეს საზღვრამდეა გადაჭიმული“, „პონტოსის და კასპიის ზღვებს ზემოთ მდებარეობს“ (ანუ ჩრდილოეთით – ნ. ბ.), ფილოსტრატოსი მის სივრცეს განსაზღვრავს და დასძენს: „ეს მთა ტავროსის დასაწყისია, იგი ვრცელდება არმენიასა და კილიკიაზე, პამფილიასა და მიკალემდე, მთავრდება ზღვასთან, სადაც ცხოვრობენ კარიელები. ეს შეიძლება კავკასოსის დასასრულად მივიჩნიოთ და არა დასაწყისად... მიკალეს სიმაღლე არც ისე დიდია, კავკა-

სის მწვერვალები კი იმ სიმაღლეზეა, რომ მასზე მზის სხივები გარდატყდებიან. ის გარშემო უვლის სხვა ტავროსს და ინდოეთთან მომიჯნავე მთელ სკვითიას მეოტისიდან და პონტოსის მარცხენა მხრიდან ოც ათასამდე სტადიონზე: დედამიწის ამ სივრცეზე ვრცელდება კავკასოსის ქედი“ [11,375].

კავკასიას არც ბასილი დიდი (ახ. წ. IV ს.) უვლის გვერდს თხზულებაში „ცხრა პომილია ექსდღიურზე“: „ვასისი, რომელიც კავკასიის მთებიდან მოედინება და მრავალი სხვა მდინარე ჩრდილოეთიდან ევქსინის პონტოსაკენ მიედინება...“ [12,382]. ევსებიოს კესარიული (ახ. წ. IV ს.) „უცნობი ტომების შესახებ“ კავკასიას სკვითიასთან აიგივებს [13,385]. კვინტუს სმირნელი (ახ. წ. III ან IV ს.) „პომეროსის შემდგომი ამბების“ ეპიზოდში დაწვრილებით აღწერს კავკასიის დრმა ხეობებს, კლდეებს და ა. შ. [14,386]. ნონოსი „დიონისიაპაში“ კავკასიის მწვერვალებს ზევსის სამყოფელად წარმოადგენს [15,394], რაც შემთხვევითობით ვერ აისწენება.

კავკასია უძველესი დროიდანვე აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში, რაც კარგად ჩანს აპოლოდოროსის თხზულებაში „ჰერაკლეს შესახებ“. აქ მოვლენების აღწერა თანმიმდევრულია და ვრცელდება ლიბიიდან კავკასიის ჩათვლით.

ბერძნულებოვან ტექსტებში კავკასიას განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიტიკურ რაცურსშიც აქვს. საქმე ისაა, რომ კავკასია ძველ დროში უკიდურეს საზღვარს წარმოადგენდა. ითვლეობდა, რომ მისი დაპყრობით ესათუ ის იმპერია მსოფლიო მბრძანებელი გახდებოდა. ბერძნულებოვან ტექსტებში დასტურდება ირიბი გადმოცემები კავკასიის მთებთან მიდია-სკვითიას, სპარსეთსა და კავკასიელ ხალხებს, რომაელებსა და კავკასიონზე მცხოვრები „ბარბაროსს“ ტომებს შორის გამართულ ბრძოლებზე, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაზე, მითრი-



დატე პონტოელის საბრძოლო მოქმედებებზე და ა. შ. ასე მაგალითად, პერიოდობე გვამცნობს: „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც, ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება საპარსეთის მმართველობა), ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ საპარსელებისა“ [16,76]. სტრაბონის ცნობით, „ალექსანდრესათვის უფრო სასახლო იყო ინდოეთის მთებამდე დაყრობა აზიისა, ვიდრე ევქსენიონისა და კავკასიის კუთხემდე“ [6,140]. მსგავსი პასაჟია დაცული არიანოსთან, სადაც ნათლად ჩანს, რომ „მაკედონელებმა თავის თხრობაში მთა კავკასიი პონტოსიდან დედამიწის უფრო აღმოსავლეთ ნაწილში პარაპამისადების ქვეყანაში ინდოეთისაკენ გადმოიტანეს, პარაპამისოთის მთას დაარქვეს კავკასიი ალექსანდრეს განცილებისათვის და ამით გამოვიდა, თითქოს ალექსანდრემ კავკასიი გადაიარა“ [8,181]. დოონ კასიოს კოკეიანოსის მიხედვით, „პომპეუსმა მოითარეშა ეს ქვეყანა, შემდეგ კი მშვიდობა უბობა ალბანელებს და ელჩების მეშვეობით შეკრა ზავი კავკასიის სხვა ქვეყნებთან“ [10,362]. პლუტარქოსი „პოლიტიკურ ტექსტებში“ დაწვრილებით მსჯელობს კავკასიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და გვამცნობს: „კავკასიი უამრავი ხეობით, რომლითაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლას თავარიდებული ათი ათასობით მეფე“; „კანიდიუსმა დაამარცხა არმენიელებიც და ალბანთა მეფები და კავკასიონამდე მივიდა“; „ანტონიუსმა არა ერთხელ დაამარცხა პართელები და კავკასიონზე მცხოვრები ბარბაროსი ტომები და იძულებული გახადა კასპიის ზღვისკენ დაეხიათ“ [1,286]. მემნონიც (ძვ. წ. I ან ა. წ. I ს.) აღნიშნავს კავკასიის მნიშვნელობას პოლიტიკურ თრთაბრძოლებში და გვამცნობს: „მითრიდატესმა ომით

დაიმორჩილა მეფეები ფასისის მიდამოებში კავკასიონის გადაღმა მდებარე მიწებამდე, განავრცო ძალაუფლება და მეტისმეტად გადიდგულდა“ [17,295].

ბერძნულებრვან წერილობით წყაროებში კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და მოსულთა ეთნიკური მოზაიკა დასტურდება. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა კავკასიური კულტურის სათავეების ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ენიჭება. ასე მაგალითად, ჰომეროსი მოისენიებს კავკონებს პაფლაგონიაშიც და სკვითიაში (იგივე კავკასია), ჰეკატეოს მილეტოსელი კავკასიასთან მცხოვრებ ეთნიკურ ერთეულებს გვამცნობს – ესენია დანდარიები, ტიპანისები, კოლები, ამ უკანასკნელთა სახელი კავკასიის მთისწინეთს ეწოდა, სტრაბონი კავკასიელებად მოისენიებს იძერებსა და ალბანელებს, იგი კიდევ უფრო აზუსტებს სკვითთა განსახლების არეალს და გვამცნობს: „სკვითები არიან – აორესები და სირაკები, რომლებიც სამხრეთით კავკასიის მთებამდე აღწევენ. ზოგი მათგანი მომთაბარეა, ხოლო სხვები კარვებში ბინადრობენ და მიწათმოქმედებას ეწევიან... შემდეგ არიან აქეები, ძიგები, ჰენიოსები, კერკეტები და მაკროპოგონები... მოსხები, კოლები, შემდეგ ამათ ზემოთ ფოეირფაგები, სოანები და სხვა პატარა ტომები კავკასიასთან“, სტრაბონი ჰომეროსის მიერ მოხსენიებულ კავკონებს სინოპეს მხარეშიც ასახელებს და მათ ბარბაროსულ ტომებად მიიჩნევს. სტეფანე ბიზანტიონელი (ა. წ. V. ს.) თავის ნარკვევში „ეთნიკა შემოკლებით“ ტერმინ კავკასიასთან დაკავშირებით საინტერესო ერთ დეტალს გვამცნობს: „ეთნონიმი (ტომის სახელი) კავკასიელი, „კავკასოს“ და მდედრობით „კავკასია“ – ქვეყნის სახელი. აქედანაა კავკასიელი „კავკასიონის“, მსგავსად კასპიელისა - „კასპიანოს“, საშუალო სქესი „კავკასიონ“. იწერება ასევე „ოოტათი“ - „კავკასის“, საიდანაც



არის წარმოებული კავკასიატეს „კავკასიის მოსახლე“ [18,413].

მსოფლიოში დღეს მიმდინარე მოვლენების პირობებში, კავკასიის შესახებ ძერძნულებროვან ტექსტებში დაცული მონაცემები განსაკუთრებულ აქტუალობას კვლავაც ინარჩუნებს. კავკასია დღესაც მსოფლიოს ზესახელმწიფოებისათვის კვლავ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ფოკუსშია მოქცეული.

დამოტმებული პირველყორდები

1. პლუტარქოსი, „მდინარეთა, მთათა სახელწოდებებისა და იმის შესახებ, რაც მათში მოიპოვება“, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
2. ესქილე, „მიჯაჭვული პრომეთე“, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
3. ყაუხებიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი, 1969.
4. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხებიშვილმა, თბილისი, 1980.
5. აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
6. ყაუხებიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.
7. დიონისიოსი, „სამყაროს აღწერა“, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
8. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხებიშვილმა, თბილისი, 1983.
9. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო (მითოებანი)“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
10. დიონ კასიოს კოკეიანოსი, „რომის ისტორია“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.

11. ფილოსტრატოსი, „აპოლონიოს ტიანელის შესახებ“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
12. ბასილი დიდი, „ცხრა პომილია ექსდიოურზე“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
13. ევსებიოს კესარიელი, „უცნობი ტომების შესახებ“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
14. კიინტუს სმირნელი, პომეროსის შემდგომი ამბები“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
15. ნონოსი, „დიონისიაკა“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
16. ყაუხებიშვილი თ. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
17. მემნონი, „პერაკლეს შესახებ“, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.
18. სტეფანე ბიზანტიონელი, „ეთნიკა შემოკლებით“, ანტიკური კავკასია ენციკლოპედია I, თბილისი, 2010.

ON THE INTERPRETATION OF THE TERM CAUCASIA

Nana Bakhsoliani

The study of geographical, cultural, political and ethnic evidence preserved in Greek-language texts has led the author to the conclusion that the term *Caucasia* is linked with varied and constantly increasing areas.

In the Greek-language texts Caucasia has special significance in the political aspect as well, the point is that Caucasia was the extreme boundary of the world of that period. It was considered that by conquering it, one or another empire would have become the ruler of the world. The Greek-language written sources confirm the varied ethnic mosaic of the oldest ethnical groups of the Caucasians and other tribes arriving there, which is especially important for the reconstruction of the history of the beginnings of the Caucasian culture. As in the ancient period, at present too Caucasia is again involved in the sphere of economic and political interests of the great powers of the world.

